
**კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის
ვალდებულება და პასუხისმგებლობა
სააქციო საზოგადოებაში ქართული და
გერმანული სამართლის მიხედვით**

სიმპოზიუმის მასალები

II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო
სამართალში 2003

**Sorgfaltspflicht und Verantwortlichkeit in
der Aktiengesellschaft nach georgischem
und deutschem Recht**

Tagungsband

II. deutsch-georgisches Symposium zum
Gesellschaftsrecht 2003

თბილისი/Tbilissi
2003

Немецкое Общество по Техническому Сотрудничеству (GTZ) существует с 1975 года и является действующим во всем мире предпринимательством частного экономического сектора ФРГ, стремящимся к развитию сотрудничества. Целью деятельности этой организации является политическое развитие, продолжительное улучшение жизненных условий в странах Юга и Востока и сохранения природных, жизненно важных богатств.

По поручению Немецкого Федерального Министерства экономического сотрудничества и развития (BMZ) осуществляет GTZ в странах Южного Кавказа множество проектов, направленных на поддержку реформ права и юстиции. В рамках этих проектов на места отправляются эксперты, читающие доклады, проводящие консультации и принимающие участие в мероприятиях по повышению квалификации местных специалистов. Данной публикацией издается целый ряд докладов и прочих материалов.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) არსებობს 1975 წლიდან და არის მთელს მსოფლიოში მოქმედი კერძო ეკონომიკური სექტორის საწარმო, რომელიც ისწრაფვის თანამშრომლობის განვითარებისკენ. ამ ორგანიზაციის მოქმედების მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქვეყნების პოლიტიკური განვითარება, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ბუნებრივი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სიმდიდრეების შენარჩუნება.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების (BMZ) ფედერალური სამინისტროს დავალებით GTZ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ანხორციელებს მრავალ პროექტს, რომლებიც მიმართულია სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტის ჩარჩოებში ადგილებზე იგზავნებიან ექსპერტები, რომლებიც კითხულობენ მოხსენებებს, ატარებენ კონსულტაციებს და მონაწილეობას დებულობენ ადგილობრივი სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში. მოცემული პუბლიკაციით გამოიცემა მთელი რიგი მოხსენებები და სხვა მასალები.

Die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH besteht seit 1975 und ist ein weltweit tätiges Dienstleistungsunternehmen für Entwicklungszusammenarbeit. Sie arbeitet als privatwirtschaftlich organisiertes Unternehmen der Bundesrepublik Deutschland für das entwicklungspolitische Ziel, die Lebensbedingungen der Menschen in den Ländern des Südens und Ostens nachhaltig zu verbessern und die natürlichen Lebensgrundlagen zu erhalten.

Die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH führt im Auftrag des deutschen Bundesministeriums für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ) in den Ländern des südlichen Kaukasus mehrere Projekte zur Unterstützung der Rechts- und Justizreformen durch. Im Rahmen dieser Projekte werden Kurzzeitexperten eingesetzt, die beratende Tätigkeit ausüben, an Fortbildungsveranstaltungen teilnehmen und Vorträge halten. In dieser Schriftenreihe werden Vorträge und Materialien der Projekte veröffentlicht.

წინასიტყვაობა

2003 წლის 5-6 ივნისს თბილისში ჩატარდა მეორე ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. თემა შეირჩა იმ დისკუსიების მიხედვით, რომლებიც შედგა 2000 წლის მარტში, თბილისში ჩატარებული პირველი სიმპოზიუმის დროს. ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია პრობლემები, დაკავშირებული „კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობებსა და სააქციო საზოგადოებაში პასუხისმგებლობასთან“. ისინი საჭირობორტოა ასევე ქართული სასამართლოებისათვისაც. საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ მიღებით შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რამაც ხელი შეუწყო ამ საკითხების პრაქტიკულ სისტემატიზაციას. დიდი ხარგებლობა მოაქვს ქართული და გერმანული სამართლის შედარებას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმებთან.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან საქართველოს უზენაესი სასამართლო და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ). მომხსენებლები იყვნენ საკორპორაციო და კაპიტალის ბაზრის სამართლის ქართველი და გერმანელი მეცნიერები და პრაქტიკოსი იურისტები. წინამდებარე წიგნით ხდება მათი მოხსენებების გამოქვეყნება.

წიგნის გამომცემლებმა იზრუნეს ასევე პირველი სიმპოზიუმის მოხსენებების გამოქვეყნებაზეც (საკორპორაციო სამართლის განვითარების აქტუალური პრობლემები საქართველოში, თბილისი, 2000). მაშინ გამოითქვა იმედი, რომ პირველი სიმპოზიუმი არ იქნებოდა ერთადერთი ღონისძიება, „რათა ხელი შეეწყობოდა სამართლის გამოყენების, ინტერპრეტაციისა და სამართლის განვითარების კულტურის ჩამოყალიბებას“ (იხ. პირველი ტომის წინასიტყვაობა). ეს იმედი გამართლდა, და იმავდროულად გამოითქვა სურვილი, 2004 წელს უკვე რიგით მესამე სიმპოზიუმის გამართვისა, რომელიც მიედგინებოდა მეწარმეთა შესახებ კანონის მიღების მეათე წლისთავს. ეს გახლავთ მოვლენა, რომელიც

მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სამართლებრივი ისტორიის თვალსაზრისით.

წინამდებარე წიგნის გამომცემლები გულისთავად მადლობას უხდებიან გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროს (BMZ) კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერისა და საკონფერენციო წიგნის გამომცემისათვის. იმავდროულად დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებენ ყველა მომხსენებელსა და ასზე მეტ მონაწილეს, რომლებმაც განსაკუთრებული აქტიურობით მიიღეს მონაწილეობა დისკუსიებში.

*დადო ჭანტურია
როლფ კნიპერი
იოჰანეს ზემლერი*

VORWORT

Am 05. und 06 Juni 2003 hat das zweite deutsch-georgische Symposium zum Gesellschaftsrecht in Tbilissi stattgefunden. Das Thema hatte sich aus Diskussionen herausgeschält, die während des ersten Symposiums im März 2000 geführt worden waren. Probleme von „Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit in der Aktiengesellschaft“ sind von hoher Aktualität und Wichtigkeit. Sie beschäftigen zunehmend auch die Gerichte in Georgien. Nachdem mit dem Gesetz über gewerbliche Unternehmer (GGU) eine solide gesetzliche Basis geschaffen worden ist, gilt es nun, diesen Fragen der Praxis systematisch nachzugehen. Der Rechtsvergleich zwischen deutschem und georgischem Recht bei gleichzeitiger Betrachtung des Rechts anderer Transformationsstaaten ist dabei von hohem Nutzen.

Das Oberste Gericht Georgiens und Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) haben das Symposium gemeinsam veranstaltet. Vorgetragen haben georgische und deutsche Wissenschaftler und Praktiker des Gesellschafts- und Kapitalmarktrechts. Die überarbeiteten Vorträge werden hiermit der Fachöffentlichkeit vorgelegt.

Die Herausgeber dieses Buches hatten bereits die Veröffentlichung der Vorträge des ersten Symposiums besorgt (Aktuelle Probleme der Entwicklung des Gesellschaftsrechts in Georgien, Tbilissi, 2000). Damals hatten sie ihrer Hoffnung Ausdruck verliehen, dass es nicht bei der ersten Veranstaltung bleiben möge, „um zur Entstehung einer Kultur der Rechtsanwendung, Interpretation und Rechtsfortbildung in Georgien beizutragen“ (aus dem Vorwort des ersten Bandes). Diese Hoffnung hat sich erfüllt, wobei die Teilnahme und die Ergebnisse so überzeugend haben, dass bereits jetzt für das Jahr 2004 das dritte Symposium geplant worden ist, um den zehnten Jahrestag der Verabschiedung des GGU zu markieren, ein Ereignis, das in der durch rasches Auswechseln von Gesetzen geprägten (Rechts-)Geschichte der Transformationsstaaten durchaus bemerkenswert ist.

Die Herausgeber dieses Buches danken dem Deutschen Bundesministerium für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ) für die finanzielle Unterstützung der Tagung und der Veröffentlichung des Tagungsbandes. Ebenso danken sie allen Vortragenden und den über hundert Teilnehmern, die sich insgesamt außerordentlich rege an der Diskussion beteiligt haben.

*Lado Chanturia
Rolf Knieper
Johannes Semler*

სარჩევი

Inhaltsverzeichnis

წინათქმა	3
Vorwort	5
მარკუს ლუთერი სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა	11
Marcus Lutter Haftung der Organe von Aktiengesellschaft und GmbH	38
ეკა შენგელია სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლების ქმედებისათვის ქართულ სამართალში	58
Eka Shengelia Die organschaftliche Haftung der Aktiengesellschaft für die Handlungen ihrer Vertreter nach georgischem Recht	67
ურსულა შტაინი მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა (პასუხისმგებლობა მესამე პირთა მიმართ)	74
Ursula Stein Die Außenhaftung der Organmitglieder	107
ლიკა კინკლაძე კონკურენციის აკრძალვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების დირექტორებისათვის	128
Lika Kinkladze Das Wettbewerbsverbot als Haftungsgrundlage	140
ჰანს-იოაჰიმ შრამი საზოგადოების ორგანოთა კონტროლი სახელმწიფოს მიერ	151
Hans-Joachim Schramm Die Kontrolle der Gesellschaftsorgane durch den Staat	176

მიხეილ ჯიბუტი კორპორაციების მმართველი ორგანოების მიერ აქციონერთა (ინვესტორთა) ინტერესების დაცვის სახელმწიფო კონტროლი	197
Mikheil Djibuti Staatliche Kontrolle über den Schutz der Aktionärsinteressen durch die Gesellschaftsorgane	216
ბრუნო კროფი პარტნიორის პასუხისმგებლობა.....	232
Bruno Kropff Die Haftung des Gesellschafters	249
ლალი ლაზარაშვილი აქციონერთა უფლებები ინფორმაციის მიღების, კონტროლის თაობაზე და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება	262
Lali Lazarashvili Sorgfaltspflicht und Informations- und Kontrollrechte in einer Aktiengesellschaft	270
მიხაელ კორტი სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება	276
Michael Kort Die Sorgfaltspflicht des Vorstands einer Aktiengesellschaft	302
ლადო ჭანტურია სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში	320
Lado Chanturia Die Sorgfaltspflicht der Direktoren einer AG nach dem georgischen Recht	339
იოჰანეს ზემლერი სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება	353
Johannes Semler Die Sorgfaltspflicht des Aufsichtsrats	373
შალვა პაპუაშვილი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში	389
Shalva Papuashvili Die Sorgfaltspflicht des Aufsichtsrats im georgischen Recht	397
რუდიგერ ფონ როზენი კეთილსინდისიერების ვალდებულების და პასუხისმგებლობის მნიშვნელობასაკრედიტო ბაზრისა და სააქციო საკითხების განვითარებისათვის	403

Rüdiger von Rosen Die Bedeutung von Sorgfaltspflicht und Verantwortlichkeit für den Kapitalmarkt und die Entwicklung des Aktienwesens	419
გიორგი ლოლაძე სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები (იძულებიდან სტიმულირებამდე)	430
Giorgi Loladze Alternative Wege zur Erhöhung der Verantwortlichkeit der Führung einer Aktiengesellschaft	443
ქეთევან ქოქრაშვილი სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება ქართული და ინგლისური სამართლის მიხედვით	453
Ketevan Kokrashvili Allgemeine Charakterisierung der Grundlagen der gesellschaftsrechtlichen Haftung der AG-Direktoren nach georgischem und englischem Recht	465
როლფ კნიპერი კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საკორპორაციო კანონმდებლობებში	475
Rolf Knieper Die Regelung von Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit in den Gesellschaftsrechten der Transformationsstaaten	499
კარსტენ-პეტერ კლაუსენი საკრედიტო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა	518
Carsten-Peter Claussen Kapitalmarktrechtliche Haftungsfragen	539
დისკუსია	553
Diskussion	570
პროგრამა	584
Programm	588
მონაწილეთა სია	592
Teilnehmerliste	601

**სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი
ორგანოების პასუხისმგებლობა**

შინაარსი

- I. მმართველი ორგანოების და მათი წევრების პასუხისმგებლობა როგორც კორპორაციული მართვის ელემენტი
- II. ვალდებულებების დარღვევა და პასუხისმგებლობა: ათი მოთხოვნა ხელმძღვანელობისა და მმართველი პირებისათვის
 1. მცნება: კანონთა დაცვა, განსაკუთრებით, სააქციო კანონის და კანონის შპს-თა შესახებ
 2. მცნება: წესდების, საზოგადოების შიდა განაწესის და, მოცემულ შემთხვევაში, კოდექსის შესრულება
 3. მცნება: შრომითი ხელშეკრულების წესების დაცვა
 4. მცნება: ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა სამეთვალყურეო საბჭოსთან სააქციო საზოგადოების შემთხვევაში;
პარტნიორთა მითითებების შესრულება შპს-ს შემთხვევაში
 5. მცნება: საზოგადოების და კონცერნის სათანადო ორგანიზაციული მოწყობა
 6. მცნება: ორგანიზაციის კონტროლი
 7. მცნება: საზოგადოების ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგომარეობის კონტროლი
 8. მცნება: ზედმეტი რისკის თავიდან აცილება
 9. მცნება: საზოგადოების ინტერესთა და ხელმძღვანელთა პირად ინტერესთა შორის კონფლიქტის თავიდან აცილება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამგვარი კონფლიქტის არსებობის შესახებ საჯაროდ გაცხადება
 10. მცნება: სამეწარმე გადაწყვეტილებების კეთილსინდისიერი მომზადება

მარკუს ლუთერი

- III. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ვალდებულებების დარღვევა და პასუხისმგებლობა: ვალდებულებათა ტიპური დარღვევები
- IV. „Business Judgement Rule“ (სამეწარმეო გადაწყვეტილების პრინციპი)
 - 1. ზოგადი მიმოხილვა
 - 2. წინაპირობები
 - ა) სამეწარმეო გადაწყვეტილება
 - ბ) კეთილსინდისიერი მომზადება
 - გ) ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა
 - დ) ზედმეტი რისკის არარსებობა
- V. პასუხისმგებლობის წინაპირობები (ზარალის ანაზღაურება)
 - 1. ვალდებულებების დარღვევა
 - 2. ზარალი
 - 3. მიზეზობრიობა
 - 4. მმართველი ორგანოს წევრის ბრალეულობა
 - 5. სამართლებრივი შედეგები და გათავისუფლების აკრძალვა
 - 6. დასკვნები და მაგალითები
- VI. ფაქტების და მტკიცებულების წარმოდგენის ტვირთი პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ პროცესში
- VII. პასუხისმგებლობაზე პრეტენზიის ინსტიტუციონალური სისუსტეები
 - 1. გამგეობა ვალდებულია შეიტანოს სარჩელი სამეთვალყურეო საბჭოს წინააღმდეგ და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია შეიტანოს სარჩელი გამგეობის წინააღმდეგ
 - 2. მოქმედება გაკოტრებისას და პრიორიტეტის მქონე პარტნიორის შეცვლისას
 - 3. საერთო კრების და უმცირესობის უფლებები
 - 4. შედეგი
- VIII. დაზღვევა - Directors and Officers (სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და დირექტორთა დაზღვევა) (D+O დაზღვევა)
- IX. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ვალდებულების დარღვევის გამო გარიგების ბათილობის მეშვეობით.
- X. დასკვნა

**I. მმართველი ორგანოების და მათი წევრების
პასუხისმგებლობა როგორც კორპორაციული მართვის
ელემენტი**

კორპორაციული მართვა წარმოადგენს მოძღვრებას კეთილ-სინდისიერი, ერთგულებაზე დაფუძნებული და ფასეულობებზე ორიენტირებული საწარმოო მართვის შესახებ, რომელიც სა-ზოგადოების ადმინისტრირების საფუძველზე ხორციელდება. მაგრამ როგორ უნდა განვაწყოთ ადამიანები იმისათვის, რომ მათ სხვათა ინტერესების სამსახურში მთელი საკუთარი შრომითი პოტენციალი აამოქმედონ? ამ პრობლემის გადასაწყვეტად ოდით-განვე არსებობს მხოლოდ ორი ელემენტი: შაქარი და მათრახი, ანუ: მიმზიდველი ანაზღაურება და პასუხისმგებლობის რისკი. აქედან უკვე ნათელი ხდება, რომ შეუძლებელია უარი ვთქვათ იმ ნორმებსა და პრინციპებს, რომლებიც მმართველი ორგანოების არაკეთილსინდისიერი წევრების პასუხისმგებლობას ეხება. და აქედან გამომდინარე მსოფლიოს ყველა კორპორაცი-ული სამართლის მოწყობაში მმართველი ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი დიდ და განმსაზღვრელ როლს თამაშობს.

**II. სააქციო საზოგადოების და შპს-ს
ხელმძღვანელობის მიერ ვალდებულებების დარღვევა
და მათი პასუხისმგებლობა:
ათი მცნება**

გამგეობა და ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელნი არიან არა მარტო რაიმე წარმატებისთვის, ისინი პასუხს აგებენ აგრეთვე მათ მიერ მათი თანამდებობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაშიც. ამდენად, პასუხისმგებლობის წინა-პირობას ვალდებულებების დარღვევა წარმოადგენს: ვალდებუ-ლებების დარღვევის გარეშე არ არსებობს არც პასუხისმგებ-ლობა.

რა წარმოადგენს მმართველობის და გამგეობის პასუხისმგებ-ლობას? კანონს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩიხში შევყავართ; რადგანაც იგი მას მეტად ზოგადად აყალიბებს:

„გამგეობის წევრები საზოგადოების მართვას უნდა მოეკიდონ მოწესრიგებული და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით“ (სააქციო კანონი § 93, აბზ. 1, პუნქტი 1) ან „გამგეობის წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა მოეკიდონ მოწესრიგებული ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით“ (კანონი შპს-თა შესახებ § 43 აბზ. 1)

მსგავსი ფორმულირება არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 მუხლში:

„9.1 მუხლში დასახელებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი...“

ამგვარი ზოგადი ფორმულირება არც ნაკლია და არც შეცდომა, რამეთუ მმართველი ორგანოების წევრების ვალდებულებები დროსთან ერთად იცვლებიან. ამიტომ კანონში ამ ვალდებულებების დაკონკრეტების მცდელობა უფრო საზიანო იქნებოდა ვიდრე სასარგებლო. აქედან გამომდინარე, სამართალმცოდნეობის ერთ-ერთ ამოცანას ამ ზოგადი ფრაზების დაკონკრეტება წარმოადგენს. ამისთვის შევიმუშავე ე. წ. „10 მცნება“:

პირველი მცნება: კანონთა დაცვა, განსაკუთრებით, სააქციო კანონის და კანონის შპს-ს შესახებ

ეს ვალდებულება იმდენად ბუნებრივია, რომ მისი მოხსენიება არც უნდა წარმოადგენდეს დიდ აუცილებლობას. თუმცა საკუთრივ კანონი – სააქციო კანონის § 93 აბზ. 3-ში – ერთმნიშვნელოვნად ასახელებს ამგვარი კანონდარღვევის ცხრა პრეცედენტს – გარკვეული თვალსაზრისით ხელმძღვანელ პირთა გასაფრთხილებლად. და გარდა ამისა, ამგვარ დარღვევებს პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად აქვს ადგილი. ასე მაგალითად ფედერალური სასამართლოს ცნობილი შემთხვევა დაკავშირებული ARAG-თან სწორედ ამგვარ კანონდარღვევას ეფუძნება¹.

¹ ფედერალური სასამართლოს განაჩენი, 1997 წლის 21 აპრილი; იხ:

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

ა) კანონით გათვალისწინებული შიდასტრუქტურული ვალდებულებები

აქ უნდა გავიხსენოთ უკვე ნახსენები სააქციო კანონის § 93 აბზ. 3. ამ თვალსაზრისით ძირითად ადგილს იკავებენ ფინანსური მოგების, ბუღალტერიის წარმოების, ბალანსების შედგენისა და გაკორტრების დროული დეკლარირების ვალდებულებები.

ბ) კანონით გათვალისწინებული გარე ვალდებულებები

გარე ვალდებულებები არც თუ ისე თვალსაჩინო და, აქედან გამომდინარე, მმართველი ორგანოების წევრებისთვის განსაკუთრებით სახიფათოა². ასე მაგალითად:

(1) საკარტელო სამართლებრივი ვალდებულებები: რა თქმა უნდა, მმართველი ორგანოები ვალდებული არიან არ დაარღვიონ კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების დადების აკრძალვა. თუკი ამგვარი დარღვევა მოხდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს მესამე პირთა მხრიდან საზოგადოების წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული პრეტენზიის წაყენება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც უპირველეს ყოვლისა მეტად მაღალ ფინანსურ სანქციებთანაა დაკავშირებული.

(2) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა: ამ შემთხვევაშიც დარღვევა შესაძლებელია დაზარელებულ კონკურენტთა მხრიდან მაღალი ზარალის ანაზღაურების მცნების მიზეზი გახდეს.

(3) საგადასახადო სამართლებრივი ვალდებულებები: ამგვარი ვალდებულება უთვალავია და საზოგადოებაზე დაკისრებული ფინანსური სანქციების თვალსაზრისით სხვაგვარი ზიანის მიზეზი შეიძლება გახდეს: თუკი დასაქმებულთა გადასახადები კორექტულად არ იქნა შეტანილი საფინანსო სამსახურში, ამის გამო პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ და არა ცალკეულმა დასაქმებულმა პირმა.

ფედერალური სასამართლოს დადგენილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით, ტომი 135, გვ. 224 და შემდეგ ARAG.

² უ. ჰ. შნაიდერმა სცადა ამ საკითხში ნათელი შეეტანა შემდეგ ნაშრომებში: საიუბილეო გამოცემა შსს-კანონის 100 წელი, 1992, გვ. 473 და შემდეგ; „საწარმო“ 1993, გვ. 1909 და შემდეგ.

**მეორე მცნება: წესდების, საზოგადოების შიდა განა-
წესის და, მოცემულ შემთხვევაში, გერმანიის კორპორა-
ციული მართვის კოდექსის შესრულება**

1. აქ აუცილებელია გავიხსენოთ ის, რომ საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წესდების სავალდებულო შინაარსი წარმოადგენს, რომელიც ამავედროულად ზღუდავს საზოგადოების კომპენენტციებს და მხოლოდ მისი საშუალებით იღებენ გამგეობა და დირექტორები თავისი საქმიანობის უფლებამოსილებას. (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. თავი IX).

დიდი ხნის წინ ფოლკსვაგენს საღაროში საკმარისზე მეტი თანხები ჰქონდა. და მიუხედავად იმისა, რომ ფოლკსვაგენის წესდებაში ერთმნიშვნელოვნად იყო დაფიქსირებული: „ავტომობილების წარმოება და გაყიდვა“, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის შექმნა. ეს იყო არა მარტო კანონდარღვევა, არამედ სამეწარმეო თვალსაზრისით მეტად არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც 100 მილიონი მარკის ზარალის მიზეზი გახდა. აქციონერთა საერთო კრებამ ამ ფაქტის შემდეგ წესდებაში ცვლილებები შეიტანა, და მხოლოდ ამის გამო არ დადგა მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

2. გასათვალისწინებელია აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ან საზოგადოების საერთო კრების თანხმობის შეზღუდვები (სააქციო კანონი § 11 აბზ. 4), რომელთა უგულვებელყოფაც ვალდებულებების აშკარა დარღვევას წარმოადგენს.

უკვე ერთი წელია რაც არსებობს „გერმანიის კოდექსი კორპორაციული მართვის შესახებ“³. იგი შეიქმნა დამოუკიდებელი სამთავრობო კომისიის მიერ და შეიცავს 50 რეკომენდაციას, რომლებიც ცდებიან კანონს, ასე მაგალითად რეკომენდაციას სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტორული კომიტეტის (Audit Committee) შექმნის შესახებ. ეს კოდექსი საზოგადოებებისთვის სავალდებულოს არ წარმოადგენს - იგი არ არის კანონი. თუმცა კანონი სააქციო კანონის § 161-ით ავალდებულებს საბირჟო კოტირების მქონე ნებისმიერი საზოგადოების სამეთ-

³ კოდექსი გამოქვეყნებულია „ჟურნალში ეკონომიკური სამართლის შესახებ“ (ZIP), 2002, გვ. 452 და შემდეგ

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

ვალეურო საბჭოს, ყოველწლიურად მოახდინოს იმის დეკლარირება, ასრულებს საზოგადოება ამ კოდექსს – მთლიანად ან ნაწილობრივ – თუ არ ასრულებს მას. თუკი ამ სახის დეკლარაცია არ არის წარმოდგენილი, უკვე კანონის დარღვევასთან გვაქვს საქმე (I მცნების დარღვევა). იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაცია პოზიტიური სახით იქნება წარმოდგენილი („ჩვენ ვასრულებთ კოდექსს და მის რეკომენდაციებს“), სინამდვილეში კი კოდექსის რეკომენდაციები არ სრულდება, ადგილი აქვს მე-2 მცნების დარღვევას, რადგანაც კოდექსის დეკლარაცია შესაძლებელია საზოგადოების წესდების ანალოგიურად იქნას განხილული და წარმოადგენს სავალდებულო შინა განაწესს.

მესამე მცნება: შრომითი ხელშეკრულების წესების დაცვა

შრომითი ხელშეკრულებაც, როგორც წესი, შეიცავს საზოგადოების მართვის კომპეტენციების დამატებით შეზღუდვებს, მაგალითად როგორცაა მითითება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მხოლოდ 100.000 ევრომდე სიდიდის კრედიტის აღება. გარდა ამისა შრომითი ხელშეკრულება ხშირ შემთხვევაში შეიცავს გარკვეულ დარგობრივ განაწილებას, მაგალითად ფინანსების, კვლევისა და განვითარების, გაყიდვის სფეროში და ა.შ. ამ შემთხვევაშიც, თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩინთ გარკვეულ შეზღუდვებს; ასე მაგალითად, კვლევისა და განვითარების დარგის ხელმძღვანელს არ აქვს სხვა დირექტორების თანხმობის გარეშე ბანკიდან მაღალი საფინანსო კრედიტის გამოტანის უფლება.

მეოთხე მცნება: ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა სამეთვალყურეო საბჭოსთან (სააქციო საზოგადოება); პარტნიორთა მითითებების შესრულება (შპს)

1. სამეთვალყურეო საბჭო დღესდღეობით ვალდებულია საზოგადოების გამგეობასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა საწარმოს დაგეგმვასა და წარმოების სტრატეგიულ მოწყობაში; ამასთანავე ორივე ორგანომ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ თანამშრომლობა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის და ურთიერთ-

ნდობის პრინციპებს. ამას კოდექსიც ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს⁴.

2. გერმანიის სააქციო საზოგადოებების სამართლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ იგი ხელმძღვანელ პირებს ანიჭებს უფლებას არ დაემორჩილონ მითითებებს – იქნება ეს სამეთვალყურეო საბჭოს თუ საერთო კრების მხრიდან.

ამის საპირისპიროდ შპს-ს ხელმძღვანელი ვერ აუვლის გვერდს საზოგადოების საერთო კრების ვერცერთ მითითებას: იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას აბსოლუტურად საპირისპირო აზრი გააჩნია, იგი ვალდებულია შეასრულოს ყველა მითითება. თუკი საზოგადოების ხელმძღვანელი ამას არ გააკეთებს, იგი დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

მეხუთე მცნება: საზოგადოებისა და კონცერნის სათანადო ორგანიზაციული მოწყობა

1. ზოგადი მიმოხილვა

პირველი ოთხი მოთხოვნა პრინციპში მეტად მარტივია და იურისტებისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. მეხუთე მცნებასთან დაკავშირებით მდგომარეობა უფრო რთულადაა. ეს იმდენად არ ეხება ვალდებულებებს როგორც ასეთს; რადგანაც ყოველივე ეს უკვე მრავალჯერაა განხილული საწარმოო ეკონომიკის მოძღვრებაში და საწარმოო ორგანიზაციის შესახებ მოძღვრების ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ სირთულეს წარმოადგენს ამ ვალდებულების ცხოვრებაში სწორი გატარება. რადგანაც ამ მეხუთე ვალდებულებისათვის არ არსებობს არც რაიმე უნივერსალური, ყველა შემთხვევისთვის შესაბამისი, და არც ერთმნიშვნელოვანი პასუხი: იმ საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობა, რომელშიც 40 თანამშრომელია დასაქმებული და რომლის საქონელბრუნვა 50 მილიონს შეადგენს, ბუნებრივია უნდა განსხვავდებოდეს იმ საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობისაგან, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა 400 აღწევს, ხოლო საქონელბრუნვა 500 მილიონს მოიცავს.

⁴ კოდექსის 3.1 და 3.2 პუნქტები

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

თუმცა ერთი რამ ნათელია: გასაგები, საწარმოსთვის ტიპიურ რისკთა თავიდან არიდების პრინციპზე აგებული და განხორციელებული საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობა ნებისმიერი ხელმძღვანელის და ნებისმიერი გამგეობის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს.

სააქციო კანონის § 90 აბზ. 2-ში ეს ნათლადაა ჩამოყალიბებული საზოგადოებაში რისკზე ზედამხედველობის საკუთარი სისტემის შექმნის ვალდებულებასთან ერთად. ეს არის ერთ-ერთი იმ ვალდებულებათაგანი, რომელიც საორგანიზაციო ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს.

2. კონცერნი

საზოგადოების მიზნის შესაბამისი ორგანიზება ეხება კონცერნსაც. გამგეობა და დირექტორატი პასუხისმგებელი არიან შეიღობილი საზოგადოების კეთილსინდისიერად გაძღვლაზე. მართალია ისინი თავის შეიღობილს საზოგადოებას უშუალოდ არ ხელმძღვანელობენ, მაგრამ სწორედ ამიტომ უფრო მეტად არიან ვალდებული მეთვალყურეობა გაუწიონ საზოგადოების დირექტორებს. ეს კი მხოლოდ ჯეროვანი ორგანიზებით არის შესაძლებელი, როგორცაა მაგალითად შეიღობილი საზოგადოების დირექტორებისაგან ყოველთვიური ანგარიშის მოთხოვნა.

ეს ყველაფერი განსაკუთრებით ეხება საზღვარგარეთულ შეიღობილ საზოგადოებებს. ასე მაგ. ცნობილმა გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ „Metalgesellschaft AG“ ამ 10 წლის წინ თავისი ერთ-ერთი ამერიკული შეიღობილი საზოგადოების მიერ განხორციელებული მცდარი სავაჭრო ოპერაციების გამო მთელი თავისი ქონება დაკარგა.

მეექვსე მცნება: ორგანიზაციული მოწყობის კონტროლი

საწარმოს ორგანიზაციული მოწყობა და აქედან გამომდინარე წესების დადგენა, ასევე, და უპირველეს ყოვლისა, ამოცანების და უფლება-ვალდებულებების დანაწილება ცალკეულ თანამშრომლებს შორის წარმოადგენს ერთ საკითხს, მეორე საკითხია ამ ყველაფრის განხორციელების კონტროლი. იგი წარმოადგენს მენეჯმენტის ერთ-ერთ თავის თავად ცხად ორგანიზაციულ

ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა ან გამგეობა მათ მიერვე დადგენილი ორგანიზაციული მოწყობის კონტროლს სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს, მათი მხრიდან ვალდებულებების დარღვევას ექნება ადგილი. და ეს ეხება არა მხოლოდ თვით საზოგადოებას, არამედ კონცერნსაც.

მეშვიდე მცნება: საზოგადოების ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგომარეობის რეგულარული კონტროლი

ორგანიზაციული მოწყობის ერთ-ერთ ამოცანას ტიპიური სარისკო მომენტების თავიდან არიდება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი გამოაშკარავება წარმოადგენს. ეს განსაკუთრებულად ეხება საზოგადოების ფინანსირებას. რადგანაც ფული წარმოადგენს სისხლს საზოგადოების მიმოქცევის სისტემაში. თუკი ფული ცოტაა – საზოგადოება ანემიაში ვარდება, თუკი ის კიდევ უფრო კლებულობს, წარმოიშობა საზოგადოების გაკოტრების საშიშროება. აქედან გამომდინარე ფინანსებისთვის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი/გამგეობის წევრი ვალდებულია სისტემატიურად ადევნოს თვალყური და გააკონტროლოს საზოგადოების ლიკვიდურობა და მისი დავალიანებები⁵. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, განსაკუთრებით საშუალო და დიდი საწარმოების შემთხვევაში. პრობლემათა დროულ შემჩნევას აქ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომაც, რომ ფინანსურ- და ლიკვიდურობის დაგეგმვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რაც არსებული მდგომარეობის და აუცილებელი ღონისძიებების ურთიერთშეფარდების განხორციელების და ფინანსური პრობლემების ადრეულ ეტაპზევე ნათლად გამოკვეთის საშუალებას იძლევა. თუ ეს არ გაკეთდა, ხელმძღვანელობა და გამგეობა დაარღვევს მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

მერვე მცნება: ზედმეტი რისკის თავიდან აცილება

რისკის მიმდინარე კონტროლსა და რისკის ზედამხედველობაზე უკვე გვქონდა საუბარი. ახლა რამოდენიმე სიტყვა იმ

⁵ შდრ. OLG მაინის ფრანკფურტის მიერ განხილული საქმე, 1997 წლის 7 თებერვალი, „შპს-თა მიმოხილვა“ (GmbH-Rundschau), 1997, გვ. 346.

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

საკითხთან დაკავშირებით, არსებობს თუ არა დადგენილი საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც რისკი გამართლებულია. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს კამათის საგანს წარმოადგენს⁶. მე პირადად ვოვლი, რომ არც ხელმძღვანელობას და არც გამგეობას არ აქვს უფლება საზოგადოების არსებობა მხოლოდ ერთი შანსის იმედად დატოვონ. საზოგადოებას უნდა გააჩნდეს, უარეს შემთხვევაში, მეორე შანსიც. და ამგვარი შანსი მას ექნება მხოლოდ მაშინ, თუ ერთადერთ წარუმატებელ ღონისძიებას არ მოხმარდება კომპანიის მთელი ქონება.

მეცხრე მცნება: საზოგადოებისადმი ლოიალობა და ერთგულება და საზოგადოების ინტერესთა და ხელმძღვანელთა პირად ინტერესთა შორის კონფლიქტის თავიდან არიდება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამგვარი კონფლიქტის არსებობის შესახებ საჯაროდ გაცხადება

საზოგადოებისადმი ერთგულება წარმოადგენს მისი ხელმძღვანელობისა და გამგეობის უშუალო მოვალეობას. ეს პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების ინტერესებს პრიორიტეტი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა მიენიჭოს. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი პირი ან გამგეობის წევრი ამა თუ იმ საქმიან გარიგებაში პირადადაა დაინტერესებული, მან გადაწყვეტილების მიღებაში არანაირი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს და სხვა დირექტორებს მისცეს ამის გაკეთების საშუალება. იგივე ეხება საზოგადოების ყველა დანარჩენ ბიზნეს-შანსებს: ხელმძღვანელობას ან გამგეობას არანაირი გარემოებების ქვეშ არ აქვს უფლება შეიტარას ამ შანსებში და ისინი პირადი მიზნებისთვის გამოიყენოს. ეს მოთხოვნა სისტემატიურად ირღვევა. თუმცა იურიდიული ლიტერატურაც და სამართალწარმოებაც ამგვარ შემთხვევებს უყოყმანოდ აძლევენ ვალდებულებების დარღვევის კვალიფიკაციას⁷.

⁶ შდრ. მაგ. ოლტმანს, მარტინ, „საზოგადოების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა და საწარმოო მიზანშეწონილობა“, მაინის ფრანკფურტი, 2000, გვ. 247 და შემდეგ.

⁷ ფედერალური სასამართლოს განაჩენი – 1989 წლის 12 ივნისი, „შპს-თა მიმოხილვა“ (GmbH-Rundschau), 1989, გვ. 365

**მეათე მცნება: საწარმოო გადაწყვეტილებების კეთილ-
სინდისიერი მომზადება**

ამ განსაკუთრებულ ვალდებულებას მივუბრუნდებით როდესაც ვისაუბრებთ Business-Judgment-Rule-ზე.

**III სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ვალდებულებათა
ტიპიური დარღვევები**

სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები მეტად მრავალ-
ფეროვანია და გასულ წლებში მათ რიცხვმა შესამჩნევად იმატა.

**1. სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნა, დათხოვნა და
სახელფასო უზრუნველყოფა, სააქციო კანონი § 84**

ა) ამ შემთხვევაში ვალდებულებების დარღვევად შესაძლე-
ბელია განხილულ იქნას გამგეობის არჩევისას გამოჩენილი
გულგრილობა, ანუ სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან გამოჩე-
ნილი ნაკლები აკურატულობის გამო, ხელმძღვანელად თაღ-
ლითის დანიშვნა.

ბ) თუმცა ვალდებულების დარღვევად ითვლება აგრეთვე,
თუ სამეთვალყურეო საბჭო დიდი ხნის განმავლობაში მოითმენს
უმწეო და არასწორად მოქმედ გამგეობის წევრს.

გ) და ბოლოს, ვალდებულების დარღვევაა აგრეთვე, თუ
სამეთვალყურეო საბჭო დაეთანხმება გაუმართლებლად მაღალი
ანაზღაურების დანიშვნას, სააქციო კანონი § 87. სწორედ ამ
უკანასკნელ დარღვევას ჰქონდა ყველაზე ხშირად ადგილი
ბოლო წლების მანძილზე, რის მიზეზსაც წარმოადგენდა სა-
მეთვალყურეო საბჭოს აკურატულობისა და გამოცდილების
ნაკლებობა ოპციონური გარიგებებისა და გრატიფიკაციის (ფუ-
ლადი ანაზღაურების, ხელშეწყობის) საკითხებში.

**2. ხელმძღვანელობაზე ზედამხედველობა, სააქციო
კანონი § 111, აბზ. 1**

სამეთვალყურეო საბჭოს ეს მეორე უმთავრესი ვალდებულება
ორიენტირებულია გამგეობის ვალდებულების ნორმებზე: სა-

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

მეთვალყურეო საბჭომ გამგეობის მიერ თანამდებობრივი მოვალეობების შესრულება კანონიერების, საზოგადოების წესდებისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე უნდა გააკონტროლოს. აქედან გამომდინარე, ვალდებულების ტიპური დარღვევები შემდეგია:

ა) სამეთვალყურეო საბჭო თვალს ხუჭავს გამგეობის მხრიდან გარემოს შესახებ კანონის ან საკარტელო სამართლის დარღვევაზე, და ამის გამო საზოგადოებას მაღალი ჯარიმა ეკისრება.

ბ) სამეთვალყურეო საბჭო არანაირ ზომებს არ ღებულობს, როდესაც საზოგადოება წაგებაზე იწყებს მუშაობას, ხოლო ხელმძღვანელობა ამაზე არ რეაგირებს.

გ) სამეთვალყურეო საბჭო აგრეთვე არანაირ ზომებს არ ღებულობს, როდესაც საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობა ქაოტურია, ამის შედეგად ხელშეკრულების პარტნიორები ზარალდებიან და ზარალის ანაზღაურებას საზოგადოებისგან მოითხოვენ.

დ) სამეთვალყურეო საბჭო არ რეაგირებს, როდესაც ხელმძღვანელობა რისკისგან დაცვის არც ერთ ან მხოლოდ ერთ არასაკმარის სისტემას ქმნის, სააქციო კანონი § 92, აბზ. 2.

3. კონტროლისა და ანგარიშების სპეციალური ვალდებულებები

ა) სააქციო კანონის § 171-ის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭომ თვითონ და საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა შემოწმოს ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და აუდიტორის მიერ გადამოწმებული წლიური ბალანსი და კონცერნის ბალანსი, ისევე როგორც ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ, და ამის შემდეგ გააცნოს ისინი საერთო კრებას. ანუ მან თვითონ უნდა იფიქროს მიწის ნაკვეთების (ტელეკომი), სამშენებლო ობიექტების (პოლცმანი) და ა.შ. შეფასებაზე და მოცემულ შემთხვევაში გაუზიაროს აზრი ამის შესახებ გამგეობას და კონტროლიორს. და ამ ყველაფრის შესახებ მან დეტალურად უნდა მოახსენოს საერთო კრებას.

ბ) იგი ამასთანავე ვალდებულია გადაამოწმოს ეგრეთწოდებული დამოკიდებულების ანგარიში და აცნობოს ამის შესახებ

საერთო კრებას⁸.

გ) და ბოლოს იგი ვალდებულია ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საერთო კრებამ უნდა გადაწყვიტოს, გააკეთოს საკუთარი შეთავაზება, სააქციო კანონი § 124 აბზ. 3. თავის თავად ცხადია, რომ ეს შეთავაზება უნდა იყოს კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით გაკეთებული. ყოველივე ეს დღესდღეობით უპირველეს ყოვლისა ეხება სამ სფეროს:

- სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების არჩევა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა იფიქროს საკუთარი შემადგენლობის შესახებ და იზრუნოს იმისთვის, რომ მის წრეში წარმოდგენილი იყოს ყველა აუცილებელი კომპეტენცია და უნარ-ჩვევა⁹.
- აუდიტორის არჩევა. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია აუდიტორთა წინასწარი შერჩევისთვის, მან უნდა გამართოს წინასწარი გასაუბრებები, რათა შეძლოს შესაბამისი შეთავაზების გაკეთება. რადგანაც საერთო კრების მიერ არჩევის შემდეგ სწორედ მის მიერ უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება აუდიტორთან და მანვე უნდა დაადგინოს კონტროლის ძირითადი პუნქტები.
- გადაწყვეტილება ოპციონური პროგრამის შესახებ გამგეობის სასარგებლოდ. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოა პასუხისმგებელი გამგეობის სახელფასო ანაზღაურებისთვის. ამიტომ სწორედ მან უნდა შეიმუშავოს ეს პროგრამა და იგი უნდა აგებდეს მასზე პასუხს. სამეთვალყურეო საბჭოს არავითარ შემთხვევაში არ აქვს უფლება ეს კომპეტენცია გამგეობას გადააბაროს - როგორც ეს აქამდე ხდებოდა - რომელიც ამ პროგრამის ხელშეწყობაში დაინტერესებულია¹⁰.

⁸ ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2002 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, ობ. ლუთერის შენიშვნებით *Juristische-Zeitung* 2002, გვ. 563.

⁹ შდრ. ლუთერი, ჟურნალი სამეურნეო სამართლის შესახებ (ZIP) 2003, გვ. 417.

¹⁰ ლუთერი, ZIP 2003, გვ. 737.

IV. „Business Judgement Rule“ (სამეწარმეო გადაწყვეტილების პრინციპი): ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება საწარმოო მიზანშეწონილობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში

1. მიმოხილვა

სამეწარმეო გადაწყვეტილების პრინციპი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა შემუშავებული, თუმცა მას გერმანიის სამართალშიც ვხვდებით¹¹. იგი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია გამგებების, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გათავისუფლება საწარმოო საქმიანობით გამოწვეული წარუმატებლობის რისკისგან: ეს რისკი წარმოადგენს არა მმართველი ორგანოების წევრთა, არამედ უშუალოდ საზოგადოების და არაპირდაპირ ასევე პარტნიორთა რისკს. რადგანაც ნათელია, რომ ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობა წარმოუდგენელია რისკის გარეშე¹². ამ რისკისთვის საზოგადოების მიერ დაქირავებული მმართველი პირები პასუხისმგებელნი ვერ იქნებიან. მათ საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების ფართე ასპარეზი უნდა ჰქონდეთ, რათა შეძლონ გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, ნავთობი დღეს უნდა შეიძინონ თუ ხვალ, უნდა აიყვანონ დამატებითი პერსონალი თუ უნდა დაადგინონ დამატებითი სამუშაო საათები, ინვესტიციები ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა ჩადონ თუ იაპონიაში და ასე შემდეგ. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ არ არის აუცილებელი სასამართლოს ჰქონდეს ამ ღონისძიებების გადამოწმების შესაძლებლობა, არ არის აუცილებელი, რომ სასამართლოს მოსაზრებამ საწარმოს ხელმძღვანელ პირთა გადაწყვეტილებების ადგილი დაიკავოს.

თუმცა ეს პრივილეგია ეხება მმართველი ორგანოების და

¹¹ შდრ. კიდევ ერთხელ – ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება ARAG-თან დაკავშირებით (იხ. ზემოთ შენიშვნა 1).

¹² იხ. კიდევ ერთხელ – გადაწყვეტილება ARAG-თან დაკავშირებით.

მისი წევრების მიერ გატარებულ სამეწარმეო ღონისძიებებს და არა კანონის და წესდების ზუსტ შესრულებას: ამ თვალსაზრისით არანაირი შედავათები არ არსებობს.

2. პასუხისმგებლობის პრივილეგიის წინაპირობები

ა) საქმე უნდა ეხებოდეს სამეწარმეო გადაწყვეტილებას. იგულისხმება ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიმართულია საზოგადოების საქმიანობის განსახორციელებლად, და არ წარმოადგენს უბრალოდ კანონის ან წესდების შესრულებას, ანუ გადაწყვეტილებები, რომლებიც – როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლება კლასიკური გაგებით – ღიაა შემდეგი თვალსაზრისებით: „კი თუ არა“, „სად“, „როდის“, „ვისთან“ და „რა პირობით“¹³. გამონათქვამი „სამეწარმეო გადაწყვეტილება“ ცოტა არ იყოს ფართე ცნებაა, სჯობს რომ ვისაუბროთ „საზოგადოებასთან დაკავშირებულ სამეწარმეო გადაწყვეტილებებზე“. რადგანაც მენჯემენტის გაგება, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ეხება როგორც საწერი ქაღალდის შექმნის საკითხს, ასევე საკითხს იმის თაობაზე, ღირს თუ არა დაგეგმილი 50 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელება, და თუ ღირს, სად უნდა ჩაიდოს ფული - პოლონეთში თუ ჩეხეთში, და ა.შ. მაშასადამე აქ საუბარია არა ღონისძიების სახეობასა და მასშტაბებზე, არამედ საზოგადოების თავისუფლებაზე - გაატაროს ეს ღონისძიება, ან არ გაატაროს იგი.

ბ) გადაწყვეტილება მისი ფორმის და მნიშვნელობის მიხედვით ზედმიწევნით უნდა იქნას მომზადებული. ანუ, აქ ღონისძიების შედეგზე პასუხისმგებლობის ადგილს იკავებს გადაწყვეტილების კეთილსინდისიერად მომზადების ვალდებულება და პასუხისმგებლობა. სხვანაირად რომ ვთქვათ: თუ შესაბამისი ღონისძიება წარუმატებლად დასრულდა და საზოგადოებას დანაკარგს მოუტანს, მმართველი ორგანოების წევრთა პასუ-

¹³ საწარმოო გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის ჩარჩოებთან დაკავშირებით იხილე პერმან, ZIP 1998, გვ. 761 და შემდეგ; კინდლერ, უუნრალი ზოგადი სავაჭრო სამართლის შესახებ, ტომი 163, გვ. 101 და შემდეგ; ჰენცე, ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა, 1998, გვ. 3309 და შემდეგ; ასევე ოლტმანსი (იხილეთ შენიშვნა 6).

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

ხისმგებლობის საკითხი შესაძლებელია დადგეს არა იმიტომ, რომ იგი ჩავარდა, არამედ იმიტომ, რომ მიღებული გადაწყვეტილება სათანადოდ არ იყო მომზადებული

გ) მმართველი ორგანოს წევრს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ან მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში, არ აქვს უფლება იყოს საზოგადოებასთან ინტერესთა კონფლიქტში. ასე მაგალითად, თუ საუბარია ხელშეკრულებაზე საქონლის მიწოდების შესახებ იმ საწარმოსთან, რომელშიც მმართველი ორგანოს წევრს მნიშვნელოვანი წილი აქვს, იგი ზემოთხსენებული პრივილეგიით აღარ სარგებლობს. სასამართლო ამ შემთხვევაში ამოწმებს მოცემული გარიგების კორექტულობასაც.

დ) და ბოლოს – გადაწყვეტილება არ უნდა შეიცავდეს საზოგადოებისთვის გაუმართლებელ რისკს.

თუ ერთ-ერთი ამ პირობათაგანი არ არის დაკმაყოფილებული, ღონისძიება ექვემდებარება სრულ სასამართლო გადამოწმებას.

3. მაგალითი:

ამასთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო შემთხვევა ამერიკიდან¹⁴: ინიშნება საზოგადოების გამგეობის რიგგარეშე კრება, სადაც იგი გეზულობს, რომ შესყიდვის შეთავაზება ყოველი აქციისთვის შეადგენს 55 \$-ზე მეტს, მაშინ როდესაც იგივე აქციების საბირჟო ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში 35-დან 40 \$-მდე იყო დაფიქსირებული. გამგეობის წევრები საზოგადოების ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ოცწუთიანი პრეზენტაციის შემდეგ, რომელიც საზოგადოების შესყიდვის გეგმებს ეხება, ორ საათში ღებულობს გადაწყვეტილებას დაეთანხმოს შეთავაზებას, და ეს ხდება ისე, რომ არავინ ეცნობა თუნდაც ყველაზე მცირე დოკუმენტაციასაც კი. მოგვიანებით აქციონერები შეიტანენ სარჩელს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით, და ზარალის ანაზღაურების თვალსაზრისით საზოგადოების გამგეობას მოთხოვენ იმ თანხის დაფარვას, რამდენითაც აღემატებოდა საზოგადოების შესასყიდი

¹⁴ შდრ გადაწყვეტილება სმიტი – ვან გორკომის წინააღმდეგ, დელავერის უზენაესი სასამართლო, 488 A 2d 858 (1985).

ღირებულება თითო აქციაში გადახდილ 55 \$-ს. რადგანაც მიღებული გადაწვეტილება მეტად ზედაპირულად იყო მომზადებული, სასამართლო უარს ამბობს მიანიჭოს მმართველობის წევრებს საწარმოო მიზანშეწონილობის საფუძველზე მიღებული გადაწვეტილების პრივილეგიით სარგებლობის უფლება, თვითონვე ახორციელებს ამ გადაწვეტილების დეტალურ გადამოწმებას და მიდის დასკვნამდე, რომ შესაძლებელი იყო გაცილებით მაღალი ღირებულების მიღწევა.

**V. ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობის
წინაპირობები**
**§§ 93, 116 სააქციო კანონი, § 43 კანონი შპს-თა
შესახებ**

1. საქმე უნდა ეხებოდეს ვალდებულების, ანუ, ჩამოთვლილი ათი მცნებიდან ერთ-ერთის დარღვევას.

2. საზოგადოებას მიყენებული უნდა ჰქონდეს ზარალი, ანუ ადგილი უნდა ჰქონდეს მისი ფინანსური ღირებულების მქონე ქონების კლებას: საზოგადოების რეპუტაციის შემცირება საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს.

3. ამ ზარალის წარმოშობის მიზეზს უნდა წარმოადგენდეს მმართველი ორგანოების წევრების მიერ შესაბამისი ვალდებულებების დარღვევა; ანუ ზარალი უნდა ემყარებოდეს უშუალოდ ვალდებულებების დარღვევას.

4. ვალდებულების დარღვევის გამომწვევ მიზეზს მმართველი ორგანოს წევრის ბრალეულობა უნდა წარმოადგენდეს; ამგვარი ბრალეულობა დაფიქსირებულია კანონში, სააქციო კანონი § 93, აბზაცი 2, პუქტი 2.

5. სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მმართველი ორგანოს შესაბამისი წევრის ან წევრების ვალდებულება, ფინანსურად აუნაზღაუროს საზოგადოებას ზარალი სრული ოდენობით. და ამ ვალდებულებისგან ორგანოს წევრს ვერც წინასწარ და ვერც შემდგომ დადებული ხელშეკრულება ვერ გაათავისუფლებს. ამ სახის ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება. ვალდებულებისგან ამგვარი გათავისუფლება შესაძლებელია და-

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

ადგინოს მხოლოდ საერთო კრებამ, და ესეც პრეტენზიის წაყენებიდან მინიმუმ სამი წლის შემდეგ, და ასეთი გადაწყვეტილებაც ბათილად ჩაითვლება, თუ მას აქციონერთა 10% არ დაუჭერს მხარს, სააქციო კანონი § 93 აბზ. 4.

6. პასუხისმგებლობის ნორმა ძალზე მკაცრია: მმართველი ორგანოს წევრის მიერ ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, რაც საზოგადოებას დაახარალებს, გახდება იმის მიზეზი, რომ საზოგადოება მოითხოვს სწორედ ამ ზარალის ანაზღაურებას.

მაგალითები:

(1) გამგეობის წევრი რეაგირების გარეშე ტოვებს ფაქტს, რომ საკანალიზაციო წყლები მიმდებარე ტბაში ჩაედინება. ამის გამო ტბაში იღუპებიან თევზები. მეთევზე ითხოვს საზოგადოებისგან ზარალის ანაზღაურებას 100.000 ევროს ოდენობით, სახელმწიფო უწყებები კი აკისრებენ საზოგადოებას ჯარიმას - 10.000 ევროს: ორივე თანხა უნდა დაფაროს გამგეობის წევრმა, რომელსაც ამ დანაშაულში ბრალი მიუძღვის.

(2) გამგეობა იძენს საკუთარი კომპანიის აქციებს - თითო 10 ევროდ, რითიც ირღვევა სააქციო კანონის § 71. მოგვიანებით ეს აქციები იყიდება მხოლოდ 5 ევროდ. განსხვავება მთლიანობაში შეადგენს 50.000 ევროს. თავის თავად ცხადია, რომ მმართველობის ყველა წევრი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას ეს ზარალი.

(3) სააქციო საზოგადოების საერთო კრება ადგენს სააქციო კაპიტალის გაზრდას 100 მილიონი ევროთი. ერთ-ერთი აქციონერი ამას ასაჩივრებს. ამიტომ გადაწყვეტილების განხორციელება შეუძლებელი ხდება. იმის გამო, რომ სააქციო საზოგადოებას ფული სასწრაფოდ ესაჭიროება, იგი უხდის აქციონერს 10.000 ევროს, რათა მან გაიტანოს სარჩელი. სააქციო კანონის §§ 53a, 57-ის მიხედვით ამგვარი ქმედება აკრძალულია, ამიტომ მმართველობის წევრები ვალდებული არიან აუნაზღაურონ საზოგადოებას 10.000 ევრო.

7. ბრალეულობის საკითხი

ა) პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მმართველი ორგანოს ცალკეული წევრის ბრალეულობის შემთხვევაში, ანუ განზრახვის

ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. და ეს პასუხისმგებლობა ინდივიდუალურია, ანუ ორგანოს მოცემული წევრის ბრალეულობაზე დამოკიდებული.

ბ) ამგვარ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მიეყვება განსხვავებამდე ორგანოს წევრთა პასუხისმგებლობის მოცულობაში.

მაგალითები:

(1) გამგეობა გადაწყვეტს რუსეთში დიდი ინვესტიციის დაბანდებას. ბატონი A ამ ღონისძიების წინააღმდეგია. იგი ამას აცხადებს კიდევ და ოქმშიც შეატანინებს. თუ სასამართლო მოგვიანებით ამ ღონისძიების მომზადებაში დაუდევრობას დაინახავს, A არ იქნება ბრალეული.

(2) ბატონი B პასუხისმგებელია პროდუქტების განვითარებაზე. ამ პროდუქტებს შორისაა ასევე ტყავის დასამუშავებელი აეროზოლი, რომელიც გამოიყენება სავარძლებზე და მანქანებში ტყავის გასაწმენდად. პროდუქტის მყიდველები უჩივიან ამ პროდუქტის გამოყენებისას თავის ტკივილს და დებინების შეგრძნებას.¹⁵ ბატონი B შეიტყობს ამის შესახებ, მაგრამ არაფერს მოიმოქმედებს. მოგვიანებით დადგინდება, რომ პროდუქტი მანუა ჯანმრთელობისათვის და ბევრი მყიდველი უჩივის საზოგადოებას და მოითხოვს მისგან ზიანის ანაზღაურებას.

ეჭვგარეშეა, რომ ბატონ B-ს ბრალი მიუძღვის და ვალდებულია საზოგადოებას აუნაზღაუროს დანაკარგი. ვინაიდან იგი გამგეობაში პროდუქტების ხარისხზე პასუხისმგებელი, მან იცოდა პრობლემების შესახებ და უნდა მაშინვე უნდა ჩაეტარებინა შემოწმება.

გამგეობის სხვა წევრებს ბრალი არ მიუძღვით, რამეთუ ისინი არ იყვნენ პასუხისმგებელი პროდუქტების ხარისხზე და არც რაიმე იცოდნენ მყიდველების ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ.

¹⁵ შეადარეთ განთქმული “ტყავის აეროზოლის საქმე”, რომელიც განიხილა ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ. *Neue Juristische Wochenschrift (NJW)* 1987, გვ. 127.

**VI. ფაქტებისა და მტკიცებულების წარმოდგენის
ტვირთი პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ
სასამართლო პროცესში**

გარეშე პირისთვის რთულია მმართველი ორგანოს წევრთა მიერ ჩადენილი დარღვევების შემჩნევა და იმის დადგენა, რომ საზოგადოების ზარალი მათ მიერ მიზეზობრივადაა განპირობებული. თუმცა სამართლებრივი ნორმების ერთიანობა გარკვეულ დახმარებას წარმოადგენს:

1. მომწივანმა საზოგადოებამ ნათლად უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს გამგეობის (დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს) საეჭვო ქმედება და საზოგადოებაზე მიყენებული ზარალის არსებობა და ასევე დამაჯერებლად წარმოაჩინოს მიზეზობრივი კავშირი წარმოდგენილ ვალდებულების დარღვევასა და ზარალს შორის.

2. ბრალდებულმა ორგანოს წევრმა მისი ბრალდებისგან გასათავისუფლებლად უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ქმედება არ ეწინააღმდეგებოდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და რომ მას ბრალეულობა არ უნდა შეეხოს.

საერთო ჯამში მმართველი ორგანოს წევრი მასზე ადრული სასამართლო პროცესის შემთხვევაში მეტად მძიმე მდგომარეობაში ვარდება!

**VII. პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული
სასამართლო პროცესის ინსტიტუციონალური
სისუსტეები**

1. პასუხისმგებლობის ნორმების სიმკაცრისა და სასამართლო პროცესის შემთხვევაში საზოგადოებისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნის მიუხედავად, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ სარჩელთა შეტანა სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში – სხვაგვარადაა საქმე შპს-თა შემთხვევაში – თითქმის არ ხდება. რატომ? ეს ძალიან მარტივია. რადგანაც მოსარჩელეს, საზოგადოების სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურების მოთ-

ხოვნიტ გამგეობის წევრის მიმართ, შესაძლებელია წარმოადგენდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭო. ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საზოგადოების სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურება შესაძლებელია მოითხოვოს მხოლოდ საზოგადოების გამგეობამ.

მაგრამ რომელი სამეთვალყურეო საბჭო უწილევებს გამგეობის წევრს, რომელიც მისივე არჩეული და დანიშნულია?

ან რომელი გამგეობა უწილევებს საკუთარი სამეთვალყურეო საბჭოს წევრს?

ამგვარი რამ პრაქტიკულად არ ხდება. და ჩვენს მიერ მოყვანილი ცნობილი შემთხვევა ARAG-თან¹⁶ დაკავშირებით ამას განსაკუთრებით ნათლად გვაჩვენებს: იქ სამეთვალყურეო საბჭოს უმცირესობამ შეიტანა სარჩელი უმრავლესობის წინააღმდეგ მოთხოვნით, რომ დამდგარიყო გამგეობის ერთ-ერთი წევრის პასუხისმგებლობის საკითხი: სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობას უბრალოდ არ სურდა შეეტანა სარჩელი გამგეობის ამ წევრის წინააღმდეგ.

უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ კი არ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ამყარებდნენ: თუმცა კი აღნიშნა რამოდენიმე მკაცრი სიტყვით, რომ სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია, გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს საზოგადოების პრეტენზიები მმართველი ორგანოების წევრების მიმართ. მაგრამ ამავე დროს მათთვის ორი გამოსავალი ღიად დატოვა:

(1) პირველ რიგში იგი ვალდებული არ არის შეიტანოს სარჩელი, თუ მისი აზრით სასამართლო პროცესთან დაკავშირებული რისკი მეტად მაღალია.

(2) და იგი აგრეთვე არ არის ვალდებული შეიტანოს სარჩელი, თუ დარწმუნებულია, რომ ეს სარჩელი ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად თუ საზოგადოებას არ სურს გამგეობის ამ წევრის დაკარგვა ან იმის გამო, რომ ეს პროცესი საზოგადოების სახელზე მხოლოდ ცუდად აისახება და ა.შ.

¹⁶ იხილეთ კიდევ ერთხედ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება ARAG-თან დაკავშირებით (შენიშვნა 1).

სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა

მოკლედ რომ ვთქვათ: თუ სამეთვალყურეო საბჭოს არ უნდა უნივლოს საზოგადოების გამგეობას და საზოგადოების გამგეობას არ სურს უნივლოს სამეთვალყურეო საბჭოს, ისინი ყოველთვის იპოვნენ ამისთვის მიზეზს, რომელსაც ფედერალური სასამართლო მისაღებად ჩათვლის.

2. სხვაგვარად გამოიყურება სიტუაცია საზოგადოების გაკორტრების შემთხვევაში და ეს ბუნებრივია. ამ შემთხვევაში როგორც სამეთვალყურეო საბჭოს ასევე მმართველობის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა წარმოადგენს ლიკვიდატორის პრეროგატივას. და ლიკვიდატორი, რა თქმა უნდა დაინტერესებულია იმაში, რომ მის ბიუჯეტში თანხები შევიდეს. მეორესმხრივ ამგვარი პროცედურები მეტად რთული და გაჭიანურებულია, ისე რომ, ლიკვიდატორები ხშირ შემთხვევაში გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან კომპრომისზე მიდიან.

3. და ბოლოს, საერთო კრებას შეუძლია დაადგინოს, რომ გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა წინააღმდეგ სარჩელის შეტანა დაევალოს განსაკუთრებულ წარმომადგენელს – რაც პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა.

გარდა ამისა არსებობს აქციონერთა უმცირესობის უფლება, შეიტანოს სარჩელი. მაგრამ ამ უმცირესობას უნდა გააჩნდეს კაპიტალის როგორც მინიმუმ 5%, ან ქონებრივი წილი 500.000 ევროს ოდენობით, რათა ამის საფუძველზე, საკუთარი რისკის ქვეშ შეიტანოს საჩივარი საზოგადოების ბიუჯეტის სასარგებლოდ. პრაქტიკაში ესეც არ ხდება.

4. შედეგი: გაკორტრების შემთხვევების გარდა დღესდღეობით პრაქტიკაში არ ხდება საზოგადოების გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა წინააღმდეგ მათ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სარჩელის შეტანა. მაგრამ ეს მდგომარეობა შესაძლებელია შეიცვალოს (იხილე ქვემოთ VIII).

5. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ყოველივე ზემოთთქმული არ ეხება შპს-ს. იმის გამო, რომ შპს-ს შემთხვევაში საზოგადოების გამგეობას უნივის არა სამეთვალყურეო საბჭო, არამედ ჩივიან პარტნიორები. და პარტნიორები უფრო ხშირად გამოხატავენ მზადყოფნას, შეიტანონ სარჩელი საზოგადოების ხელმძღვანელისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით. უმრავლესობის და უმცირესობის კონფლიქტებიც ზარალის ანაზღაურების

სარჩელის ფარგლებში ხშირ შემთხვევაში საზოგადოების ხელმძღვანელის ზურგზე გადადის. აქედან გამომდინარე შპს-ს მმართველი პირების საქმეებთან დაკავშირებით საკმაოდ მდიდარი სამართლებრივი პრაქტიკა არსებობს¹⁷.

VIII. D+O დაზღვევა

ვეელაფერი, რაც აქამდე სააქციო საზოგადოებების შესახებ ვთქვით (VII, 1-4) შესაძლებელია ძალიან მალე შეიცვალოს. რადგან უკვე გარკვეული პერიოდია, რაც გერმანიაშიც არსებობს „Directors and Officers Insurance“ (ხელმძღვანელთა და გამგეობის წევრთა დაზღვევა), ეგრეთწოდებული D+O დაზღვევა. იგი გულისხმობს საზოგადოების ზემოთ განხილული პრეტენზიების დაზღვევას, რომელიც მან შეიძლება წაუყენოს მმართველი ორგანოების წევრებს, დაზღვევა არ ეხება ვალდებულების განზრახ დარღვევას. ამ სახის დაზღვევამ მოკლე ვადაში მოიკიდა ფეხი და მას უკვე ზოგიერთი სააქციო საზოგადოების წესდებაც ითვალისწინებს (მაგ. ბაიერი). ეს დაზღვევა თვითონ საზოგადოებისთვისაც მეტად მიმზიდველია. რადგან მისი საშუალებით ქრება მმართველი ორგანოს წევრის მიმართ თანაგრძნობის ეფექტი; რადგანაც ზარალის ასანაზღაურებელ თანხას მის ნაცვლად დაზღვევა ფარავს; მეორე მხრივ აქტუალობას კარგავს არგუმენტი, რომ ზარალის ოდენობა ნებისმიერ შემთხვევაში აღემატება იმ თანხას, რისი დაფარვაც ერთ პიროვნებას შეუძლია. დაზღვევაზე ეს არგუმენტი არ ვრცელდება.

დირექტორები ერთობლივად მოქმედებენ. მაგ: ორი ან სამი დირექტორი ერთობლივად ხელმძღვანელობს საზოგადოებას და ერთობლივად აწერს ხელს იმ ხელშეკრულებას, რომელიც საზოგადოების სახელით იდება მესამე პირებთან. სოლიდარული უნდა იყოს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მაშინაც, როცა რომელიმე დირექტორი სხვა პირთან, კერძოდ პროკურისტთან ერთად მოქმედებს წარმომადგენლობით ურთიერთობებში. ამ დროს დირექტორისა და პროკურისტის პასუხისმგებლობა იგულისხმება. შეიძლება დირექტორებს მაშინაც მოუწიოთ სოლიდარული პასუხისმგებლობა, როცა ყველანი ერთნაირად არიან აღჭურვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, მაგრამ ერთ რომელიმე დირექტორს ავალებენ სხვები ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობას. როცა რამოდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – ეს სოლიდარული ვალდებულებაა.

ამ დროს სააქციო საზოგადოებას შეუძლია თავისი სურვილისამებრ მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს ნებისმიერ დირექტორს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულება დანარჩენ დირექტორებს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან. ასეთ დროს დირექტორს, რომელმაც მთლიანად აანაზღაურა საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი, სხვა დირექტორების მიმართ წარმოეშობა უკუმოთხოვნის უფლება. სააქციო საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ამიტომ ბათილად ითვლება საზოგადოების კონპრომისი, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სშირია შემთხვევებში, როცა დირექტორების მიერ არამართლზომიერი და ბრალეული ქმედებების გამო კრედიტორების წინაშე მატერიალური პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებას ეკისრება. საქართველოში სააქციონერო პრაქტიკის ანალიზიდან ჩანს, რომ ძირითადად ასეთი სახის პასუხისმგებლობა ისეთ სააქციო საზოგადოებებს ეკისრებათ, რომლებიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით იქმნება, რაც შეეხება კერძო პირების

**სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი
წარმომადგენლების ქმედებებისათვის**

მიერ შექმნილ სააქციო საზოგადოებებს, ისინი ცდილობენ თავი აარიდონ დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. შეიძლება ეს ფაქტი გამოწვეული იყოს იმით, რომ ხშირად ისინი ნათესაურ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან. მაგ: საქართველოს სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად შესწავლილია გაზის საექსპლუატაციო საწარმოების ბაზაზე შექმნილი სააქციო საზოგადოებების ფინანსური მდგომარეობა, ზარალისა და ბუნებრივი აირის არანორმალურად დიდი ოდენობით დანაკარგების მიზეზები. თანამდებობებიდან განთავისუფლდნენ სააქციო საზოგადოებების „ხაშურგაზის“, „დუშეთგაზის“ და „ჭიათურგაზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეები და დირექტორები, აგრეთვე სააქციო საზოგადოება „წყალტუბოგაზის“ და „ბაღდათგაზის“ დირექტორები.³

ასევე გენერალური ინსპექციის მოკვლევული მასალებიდან ირკვევა, რომ „საქტრანსგაზმრეწვის“ სააქციო საზოგადოება „აზოტიდან“ თანხების გადარიცხვებისა და პროდუქციის სახით მიღებული აქვს 723,2 ათასი ლარი დავალიანების სანაცვლოდ. მაგრამ არც სააქციო საზოგადოება „აზოტის“ და არც სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრეწვის“ გაანგარიშებები მათ მიერ საბოლოო მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამკარაა, რომ აღრიცხვის გარეშე თანხები გამოყენებულია სხვა დანიშნულებით ანუ გადაქაჩულია კერძო მიზნებისათვის.

სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრეწვის“ ხელმძღვანელობას დაევალა საზოგადოების საერთო კრების მოწვევა, სადაც განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის დათხოვნის საკითხი და გათვალისწინებულია დოკუმენტური რევიზიის ჩატარება.⁴

სააქციო საზოგადოება, როგორც კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი, მოვალეა კრედიტორს აუნახდაუროს ის მატერიალური ზიანი, რომელიც საზოგადოების დირექტორის

³ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 2002 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. თბ., 2003 წ. გვ. 15.

⁴ საქართველოს სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ 2002 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. თბ., 2003 წ., გვ. 16.

მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით მიადგა მას, შემდეგ კი სააქციო საზოგადოება რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველზე მოითხოვს დირექტორისაგან გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე დაუშვებელია საზოგადოების მიერ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა იმ შემთხვევებში, როცა ეს ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა ვალდებული პირი. ა) გადახდისუუნარო ან ბ) გაკოტრების თავიდან აცილების ან საგაკოტრებო წარმოების შეწყვეტის მიზნით მოურიგლება თავის კრედიტორს.⁵

სააქციო საზოგადოების ინტერესების დაცვიდან გამომდინარე შეიძლება მან უარი თქვას ქონებრივ პასუხისმგებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დირექტორმა დადო გარიგება, რომლის დადების უფლება მას არ ჰქონდა და ამის შესახებ იცოდა კონტრაგენტი. საზოგადოებას შეუძლია ასეთი გარიგების ბათილობის საკითხის დაყენება 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში. იგივე წესი მოქმედებს მაშინ, როცა საზოგადოების დირექტორი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიეყენებინათ წარმოდგენილი საზოგადოებისათვის.

სააქციო საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორების გარდა შეიძლება წარმოდგინონ: პროკურისტი, სავაჭრო მინდობილობის მქონე პირმა, სავაჭრო წარმომადგენელმა და კომისიონერმა. სააქციო საზოგადოებასა და მათ შორის ურთიერთობა არ თავსდება მარტო საგარეო ან შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში. მაგალითად, როცა პროვიზიის გატარებას ეხება საკითხი, მაშინ შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობაა სახეზე. მაგრამ, როცა პროკურისტი მინდობილობის გარეშე დებს ხელშეკრულებას მესამე პირთან, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მან შეიძლება დღის წესრიგში დააყენოს პროკურისტის პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც პროკურისტის სამართლებრივად უსაფუძვლო მოქმედებამ გამოიწვია. კომისიონერი, მართალია, სააქციო

⁵ დადო ჭანტურია, თედო ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები მესამე გამოცემა. თბ., 2002. გვ. 125.

**სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი
წარმომადგენლების ქმედებებისათვის**

საზოგადოების ისეთი წარმომადგენელი არ არის, როგორც პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი, მაგრამ მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან განსაზღვრულ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული და მათი შეუსრულებლობა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება. ასევე ეკისრება საზოგადოებას რეგულარულად უხადოს კომისიონერს საკომისიო სახელაური.

პროკურისტისა და სავაჭრო წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სააქციო საზოგადოების მიერ გაცემული რწმუნების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს. მინდობილობაში გამოხატული რწმუნების ფარგლები ამ შემთხვევაში მთავარია. ამიტომ, როცა ხდება უფლებამოსილებაში ცვლილებების შეტანა ან მისი გაუქმება, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების საერთოდ გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიერ, იმ შემთხვევის გარდა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ანდა უნდა სცოდნოდათ. წინააღმდეგ შემთხვევებში, საზოგადოებას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს. ამას შეიძლება მოჰყვეს ყოფილი წარმომადგენლის მიერ რწმუნების გარეშე ამა თუ იმ მოქმედების შესრულება. ასეთ შემთხვევებში საკითხი უნდა გადაწყდეს შემდგენაირად: თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. ხელშეკრულების მეორე მხარე, თუ წარმოდგენილი პირისაგან ითხოვს თანხმობას, მაშინ ამის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თანხმობა შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში. ამ ხნის განმავლობაში თანხმობის მიუღებლობა ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა უარყოფილია. თუ თანხმობა არ არის სახეზე, მაშინ ხელშეკრულებაც არ უნდა ჩაითვალოს სამართლებრივად გამართულად, აქედან გამომდინარე შედეგებით

პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სააქციო საზოგადოებას ან მის წარმომადგენლებს იმის მიხედვით, თუ რა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი ვისი ბრალითაა გამოწვეული. მესამე პირი ასეთ შემთხვევაში შედარებით უვნებელია. ერთია მხოლოდ, ხელშეკრულების დასადებად თანხმობის მიცემამდე, მესამე პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი პროკურისტის ან სავაჭრო წარმომადგენლის მიმართაც შეიძლება გამოითქვას. თუ პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი დებს ხელშეკრულებას და თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ ადასტურებს, ვალდებულია მესამე პირის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან ანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმოდგენილი პირი – სააქციო საზოგადოება ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს. იმ შემთხვევაში, როცა პროკურისტმა ან სავაჭრო წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია ანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მესამე პირს უფლებამოსილების ნდობის გამო დაემართა.

თუ ხელშეკრულების დადებისას პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ ხელშეკრულება უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს საზოგადოებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარეს – საზოგადოების კონტრაგენტს უნდა ევარაუდა წარმომადგენლის შესახებ. სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი პასუხს არ აგებს, თუ მესამე პირმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შესახებ. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება სააქციო საზოგადოების კონტრაგენტს. სხვა შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია კრედიტორს აუნაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა წარმომადგენელმა არამართლზომიერი მოქმედებით მიაყენეს. შემდეგ კი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველზე დააკისროს მათ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ისე როგორც ეს საზოგადოების ღირექტორებთან დაკავშირებით ხდება.

Die organschaftliche Haftung der Aktiengesellschaft für die Handlungen ihrer Vertreter nach georgischem Recht

Die Vielfältigkeit der Rechtsverhältnisse einer AG mit Dritten und die Bestimmung der Vertretungsvollmacht wirft die Frage der Abgrenzung zwischen der Haftung der Gesellschaft einerseits und der der Vertreter andererseits auf. Diese Frage wirft einige Probleme auf. Insbesondere ist dabei zu betonen, dass die Rechtsstellung der Parteien gewerblicher Verhältnisse, die Ausprägung ihrer Leitungsaufgaben und die Bestimmungskriterien der Vertretungsvollmachten unterschiedlich sind. Dadurch wird eine einheitliche Behandlung der Frage der Vertretungsvollmachten verhindert. Tatsache ist, dass die Einordnung der gewerblichen Gesellschaften und Unternehmen durch den Inhalt und Umfang jedes einzelnen bestimmt wird.¹ In einer Gesellschaft mit Solidarhaftung erstreckt sich die Haftung gegenüber Dritten beispielsweise uneingeschränkt sowohl auf die Gesellschaft selbst als auch auf die Gesellschafter. In einer Kommanditgesellschaft haftet ein Teil der Gesellschafter eingeschränkt gegenüber den Gläubigern. Das sind Kommanditisten, die bei der Haftung im Gegenteil zu komplementären Gesellschaftern nur mit den von ihnen geleisteten Einlagen haften. Die Haftung einer GmbH und einer AG beschränkt sich lediglich auf ihr Vermögen. Die Aktionäre haften nicht mit ihrem Vermögen gegenüber den Dritten. Diese Bestimmung ist eine Abgrenzungsgrundlage für die unterschiedliche Haftung, die mit der Existenz einer AG zusammenhängt. Handelt es sich um die Gesellschaftshaftung gegenüber Dritten, so meint man damit die ausenrechtlichen Verhältnisse. Ausserdem gibt es noch innergesellschaftliche Rechtsverhältnisse, die die Beziehungen zwischen einer Gesellschaft und den Gesellschaftern untereinander sowie den Direktoren umfassen. Solche Beziehungen können entstehen bei der Nichterfüllung oder mangelhaften Erfüllung von Satzungsobliegenheiten durch die Gesellschafter

¹ Lado Chanturia, Das Gesellschaftsrecht, Sammlung "Grundlagen des georgischen Rechts", Tbilissi, 2000, S. 253.

aber auch dann, wenn die Direktoren ihre Verwaltungs- und Vertretungsbefugnisse verletzen. Selbstverständlich taucht in solchen Fällen die Frage der Vermögenshaftung gegenüber der Gesellschaft auf.

Einen besonderen Bereich der Rechtsverhältnisse stellen solche Beziehungen dar, die bei der Ausübung von Aussenfunktionen zwischen einer Gesellschaft und sonstigen Personen zustande kommen. Vor allen Dingen ist hier die Haftungsfrage des Prokuristen und des Handelsvertreters während der Ausübung ihrer Befugnisse gemeint.

Eine ausführliche Analyse der genannten Haftungsbereiche ist nur möglich aufgrund einer detaillierten Kenntnis der Allgemeinen und Besonderer Teile des ZGB und des georgischen Gesetzes über die gewerblichen Unternehmen. Vor allem ist dabei die Haftung beim Vermögensschaden zu berücksichtigen. Die georgische Gesetzgebung bedarf einer Vervollständigung bezüglich der Sachschadenshaftung.

Eine AG geht viele vertragliche Beziehungen mit Dritten ein. Die überwiegende Mehrheit dieser Verhältnisse bezieht sich auf die Verwertung von eigenen Erzeugnissen, die Beschaffung von verschiedenen Rohstoffen und Ausrüstungen sowie auf die Leistungen. Somit gehört der wesentliche Teil von Verträgen der Kategorie „grosse Rechtsgeschäfte“ an. Die Gesellschaft hat die übernommenen Obliegenheiten stets angemessen, nach Treu und Glauben und innerhalb von festgesetzten Fristen und Orten einzuhalten. Während der Erfüllung von Verpflichtungen ist das Leistungsniveau von vertraglichen Obliegenheiten durch den Vertragspartner der Gesellschaft zu berücksichtigen. Nimmt der Gläubiger beispielsweise die erfüllten Leistungen nicht rechtzeitig ab, so hat er selbst den Schaden zu ersetzen, der der Gesellschaft durch ihn entstanden ist wegen der schuldhaften Fristüberschreitung der Abnahme der bereits erfüllten Leistung. Ausserdem ist die AG berechtigt, vom Gläubiger die aus der Aufbewahrung des Vertragsgegenstandes entstandenen zusätzlichen Kosten zurückzuverlangen, auf ihn das Risiko eines zufälligen Untergangs einer Sache zu übertragen und die Zinszahlungen auf Geldforderungen abzulehnen. Die AG ist ihrerseits verpflichtet, beim Verstoss gegen die vertraglich übernommenen Obliegenheiten dem Gläubiger den Schaden zu ersetzen, der ihm durch die Nichterfüllung von Pflichten bzw. mangelhafte Erfüllung entstanden ist. Diese Pflicht besteht nicht, wenn einer Gesellschaft in gesetzlich vorgesehenen Fällen die Haftung nicht auferlegt wird wegen Verstosses der Verpflichtungen. Die Haftung ei-

Die organschaftliche Haftung der Aktiengesellschaft für die Handlungen ihrer Vertreter nach georgischem Recht

ner AG umfasst zusammen mit der Pflichterfüllung auch die Einhaltung der Verpflichtungen der Sicherungsmöglichkeiten. Die Haftungsfrage einer AG entsteht nicht nur in Vertragsverhältnissen während der Beteiligung an vertraglichen Obliegenheiten, sondern auch bei ausservertraglichen Verhältnissen – wenn einem anderen Vermögensschaden zugefügt wird. Es wurde beispielsweise eine Klage auf Schadensersatz gegen die AG „AES Telasi“ wegen Körperverletzung und Gesundheitsschädigung erhoben. Dafür spricht auch eine gegen die AG „Saqenergo“ von der GmbH „Bewegliche Kolonne-19“ eingereichte Klage auf Schadensersatz und viele andere Fälle.²

Eine besondere Bedeutung in den innergesellschaftlichen Beziehungen hat die Haftung der Personen, die über eine Vertretungs- und Geschäftsführungsbefugnis verfügen. Gemeint sind die Beziehungen der Direktoren mit dem Aufsichtsrat und der Hauptversammlung einer Gesellschaft. Die Direktoren und Aufsichtsratsmitglieder haben die Geschäfte gewissenhaft zu führen. Sie haben so für ihre Gesellschaft zu sorgen, wie ein verantwortungsbewusster, frei denkender Mensch es tut, der ein entsprechendes Amt besetzt und mit der Überzeugung handelt, dass ähnliches Verhalten für seine Gesellschaft Nützen bringt. Sollten sie ihren Verpflichtungen nicht nachkommen, dann haften sie gesamtschuldnerisch gegenüber der Gesellschaft für den entstandenen Schaden. Die Beweislast für das Nichtverschulden trifft diese Personen. Das bedeutet, dass sie es zu beweisen haben, gegen das Gesetz und die Satzungspflichten nicht verstossen zu haben und nicht schuld am eingetretenen Schaden gewesen zu sein. Artikel 56. des georgischen Gesetzes über die gewerblichen Unternehmen sagt, dass „die Direktoren ihre Aufgaben gewissenhaft und sorgfältig zu erfüllen haben. Verletzen sie diese Pflicht, so sind sie der Gesellschaft zum Schadensersatz verpflichtet, mehrere Direktoren gesamtschuldnerisch.“

Diese gesetzliche Vorschrift ist zu präzisieren je nach dem, ob ein Direktor über die Einzelverwaltungsbefugnis und ausgehend davon über die Einzelvertretungsmacht gegenüber einem Dritten verfügt hat. War nur er Einzelvertreter, so ist nur er - im Gegensatz zu anderen Direktoren – zum Schadensersatz für den der Gesellschaft zugefügten Schaden verpflichtet. Gesamtschuldnerisch ist die Haftung nur dann,

² S. Entscheidungen des OGG, 2001, N11, s. 1298; 2002, N99, s. 1584.

wenn die Direktoren gemeinsam handelten. Leiten beispielsweise zwei oder drei Direktoren die Gesellschaft gemeinschaftlich, so müssen sie gemeinsam einen Vertrag unterzeichnen, der im Namen der Gesellschaft mit einem oder mehreren Dritten abgeschlossen wird. Gesamtschuldnerisch ist die Haftung gegenüber der Gesellschaft auch dann, wenn einer der Direktoren gemeinsam mit anderen Personen, z. B. mit einem Prokuristen in den Vertretungsverhältnissen handelt. Hierbei ist die Haftung eines Prokuristen und Direktors gemeint. Die Direktoren haften gesamtschuldnerisch auch dann, wenn alle mit gleicher Vertretungsmacht ermächtigt sind, aber einer der Direktoren von Dritten mit der Teilnahme an bestimmten Rechtsgeschäften beauftragt wird. Die gesamtschuldnerische Haftung ist, wenn mehrere Personen dazu verpflichtet sind, gewisse Pflichten zu erfüllen so, dass jeder Einzelne sich an deren Ausübung beteiligt.

Die AG ist in solchen Fällen berechtigt, nach ihrem Ermessen Schadensersatz von jedem einzelnen Direktor sowohl gemeinschaftlich als auch ganz oder zu einem Teil zu verlangen. Die Erfüllung der Pflichten durch einen befreit alle anderen Direktoren davon, den Obliegenheiten nachzukommen. Der Direktor, der den der Gesellschaft zugefügten Schaden komplett ersetzt hat, ist berechtigt, von anderen Direktoren die Rückerstattung zu verlangen (Regressanspruch). Eine AG darf nicht auf die Schadensersatzforderung verzichten. Daher gilt jeder gesellschaftliche Kompromiss als unwirksam, wenn der Schadensersatz dafür erforderlich ist, um die Gläubiger der Gesellschaft zu befriedigen.

Es häufen sich Fälle in den zivilrechtlichen Verhältnissen, dass eine AG auf Grund rechtswidriger und schuldhafter Handlungen gegenüber den Gläubigern materiell zu haften hat. Die aktienrechtliche Praxis zeigt, dass eine solche Haftung in Georgien der AG auferlegt ist, die unter Beteiligung des Staates zustande gekommen sind. Was die AG anbetrifft, die von Privatpersonen gegründet wurden, so vermeiden diese, die Haftungsfrage ihrer Direktoren aufzuwerfen. Es könnte dadurch bedingt sein, dass diese in verwandtschaftlichen Beziehungen zueinander stehen. Es wurden beispielsweise von der Generalinspektion des georgischen Vermögensverwaltungsministeriums die finanzielle Lage sowie Verlustursachen von grossen Mengen Gas mehrerer AG untersucht, die auf der Gasunternehmensbasis gegründet waren. Es wurden die Aufsichtsratsvorsitzenden und Direktoren der AG „Khashuri-

Die organschaftliche Haftung der Aktiengesellschaft für die Handlungen ihrer Vertreter nach georgischem Recht

gas“, „Dushetigas“ und „Chiaturagas“ sowie die Direktoren der AG „Tskaltubogas“ und „Bagdatigas“ aus ihren Ämtern entlassen.³

Ebenfalls aus den Untersuchungsmaterialien der Generalinspektion geht hervor, dass „Saqtransgasmrtsvi“ von der AG „Azot“ in Form von Umbuchungen und Erzeugnissen einen Betrag in Höhe von insgesamt 723. 2 Tausend GEL statt Schulden bekommen haben soll. Aber die Berechnungen weder der AG „Azot“ noch der AG „Saqtransmretsvi“ stimmen mit den endgültigen Angaben überein. Offensichtlich sind diese Beträge ohne Buchführung zu anderen Zwecken verwendet worden. Die AG „Saqtransmretsvi“ wurde beauftragt, eine Gesellschaftshaftungsversammlung einzuberufen, auf der beabsichtigt wird, den Aufsichts- und Direktorenrat zu entlassen sowie eine Unterlagenprüfung herbeizuführen.⁴

Eine AG als privatrechtliche juristische Geschäftsperson ist verpflichtet, dem Gläubiger den materiellen Schaden zu ersetzen, der ihm infolge der rechtswidrigen und schuldhaften Handlungen eines Direktors der Gesellschaft zugefügt wurde. Anschliessend ist die AG berechtigt, gegen diesen Direktor einen Regressanspruch geltend zu machen und die Rückerstattung der Summe zu verlangen. Laut Artikel 9. des Gesetzes über die gewerblichen Unternehmen ist es unzulässig, seitens der Gesellschaft auf den Regressanspruch zu verzichten, sofern diese Erstattung zur Befriedigung von Gläubigern erforderlich ist. Dies gilt nicht, wenn der Ersatzpflichtige zahlungsunfähig ist oder sich zur Abwendung oder Beseitigung eines Insolvenzverfahrens mit seinem Gläubiger vergleicht.⁵

Aus Gründen des Interessenschutzes der AG kann diese auf die Vermögenshaftung verzichten, wenn ein Gesellschaftsdirektor ein Rechtsgeschäft geschlossen hat, zu dem er nicht bevollmächtigt war und der Geschäftsgegner davon wusste. Die Gesellschaft kann dann innerhalb von 18 (achtzehn) Monaten die Wirksamkeit des Rechtsgeschäftes gerichtlich anfechten. Das gleiche gilt, wenn Gesellschaftsdi-

³ S. Bericht über die vom georgischen Vermögensverwaltungsministerium im Jahre 2002 geleisteten Arbeiten, Tbilissi, 2003, s. 15.

⁴ S. Bericht über die vom georgischen Vermögensverwaltungsministerium im Jahre 2002 geleisteten Arbeiten, Tbilissi, 2003, s. 16.

⁵ Lado Chanturia, Tedo Ninidze. Kommentare zum Gesetz über die gewerblichen Unternehmen. III Ausgabe. Tbilissi, 2002, s. 125.

rektor und Geschäftsgegner mit dem Vorsatz handeln, der vertretenen Gesellschaft Schaden zuzufügen.

Eine AG kann ausser durch Direktoren (bei Verhältnissen mit Dritten) durch folgende Personen vertreten werden: einen Prokuristen, eine Person, die mit einer Handelsvollmacht ermächtigt ist, einen Handelsvertreter und einen Kommissionären. Die Verhältnisse zwischen einer AG und ihnen gehen über den aussen- und innergesellschaftlichen Rahmen hinaus. Wenn es beispielsweise um die Provisionsfrage geht, dann hat man mit einer innergesellschaftlichen Beziehung zu tun. Wenn aber ein Prokurist ohne Vollmacht einen Vertrag mit einem Dritten abschliesst, dann kann die AG diesen Prokuristen zur Verantwortung ziehen für den Schaden, der durch die rechtlich ungerechtfertigte Handlung dieses Prokuristen entstanden war. Ein Kommissionär ist kein solcher Vertreter einer AG, wie ein Prokurist oder Handelsvertreter, aber sein Verhältnis zur AG ist dennoch mit gewissen Verpflichtungen verbunden, deren Verletzung seine Haftungsfrage aufwerfen könnte. Die Gesellschaft ist dann zur Zahlung der Kommissionsgebühr gegenüber den Kommissionären verpflichtet.

Die Vertretungsmacht eines Prokuristen und Handelsvertreters ist im Rahmen der von der AG erteilten Vollmacht auszuüben. Die in der Urkunde niedergeschriebenen Vollmachtsgrenzen sind massgebend. Wenn daher die Vollmacht geändert oder aufgehoben wird, sind davon die Dritten zu benachrichtigen. Wird diese Forderung nicht erfüllt, so können die Änderungen und Aufhebungstatsachen nicht von den Dritten zu ihren Gunsten geltend gemacht werden, ausgenommen die Fälle, wenn die Parteien beim Vertragsschluss davon wussten oder hätten wissen müssen. Ansonsten haftet die Gesellschaft dementsprechend. Nach der Aufhebung der Vollmacht hat der Vertreter die Vollmachtsurkunde dem Vollmachtsgeber zurückzugeben. Der Vertreter ist nämlich nicht berechtigt, die Urkunde zu behalten, denn er könnte ja mit dieser weitere Handlungen ausführen. In solchen Fällen ist die Frage folgendermassen zu lösen: Schliesst eine Person ohne Vertretungsmacht in eigenem Namen einen Vertrag ab, so hängt die Wirksamkeit dieses Vertrags von der Zustimmung des Vollmachtsgebers ab. Verlangt die zu vertretende Person diese Zustimmung, so ist die andere Vertragspartei darüber in Kenntnis zu setzen. Eine Zustimmung kann binnen zweier Wochen nach Forderungsstellung erteilt werden. Liegt innerhalb dieser Frist keine Zustimmung vor, ist davon auszuge-

Die organschaftliche Haftung der Aktiengesellschaft für die Handlungen ihrer Vertreter nach georgischem Recht

hen, dass die Forderung abgelehnt wurde und darüber hinaus der Vertrag rechtlich unvollständig ist. Dementsprechend haben die AG oder ihre Vertreter für die Folgen zu haften je nach dem, durch wessen Verschulden der eine oder andere Schaden in der Vertretungsvollmacht entstanden war. Ein Dritter ist in solchen Fällen am meisten geschützt. Er ist dazu berechtigt, vor der Einholung der endgültigen Zustimmung auf den Vertrag zu verzichten, ausgenommen die Fälle, wenn er über den Mangel der Vertretungsmacht beim Vertragsschluss wusste. Ein Verzicht auf den Vertragsschluss kann auch gegenüber einem Prokuristen oder Handelsvertreter erklärt werden. Schliesst ein Prokurist oder Handelsvertreter einen Vertrag ab, ist aber nicht imstande, seine Befugnis nachzuweisen, so ist er verpflichtet, auf Wunsch eines Dritten entweder der übernommenen Pflicht nachzukommen oder aber den entstandenen Schaden zu ersetzen, sofern der Vertretene – die AG – ihre Zustimmung verweigert. Wusste ein Prokurist oder Handelsvertreter vom Mangel der Vertretungsmacht nicht, so ist er verpflichtet, nur den Schaden zu ersetzen, der einem Dritter wegen des guten Glaubens in die Handlungsvollmacht entstanden ist.

Verweist ein Prokurist oder Handelsvertreter beim Vertragsschluss nicht auf seine Handlungsvollmacht, so entstehen Rechte und Pflichten der Gesellschaft gegenüber nur, wenn die andere Vertragspartei – der Geschäftsgegner der Gesellschaft – die Vertretung hätte vermuten müssen. Ein Vertreter der AG haftet nicht, sofern ein Dritter über die Vertretungsmacht wusste oder hat wissen müssen. In solchen Fällen haftet der Geschäftsgegner der Gesellschaft. Ansonsten ist eine AG verpflichtet, dem Gläubiger den Schaden zu ersetzen, der ihm durch die rechtswidrigen Handlungen ihrer Vertreter zugefügt wurde. Des Weiteren ist die AG natürlich berechtigt, einen Regressanspruch gegen ihren Vertreter geltend zu machen und von ihm die Rückerstattung zu verlangen, wie es bei den Gesellschaftsdirektoren der Fall ist.

ურსულა შტაინი

მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა (პასუხისმგებლობა მესამე პირთა მიმართ)

- I. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობის მნიშვნელობა
 1. მმართველი ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმეთა ტიპიური შემადგენლობა
 2. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა როგორც შპს-ს ფენომენი
 3. ინსტიტუციონალურ კრედიტორთა ხელმისაწვდომობა საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობისადმი
- II. შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა და საზოგადოების მმართველ ორგანოთა ზოგადი გარე პასუხისმგებლობა
 1. მმართველ ორგანოთა ძირითადი შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ
 2. გარე პასუხისმგებლობა მხოლოდ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის არსებობის შემთხვევებში
 3. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები
- III. გარიგებებთან და საქმიან კონტაქტებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა
 1. გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულებები
 2. ბრალეულობა ხელშეკრულების დადებისას
 - ა) წარმომადგენლის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპული შესაძლებლობა მოლაპარაკებისას ნდობის დარღვევის შემთხვევაში
 - ბ) პრეტენზიების პრობლემა განსაკუთრებული ნდობით სარგებლობის შემთხვევაში
 - გ) წარმომადგენლის უშუალო ეკონომიკური პირადი

მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა

დაინტერესების არასაკმარისობა

IV. პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართლის ნორმების მიხედვით

1. საზოგადოების კრედიტორების სამართლებრივი დევნის უფლება სააქციო კანონის § 93 აბზ. 5-ის შესაბამისად
2. შპს-ს ხელმძღვანელის მიმართ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა შპს-თა შესახებ კანონის § 40 აბზ. 2-ს შესაბამისად

V. დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა

1. მიმოხილვა

- ა) მესამე პირთა დამცავი ნორმების ან ვალდებულებების დარღვევა როგორც პასუხისმგებლობის წინაპირობა
 - ბ) ყველასთვის მოქმედი ვალდებულებები მესამე პირთა დაცვის შესახებ
 - გ) მმართველი ორგანოების წევრთათვის ან საზოგადოებისთვის მოქმედი ვალდებულებები მესამე პირთა დაცვის შესახებ
 - დ) დანაშაულის პირადად ჩადენა და მასში მონაწილეობა
 - ე) მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობის პრობლემატიკა საწარმოს არასათანადო ორგანიზაციული მოწყობის შემთხვევაში
2. ზოგადი, ყველასთვის მოქმედი, მესამე პირთა დამცავი სამართლებრივი ნორმების დარღვევა
3. მესამე პირთა დამცავი ხასიათის მქონე განსაკუთრებული სამსახურეობრივი ვალდებულებების დარღვევა
- ა) გაკორტრების განცხადების ვალდებულება
 - ბ) ბუღალტერიის წარმოების ვალდებულება
 - გ) მესამე პირთა დამცავი ორგანული ვალდებულებები, რომელთა დარღვევაც სისხლისსამართლებრივად იღვენება
4. საზოგადოების მიერ მესამე პირთა დამცავი ვალდებულებების დარღვევა
- ა) სოციალური დაზღვევის ფონდში დასაქმებულთა შენატანების დაყოვნება

- ბ) კანონით გათვალისწინებული საზოგადოების სხვა ვალდებულებები
- 5. მმართველ ორგანოთა გარე პასუხისმგებლობა ორგანიზაციული ვალდებულებების დარღვევის გამო?
 - ა) შიდასტრუქტურულ ურთიერთობებში საწარმოს შესაბამისად ორგანიზების ვალდებულება
 - ბ) მმართველი ორგანოების წევრთა, როგორც გარანტის მდგომარეობა გარე ურთიერთობებში?
- VI. საგადასახადოსამართლებრივი პასუხისმგებლობა
- VII. საქმიანობის სფეროთა დანაწილების შედეგები მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობისათვის
- VIII. მმართველ ორგანოთა წევრთა გარე პასუხისმგებლობის რისკების დაზღვევის შესაძლებლობა.

I. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობის მნიშვნელობა

1. მმართველი ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმეთა ტიპური შემადგენლობა

საკუთარი მმართველი ორგანოების არასწორი და ზარალისგამომწვევი ქმედებისათვის, მის გარე ურთიერთობებში, ანუ მესამე პირებთან ურთიერთობებისას, ძირითადად, თვითონ საზოგადოებაა ზარალის ანაზღაურებისთვის პასუხისმგებელი. საზოგადოების ეს პასუხისმგებლობა შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც სპეციალური კანონის, ასევე ხელშეკრულების საფუძვლებს; თუმცა პასუხისმგებლობა შესაძლებელია საზოგადოდიქიდან მომდინარეობდეს, რომ საზოგადოება პასუხს აგებს საკუთარი მმართველი ორგანოების ქმედებისათვის¹. ცალკეულ

¹ გერმანულ სამართალში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 31-ის ანალოგიით. მოწესრიგების მსგავსი ფორმა დაფიქსირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში კავშირებისა და ფონდების შესახებ, 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. თუმცა, როგორც ვხედავ, მეწარმეთა შესახებ კანონში არ არსებობს ნორმა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხს საზოგადოების წევრთა მხრიდან მესამე პირთათვის ზარალის მიყენების შემთხვევაში.

მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა

გამონაკლის შემთხვევებში – განსაკუთრებით საზოგადოების ქონების შერევის² და ფონდების მიმართ არსებული საშიშროების³ შემთხვევაში – პასუხისმგებლობა შესაძლებელია გავრცელდეს პარტნიორზეც, რასაც საქართველოს სამართალიც ითვალისწინებს – საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.4.

თუკი საზოგადოების მიერ – ან გამონაკლის შემთხვევებში საზოგადოების პარტნიორის მიერ – დაზარალებული მესამე პირი არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ იგი ხშირ შემთხვევაში ცდილობს წამოუყენოს პრეტენზია მმართველი ორგანოების წევრებს, რომელთაც განაპირობეს კრედიტორთა ზარალი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამ ზარალისთვის პასუხს აგებენ. ამგვარ სიტუაციას, როგორც კანონი, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საზოგადოების ქონება არ არის საკმარისი კრედიტორის ზარალის ასანაზღაურებლად, ყველაზე ხშირად საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში. სწორედ ამიტომაც, რომ პრეცედენტთა უმეტესობა, როდესაც საზოგადოების კრედიტორები პირადად მმართველობის წევრთაგან მოითხოვენ ზარალის ანაზღაურებას, უშუალოდ დააკავშირებული საზოგადოების გაკოტრებასთან. ამის საპირისპიროდ, უმნიშვნელოა შემთხვევათა რიცხვი, როდესაც საწარმო რაიმე სხვა მიზეზების გამო პასუხს არ აგებს ზარალის ანაზღაურებაზე, მაგალითად როდესაც ამგვარი შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხი კანონით დადგენილი საერთოდ არ არის, საქმიან გარიგებაში არ იქნა პასუხისმგებლობის საკითხი შეტანილი, ან როდესაც მათ წინააღმდეგ პრეტენზიის დაკმაყოფილება შეუძლებელია სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, როგორცაა მცირე გადახდისუნარიანობა – მაგალითად ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

² შდრ. მაგ. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 125, 366 = NJW 1994, 1801; ალტმეჟერი ZIP 2002, 1553, 1557 და შემდეგ.

³ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 149, 10 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 2001, 3622 (ბრემენის ვულკანი); ფედერალური სასამართლოს ZIP 2002, 1578 (სადაზღვევო ექიმთა ფედერალური გაერთიანება).

2. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა როგორც შპს-ს ფენომენი

ამით აიხსნება ის, თუ რატომ წარმოადგენს გერმანიაში მმართველ ორგანოთა გარე პასუხისმგებლობა პირველ რიგში შპს-ს ფორმის მქონე საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ფენომენს, მაშინ, როდესაც სააქციო საზოგადოების შემთხვევაში (ყოველ შემთხვევაში, წარსულში) მისი როლი უმნიშვნელოა. შპს გერმანიაში წარმოადგენს საზოგადოების იმგვარ ფორმას, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება გაკოტრების მსხვერპლი: ყველა გაკოტრებულ საწარმოთა თითქმის ორ მესამედს სწორედ შპს-ები შეადგენენ, და ეს მაშინ, როდესაც არსებული საწარმოების მხოლოდ ერთ მესუთედს აქვს ამგვარი სამართლებრივი ფორმა. თუმცა არსებობს სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევები, როდესაც დგებოდა მმართველ ორგანოთა წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების კრედიტორთა წინაშე, თითქმის ყველა ეს შემთხვევა საზოგადოების გაკოტრებასთანაა დაკავშირებული.

3. ინსტიტუციონალურ კრედიტორთა ხელმისაწვდომობა საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობაზე

საზოგადოების ინსტიტუციონალური კრედიტორებისათვის, კერძოდ კი სახელმწიფო საგადასახადო უწყებებისა და სოციალური დაზღვევის ორგანოებისათვის, გერმანიაში გარკვეული პერიოდია რაც წესად იქცა, გაკოტრებული საზოგადოების პარალელურად ან მათ ნაცვლად, პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო და სოციალური დაზღვევის სფეროში დავალიანებებისთვის, მისი ხელმძღვანელი ორგანოს წევრებისგან მოითხოვონ. იმის გამო, რომ სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების გაკოტრების ნახევარზე მეტ შემთხვევაში საქმის აღძვრა თავიდანვე არ ხდება ქონების არქონის გამო და საქმეთწარმოების შედეგად მიღწეული ქვობა, საშუალოდ, კრედიტორთა მოთხოვნის მხოლოდ 3%-ს შეადგენს, სწორედ მმართველი ორგანოების წევრების პასუხისმგებლობაზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ერთადერთ შანსს იმისათვის, რათა

მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა

შპს-ს საგადასახადო და სოციალური დავალიანებების დაფარვანაწილობრივ მაინც გახდეს შესაძლებელი. სწორედ ინსტიტუციონალური კრედიტორები იყენებენ მთელი სიმკაცრით დამაყოფილების ამ შესაძლებლობას.

II. შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობასა და საზოგადოების მმართველ ორგანოთა ზოგადი გარე პასუხისმგებლობას შორის ურთიერთობა

1. მმართველ ორგანოთა ძირითადი შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ

საქართველოს სამეწარმეო სამართლის (მუხლი 9.7. კანონი მეწარმეთა შესახებ) მსგავსად გერმანიის საკორპორაციო სამართალშიც მმართველ ორგანოთა პასუხისმგებლობაში იგულისხმება როგორც მმართველი ორგანოების წევრთა შიდა პასუხისმგებლობა საკუთარი საზოგადოების მიმართ⁴. პროფესორმა ლუთერმა ამაზე დაწვრილებით ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ მმართველ ორგანოთა წევრებს მათი სამსახურეობრივი ვალდებულებები არა მარტო საზოგადოების ან პარტნიორების ინტერესებში ეკისრებათ, არამედ, რა თქმა უნდა, კრედიტორთა ინტერესებშიც, მმართველი ორგანოს წევრი საკუთარი უფლებამოსილებების ზედმიწევნით შესრულებისთვის ძირითადად მხოლოდ საზოგადოების წინაშეა პასუხისმგებელი, და არა მესამე პირთა, და აქედან გამომდინარე – არც საზოგადოების კრედიტორთა მიმართ.

2. გარე პასუხისმგებლობა მხოლოდ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობის არსებობის შემთხვევებში

ზემოთთქმულიდან გამომდინარე მმართველი ორგანოების წევრების გარე პასუხისმგებლობა ვერ დაეყრდნობა ვერც სამსახურეობრივი ვალდებულებების კანონიერი და კეთილსინდისიერი შესრულების შესახებ ზოგად ვალდებულების დარღვევას

⁴ შდრ. §§ 93, 116 გერმანიის სააქციო კანონი, §43 კანონი შპს-ს შესახებ.

და ვერც სპეციალური ორგანული ვალდებულებების დარღვევას, არამედ პასუხისმგებლობის მხოლოდ სხვა პრინციპებს, რომლებიც კანონით ან ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ანუ, მმართველი ორგანოს წევრის გარე პასუხისმგებლობის წინაპირობას ყოველთვის წარმოადგენს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის არსებობა, რომელიც მმართველი ორგანოს წევრს ერთმნიშვნელოვნად აკისრებს პასუხისმგებლობას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, პირად ვალდებულებას დაზარალებული მესამე პირის წინაშე. განსაკუთრებული პასუხისმგებლობის საფუძვლის არსებობის მოთხოვნა ძალაშია იმისდა მიუხედავად, ეკისრება თუ არა მის პარალელურად საზოგადოებასაც რაიმე პასუხისმგებლობა.

3. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

მესამე პირთა წინაშე მმართველი ორგანოების წევრთა პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი მეტად მრავალფეროვანი და ფართოა: საზოგადოების ხელმძღვანელობის წევრებმა მათი საწარმოო საქმიანობით შეიძლება დარღვიონ კანონით დადგენილი ვალდებულებები და ნორმები, რომლებიც ეხება მესამე პირთა დაცვას, მათ შეიძლება დაარღვიონ გარემოს, სამეწარმეო ან საგადასახადო სამართლის ნორმები, მათ შეიძლება სხვა დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინონ, რაც დაზარალებს მესამე პირებს, მათ შესაძლებელია საკუთარი თავი პირადად აქციონ პასუხისმგებლად, დაარღვევენ რა საქმიანი გარიგების პირობებს.

ის, თუ პასუხისმგებლობის რომელი საფუძველია ამა თუ იმ შემთხვევისთვის შესაბამისი, მოცემული მმართველი ორგანოს ფუნქციებზეცაა დამოკიდებულია. ასე, წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები უფრო დიდი საფრთხის ქვეშ ექცევიან, რომ საქმიან ურთიერთობებში უშუალო მონაწილეობის გამო მათ მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, ვიდრე, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომლებიც ძირითადად საზოგადოების შიდა ფუნქციების შესრულებით არიან დაკავებული და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების წარმომადგენლების მსგავსად არა აქვთ შეხება მესამე პირებთან.

პასუხისმგებლობის საფუძველთა მთელი ამ სიმრავლიდან მინდა მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო, რომელიც მნიშვნელოვანია გერმანიის სამართლებრივი პრაქტიკისთვის ან რომელიც განსაკუთრებულ სამართლებრივ პრობლემებს უკავშირდება.

III. გარიგებებთან და საქმიან კონტაქტებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარიგებებთან დაკავშირებული მოქმედებიდან გამომდინარე გარე პასუხისმგებლობა, პრაქტიკულად, მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებისთვისაა შესაბამისი, რადგანაც მხოლოდ ისინი შედიან მესამე პირებთან საქმიან კონტაქტში.

1. გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულებები

საქმიანი გარიგებებისთვის, რომლებსაც საზოგადოების კანონიერი წარმომადგენელი მესამე პირთან საზოგადოების სახელით დებს, ძირითადად მხოლოდ საზოგადოებაა პასუხისმგებელი. ორგანოს მოქმედი წევრის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადგეს, თუ იგი საზოგადოების ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს – მაგალითად შუამდგომლობის ან გარანტიის სახით – ან მის მიერ წარმატული საქმიანობის საფუძველზე იგი საკუთარ თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს პარტნიორი მხარის მიმართ, და პირობას დადებს, რომ მათი შესრულებისთვის ის აგებს პასუხს.

მმართველი ორგანოს წევრის პარტნიორი მხარის მიმართ პირადი პასუხისმგებლობის საკითხი, გარდა ამისა, შეიძლება იმ შემთხვევაშიც იქნას განხილული, თუ პარტნიორმა მხარემ ხელშეკრულების დადებისას ვერ შეძლო დაედგინა, რომ ორგანოს წევრს მიზნად ჰქონდა არა საკუთარ თავზე პირადი პასუხისმგებლობის აღება, არამედ საზოგადოების ინტერესებში მოქმედება. გერმანულ, ისევე როგორც ქართულ კანონმდებლობაში დაფიქსირებულ გამჭირვალეობისა და წარმომადგენლობის შესახებ

პრინციპის⁵ თანახმად, ამ შემთხვევაში მმართველი ორგანოს წევრს პირადად ეკისრება პასუხისმგებლობა.

2. დარღვევები ხელშეკრულების დადებისას

ა) წარმომადგენლის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპული შესაძლებლობა მოლაპარაკებისას ნდობის დარღვევის შემთხვევაში

გარიგებებთან დაკავშირებული კონტაქტებიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს პირადი პასუხისმგებლობა შეიძლება აგრეთვე დაეკისროს ხელშეკრულების დადებისას ჩადენილი დარღვევების გამო (culpa in contrahendo). ამგვარი პასუხისმგებლობის საფუძველი, პრინციპში, ქართულ კანონმდებლობაშიც არის დაფიქსირებული – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 317, აბზაცი 3 – თუმცა ნაწილობრივ განსხვავებული პირობებით. თავდაპირველად გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული, წარმომადგენლის ამგვარი პირადი პასუხისმგებლობა ვალდებულებების დანაშაულებრივი დარღვევის გამო საქმიანი კონტაქტებისას, განსაკუთრებით კი ხელშეკრულების დადებისას, დღესდღეობით ფედერალური კანონმდებლობის § 311, აბზ. 3-ში ნათლადაა დაფიქსირებული. მის მიხედვით კანონიერი წარმომადგენელი ზარალის ანაზღაურებისთვის იმ შემთხვევაშიც პირადად არის პასუხისმგებელი, თუ იგი დაარღვევს ნდობას, რომელსაც იგი „განსაკუთრებული მოცულობით“ საკუთარ თავზე აიღებს და ამით საქმიან მოლაპარაკებებზე ან ხელშეკრულების დადებაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს.

ბ) განსაკუთრებული ნდობით სარგებლობის მიმართ წაყენებული მოთხოვნების პრობლემა

დღემდე პრობლემატურად რჩება საკითხი, თუ რა სიმკაცრის უნდა იყოს მოთხოვნები, რომლებიც ნდობის „განსაკუთრებული მოცულობით“ სარგებლობას უნდა წაყენოს, როგორც ამას

⁵ § 164, აბზ. 2 სამოქალაქო კოდექსი, § 36 კანონი შპს-თა შესახებ; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 104, აბზ. 3

ფედერალური კოდექსის § 311, აბზაცი 3-ის მიხედვით კანონის ტექსტი მოითხოვს. ნამდვილად არ იქნება საკმარისი, წარმომადგენელმა მესამე პირს მის სერიოზულობაზე და კომპეტენტურობაზე რომ მიუთითოს⁶, ანდა ის საქები ფრაზები უთხრას, რომლებიც მოლაპარაკებების რიტუალის ნაწილს წარმოადგენს. საზოგადოების წარმომადგენლის მხრიდან მის მოლაპარაკების პარტნიორს უნდა შეეკმნას იმის შთაბეჭდილება, რომ მას სურს საკუთარ თავზე აიღოს უპირობო პირადი პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ საზოგადოების მიერ ყველა ვალდებულება შესრულებული იქნება⁷.

გ) წარმომადგენლის უშუალო ეკონომიკური პირადი დაინტერესების არასაკმარისობა

ხემოთთქმულისგან განსხვავებით, დღესდღეობით ზოგადად აღიარებულია, რომ პირადი პასუხისმგებლობისთვის არა საკმარისია მმართველი ორგანოს წევრის უშუალო ეკონომიკური პირადი დაინტერესება საქმიანი გარიგების წარმატებულად დასრულებაში. ამის გამო არც მმართველი ორგანოს წევრის მნიშვნელოვანი მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში და არც მისი, როგორც გარანტის პოზიცია საწარმოს ვალების დაფარვასთან მიმართებაში, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მმართველი ორგანოს წევრის პირადი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისთვის მოლაპარაკებისას შექმნილი ნდობის რღვევის შემთხვევაში⁸.

⁶ ფედერალური კოდექსი, ეკონომიკური მენეჯმენტი 1990, 759 შემდგომი მტკიცებულებებით

⁷ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 126, 181, 189 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1994, 2220; ლუთერი/მომელპოფი, შპს, 15. გამოცემა 2000, § 53, ნომ. 36; პახენბურგ-მერტენსი, შპს, 8. გამოცემა 1996, § 43, ნომ. 113; შოლცი-შნაიდერი, შპს, 9. გამოცემა 2000, § 43, ნომ. 225 და შემდეგ.

⁸ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 126, 181, 184 ფფ = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1994, 2220; ფედერალური სასამართლოს ZIP 1995, 733.

IV. პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართლის ნორმების შესაბამისად

საკორპორაციო სამართლის ნორმები, რომლებიც მესამე პირებს უშუალოდ ანიჭებს უფლებებს იმოქმედონ მმართველი ორგანოების წევრთა წინააღმდეგ, იშვიათია, რადგანაც მესამე პირების მიერ საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას შიდა პასუხისმგებლობის არსებული პრინციპიდან გამომდინარე უნდა გამორიცხულ იქნას. თუმცა სააქციო სამართალში, ისევე როგორც შპს-სამართალში არსებობს გამონაკლისები.

1. საზოგადოების კრედიტორის სამართლებრივი დევნის უფლება სააქციო კანონის § 93-ის მე-5 აბზაცის შესაბამისად

სააქციო საზოგადოების შემთხვევაში სააქციო სამართლის §§ 93-ის მე-5 აბზაცი და § 116, გარკვეული წინაპირობების გათვალისწინებით, კრედიტორებს ანიჭებენ უფლებას, მოითხოვონ საზოგადოებისგან, რომ მან წაუყენოს მის მმართველ ორგანოებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, იმ შემთხვევაში, თუ თვითონ საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება⁹. საქართველოს სამართალიც, მეწარმეთა შესახებ კანონის მუხლი 56.4 მე-5 ფრაზის მიხედვით, საზოგადოების დაუკმაყოფილებელ კრედიტორს ამგვარი სამართლებრივი დევნის უფლებას ანიჭებს. გერმანიის სამართალში საკამათოა, ნამდვილად ასაბუთებს თუ არა ეს ნორმა კრედიტორის უფლებას პირადად მოითხოვოს მმართველი ორგანოების წევრებისგან ზარალის ანაზღაურება¹⁰ – ამ შემთხვევაში ეს უფლება ჩემი

⁹ მსგავს მომენტებს შეხვედებით სხვა სააქციო-სამართლებრივი საკორპორაციო პასუხისმგებლობის ნორმებშიც, მაგ. სააქციო სამართალი §§ 62 აბზ 2. 117 აბზ. 5, 309 აბზ 4.

¹⁰ ამგვარია არსებული პოზიცია, მაგ. კიოლნის კომენტარი მერტენსთან დაკავშირებით, სააქციო კანონი, 2. გამოცემა 1996, § 93 ნომ. 142; ჰიუფერი, სააქციო კანონი, 5. გამოცემა, 2002, § 93, ნომ. 32; კომენტარი – ჰოპფი, სააქციო კანონი, 4. გამოცემა 1999, § 93, ნომ. 397 და შემდეგ.

მოსხენების თემის ნაწილი იქნებოდა – თუ საზოგადოების უფლებებზე, რომლის ამოქმედებაც კრედიტორს მხოლოდ კანონის პროცედურულ ფარგლებში შეუძლია¹¹. იმის გამო, რომ ქართული ნორმის ტექსტის გერმანული თარგმანი გერმანული ნორმის ტექსტს პრაქტიკულად ემთხვევა, საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, თუ რა ინტერპრეტაციას უკეთებენ ამ ნორმას საქართველოში. ამ ნორმას გერმანიაში განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ჯერ არ შეუძენია.

2. შპს-ს ხელმძღვანელის მიმართ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა შპს-თა შესახებ კანონის § 40 აბზ. 2-ს შესაბამისად

შპს-თა შესახებ კანონის § 40 მე-2 აბზაცი წარმოადგენს ერთადერთ ნორმას, რომელიც ასაბუთებს კრედიტორთა უფლებას - ზარალის ანაზღაურება უშუალოდ საზოგადოების ხელმძღვანელთაგან მოითხოვონ. შპს-თა შესახებ კანონის § 40-ის აბზაცი 1 ავალდებულებს საზოგადოების ხელმძღვანელს, მეწილეობის თანაფარდობის ნებისმიერი ცვლილებისთანავე ხელახლა გაატაროს პარტნიორთა სია სავაჭრო რეესტრში. თუ საზოგადოების ხელმძღვანელი ამ ვალდებულებას დანაშაულებრივად დაარღვევს და ამის საფუძველზე საზოგადოების კრედიტორებს ზარალი მიადგებათ, ამ შემთხვევაში შპს-თა შესახებ კანონის § 40 მე-2 აბზაცი კრედიტორს ანიჭებს უფლებას ზარალის ანაზღაურება პირადად საზოგადოების ხელმძღვანელისგან მოითხოვოს. პასუხისმგებლობის ეს ნორმა, რომელიც შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობის სისტემაში უცხო სხეულს წარმოადგენს, შპს-თა შესახებ კანონში მხოლოდ 1998 წელს იქნა დამატებული¹². ეს იმ მიზნით მოხდა, რათა შეწყვეტილიყო დიდი ხნის კამათი იმის შესახებ, წარმოადგენდა თუ არა საზოგადოების ხელმძღვანელის ვალდებულება - გაეტარებინა პარტნიორთა სია

¹¹ ასე მაგ. გესლერ-ჰევერმელი, სააქციო კანონი, 1974, § 93, ნომ. 68 შემდგომი მტკიცებულებებით.

¹² სავაჭრო სამართლის რეფორმისთან დაკავშირებული კანონის საფუძველზე, 22 ივნისი 1998, ფედერალური საკანონმდებლო ბიულეტენი, გვ. 1474.

სავაჭრო რეესტრში - კრედიტორთა დამცავ ნორმას ფედერალური კანონმდებლობის § 823 აბზ. 2-ის შესაბამისად¹³, რომლის დარღვევაც, როგორც კანონსაწინააღმდეგო ქმედება, ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას გულისხმობდა. შეიძენს თუ არა შპს-თა შესახებ კანონის § 40 მე-2 აბზაციის ნორმა პასუხისმგებლობის შესახებ ოდესმე პრაქტიკულ მნიშვნელობას, ჩემთვის ჯერ-ჯერობით უცნობია.

V. პასუხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში

1. მიმოხილვა

ა) მესამე პირთა დამცავი ნორმების ან ვალდებულებების დარღვევა როგორც პასუხისმგებლობის წინაპირობა

მმართველ ორგანოთა წევრების გარე პასუხისმგებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დელიქტიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას. არა მარტო საზოგადოების მმართველი ორგანოების წევრები, არამედ სამეთვალყურეო საბჭოების და სხვა ორგანოების წევრები მათი უკანონო მოქმედების გამო შესაძლებელია მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებელნი გახდნენ ზარალის ანაზღაურებისთვის, თუ ზარალის გამომწვევ მიზეზს მათ მიერ იმ ვალდებულებების დარღვევა წარმოადგენს, რომლებიც მათ საზოგადოების კრედიტორთა ან სხვა მესამე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე და მათ დასაცავად ეკისრებათ.

ბ) ყველასთვის მოქმედი ვალდებულებები მესამე პირთა დაცვის შესახებ

ამგვარი ვალდებულებები, რომლებიც მესამე პირთა დაცვას ითვალისწინებს, პირველ რიგში შესაძლებელი იმ ნორმებიდან მომდინარეობდეს, რომელთა შესრულებაც ყველასთვისაა აუცი-

¹³ ადრინდელ პოზიციასთან დახვეწიერებით იხილეთ ჰახენბურ-მერტენსი, შპს-თა შესახებ კანონი, მე-8 გამოცემა, 1996, § 40 ნომ. 12.

ლებელი. ეს არის უპირველეს ყოვლისა დელიქტის¹⁴ სხვადასხვა სახის სამოქალაქოსამართლებრივი შემაღგენლობა და ზოგადი სისხლის სამართლის ნორმები. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ დამცავ კანონს დელიქტური სამართლის თვალსაზრისით (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ. 2), ანუ მისი დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე იმავდროულად ხდება ვალდებული აუნაზღაუროს ზარალი იმ პირებს, რომელთა იურიდიულ კეთილდღეობას ან ქონებრივ ინტერესებს ეს ნორმები იცავს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზაცი 2 განსაზღვრავს, რომ ზარალის ანაზღაურებისთვის ის პირიც არის პასუხისმგებელი, ვინც დაარღვევს „კანონს, რომელიც ითვისისწინებს სხვა პირთა დაცვას“. ეს დელიქტური სახის ზოგადი პირობა დამცავი კანონების დარღვევისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლობის საფუძვლად, თუ დარღვეული ნორმა პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივ სანქციებს არ აწესებს. ამგვარად ხდება თითქმის ყველა კანონით განსაზღვრული დანაშაულის შემაღგენლობის შემთხვევაში, რომლებიც მხოლოდ დასჯადობას ადგენენ და სასჯელის ფარგლებს განსაზღვრავენ. თუმცა ამგვარი პასუხისმგებლობის წინაპირობას ყოველთვის წარმოადგენს ის, რომ დარღვეულ კანონს გააჩნდეს დამცავი კანონის ხასიათი ფედერალური კანონმდებლობის § 823 აბზ. 2-ის შესაბამისად. ამგვარი კვალიფიკაცია ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებსაც გერმანული სამართლის მიხედვით შპს-ს ხელმძღვანელის გარე პასუხისმგებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამ პრობლემებზე უფრო დაწვრილებით სისხლის სამართლის ნორმის მაგალითზე მოგვიანებით ვისაუბრებ.

გ) მმართველი ორგანოების წევრთათვის ან საზოგადოებისთვის მოქმედი ვალდებულებები მესამე პირთა დაცვის შესახებ

მესამე პირთა დამცავი ვალდებულებები შესაძლებელია, გარდა ამისა, იმ ნორმებიდან გამომდინარეობდეს, რომლებიც მმართველი ორგანოების წევრებს როგორც თანამდებობის პირებს ეხება.

¹⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §§ 823 აბზ 1, 824 და შემდეგ.

ამასთანავე განიხილება მოთხოვნების და აკრძალვების ნორმები, რომელთა ადრესატს საზოგადოება წარმოადგენს, რომელთა შესრულებისთვის დაზარელებულ მესამე პირთა მიმართაც, საკუთარი თანამდებობიდან გამომდინარე, საზოგადოების ხელმძღვანელი პირები არიან.

მესამე პირთა დამცავი ხასიათის მქონე ამგვარი ორგანული ვალდებულებები საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებობს, და ისინი შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა სამართლებრივი სფეროდან მომდინარეობდნენ: იქნება ეს საკორპორაციო სამართალი, სპეციალური სამეწარმეო სისხლის სამართალი, გრძელვადიან კრედიტთა ბაზრის სამართალი, საგადასახადო და საბაზლანსო სამართალი, შრომის და სოციალური დაზღვევის სამართალი, და ბოლოს საჯარო სამართლის მთლიანი სფერო, სამრეწველო სამართალი, გარემოს დაცვის სამართალითა თუ კანონი კონკურენციის შესახებ. ყველას მათ ის აერთიანებს, რომ ყოველი მათგანი მმართველი ორგანოს წევრის დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხს დაზარალებულ მესამე პირთა მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში ასაბუთებს, თუ კანონმდებლობა მას ფედერალური კანონმდებლობის § 823 აბზ 2-ის დელიქტური გენერალური კლასიფიკაციის შესაბამისად დამცავი კანონის კვალიფიკაციას აძლევს.

დ) დანაშაულის პირადად ჩადენა და მასში მონაწილეობა

გარდა ამისა დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის განსხვავებული ფორმები განიხილება. მმართველი ორგანოების წევრებმა შესაძლებელია მესამე პირთა დამცავი ნორმები პირადად დაარღვიონ, იმოქმედებენ რა მოთხოვნათა ან აკრძალვათა ნორმების საწინააღმდეგოდ. მაგრამ ისინი იმ შემთხვევაშიც არიან პასუხისმგებელნი, თუ ისინი სხვა პირებს, იქნებიან ესენი მმართველი ორგანოების სხვა წევრები ან იურიდიული პირის დანარჩენი თანამშრომლები, ამგვარი ნორმების დარღვევისკენ წააქეზებენ ან ამ დანაშაულის ჩადენაში მათ დახმარებას გაუწევენ¹⁵.

¹⁵ შდრ. ფედერალური კანონმდებლობა § 830 აბზ. 2, ანალოგიურად ქართულ სამართალში – სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 998, აბზ.1

ე) მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობის პრობლემატიკა საწარმოს არასათანადო ორგანიზაციული მოწყობის შემთხვევაში

უაღრესად პრობლემატურს და გერმანულ სამართალში მეტად საკამათო საკითხს წარმოადგენს ის, არიან თუ არა საწარმოს მმართველი ორგანოების წევრები პირადად პასუხისმგებელი მესამე პირთათვის ზიანის მიყენებისთვისაც, თუკი ამ ზარალის მიზეზს საწარმოს არასათანადო ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგენს. ამ საკითხზე პასუხი იმაზეა დამოკიდებული, არიან თუ არა საზოგადოების მმართველი ორგანოების წევრები მხოლოდ საზოგადოების წინაშე, ანუ მხოლოდ შიდა ურთიერთობაში ვალდებული, იზრუნონ საწარმოს იმგვარი ორგანიზაციისთვის, რომელიც მესამე პირთა დაზარალებას გამორიცხავს, თუ მმართველი ორგანოების წევრებს ეს ვალდებულება უშუალოდ მესამე პირთა წინაშე, ანუ გარე ურთიერთობებშიც ეკისრებათ. მხოლოდ ამ ბოლო შემთხვევაშია შესაძლებელი მმართველი ორგანოების წევრთა პირად დელიქტურ გარე პასუხისმგებლობაზე საუბარი.

2. ზოგადი, ყველასთვის მოქმედი, მესამე პირთა დაცვის შესახებ სამართლებრივი ნორმების დარღვევა

ვინც საზოგადოების მმართველი ორგანოს სახით სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებისას პირადად მიაყენებს მესამე პირს ფიზიკურ ზარალს – იქნება ეს საქმიანი კონტაქტების ფარგლებში თუ მივლინების დროს ავტოავარიის შედეგად – ვინც მესამე პირთა საზარალოდ თაღლითობას, სხვისი ქონების მითვისებას, გაფლანგვას, ქურდობას ან სხვისი ქონების დაზიანებას ჩაიდენს¹⁶, ვინც პირადად დაარღვევს კონკურენციის შესახებ კანონს ან დამცავ ნორმებს¹⁷, ან რაიმე სხვა სახით

¹⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი § 823 აბზაცები 1 და 2, შესაბამის სისხლის სამართლის ნორმებთან კავშირში.

¹⁷ საზოგადოების მმართველი ორგანოს პასუხისმგებლობა კონკურენციის შესახებ კანონის და დამცავი კანონის პირადად დარღვევისთვის შდრ. გიოტინგენი GRUR 1994, 6, 9 მტკიცებულებებით.

განზრახ და მიუღებელი ფორმით დააზარალებს მესამე პირს¹⁸, იგი, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქე, დაზარალებულის წინაშე პირადადაა პასუხისმგებელი მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის. ამგვარ შემთხვევებში მოქმედებს ზოგადი პასუხისმგებლობის ნორმები: ვინც პირადად განახორციელებს დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმის დარღვევას, სწორედ ის არის პირადად პასუხისმგებელი დაზარალებული პირის წინაშე ზარალის ანაზღაურებისთვის. იგივეს ადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 830-ის მე-2 აბზაცი, ამგვარი მართლ-საწინააღმდეგო ქმედებების წაქეზებისა და მათში დახმარების გაწევისთვის. ასე მაგალითად, თუ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი სააქციო საზოგადოების კრედიტორის მოტყუებისკენ წააქეზებს გამგეობის წევრს ან საწარმოს თანამშრომელს, როგორც წამქეზებელს, ასევე დამნაშავეს ერთნაირად ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა. ჩვეულებრივი დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევებისგან ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მმართველი ორგანოს წევრის პირადი პასუხისმგებლობის პარალელურად დგება დამატებითად იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხიც, რომელიც როგორც გერმანული, ასევე ქართული სამართლის¹⁹ მიხედვით პასუხს აგებს მისი ორგანოების ქმედებისათვის.

3. მესამე პირთა დაცვის ხასიათის მქონე განსაკუთრებული სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევა

განსაკუთრებით პრობლემატურია მმართველი ორგანოების წევრების პირადი პასუხისმგებლობის ინტერპრეტაცია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ. 2 დელიქტური ზოგადი დელიქტური პირობის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს პასუხისმგებლობას დამცავი კანონების დარღვევისათვის. გერმანიის საკორპორაციო სამართლის შიდა პასუხისმგებლობის პრინციპის მიხედვით ხელმძღვანელი თანამდებობის მქონე

¹⁸ შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი §§ 824, 826

¹⁹ შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი § 31 და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები 38 აბზ. 1 და 997.

პირებს კანონის შესაბამისი ორგანული ვალდებულებები ეკისრებათ მხოლოდ საზოგადოების წინაშე. იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი ორგანული ვალდებულებები მესამე პირთა სასარგებლოდ მაინც იქნება კვალიფიცირებული როგორც დამცავი კანონები, დელიქტური პასუხისმგებლობის ხაფანგი მმართველი ორგანოების წევრთათვის დაიხურება. და ვინაიდან გერმანიაში, უკანასკნელ წლებში გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო გაკოტრებულ საზოგადოებათა რაოდენობამ სწორედ შპს-ებს შორის მკვეთრად იმატა, ცხადია კრედიტორთა შორისაც უფრო იმატა იმის სურვილმა, რომ გადახდისუნარიობასთან დაკავშირებული საქმეთწარმოების დროს საზოგადოების მიმართ მოთხოვნების ნაკლებობა, პრეტენზიის პირადად მმართველი ორგანოების წევრების მიმართ წაყენებით ნაწილობრივ მაინც აანაზღაურონ. ამას მიყვავართ მეტად საფიქრალ ფაქტთან, რადგანაც პასუხისმგებლობა მმართველი ორგანოების წევრთა საზიანოდ ტენდენციურად მატულობს.

სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ გერმანიის საკორპორაციო სამართლის დოქტრინაში აქტიურად მიმდინარეობს კამათი მმართველ ორგანოთა ვალდებულებების, როგორც დამცავი კანონის ხასიათზე, რომლებმაც როგორც მმართველი ორგანოების წევრების დელიქტური გარე პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების საფუძველმა პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინეს.

ა) გაკოტრების განცხადების ვალდებულება

საკამათოა, მაგალითად, აქვს თუ არა დამცავი კანონის ხასიათი გაკოტრების განცხადების ვალდებულებას, ანუ საზოგადოების მმართველი ორგანოების ვალდებულებას, იქნება ეს სააქციო საზოგადოება თუ შპს, საზოგადოების გადახდისუნარიობის ან მეტისმეტად დიდი პასიური ბალანსის (დავალიანების) შემთხვევაში თავი გაკოტრებულად გამოაცხადონ²⁰. არსებული დოქტრინის მიხედვით²¹ გაკოტრების განცხადების ვალდებულება

²⁰ § 92 აბზ. 2 სააქციო კანონი; § 64 აბზ 1 კანონი შპს-თა შესახებ.

²¹ მაგ. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 126, 181 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული

განიხილება როგორც დამცავი კანონი საზოგადოების კრედიტორთა სასარგებლოდ, ვინაიდან კანონი ამ ვალდებულებას მმართველი ორგანოს ყველა წევრს, როგორც თანამდებობის პირს სწორედ საზოგადოების კრედიტორთა დასაცავად აკისრებს. გაკოტრების ზღვარზე მდგარმა საწარმომ უკვე არსებულ კრედიტორებს დროულად უნდა აცნობოს ამის შესახებ გაკოტრების დეკლარაციის საშუალებით, რათა კრედიტორი დაცულ იქნას მისი ქონებრივი მდგომარეობის შემდგომი გაუარესებისგან²². ის კრედიტორები, რომლებმაც საქმიანი გარიგებიდან გამომდინარე პრეტენზიები საზოგადოების წინააღმდეგ მხოლოდ საწარმოს გაკოტრების შემდეგ ჩამოაყალიბეს, იმისგან უნდა იქნან დაცულნი, რომ არ შევიდნენ გაკოტრებულ საზოგადოებასთან რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებში²³.

გაკოტრების განცხადების ამ განსხვავებული მიზნების გამო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების წევრები გაკოტრების განცხადების პასუხისმგებლობის დანაშაულებრივი დარღვევისთვის საზოგადოების ძველ კრედიტორთა წინაშე დელიქტიდან გამომდინარე²⁴ მხოლოდ კოტრების შემცირებით გამოწვეული ზარალისთვის არიან პასუხისმგებელნი. სწორედ ეს არის განსხვავება გაკოტრების დროული განცხადების შემთხვევაში პიპოტენტურად მიღწევად ქვოტასა და გაკოტრებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის შედეგად რეალურად მიღებულ ქვოტას შორის²⁵. სინამდვილეში ეს პასუხისმგებლობა მიზანს

გამოცემა 1984, 2220; ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 138, 211 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1998, 2667, პახენბურგ-ულმერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-8 გამოცემა 1997, § 64, ნომ. 47, კიოლნის კომენტარი – მერტენსი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-2 გამოცემა 1996, § 92, ნომ. 52

²² ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 126, 181, 189 და შემდეგ = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1994, 2220;

²³ ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 138, 211, 214 და შემდეგ = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1998, 2667;

²⁴ სამოქალაქო კოდექსი, § 823 აბზ. 2

²⁵ ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან

ვერ აღწევს და არსებობს მხოლოდ ქალაქდზე, რადგანაც განსხვავების დადგენა პრაქტიკაში შეუძლებელია²⁶.

კანონმდებლობის მიხედვით, ამის საპირისპიროდ, მმართველ ორგანოთა წევრები ახალი კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელნი არიან ხელშეკრულების დადებით გამოწვეული ზარალის სრული დაფარვისთვის, თუ ეს ზარალი გამოწვეულია გაკოტრებულ საზოგადოებასთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებით; და ეს ზარალი შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს. რადგანაც იგი მოიცავს ყველა იმ მომსახურებას, რაც მანამდე გაეწია საზოგადოებას, მხოლოდ საზოგადოების მიერ გაწეული საპასუხო მომსახურების და საბანკოტო ქვოტის გამოკლებით²⁷. ასე, რომ გაკოტრების ფაქტის დაფარვა საზოგადოების მმართველი ორგანოებისთვის გარე პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან რისკთანაა დაკავშირებული.

სწორედ ამიტომაც, რომ სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა, თუ რამდენად შეესაბამება გაკოტრების განცხადების ვალდებულებას დამცავი კანონის ხასიათი; და ეს ეჭვი აბსოლუტურად გამართლებულია²⁸.

დაკავშირებით 29, 100, 104 და შემდეგ = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1959, 623; ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 126, 181 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1994, 2220, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 138, = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1998, 2667 ბაუმბახ-ჰუკ-შულც-ოსტერლო, კანონი შპს-თა შესახებ, მე-17 გამოცემა 2000, § 62, ნომ. 85 შემდგომი მტკიცებულებებით.

²⁶ როტ/ალტმეჰენ, კანონი შპს-თა შესახებ, მე-4 გამოცემა 2003, § 64, ნომ. 28 შემდგომი მტკიცებულებებით.

²⁷ ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 126, 181 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1994, 2220; ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 138, 211, 214 და შემდეგ = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1998, 2667.

²⁸ ალტმეჰენ/ვილკელმი ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1999, 673, 679, ალტმეჰენ ZIP 2001, 2201; როტ/ალტმეჰენ, კანონი შპს-თა შესახებ, მე-4 გამოცემა 2003, § 64, ნომ. 55 და შემდეგ.

ბ) ბუღალტრული წარმოების ვალდებულება

ასევე საკამათოა, აქვს თუ არა ბუღალტერიის წარმოების ვალდებულებას დამცავი კანონის ხასიათი. უდაოა, რომ სააქციო საზოგადოების და შპს-ს ხელმძღვანელი ორგანოების ვალდებულება იზრუნონ საზოგადოების ბუღალტერიის კანონის შესაბამისად წარმოებაზე²⁹, მიმართულია მესამე პირთა დასაცავად. მაგრამ ამის მიუხედავად არსებული დოქტრინა არ განიხილავს ამ ნორმას, როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ 2-ის შესაბამის დამცავ კანონს³⁰, რაც ასეც უნდა იყოს. ამიტომ სააქციო საზოგადოების ან შპს-ს ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა მიერ ბუღალტერიის წარმოების ვალდებულების დარღვევა არ წარმოადგენს საზოგადოების კრედიტორთა მიმართ უშუალო ორგანული პასუხისმგებლობის საფუძველს.

თუმცა არსებობს ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც ბუღალტერიის წარმოების ვალდებულების დამცავი კანონის ხასიათს აღიარებს და, აქედან გამომდინარე, მხარს უჭერს კრედიტორთა მიმართ საზოგადოების მმართველი ორგანოების წევრების უშუალო პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, მათ მიერ ბუღალტერიის წარმოების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში³¹.

გ) მესამე პირთა დამცავი ვალდებულებები, რომელთა დარღვევაც კანონით ისჯება

ბოლო დრომდე პრაქტიკაში მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობისათვის უმნიშვნელო როლს თამაშობს

²⁹ სააქციო კანონი § 91, აბზაცი 1; კანონი შპს-თა შესახებ § 41

³⁰ ასე მაგალითად სააქციო საზოგადოებისთვის კიოლნის კომენტარი – მერტენსი, სააქციო კანონი, მე-2 გამოცემა 1996, § 91, ნომ. 7 შემდგომი მტკიცებულებებით; შპს-სთვის, მაგალითად, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 125, 366, 377 და შემდეგ = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1994, 1801, ლუთერ/ჰომგოფი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-15 გამოცემა 2000, § 41, ნომ. 4; როტ/ალტმეჰენი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-4 გამოცემა 2003, § 41, ნომ. 12, ყველა შესაბამისი შემდგომი მტკიცებულებებით

³¹ შოლც-შნაიდერ, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა, 2000, § 43, ნომ. 236 ა შემდგომი მტკიცებულებებით.

შესაბამისი სააქციო და შპს-ს კანონმდებლობის ამკრძალავი ნორმები, რომელთა დარღვევაც კანონით ისჯება, და რომელთა ადრესატს მმართველი ორგანოების წევრები წარმოადგენენ; მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კაპიტალის ზრდასთან დაკავშირებული თადლითობა³² ან საზოგადოების გაკოტრებასთან დაკავშირებული მმართველი ორგანოს პასუხისმგებლობების დარღვევა³³. თუმცა ბოლო დროს პროკურატურის ორგანოები სწორედ საწარმოთა გაკოტრების საქმეებთან დაკავშირებით სწორედ მსგავსი საკორპორაციო-სამართლებრივი დარღვევებისას ემხრობიან უფრო მკაცრ სისხლის სამართლებრივ დევნას. ასე რომ, დასაშვებია, რომ სულ უფრო გახშირდება საზოგადოების კრედიტორებთა მიერ სარჩელის შეტანის ფაქტები საზოგადოებისაგან ზარალის ანაზრაურების მოთხოვნით.

4. საზოგადოების მიერ მესამე პირთა დაცვის ვალდებულებების დარღვევა

თუ აქამდე მმართველი ორგანოების წევრების თანამდებობრივ ვალდებულებებზე ვსაუბრობდი, რომელთა დარღვევაც შესაძლებელია პირადი დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს, ახლა მსურს რამოდენიმე სიტყვით მესამე პირთა ის დამცავი ვალდებულებები მიმოვიხილო, რომლებიც საზოგადოებას აკისრია.

საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების წევრების მიერ ამგვარი ვალდებულებების დარღვევა მხოლოდ ქვემოთ აღნიშნული ორი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს დაზარალებული მესამე პირის მიმართ პირადი დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველს:

³² სააქციო კანონის § 399, აბზ. 1, ნომ. 4 წარმოადგენს დამცავ კანონს სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ 2-ის შესაბამისად: ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 105, 121, 123 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1988, 2794; ასევე კანონი შპს-თა შესახებ § 82, აბზ. 1 ნომ. 3

³³ სააქციო სამართლის § 401 აბზ. 1 წარმოადგენს დამცავ კანონს სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ 2-ის შესაბამისად: ფედერალური სასამართლო WM 1985, 384

- პირველ რიგში ნორმას, რომელსაც ეფუძნება საზოგადოების შესაბამისი ვალდებულება, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ. 1-ის ზოგადი დელიქტური პირობის შესაბამისად დამცავი კანონის ხასიათი უნდა გააჩნდეს, რათა საერთოდ იქნას შესაძლებელი დელიქტურ გარე პასუხისმგებლობაზე საუბარი.
- და მეორე, მმართველი ორგანოს წევრი დაზარალებული მესამე პირის წინაშე პირადად უნდა იყოს პასუხისმგებელი საზოგადოების მიერ მესამე პირთა დამცავი კანონის შესრულებისთვის, ანუ საზოგადოების ეს ვალდებულება მესამე პირის წინაშე მას ამავედროულად პირადი თანამდებობრივი ვალდებულების სახით უნდა ეკისრებოდეს; ამაში აგრეთვე პირადი პასუხისმგებლობაც იგულისხმება.

ა) სოციალური დაზღვევის ფონდში დასაქმებულთა შენატანების დაყოვნება

არსებული დოქტრინის მიხედვით ორივე პირობას აკმაყოფილებს სისხლის სამართლის ნორმა, რომელსაც გერმანიის სამეწარმეო პრაქტიკაში საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების გარე პასუხისმგებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: კანონით გათვალისწინებული დამსაქმებლის ვალდებულება სისხლის სამართლის კოდექსის § 266-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც დასაქმებულთა შენატანები სოციალური დაზღვევის ფონდში დროულად უნდა ჩაირიცხოს. ამ ვალდებულებას სააქციო საზოგადოების გამგეობის წევრები ან შპს-ს ხელმძღვანელი პირები არღვევენ მაშინ, როდესაც საზოგადოება გაკოტრების ზღვარზეა, ანუ დასაქმებულები დებულობენ თანხას, რაც მათ დაბეგრულ ხელფასს უტოლდება, თუმცა საზოგადოება არ იხდის იმ სოციალური დაზღვევის გადასახადს, რაც დასაქმებულთა ხელფასზე მოდის, რადგანაც მას არ გააჩნია საკმარისი თანხები და ეს ქმედება ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს, რათა წარმოების პროცესი არ შეჩერდეს და საწარმომ რაღაც პერიოდის განმავლობაში მაინც შეძლოს არსებობა. მსგავსი შემხვევები სამწუხარო ყოველდღიურობას წარმოადგენს შპს-ს საქმიანობაში. ამდენად, ხშირია საწარმოს ხელმძღვანელთა მიმართ ზარალის ანაზღაურების

დაკისრების ფაქტები. სააქციო საზოგადოებებში კი მსგავს შემთხვევებთან ჯერ-ჯერობით საქმე არ გვქონია. ყოველ შემთხვევაში, არ არსებობს შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები.

მუშა-მოსამსახურეთა მიერ სოციალური დაზღვევის გადასახადის დროულად გადაუხდელობისას საზოგადოების ხელმძღვანელობა ამგვარი საქციელით საკუთარ თავს, ერთის მხრივ, დასჯადს ხდის, რადგანაც იურიდიული პირების წარმომადგენლობითი ორგანოები სისხლის სამართლის კოდექსის § 14-ის 1-ლი აბზაცის მიხედვით, თვითონ წარმოადგენენ სისხლის სამართლის დანაშაულის ნორმატიულ ადრესატებს. მეორეს მხრივ სასამართლო პრაქტიკის³⁴ და სამართალმცოდნეობაში გაბატონებული აზრის³⁵ მიხედვით, ისინი სოციალური მზღვეველის წინაშე, დელიქტური სამართლის შესაბამისად, ზარალის ანაზღაურებაზე არიან პასუხისმგებელნი, რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსის § 266 ა შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც სამოქალაქო კოდექსის § 823-ის მე-2 აბზაცის შესაბამისი დამცავი კანონი სოციალური მზღვეველის სასარგებლოდ.

ეს არსებული დოქტრინის მიერ აღიარებული შპს-ს ხელმძღვანელობის წევრთა პირადი გარე პასუხისმგებლობა, დაფაროს მთელი ის თანხა, რაც დასაქმებულთა ხელფასების სოციალური დაბეგვრის სახით არ იქნა გადახდილი, ქმნის მთელ რიგ პრობლემებზე სამართლებრივ საკითხებს, რომლებსაც აქ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია შევეხოთ:

³⁴ მაგ. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 144, 311 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 2000, 2993; ფედერალური სასამართლოს ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 2002, 1122; ფედერალური სასამართლოს ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 2001, 967 მრავალი მტკიცებულებით

³⁵ მაგ. პას საზოგადოების მართვის პასუხისმგებლობა და კრედიტორთა დაცვა, 1997, გვ. 196 და შემდეგ; შოლზ-შნაიდერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა 2000, § 43 ნომ. 275; ლუთერი/ჰოფმანი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა 2000, § 43 ნომ. 51; ბაუმბახ/ჰუკ-ცოლნერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა 2000, § 43 ნომ. 69.

ასე მაგალითად თავიდანვე პრობლემატურია ის საკითხი, უნდა იყოს თუ არა საზოგადოების ხელმძღვანელობის წევრი მისი საკუთარი ქონებით პასუხისმგებელი იმ გადასახადების დაფარვისთვის, რომლებიც გერმანიის სოციალური დაზღვევის სამართლებრივი კონცეფციის მიხედვით დამსაქმებლის, ანუ საზოგადოების ქონებიდან უნდა იქნას დაფარული. გარდა ამისა სისხლის სამართლის კოდექსის § 266-ის დოგმატური კვალიფიკაცია, თითქოსდა იგი წარმოადგენდეს დამცავ კანონს შესაბამისი სოციალური მზღვეველის სასარგებლოდ, სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ. 2-ის შესაბამისად, მეტად საეჭვოა, რადგანაც სისხლის სამართლის ნორმის დამცავ მიზანს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს სწორედ კოლექტიური სოციალური დაზღვევის სისტემაში³⁶ შენატანების უზრუნველყოფა და არა ამ გადასახადების ამკრეფი ცალკეული პუნქტის ინდივიდუალური დაცვა. ამის გარდა ეჭვს ბადებს ამ დანაშაულებრივი უმოქმედობით გამოწვეული დელიქტის ნაკლებად ზუსტი შინაარსი და განსაკუთრებით კი შენატანების დანაშაულებრივი „დაყოვნების“ ჩადენის ზუსტი დროის დადგენის შეუძლებლობა. დაბოლოს, სამართლებრივად გაურკვეველია, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან ზარალის ანაზღაურების ეს პასუხისმგებლობა და ასევე კანონით რეგულირებადი ვალდებულება, რომელიც სახელდასო დაბეგერის დროულად გადახდას გულისხმობს, ისევე როგორც კოლიზია საზოგადოების მმართველ ორგანოებზე მიმართულ აკრძალვასთან - საზოგადოების გაკოტრების შემდეგ ცალკეულ კრედიტორებს გადაუხადონ თანხა³⁷.

გერმანიის სასამართლო სისტემა, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო მკაცრი ხდება გაკოტრებულ შპს-თა მმართველი პირების დელიქტური გარე პასუხისმგებლობის მიმართ სოციალური დაზღვევის ფონდში დასაქმებულთა შენატანების დაყოვნების შემთხვევაში, ამასობაში მივიდა იქამდე,

³⁶ მაგ. ფედერალური სასამართლოს ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1887, 1237, 1238; უზენაესი სამხარეო სასამართლო ფრანკფურტი, ZIP 1995, 213, 215; შტაპელფელდი სასამართლოს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა განხილვის შესახებ 1991, 1501, 1505, შემდგომი მტკიცებულებებით.

³⁷ § 92 აბზ. 3 სააქციო კანონი; § 64 აბზ. 2 კანონი შპს-თა შესახებ.

რომ აბსოლუტურად მიზანშეუწონლად მოხდა საზოგადოების პასუხისმგებლობის გადატანა მის ხელმძღვანელ პირებზე და შეიქმნა საზოგადოების მმართველი ორგანოების წევრთათვის უაღრესად მაღალი რისკის საფუძველი, რასაც შედეგად შესაძლებელია სანირების შეფერხება მოყვეს.

ყველა ჩამოთვლილი მიზეზის გამო, ორგანოს წევრთა გარე პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართლის დოქტრინაში სულ უფრო ხშირად ხდება კრიტიკის საგანი³⁸.

ბ) კანონით გათვალისწინებული საზოგადოების სხვა ვალდებულებები

მათი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას საზოგადოებებმა უნდა გაითვალისწინონ კანონით დადგენილი მრავალი ნორმა, რომლებიც სამართლის განსხვავებული სფეროებიდან მომდინარეობს და სხვადასხვა დამცავ მიზანს ემსახურება. ამგვარი ნორმები დაფიქსირებულია შრომის სამართალში, სამეწარმეო სამართალში, საგადასახადო სამართალში, კანონში მონაცემთა დაცვის შესახებ, კანონში გარემოს შესახებ, კანონში კონკურენციის შესახებ, საბანკო და გრძელვადიან კრედიტთა ბაზრის სამართალსა და საგარეო ეკონომიკის სამართალში. ამ ნორმების შესრულებისთვის მათი თანამდებობიდან გამომდინარე საზოგადოების მმართველი ორგანოების წევრები არიან პასუხისმგებელნი, თუმცა ძირითადად შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში. სხვაგვარად მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მმართველი ორგანოს წევრის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი შესაბამის კანონში ნათლადაა დაფიქსირებული. გერმანიაში დღესდღეობით ამგვარი ნორმები უკვე არსებობს საგადასახადო სამართალში და სამომავლოდ იქნება გრძელვადიან კრედიტთა ბაზრის სამართალში, სადაც ბოლო დრომდე ორგანოს

³⁸ სასამართლოს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა განხილვის შესახებ 1986, 2261, დრეერ – დირექტივა კანონის აღსრულების შესახებ 1991, 2586; კან სამოქალაქო სამართლის რეესტრი 1998, 367, 371; შტეინ – ჟურნალი „გერმანიის საგადასახადო სამართალი“ 1998, 1055 და შემდეგ: ჰახენბურგ-მერტენსი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-8 გამოცემა, 1996, § 43 ნომ. 120; ჰახენბურგ-მერტენსი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-8 გამოცემა, 1996, § 64 ნომ. 62;

წევრთა მიმართ მესამე პირების მხრიდან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით საბირჟო-სამართლებრივი პროსპექტის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლებოდა დამდგარიყო მხოლოდ გარკვეული შეზღუდული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში მმართველი ორგანოების წევრების დელიქტური გარე პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, პრინციპში მხოლოდ ორი, ზემოთ უკვე ნახსენები წინაპირობის არსებობისას შეიძლება დადგეს: ერთისმხრივ ვალდებულების დამსაბუთებელ ნორმას უნდა გააჩნდეს სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ. 2-ის შესაბამისი დამცავი კანონის ხასიათი, კერძოდ კი, ვალდებულების დარღვევის შედეგად დაზარალებული მესამე პირის სასარგებლოდ; მეორესმხრივ კი მმართველი ორგანოს წევრი პირადად უნდა იყოს პასუხისმგებელი საზოგადოების მიერ მესამე პირთა დამცავი ვალდებულებების შესრულებისთვის. პასუხისმგებლობის ამგვარი შეფარდება შესაძლებელია ეფუძნებოდეს ან სპეციალურ სამართლებრივ დირექტივას, როგორც მაგალითად ნახსენები ნორმის შემთხვევაში, ანდა ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაულის და ადმინისტრაციული დარღვევის შემთხვევაში გამომდინარეობდეს სისხლის სამართლის კოდექსის § 14 აბზ. 1 ნომ. 1-ით და ადმინისტრაციული დარღვევების შესახებ კანონის § 9 აბზ. 1 ნომ. 1-ით გათვალისწინებული ზოგადი შეფარდების ნორმებიდან. ამ ორივე წინაპირობის არარსებობის გამო ბოლო დრომდე ამო იყო აქციონერთა ყველა მცდელობა, ბირჟაზე კვოტირებული სააქციო საზოგადოების გამკეობის წევრებისაგან მოეთხოვათ ზარალის ანაზღაურება გრძელვადიანი სესხების ბაზრის მოვალეობათა დარღვევის გამო, მას შემდეგ, რაც ისინი საგრძნობლად დაზარალდნენ კურსის დაცემით.

გარდა ამისა, საზოგადოებაზე დაკისრებული მესამე პირთა დამცავი ვალდებულებების დარღვევის გამო, მმართველი ორგანოების წევრებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულების პირადად წაყენება მხოლოდ ძალიან ვიწრო სამართლებრივ ფარგლებშია შესაძლებელი, თუკი ეს ვალდებულებები პირადად მათ მიერ არ იქნება დარღვეული და ბრალი მხოლოდ საზოგადოების არასწორ ორგანიზებაში და

მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა

არასაკმარის მეთვალყურეობაში დაეღებათ. დეტალები გერმანულ სამართალში მეტად საკამათოა. მაგრამ მე მსურს შევეცადო, გადმოვცე პრობლემის არსი.

5. მმართველ ორგანოთა გარე პასუხისმგებლობა ორგანიზაციული ვალდებულებების დარღვევის გამო?

ა) შიდასტრუქტურულ ურთიერთობებში საწარმოს სათანადოდ ორგანიზების ვალდებულება

მმართველ ორგანოთა ამოცანების დაქვემდებარებულ თანამშრომლებზე დელეგირება საწარმოს ეფექტური მართვისთვის აუცილებელია და ეს სამართლებრივად საკმაო მოცულობითაა დაშვებული. უფრო მეტიც, მმართველმა ორგანომ საწარმოო პროცესების სათანადო ორგანიზებით, მომუშავე პერსონალის ამოქმედებით, კადრების მართვით, ისევე როგორც შესაბამისი კონტროლის სისტემით უნდა უზრუნველყოს, რომ საწარმოო საქმიანობით არ იქნას კანონის ნორმები დარღვეული და მესამე პირებს არ მიადგეთ ზარალი. ამგვარი საორგანიზაციო ვალდებულება, რომელიც გამოიხატება საწარმოს პასუხისმგებლობაში განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციული მოწყობა, კომპეტენტური ორგანოების წევრებს ძირითადად მხოლოდ შიდასტრუქტურულ ურთიერთობებში, საზოგადოების წინაშე ეკისრებათ, და არა გარე ურთიერთობებში, ანუ - საწარმოო აქტივობის ან თანამშრომელთა დაუშვებელი მოქმედების გამო დაზარალებულ მესამე პირთა მიმართ.

ბ) მმართველი ორგანოების წევრთა გარანტიად დადგომა გარე ურთიერთობებში?

ზოგიერთები იმ მოსაზრებას უჭერენ მხარს, რომ საზოგადოების მმართველი ორგანოების წევრებს საორგანიზაციო და სახედამხედველო ვალდებულებები მესამე პირთა წინაშეც უნდა ეკისრებოდეთ. მათი თქმით, მმართველი ორგანოების წევრები საორგანიზაციო ძალაუფლების გამო გარანტის როლში გამოდიან, რაც აგრეთვე უკავშირდება მესამე პირთა წინაშე აღებულ ვალდებულებას - საწარმო იმგვარად იქნას ორგანიზებული, რომ მესამე პირებს არ მიადგეთ ზარალი. თუკი მმართველი

ორგანოების წევრები ამ დელიქტურ საგარანტიო ვალდებულებებს დაარღვევენ, ისინი, სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ. 1-ის მიხედვით, მესამე პირთა წინაშე ზარალის ანაზღაურებისთვის უნდა იყვნენ პასუხისმგებელი³⁹. სხვები მმართველი ორგანოების წევრების ამგვარ გარე პასუხისმგებლობას ხიფათის, ამოცანებისა და ვალდებულებების საკუთარ თავზე ადების პოზიციიდან ასაბუთებენ ან აპელირებენ ნდობის ფაქტორზე, რომელიც მესამე პირებმა სწორედ საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს გამოუცხადეს⁴⁰.

მმართველი ორგანოების წევრების საზოგადოების შიდა-სტრუქტურული ვალდებულებების დამატებითად გარე ურთიერთობებზე გადატანასთან დაკავშირებული საფრთხე ნათელია: იგი გამოიწვევდა პასუხისმგებლობის უკონტროლო ზრდას, რადგანაც ყველა ჩამოთვლილი კრიტერიუმში სამართლებრივი თვალსაზრისით ზედმეტად აბსტრაქტულია იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს აუცილებელი და გონივრული შემოფარგვლა პასუხისმგებლობის დარღვევის მხოლოდ უკიდურესი შემთხვევებით.

სწორედ ამიტომ უარყოფს სამართალმცოდნეობაში გაბატონებული აზრი საზოგადოების შიდასტრუქტურული ვალდებულებების მესამე პირთა დამცავ ხასიათს. პირადი გარე პასუხისმგებლობა ორაგნიზაციული დარღვევების ან დაქვემდებარებული თანამშრომლების დელიქტური ქმედებისათვის, რომელიც მესამე პირთა დაზარალების მიზეზი გახდა, მმართველი ორგანოს წევრებს შეიძლება დაეკისროს გამონაკლის შემთხვევაში, თუკი ისინი დაარღვევენ საკუთარ დელიქტურ საგარანტიო ვალდებუ-

³⁹ ასე მაგალითად: ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 109, 297, 304 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1990, 976; ფედერალური სასამართლოს ZIP, 1996, 786, 788; ბრიუგერმაიერი AcP 191 (1991), 33, 65 დ შემდეგ; შოლც- შნაიდერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა 2000, § 43, ნომ. 232; ალტმეჟერ ZIP 1995, 881, 887 და შემდეგ; როტ/ალტენმეჟერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-4 გამოცემა 2003, § 43, ნომ. 46.

⁴⁰ ეს პოზიცია დეტალურად წარმოდგენილია: კლეინდეკი, „დელიქტური პასუხისმგებლობა და იურიდიული პირები“, 1997, გვ. 393 და შემდეგ, მოყვანილი მრავალი მაგალითით.

ლებას, განსაკუთრებით კი ვალდებულებას აარიდონ მესამე პირებს ის საშიშროება, რომელიც საკუთრივ მათ მიერვეა გამოწვეული⁴¹.

VI. საგადასახადო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

საზოგადოების საგადასახადო სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას გერმანიის საგადასახადო სამართალი საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებს მათი თანამდებობრივ ვალდებულების სახით აკისრებს, გერმანიის საგადასახადო კანონის § 34, აბზ. 1; მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო დავალიანების მქონედ ყველაზე ხშირად თვით საზოგადოება გვევლინება, საზოგადოების მმართველი ორგანოების წევრები კანონის თანახმად პირადად არიან სახელმწიფო ხაზინის წინაშე პასუხისმგებელი იმისთვის, რომ შესრულდეს ყველა საგადასახადო სამართლებრივი ვალდებულება. ასევე, გერმანიის საგადასახადო კანონის § 69-ს შესაბამისად, ისინი პირადად არიან სახელმწიფო ხაზინის წინაშე ზარალის ანაზღაურებისთვის პასუხისმგებელი, თუ ისინი მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს განზრახ ან დანაშაულებრივი გულგრილობით დაარღვევენ და ამით სახელმწიფო ხაზინას ზარალი მიადგება.

განსაკუთრებით მკაცრ მოთხოვნებს უყენებს საშემოსავლო გადასახადების შესახებ კანონის § 38 აბზ. 3 და § 41 ა ხელფასების დაბეგვრის დროულ და სანდო გადახდას; იგი უფლებამოსილი მმართველი ორგანოს მიერ ყველა გარემოების დაცვით უნდა იქნას შეტანილი საფინანსო უწყებაში. ამ ვალდებულებას დამრღვევი, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს დარ-

⁴¹ მაგ. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 125, 366, 375 = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1994, 1801, დრეერი ZGR, 1992, 22, 34; პაასი, საზოგადოების მართვა და კრედიტორთა დაცვა, 1997, გვ. 211 და შემდეგ; კლინდიკი, დელიქტური პასუხისმგებლობა და იურიდიული პირი, 1997, გვ. 443; ლუთერი ZHR, 157 (1993), 464, 472 და შემდეგ; პახენბურგ-მერტენსი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-8 გამოცემა, 1996, § 43, ნომ. 46 და შემდეგ.

ღვევა მხოლოდ დაუდევრობითაა გამოწვეული, გადასახადების გადაუხდელობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის პირადადაა პასუხისმგებელი სახელმწიფო ხაზინის წინაშე⁴².

საზოგადოების მმართველი ორგანოების პირად პასუხისმგებლობას საზოგადოების საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისევე როგორც სოციალური მზღვეველი, სახელმწიფო ხაზინაც უპირატესად მმართველი ორგანოების წევრებს მიმართავს, როდესაც გაკოტრებული საზოგადოებისგან რაიმეს მიღება შეუძლებელი ხდება. მმართველი ორგანოების წევრთათვის ეს უშუალო საგადასახადო პასუხისმგებლობა ნათლად გამოკვეთილ პასუხისმგებლობის რისკს არ წარმოადგენს, რადგანაც იგი ჯერ კიდევ სამართლებრივად გაურკვეველ კონკურენციაშია ზარალის ანაზღაურების იმ მოთხოვნებთან, რომლებსაც სოციალური მზღვეველი აყენებს.

VII. მოქმედების სფეროთა დანაწილების შედეგები მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობისათვის

გერმანიის საკორპორაციო სამართლის მიხედვით კოლეგიალურ ორგანოებთან მიმართებაში მოქმედებს მმართველი ორგანოს ყველა წევრთა საერთო პასუხისმგებლობის პრინციპი შესაბამისი ორგანოს საერთო ამოცანების შესრულებისთვის⁴³. თუმცა შპს-ს ან სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოების შემთხვევაში დაშვებულია სფეროთა დანაწილება, რომელიც მმართველი ორგანოს თითოეულ წევრს განსაზღვრული ამო-

⁴² შდრ. დეტალებში სასამართლო პროცესის მტკიცებულებანი, შოლც-შნაიდერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა, 2000, § 43, ნომ. 270 და შემდეგ; როტ-ალტმეპენი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა, 2003, § 43, ნომ. 34

⁴³ მაგ. ფედერალური სასამართლოს გამოცემა შპს-თა მიმოხილვა, 1997, 26; შოლც-შნაიდერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა 2000, § 43 ნომ. 34 და შემდეგ; კომენტარი – ჰობფი, სააქციო კანონი, მე-4 გამოცემა, 1999, § 93, ნომ. 60 და შემდეგ, შესაბამისი მტკიცებულებებით.

ცანების პირადი პასუხისმგებლობით შესრულებას აკისრებს⁴⁴. თუკი კომპეტენციითა ქმედითი დანაწილებისთვის ყველა აუცილებელი წინაპირობაა დაკმაყოფილებული, მაშინ მმართველი ორგანოების წევრები მხოლოდ საკუთარი სფეროსთვის არიან პასუხისმგებელნი და პასუხს აგებენ მხოლოდ მათ კომპეტენციაში მყოფ საზოგადოების მართვის სფეროში პასუხისმგებლობის დარღვევისთვის. ამავე დროს მმართველი ორგანოების წევრებს პრინციპში უფლება აქვთ მათ კოლეგებს მისცენ საშუალება სათანადოდ განახორციელონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები. თუმცა ამავე დროს მმართველი ორგანოს თითოეულ წევრს ეკისრება ინფორმირებულობის და ზედამხედველობის პასუხისმგებლობა, რაც მათ ავალდებულებს, უწყვეტად აღეწონ თვალყური მათი კოლეგების საქმიანობას და დარწმუნდენ მათზე დაკისრებული ამოცანების წესის მიხედვით შესრულებაში.

თუკი თავს იჩენს იმის ნიშნები, რომ მმართველი ორგანოს ცალკეული წევრი მასზე დაკისრებულ ვალდებულებას სათანადოდ არ ასრულებს, სხვა წევრების მხრიდან გულგრილობის შემთხვევაში კვლავ დგება მმართველი ორგანოს წევრთა საერთო პასუხისმგებლობის საკითხი. ამ შემთხვევაში მმართველი ორგანოს ვერც ერთი წევრი ვერ ისარგებლებს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების იმ პრინციპით, რომელიც სფეროთა დანაწილებას ეფუძნება. სამართლებრივი სისტემა უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს იმ შემთხვევას, როდესაც საზოგადოება ფინანსურ კრიზისში ექცევა. ამ დროს მმართველი ორგანოს ნებისმიერმა წევრმა, მიუხედავად სფეროთა დანაწილების ეფექტურობისა, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ საზოგადოებამ მასზე დაკისრებული საგადასახადო და სოციალური დაზღვევის ვალდებულებები კანონის შესაბამისად შეასრულოს⁴⁵.

⁴⁴ იხილეთ სააქციო საზოგადოებისთვის სააქციო კანონი § 77 აბზ. 1, პუნქტი 2; იგივე ეხება კანონთ გათვალისწინებული რაიმე გამოკვეთილი რეგულირების გარეშე შპს-საც, შოლც-შნაიდერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა 2000, § 43, ნომ 36 და შემდეგ.

⁴⁵ საგადასახადო სამართლისთვის შეადარე მაგ. ფედერალური საფინანსო სასამართლო / რაციონალიზატორული წინადადება 1992, 785; სოციალური

VIII. მმართველ ორგანოთა წევრთა გარე პასუხისმგებლობის დაზღვევის შესაძლებლობა

1995 წლიდან გერმანიის სააწარმოებს შეუძლიათ დააზღვიონ მათი მმართველი ორგანოების წევრები გარე პასუხისმგებლობაზე. საკორპორაციო სამართლის მიხედვით არ წარმოადგენს პრობლემას, რომ საზოგადოებებმა მათი მმართველი ორგანოების წევრების სასარგებლოდ მოახდინონ მატერიალური ზარალისთვის პასუხისმგებლობის ვალდებულებების დაზღვევა⁴⁶, რაც დღესდღეისობით უკვე სისტემატიურად ხორციელდება დიდი სააქციო საზოგადოებების მიერ. თუმცა არსებობს იმის საშიშროება, რომ პირადი პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევა გაუაღწევს იქონიებს მმართველი ორგანოების წევრების საქციელზე, რასაც გარკვეულწილად განსაზღვრავს შიში, რომ მათ პირადად მოუწევთ ზარალის ანაზღაურება. თუმცა ამ უარყოფით მხარეს დაზარალებულისთვის კომპენსაციას უწევს ის, რომ დაზღვევის შედეგად მის წინაშე გადამხდელუნარიანი მევაღლე აღმოჩნდება, რომელსაც უკეთესად შეეძლება დიდი ზარალის ანაზღაურება, ვიდრე ამას მმართველი ორგანოს წევრი მისი შეზღუდული პირადი ქონებით უზრუნველყოფდა.

დაზღვევის შესახებ კანონთან დაკავშირებით იხილეთ ფედერალური სასამართლოს დადგენილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 133, 370, 371 და შემდეგ = ახალი იურიდიული ყოველკვირეული გამოცემა 1997, 130.

⁴⁶ კიოლნის კომენტარი – მერტენსი, სააქციო კანონი, მე-2 გამოცემა 1996, §84 ნომ. 83; კომენტარი – ჰოპფი, სააქციო კანონი, მე-4 გამოცემა 1999, § 93, ნომ 5191; შოლც-შნაიდერი, კანონი შპს-თა შესახებ, მე-9 გამოცემა 2000, § 43, ნომ. 296 და შემდეგ, შესაბამისი მტკიცებულებებით

Die Außenhaftung der Organmitglieder

I. Die Bedeutung der Außenhaftung der Organmitglieder

1. Die typischen Fallkonstellationen der Außenhaftung der Organmitglieder

Für schadenstiftendes Fehlverhalten ihrer Organe bei der Amtsausübung haftet im Außenverhältnis, also gegenüber gesellschaftsfremden Dritten, grundsätzlich die *Gesellschaft* selbst auf Schadensersatz. Diese Haftung der Gesellschaft kann auf spezialgesetzlicher oder vert-raglicher Grundlage beruhen; sie kann aber auch allgemein daraus folgen, dass die Gesellschaft für Handlungen ihrer Organe einzustehen hat¹. In engen Ausnahmefällen kommt – insbesondere unter dem Gesichtspunkt der Vermögensvermischung² und der Bestandsgefährdung³ der Gesellschaft – eine gegen die *Gesellschafter* gerichtete Durchgriffshaftung in Betracht, wie sie auch das georgische Recht in Art. 3.4. des Gesetzes über die gewerblichen Unternehmen (GGU)⁴ kennt.

Können jedoch geschädigte Dritte von der Gesellschaft – oder ausnahmsweise auch von den Gesellschaftern – keine Befriedigung erlangen, dann versuchen sie häufig, die Organmitglieder in Anspruch zu nehmen, die den Gläubigerschaden verursacht oder mindestens zu verantworten haben. Zu dieser Situation kommt es typischerweise dann, wenn das Vermögen der Gesellschaft zur Gläubigerbefriedigung nicht ausreicht, also vor allem in der Insolvenz. Deshalb stehen die meisten

¹ Im deutschen Recht etwa aus § 31 BGB analog; eine ähnliche Regelung kennt auch Art. 38 Abs. 1 des Georgischen Zivilgesetzbuchs für Vereine und Stiftungen; allerdings findet sich im GGU selbst, soweit ich sehe, keine Vorschrift, die eine Haftung der Gesellschaften für Schädigungen Dritter durch die Mitglieder ihrer Organe anordnet.

² Vgl. z.B. BGHZ 125, 366 = NJW 1994, 1801; *Altmeyden* ZIP 2002, 1553, 1557 ff.

³ BGHZ 149, 10 = NJW 2001, 3622 (Bremer Vulkan); BGH ZIP 2002, 1578 (KBV).

⁴ In der Fassung vom 1. Oktober 2002.

Fälle, in denen Gesellschaftsgläubiger Organmitglieder persönlich auf Schadensersatz in Anspruch nehmen, im Zusammenhang mit Gesellschaftsinsolvenzen. Zahlenmäßig unbedeutend sind demgegenüber Fälle, in denen die Gesellschaft aus anderen Gründen für den Gläubigerschaden nicht haftet, etwa weil es an einem gesetzlichen Haftungsgrund oder an ihrer rechtsgeschäftlichen Verpflichtung gänzlich fehlt oder weil Ansprüche gegen sie aus anderen Gründen als mangelnder Zahlungsfähigkeit – beispielsweise wegen Verjährung – nicht durchsetzbar sind.

2. Außenhaftung der Organe als Phänomen der GmbH

Das erklärt, warum die Außenhaftung der Organe in Deutschland in erster Linie ein Phänomen der Gesellschaftsform der GmbH ist, während sie bei der Aktiengesellschaft, jedenfalls in der Vergangenheit, kaum eine Rolle spielte. Die GmbH ist in Deutschland die weitaus insolvenzanfälligste Gesellschaftsform: Von ungefähr zwei Dritteln aller Unternehmensinsolvenzen sind GmbH betroffen, obwohl nur ein Fünftel aller Unternehmen diese Rechtsform besitzt. Aber auch bei der Aktiengesellschaft betrafen die wenigen Fälle, in denen es zu einer persönlichen Haftung der Organmitglieder gegenüber Gesellschaftsgläubigern kam, fast immer Vorgänge im Zusammenhang mit der Gesellschaftsinsolvenz.

3. Haftungszugriff institutioneller Gläubiger auf die Gesellschaftsorgane

Für institutionelle Gesellschaftsgläubiger, nämlich die staatlichen Steuerbehörden und die Träger der Sozialversicherungen, ist es in Deutschland mittlerweile schon zur Regel geworden, neben oder anstelle der insolventen Gesellschaft die Mitglieder ihres Geschäftsführungsorgans wegen der Steuer- und Sozialversicherungsschulden der Gesellschaft in Anspruch zu nehmen. Da gerade bei Gesellschaften mbH in mehr als der Hälfte aller Insolvenzfälle ein Verfahren mangels Masse gar nicht erst eröffnet wird und die im Verfahren erzielte Insolvenzquote durchschnittlich kaum über 3% der Gläubigerforderungen liegt, stellt der Haftungszugriff auf die Organmitglieder oft die einzige Chance dar, ausstehende Steuer- oder Sozialabgabeschulden der GmbH

wenigstens teilweise doch noch einzutreiben. Gerade die institutionellen Gläubiger verfolgen diese Befriedigungsmöglichkeit mit aller Härte.

II. Das Verhältnis zwischen der organschaftlichen Innenhaftung und der allgemeinen Außenhaftung der Gesellschaftsorgane

1. Grundsätzliche Innenhaftung der Organe gegenüber der Gesellschaft

Ebenso wie im georgischen Unternehmensrecht (Art. 9.7 GGU) ist auch im deutschen Gesellschaftsrecht die Organhaftung grundsätzlich als Innenhaftung der Organmitglieder gegenüber der Gesellschaft ausgestaltet⁵. Das hat Prof. Lutter im Einzelnen dargelegt. Obwohl den Organmitgliedern ihre Amtspflichten selbstverständlich nicht nur im Interesse der Gesellschaft und der Gesellschafter, sondern auch im Gläubigerinteresse auferlegt sind, ist das Organmitglied zur ordnungsgemäßen Erfüllung seiner Aufgaben grundsätzlich nur gegenüber der Gesellschaft verpflichtet, nicht aber gegenüber Dritten, also auch nicht gegenüber den Gesellschaftsgläubigern.

2. Außenhaftung nur aufgrund besonderer Haftungstatbestände

Eine Außenhaftung von Organmitgliedern kann sich demnach im deutschen Recht weder auf die Verletzung der *allgemeinen Pflicht* zu rechtmäßiger und sorgfältiger Amtsführung, noch auf die Verletzung *spezieller Organpflichten* stützen, sondern nur auf sonstige gesetzliche oder vertragliche Haftungsgrundlagen. Voraussetzung der Außenhaftung von Organmitgliedern ist also immer ein besonderer Haftungstatbestand, der dem Organmitglied eine ausdrückliche Haftung oder zumindest persönliche Pflichten gerade gegenüber dem geschädigten Dritten auferlegt. Dieses Erfordernis eines besonderen Haftungsgrundes gilt unabhängig davon, ob daneben die Gesellschaft ebenfalls haftet oder nicht.

⁵ Vgl. §§ 93, 116 AktG, 43 GmbHG.

3. Rechtsgrundlagen für die Außenhaftung der Organe

Die Rechtsgründe für eine persönliche Haftung von Organmitgliedern gegenüber Dritten sind vielfältig und denkbar breit gestreut: Mitglieder der Geschäftsleitung können bei ihrer Tätigkeit für die Gesellschaft drittschützende gesetzliche Pflichten oder Strafvorschriften verletzen, sie können beispielsweise gegen umwelt-, gewerbe- oder steuerrechtliche Vorschriften verstoßen, sie können sonstige unerlaubte Handlungen zu Lasten Dritter begehen, sie können sich auch nach rechtsgeschäftlichen Grundsätzen persönlich haftbar machen.

Welche Haftungsgrundlage jeweils in Betracht kommt, hängt auch von den Aufgaben des betreffenden Organs ab. So laufen etwa die Mitglieder der Vertretungsorgane weitaus eher Gefahr, sich wegen ihres Auftretens im Geschäftsverkehr haftbar zu machen, als beispielsweise Mitglieder von Aufsichtsräten, die hauptsächlich gesellschaftsinterne Aufgaben wahrnehmen und deshalb nicht als Repräsentanten der Gesellschaft mit Dritten in Berührung kommen.

Aus dieser Fülle möglicher Haftungsgrundlagen möchte ich nun beispielhaft diejenigen herausgreifen, die in der deutschen Rechtspraxis von Bedeutung sind oder besondere rechtliche Probleme aufwerfen.

III. Haftung aus Rechtsgeschäft und geschäftlichem Kontakt

Die Außenhaftung aus rechtsgeschäftlich erheblichem Handeln wird – wie gesagt – praktisch nur für die Mitglieder des Vertretungsorgans relevant, da nur sie mit Dritten in rechtsgeschäftlichen Kontakt treten.

1. Rechtsgeschäftliche Verpflichtung

Aus Rechtsgeschäften, die der gesetzliche Vertreter der Gesellschaft in deren Namen mit Dritten abschließt, wird grundsätzlich allein die Gesellschaft verpflichtet. Eine Eigenhaftung des handelnden Organmitglieds kommt nur dann in Betracht, wenn es entweder die persönliche Haftung für die Gesellschaftsverbindlichkeiten übernimmt – beispielsweise in Form einer Bürgschaft oder Garantie – oder wenn es im Zusammenhang mit der Durchführung des Geschäfts gegenüber dem Vertragspartner bestimmte Pflichten übernimmt, für deren Erfüllung es einzustehen verspricht.

Eine persönliche Verpflichtung des Organmitglieds gegenüber dem Vertragspartner kommt ferner auch dann in Betracht, wenn der Vertragspartner bei Abschluss des Vertrages nicht erkennen konnte, dass das Organmitglied keine persönliche Verpflichtung eingehen, sondern für die Gesellschaft handeln wollte. Nach dem im deutschen wie im georgischen Recht geltenden Grundsatz der Offenkundigkeit der Stellvertretung⁶ haftet in diesem Fall das Organmitglied persönlich.

2. Verschulden bei Vertragsschluss

a) Eigenhaftung des Vertreters bei Verletzung des Vertrauens grundsätzlich möglich

Im Zusammenhang mit rechtsgeschäftlichen Kontakten kann Mitglieder des Vertretungsorgans eine persönliche Haftung auch aus dem Gesichtspunkt eines Verschuldens bei Vertragsschluss (*culpa in contrahendo*) treffen. Diesen Haftungsgrund kennt grundsätzlich auch das georgische Recht in Art. 317 Abs. 3 Georgisches ZGB, wenn auch mit etwas anderen Voraussetzungen. Eine solche, ursprünglich von der deutschen Rechtsprechung entwickelte Eigenhaftung des Vertreters wegen schuldhafter Pflichtverletzungen bei geschäftlichen Kontakten im Vorfeld eines Vertragsschlusses ist heute in § 311 Abs. 3 BGB ausdrücklich gesetzlich geregelt. Danach haftet auch ein gesetzlicher Vertreter persönlich auf Schadensersatz, wenn er Vertrauen verletzt, das er „in besonderem Maße“ für sich in Anspruch nimmt und dadurch die Vertragsverhandlungen oder den Vertragsschluss erheblich beeinflusst.

b) Problem der Anforderungen an die Inanspruchnahme besonderen Vertrauens

Seit jeher und auch heute noch problematisch ist dabei, wie hoch die Anforderungen sein müssen, die man an die Inanspruchnahme von Vertrauen „in besonderem Maße“ stellen muss, wie es der Gesetzeswortlaut des § 311 Abs. 3 BGB verlangt. Ganz gewiss reicht es nicht aus, wenn der Vertreter gegenüber dem Dritten auf seine besondere Seriosität oder Sachkunde hinweist⁷ oder die üblichen anpreisenden

⁶ §§ 164 Abs. 2 BGB, 36 GmbHG; Art. 104 Abs. 3 Georgisches ZGB.

⁷ BGH WM 1990, 759 mit weiteren Nachweisen.

Erklärungen abgibt, die zum Ritual des Verhandeln gehören. Vielmehr muss er bei seinem Verhandlungspartner zumindest den Eindruck erwecken, dass er persönlich unbedingte Gewähr für die Erfüllung der Verpflichtung durch die Gesellschaft übernehmen will⁸.

c) Unmittelbares wirtschaftliches Eigeninteresse des Vertreters nicht ausreichend

Allgemein anerkannt ist dagegen heute, dass ein unmittelbares wirtschaftliches Eigeninteresse des Organmitglieds am Zustandekommen des Geschäfts für eine persönliche Haftung nicht ausreicht. Deshalb kann weder in einer maßgeblichen Beteiligung des Organmitglieds an der Gesellschaft noch in seiner Stellung als Sicherungsgeber für Gesellschaftsschulden ein hinreichender Grund für die persönliche Inanspruchnahme des Organmitglieds aus verletztem Verhandlungsvertrauen liegen⁹.

IV. Haftung aus gesellschaftsrechtlichen Vorschriften

Gesellschaftsrechtliche Vorschriften, die Dritten unmittelbare Ansprüche gegen Organmitglieder einräumen, sind selten. Denn ein Haftungsdurchgriff Dritter auf die Gesellschaftsorgane soll nach dem geltenden Prinzip der Innenhaftung gerade ausgeschlossen sein. Davon gibt es jedoch im Aktienrecht wie im GmbH-Recht Ausnahmen.

1. Das Verfolgungsrecht der Gesellschaftsgläubiger nach § 93 Abs. 5 AktG

Bei der Aktiengesellschaft räumen §§ 93 Abs. 5, 116 AktG den Gläubigern unter bestimmten Voraussetzungen das Recht ein, den Schadensersatzanspruch der Gesellschaft gegen ihre Organe selbst geltend zu machen, soweit sie von der Gesellschaft keine Befriedigung erlangen können¹⁰. Auch das georgische Recht kennt in Art. 56.4 Satz

⁸ BGHZ 126, 181, 189 = NJW 1994, 2220; *Lutter/Hommelhoff*, GmbHG, 15. Auflage 2000, § 53 Rn. 36 f.; *Hachenburg-Mertens*, GmbHG, 8. Auflage 1996, § 43 Rn. 113; *Scholz-Schneider*, GmbHG, 9. Auflage 2000, § 43 Rn. 225 f.

⁹ BGHZ 126, 181, 184 ff. = NJW 1994, 2220; BGH ZIP 1995, 733.

¹⁰ Ähnliche Vorschriften finden sich auch in anderen aktienrechtlichen Organ-

5 GGU ein solches Verfolgungsrecht der unbefriedigten Gesellschafts-gläubiger. Im deutschen Recht ist streitig, ob diese Vorschrift tatsächlich einen eigenen Ersatzanspruch der Gläubiger gegen die Organmitglieder begründet¹¹ – dann würde dieser Anspruch zum Thema meines Vortrags gehören – oder ob es sich um einen Anspruch der Gesellschaft handelt, den die Gläubiger lediglich in gesetzlicher Prozessstandschaft geltend machen¹². Da der Wortlaut der georgischen Vorschrift in der deutschen Übersetzung mit dem Text der deutschen Vorschrift praktisch übereinstimmt, wäre es interessant zu erfahren, wie die Norm in Georgien interpretiert wird. Besondere Bedeutung in der Praxis hat die Vorschrift in Deutschland jedenfalls nicht erlangt.

2. Der Schadensersatzanspruch gegen den GmbH-Geschäftsführer nach § 40 Abs. 2 GmbHG

Im Recht der GmbH ist § 40 Abs. 2 GmbHG die einzige Vorschrift, die einen direkten Schadensersatzanspruch der Gläubiger gegen die Geschäftsführer begründet. § 40 Abs. 1 GmbHG verpflichtet die Geschäftsführer dazu, nach jeder Veränderung der Beteiligungsverhältnisse eine Gesellschafterliste zum Handelsregister einzureichen. Verletzen Geschäftsführer diese Pflicht schuldhaft und entsteht Gesellschafts-gläubigern daraus ein Schaden, so gibt § 40 Abs. 2 GmbHG den Gläubigern einen Schadensersatzanspruch gegen die Geschäftsführer persönlich. Diese Haftungsvorschrift, eigentlich ein Fremdkörper im System der Organinnenhaftung, wurde erst 1998 in das GmbH-Gesetz eingefügt¹³. Dies geschah gerade zu dem Zweck, den lange bestehenden Streit darüber zu beenden, ob die Pflicht der Geschäftsführer zur Einreichung der Gesellschafterliste eine gläubigerschützende Norm im Sinne von § 823 Abs. 2 BGB darstellte¹⁴, deren Verletzung

haftungsnormen, z.B. in §§ 62 Abs. 2, 117 Abs. 5, 309 Abs. 4 AktG.

¹¹ So die herrschende Meinung, z.B. Kölner Kommentar-*Mertens*, Aktiengesetz, 2. Auflage 1996, § 93 Rn. 142; *Hüffer*, Aktiengesetz, 5. Auflage 2002, § 93 Rn. 32; Großkommentar-*Hopt*, Aktiengesetz, 4. Auflage 1999, § 93 Rn. 397 ff.

¹² So z.B. *Geßler-Hefermehl*, AktG, 1974, § 93 Rn. 68 mit weiteren Nachweisen.

¹³ Durch das Gesetz zur Reform des Handelsrechts vom 22. Juni 1998, BGBl. I Seite 1474.

¹⁴ Zum früheren Meinungsstand siehe Hachenburg-*Mertens*, GmbHG, 8. Auflage 1996, § 40 Rn. 12.

zum Schadensersatz aus unerlaubter Handlung verpflichtet. Ob die neue Haftungsvorschrift des § 40 Abs. 2 GmbHG jemals praktische Bedeutung erlangen wird, erscheint mir indes ungewiss.

V. Haftung aus unerlaubter Handlung

1. Übersicht

a) Verletzung drittschützender Normen oder Pflichten als Haftungsvoraussetzung

Die größte Bedeutung für die Außenhaftung von Organmitgliedern hat in Deutschland die Haftung aus unerlaubter Handlung. Nicht nur Mitglieder der Geschäftsführungsorgane, sondern auch Mitglieder von Aufsichtsräten und sonstigen Organen können sich aus dem Gesichtspunkt einer unerlaubten Handlung Dritten gegenüber schadensersatzpflichtig machen, wenn sie den Schaden durch die Verletzung von Pflichten verursachen, die ihnen gerade im Interesse und zum Schutz der Gesellschaftsgläubiger oder sonstiger Dritter auferlegt sind.

b) Für jedermann geltende drittschützende Pflichten

Solche drittschützenden Pflichten können zunächst aus Vorschriften folgen, die für jedermann gelten. Dies sind insbesondere die verschiedenen zivilrechtlichen Tatbestände der unerlaubten Handlung¹⁵ und die allgemeinen Strafnormen. Letztere sind Schutzgesetze im deliktsrechtlichen Sinne (§ 823 Abs. 2 BGB), d.h. ihre Verletzung verpflichtet den Täter gleichzeitig zum Schadensersatz gegenüber dem durch die Strafnorm in ihren Rechtsgütern oder Vermögensinteressen geschützten Personen.

§ 823 Abs. 2 BGB bestimmt, dass zum Schadensersatz auch derjenige verpflichtet ist, der gegen ein „den Schutz eines anderen bezweckendes Gesetz verstößt“. Diese deliktische Generalklausel für Schutzgesetzverletzungen kommt als Haftungsgrundlage immer dann in Betracht, wenn die verletzte Norm keine eigenen haftungsrechtlichen Sanktionen anordnet. Das ist etwa bei allen Straftatbeständen der Fall, die ja nur die Strafbarkeit anordnen und den Strafrahmen angeben. Voraus-

¹⁵ §§ 823 Abs. 1, 824 ff. BGB.

setzung einer solchen Haftung ist aber immer, dass das verletzte Gesetz Schutzgesetzcharakter im Sinne von § 823 Abs. 2 BGB besitzt. Und diese Qualifizierung wirft erhebliche Probleme auf, wie ich später am Beispiel einer Strafnorm noch näher erläutern werde, die für die Außenhaftung des GmbH-Geschäftsführers im deutschen Recht von größter Bedeutung ist.

c) Für Organmitglieder oder die Gesellschaft geltende drittschützende Pflichten

Drittschützende Pflichten können weiterhin aus Vorschriften folgen, die sich speziell an die Organmitglieder in ihrer Eigenschaft als Amtsinhaber richten. Und schließlich kommen auch Gebots- oder Verbotsnormen in Betracht, deren Adressatin die Gesellschaft ist, für deren Erfüllung aber die Organmitglieder kraft ihres Amtes auch den geschädigten Dritten gegenüber einzustehen haben.

UntG nicht ins Handelsregister eingetragen werden. Als „Organmitglieder“ werden die Mitglieder der Vertretungsorgane von Handelsgesellschaft bezeichnet, vor allem die Geschäftsführer der GmbH und die Vorstandsmitglieder der AG, an denen sich die vorliegende Darstellung orientiert. Der Vorstand wird auch als Direktion und die Geschäftsführer als Direktoren nach GewUntG bezeichnet. Alle diese Bezeichnungen dienen zur Darstellung von notwendigen Organen der Körperschaften. Die äußeren Ähnlichkeiten hinsichtlich der Organe und ihrer Aufgaben bei GmbH und AG dürfen jedoch nicht darüber hinwegtäuschen, dass das GmbH-Recht, nicht wie das AG-Recht, die Gesellschafterversammlung deutlich als das oberste Organ herausstellt³. Der Gesetzkommentar erfordert zwar für die Abberufung der Geschäftsführer einer GmbH die gleichen wichtigen Gründe wie bei den Vorstandsmitgliedern einer AG,⁴ zugleich aber wird die Meinung vertreten, dass die Gesellschaft die Möglichkeit haben muss, den Geschäftsführer jederzeit fristlos aus seinem Amt abberufen zu können⁵. Dieser Rechtsgedanke entspricht dem Willen des deutschen Gesetzgebers gemäß § 38 Abs. 1 GmbHG. Kraft dieser Regelung kann die Gesellschaft seine Bestellung auch ohne Abgabe von wichtigen Gründen jederzeit wieder rückgängig machen. Das Widerrufsrecht kann im Einzelfall auch vertraglich, abweichend vom Gesetz geregelt werden, niemals darf aber die Gesellschaft generell auf das Widerrufsrecht verzichten⁶. Im Unterschied zum Vorstand einer Aktiengesellschaft ist ein GmbH-Geschäftsführer nach deutschem Recht kraft ausdrücklicher gesetzlicher Regelung des § 37 Abs. 1 GmbHG weisungsgebunden. Eine solche zwingende Weisungsgebundenheit gibt es zwar im georgischen Recht nicht, folgt aber aus der gesetzlichen Regelung des § 47.3 GewUntG, wonach die Gesellschafterversammlung über alle geschäftsführenden Maßnahmen zu bestimmen hat. Der Vorstand nimmt dagegen eine führende Funktion in der AG ein⁷ und hat die Gesellschaft, wie es im deutschen Recht geregelt ist, unter eigener Verantwortung zu leiten.

Zusammengefasst haben die Vorstandsmitglieder einer AG mehr Einflussmöglichkeit auf ihre Gesellschaft als die Geschäftsführer einer

³ GewUntG Komm. § 47 I, S. 293; GewUntG Komm § 54 II, S. 373.

⁴ GewUntG Komm. § 47 IV, 2 S. 305.

⁵ GewUntG Komm. § 47 IV, 2 S. 304

⁶ Sudhoff. Rechte und Pflichten des Geschäftsführers einer GmbH S. 42.

⁷ GewUntG Komm. § 56 I, 1 S. 423.

GmbH. Da beide Personengruppen als Organmitglieder einen direkten Zugang zu Gesellschaftsinterna haben und gleichermaßen mit zweckwidrigen Handlungen der Gesellschaft Schaden zufügen können, unterliegen sie dem Wettbewerbsverbot in gleichem Maße.

III. Die Wettbewerbsverbote auf der Rechtsgrundlage der gesetzlichen Regelung

Das Wettbewerbsverbot für Organmitglieder ist im allgemeinen Teil des GewUntG durch § 9.6 geregelt. § 9 GewUntG stellt eine generelle Regelung von Vertretungs- und Geschäftsführungsrechten und Pflichten in allen Formen der Handelsgesellschaften dar. Kraft § 9 Abs. 6 GewUntG unterliegen alle geschäftsführenden Personen, Personengesellschaften und Körperschaften des Handelsrechtes einem allgemeinen Wettbewerbsverbot. Wie im deutschen Recht gilt auch im georgische Recht bezüglich der Geschäftsführung das Prinzip der Selbstorganschaft bei allen Personengesellschaften. Kraft diesem Prinzip muss zumindest ein Gesellschafter unbeschränkt vertretungsberechtigt sein⁸. Die Drittorganschaft, also die Geschäftsführungsbefugnis von Nichtberechtigten in Personengesellschaften, würde dem Abspaltungsverbot einzelner Mitverwaltungsrechte von der Gesellschafterstellung widersprechen⁹.

Eine Körperschaft ist dagegen eine von der Mitgliedschaft losgelöste Organisation, und die mitgliedschaftlichen Organkompetenzen können nur durch Sonderrechte begründet werden¹⁰. Es ist noch zu klären, warum der georgische Gesetzgeber für die auf verschiedener Grundlage entstehende Geschäftsführungsbefugnis eine allgemeine Regelung eingeführt hat. Hinsichtlich des Wettbewerbsverbotes lässt sich diese Frage so beantworten: Ziel dieser Regelung ist ein Schutz der Gesellschaft vor den besonderen Gefahren, die mit einer Konkurrenztaetigkeit der Gesellschaftsmitglieder verbunden sind. Für die Gesellschaft entsteht das Risiko, dass ein Gesellschaftsmitglied Gesellschaftsinterna zur Förderung seiner Wettbewerbstaetigkeit eigennützig verwertet. Zu derartigen Handlungen sind nur geschäftsführende Or-

⁸ GewUntG Komm. § 9 II, S. 116

⁹ Karsten Schmidt, Gesellschaftsrecht, § 19 III,4.

¹⁰ Karsten Schmidt, Gesellschaftsrecht, § 8 IV, 2.

gane, die Steuerungsmöglichkeit haben, fähig. Aus diesem Umstand wird deutlich, dass die in § 9.1 GewUntG einbezogene Personengruppe nur wegen ihrer geschäftsführenden Funktion Adressat des gesetzlichen Wettbewerbsverbotes nach § 9.6 GewUntG ist.

III:1 Tatbestandsmerkmale des Wettbewerbsverbotes aus § 9. Abs. 6

Nach § 9.6 S. 1 dürfen die in § 9.1 genannten Personen - persönlich haftender Gesellschafter einer OHG, Komplementäre einer KG, Direktoren einer GmbH, AG und Genossenschaften ohne Einwilligung der übrigen Gesellschafter weder im Geschäftszweig der Gesellschaft Geschäfte machen, noch Direktor oder persönlich haftender Gesellschafter einer anderen gleichartigen Gesellschaft sein.

Sinn und Zweck des § 9.6 GewUntG können teilweise mit Hilfe der Überlegungen ermittelt werden, die im Hinblick auf das Konkurrenzverbot eines Organmitgliedes nach deutschem Recht angestellt werden. Da eine entsprechende Vorschrift für GmbH- Geschäftsführer fehlt, kommt die Anwendung einer gesetzlichen Regelung des Aktienrechts in Betracht. Vergleicht man das Wettbewerbsverbot aus § 9.6 GewUntG mit dem aus § 88 Abs. 1 AktG, dann fallen einige Gemeinsamkeiten, aber auch bedeutende Unterschiede auf. Der Tatbestand beider Normen bestimmt den Umfang des Wettbewerbsverbots in dreifacher Hinsicht: 1. Sachlicher Geltungsbereich des Wettbewerbsverbots 2. Adressatenkreis des Wettbewerbsverbots 3. Zeitlicher Geltungsbereich des Wettbewerbsverbotes.

III.1.1 Sachlicher Geltungsbereich des Wettbewerbsverbotes aus § 9.6 GewUntG

Nach beiden Normen - § 88 Abs.1 AktG und § 9.6 GewUntG - ist es verboten, Geschäfte im Handelszweig der Gesellschaft zu machen. Unter Handelszweig der Gesellschaft ist der wirkliche Geschäftsbetrieb der Gesellschaft zu verstehen, auch dann, wenn er über die satzungsmäßige Tätigkeit hinausgeht¹¹. Es werden nicht nur unterneh-

¹¹ Mezer-Landrut, Großkomm. § 88 AktG, Anm.3

merische Tätigkeiten im Handelszweig der Gesellschaft, sondern auch die Führung von einzelnen Geschäften untersagt.

Während es durch § 9.6 GewUntG für Direktoren gestattet ist, ein Handelsgewerbe in anderen Gesellschaftsbereichen zu betreiben, ist es den Vorstandsmitgliedern nach § 88 AktG ausdrücklich untersagt. Es wurde bereits gesagt, dass Sinn und Zweck des gesetzlichen Wettbewerbsverbots der Schutz der Gesellschaft ist. Es soll verhindert werden, dass ein Organmitglied die im Rahmen der Geschäftsführung erlangte Information dazu verwendet, um eigene Geschäfte zum Nachteil der Gesellschaft zu fördern¹². Ein Verbot unternehmerischer Erwerbstätigkeit in anderen Geschäftsbereichen kann nicht dadurch begründet werden, die Gesellschaft vor unberechtigter Internahverwertung zu schützen. Nach Begründung des deutschen Gesetzgebers läuft die Gesellschaft Gefahr, dass der Direktor nicht mehr seine ganze Arbeitskraft vollständig der Gesellschaft zur Verfügung stellt, wenn er in einer anderen Branche erwerbstätig wird¹³. Der georgische Gesetzgeber hat diese Begründung nicht für ausreichend gehalten, und ein umfassendes Konkurrenzverbot wie § 88 AktG wurde im georgischen Recht nicht eingeführt.

Schließlich verbietet § 88 AktG den Organmitgliedern, ein persönlich haftender Gesellschafter, Geschäftsführer oder Mitglied des Vorstandes einer beliebigen Handelsgesellschaft zu werden. Dagegen ist es den Direktoren nach dem Wortlaut des § 9.6 GewUntG nur untersagt, an einer gleichartigen Handelsgesellschaft als persönlich haftender Gesellschafter oder Direktoren teilzunehmen. Unter gleichartiger Handelsgesellschaft ist eine Gesellschaft gemeint, die in derselben Handelsbranche unternehmerisch tätig ist. Dabei wird die Übernahme der Geschäftsführung in Filialen und Tochtergesellschaften von einem Organmitglied der gleichen Gesellschaft nicht als wettbewerbswidrig betrachtet¹⁴.

¹² vgl. Uwe H. Schneider § 43 GmbHG Komm. Rdnr. 126 ff.

¹³ Kropff, Aktienrecht, S. 113

¹⁴ Lado Chanturia, GewUntG Komm. § 9, VIII S. 123

III. I. 2 Persönlicher Geltungsbereich des Wettbewerbsverbotes aus § 9.6 GewUntG

Nach dem Wortlaut des § 9 GewUntG unterstehen Direktoren einer GmbH und AG einem Wettbewerbsverbot. Darunter sind alle Personen zu verstehen, die eine organschaftliche Stellung haben und diese Funktion wirklich ausüben. Direktoren spielen eine wichtige Rolle im Geschäftsleben der Gesellschaft¹⁵. Die organschaftliche Rechtsstellung gestattet den Direktoren nicht nur die Steuerung einer Gesellschaft, sondern auch den Zugriff auf die Interna. Deshalb ist die Gesellschaft durch Wettbewerbshandlungen von Direktoren besonders gefährdet. Für das Wettbewerbsverbot kommt es entscheidend auf die Organsstellung des Organmitgliedes als solches an¹⁶. Es besteht ab der Bestellung zum Direktoren und ist unabhängig vom zugrunde liegenden Dienstverhältnis (Anstellungsvertrag). Die Nichtigkeit des Anstellungsvertrages wird auf das Fortbestehen des Wettbewerbsverbots keinen Einfluss haben. Umgekehrt endet das gesetzliche Wettbewerbsverbot mit Abberufung auch dann, wenn der Anstellungsvertrag weiterläuft¹⁷.

Es gibt zwar keine ausdrückliche gesetzliche Regelung des Wettbewerbsverbotes für stellvertretende Direktoren, es ist aber zu vermuten, dass stellvertretende Direktoren dem Konkurrenzverbot aus § 9.6 GewUntG auch unterliegen, wenn sie organschaftliche Befugnisse auf gleiche Weise wahrnehmen.

Nach allgemeiner Ansicht erlischt das Wettbewerbsverbot, wenn die Gesellschaft in ihr Liquidationsstadium tritt. Die Liquidatoren der Gesellschaft sind regelmäßig nach § 14. 2 in Verbindung mit § 9.1 GewUntG die ehemaligen Organmitglieder, sofern sie nicht vom Gericht bestellt worden sind. Liquidatoren haben zwar ihre Aufgaben mit der Sorgfalt des ordentlichen Geschäftsleiters nach § 14.1.3 zu erfüllen, unterliegen aber einem gesetzlichen Wettbewerbsverbot nicht. Der gesetzliche Ausschluss des Wettbewerbsverbotes für Liquidatoren erfolgt aus dem Gesichtspunkt, dass sich ihre Tätigkeit nur auf die Auflösung des Geschäftsbetriebes und die Liquidation des Gesellschafts-

¹⁵ Lado Chanturia, GewUntG Komm. § 56, I.1 S 423.

¹⁶ Lado Chanturia, GewUntG Komm. § 56, I.2 S.425; Meyer-Landrut Großkomm. § 88, Anm. 1

¹⁷ vgl. Lado Chanturia, GewUntG Komm. § 56, I.1 S. 424;

vermögens beschränkt. Durch Konkurrenzhandlungen von Liquidatoren droht der Gesellschaft keine Gefahr, da sie nicht mehr gewerblich tätig ist. Deshalb kann das berechnigte geschäftliche Interesse der Gesellschaft ein Wettbewerbsverbot der Liquidatoren nicht rechtfertigen.

III. I. 3 Zeitlicher Geltungsbereich des Wettbewerbsverbotes

Vom Standpunkt der AG und der GmbH aus betrachtet, beginnt das Wettbewerbsverbot aus § 9.6 GewUntG für Organmitglieder frühestens mit Errichtung der Gesellschaft. Die Angabe von Direktoren in der notariell zu beurkundenden Satzung (§ 2.7 GewUntG) ist nicht zwingend¹⁸. Direktoren werden vor der Eintragung der Gesellschaft ins Handelsregister bestellt, § 5.4.3 GewUntG¹⁹. Ohne Vertretungsorgane kann die Gesellschaft nicht nach §§ 5.2, 5.4.3. GewUntG ins Handelsregister eingetragen werden. Die Aktiengesellschaft ist vor der Eintragung in das Handelsregister noch nicht entstanden²⁰, so dass ihr eine selbstständige Rechtspersönlichkeit noch fehlt. Durch § 9.6 GewUntG wird jedoch eine Regelung im Innenverhältnis der Gesellschaft geschaffen, die von der fehlenden Rechtsfähigkeit im Außenverhältnis unabhängig ist. Demzufolge unterliegen Organmitglieder kraft der Bestellung dem Wettbewerbsverbot nach § 9.6 GewUntG auch vor der Eintragung der Gesellschaft ins Handelsregister.

Das Wettbewerbsverbot aus § 9.6 GewUntG endet spätestens mit Auflösung der Gesellschaft aus § 9.6 GewUntG, weil die Direktoren dann nach § 14.2 GewUntG zu Liquidatoren werden und dem Wettbewerbsverbot nicht mehr unterliegen.

IV. Das Wettbewerbsverbot auf der Rechtsgrundlage der Treuepflicht

Obwohl das Wettbewerbsverbot aus § 9.6 GewUntG dem Schutz der Gesellschaft dient, ist damit noch nicht jede Gefährdung der Gesellschaft durch konkurrierende Tätigkeit des Organmitgliedes aus-

¹⁸ Lado Chanturia, GewUntG Komm. § 2, X, S. 29

¹⁹ vgl. Lado Chanturia, GewUntG Komm. § 2, X, S.29

²⁰ vgl. § 2. 5 GewUntG

geschlossen. Direktoren unterliegen einem Wettbewerbsverbot auch ohne ausdrückliche gesetzliche Regelung und ohne mitgliedschaftliche Bindung zur Gesellschaft²¹. Ein solches Wettbewerbsverbot des Organmitgliedes ergibt sich aus der Konkretisierung der Treuepflicht gegenüber der Gesellschaft. Nach in deutscher Literatur herrschender Meinung trifft Direktoren, als Treuhänder fremden Vermögens, eine über den Maßstab des § 242 BGB, der dem Art. 361.2 ZGB entspricht, hinausgehende Treuepflicht²². Pflicht zur Treue begründet allein die Wahrnehmung einer Organstellung, unabhängig vom zugrunde liegenden Dienstverhältnis²³.

Zu erörtern sind die Fälle, in denen die gesetzliche Regelung aus § 9.6 GewUntG durch Wettbewerbsverbote aus Treuepflicht ergänzt werden kann. Dass mit § 9.6 GewUntG nicht jede gewerbliche Tätigkeit untersagt ist, wurde bereits erwähnt. Auch die zeitliche Dimension des Wettbewerbsverbotes könnte auf diese Weise erweitert werden.

IV. I. Sachlicher Geltungsbereich des Wettbewerbsverbotes aus Treuepflicht

Den Direktoren sind unternehmerische Tätigkeiten sowie einzelne Geschäfte in anderen Handelszweigen und Kapitalbeteiligungen an fremden Handelsgesellschaften durch § 9 nicht untersagt. Zu untersuchen ist, ob solche erwerbswirtschaftliche Betätigungen den Direktoren unter dem Gesichtspunkt der Treuepflicht verboten sein können.

Ein Verbot des Handelsgewerbes außerhalb des Geschäftszweiges der Gesellschaft kann unter dem Gesichtspunkt untersagt werden, dass eine solche Betätigung des Vorstandsmitgliedes seine Leistungen mindert. Ein Direktor muss seine Arbeitskraft dem Wohl der Gesellschaft widmen. Daher ist es fraglich, ob langfristige Belastungen und Bindungen in anderen Bereichen für die Gesellschaft schädigend sind und damit ein Verbot zu rechtfertigen ist? Durch § 88 AktG

²¹ Uwe H. Schneider GmbHG Komm. § 43 Anm. 126.

²² Hachenburg, GmbHG Großkomm, § 43 Rdnr. 35; Enenroth/Lange, Sorgfaltpflichten und Haftung des Geschäftsführers einer GmbH, GmbHR, 1992, 74.; ZGB(Zivilgesetzbuch Georgiens) Komm. § 361. S.270, 271

²³ diese Meinung ist umstritten. vgl. Uwe H. Schneider GmbHG Komm. Rdnr. 126; Salfred, Wettbewerbsverbote im Gesellschaftsrecht, S 149 ff.

ist eine solche Betätigung gesetzlich verboten. Um ein solches Verbot aus Treuepflicht auch im Georgischen Recht einführen zu können, sind alle Umstände zu berücksichtigen. Solche Regelung entspricht dem realen Leben in Georgien nicht, wenn ein Direktor zur Erhaltung seiner Arbeitskraft tatsächlich darauf verzichten muss, neben seiner Tätigkeit im Verband ein lukratives Handelsgewerbe zu treiben. Im der georgischen Rechtsprechung gibt es leider keine Beispiele von Treupflichtverletzungen der Organmitglieder²⁴. Ausgehend davon sollten diese Fragen in der Rechtsliteratur ausführlicher erörtert werden.

Den Direktoren ist eine Kapitalbeteiligung an fremden Gesellschaften durch § 9.6 GewUntG nicht untersagt. Eine Kapitalbeteiligung des Vorstandsmitgliedes kann für den Verband gefährlich sein, wenn das fremde Unternehmen im Geschäftszweig der Gesellschaft arbeitet. Das Vorstandsmitglied kann z.B. Interna der Gesellschaft an die fremde Gesellschaft weitergeben, oder seine Geschäftsführungsmöglichkeit nutzen, um die Erwerbsfähigkeit der fremden Gesellschaft als Mitbewerber nicht zu beeinträchtigen. Der sachliche Geltungsbereich eines Wettbewerbsverbotes zu Lasten des Direktors hängt zwar von der Schutzbedürftigkeit der Gesellschaft ab, darf aber nicht so weit ausgedehnt werden, dass die Direktoren keine Kapitalbeteiligung im Geschäftszweig der Gesellschaft erwerben dürfen. Außerdem ist es möglich, dass das Organmitglied seine Organstellung zweckwidrig ausnutzen kann auch ohne an einer fremden Gesellschaft kapitalistisch beteiligt zu sein Für das gesellschaftsrechtliche Wettbewerbsverbot ist der Schutz der Gesellschaft vor treuwidriger Tätigkeit der Vorstandsmitglieder wichtig. Deshalb ist das Wettbewerbsverbot aus Treuepflichtgedanken folgendermaßen zu verstehen: den Organmitgliedern ist eine konkurrierende Tätigkeit im Geschäftszweig der Gesellschaft untersagt, egal ob sie im eigenen oder fremden Namen handeln und für eigene oder fremde Rechnung Geschäfte machen.

IV. II. Zeitlicher Geltungsbereich des Wettbewerbsverbotes aus Treuepflicht

Zu klären ist, ob die Vorstandsmitglieder im Gründungsstadium der Gesellschaft sowie vor Bestellung und nach Beendigung ihres

²⁴ vgl. Lado Chanturia, GewUntG Komm.§ 9, IX; S. 125.

Amtes einem Wettbewerbsverbot aus Treuepflicht unterliegen. Der georgische Gesetzgeber hat die Gründungsstadien der Gesellschaft nicht ausführlich geregelt²⁵. Es sind aber trotzdem zwei Stufen zu unterscheiden: Errichtung der Gesellschaft und Eintragung. Vorstandsmitglieder sind vor der Eintragung im Gründungsstadium zu bestellen²⁶. Mit Übernahme der Organfunktion obliegt dem Direktor eine Treuepflicht der Gesellschaft gegenüber, die die Rechtsgrundlage des Wettbewerbsverbotes ist. Dabei ist es unerheblich, dass Gesellschaft nach § 2.5 GewUntG mangels Eintragung noch nicht entstanden ist. Vor Eintritt des Geschäftsführers in sein Amt kommt kein Wettbewerbsverbot in Betracht, da es unmöglich scheint, Treuepflichten im Hinblick auf zukünftige Beziehungen aufzuerlegen, wenn dabei keine Gewissheit besteht, dass die als Direktor vorgesehene Person tatsächlich bestellt wird. Zum Schluss ist zu sagen, dass weder die zukünftigen Geschäftsführer einer GmbH noch die Vorstandsmitglieder einer AG, die noch keine der Organstellung entsprechenden Rechte haben, einem Wettbewerbsverbot aus Treuepflicht unterliegen.

Die Treuepflicht der Geschäftsführer wirkt zwar über ihre Amtszeit hinaus: ein ausgeschiedener Geschäftsführer darf die Vollziehung der für die GmbH abgeschlossenen Verträge weder durch Abwicklung auf eigene Rechnung noch in sonstiger Weise beeinträchtigen oder vereiteln²⁷. Aus diesem Rechtsgedanken folgt jedoch keinen nachwirkendes Wettbewerbsverbot, ein solches ist nur vertraglich zu vereinbaren.

V. Die vertragliche Wettbewerbsverbote

Es ist durchaus möglich, die gesetzlichen Wettbewerbsverbote durch Konkurrenzverbote auf vertraglicher Grundlage zu ergänzen. Wie z.B. die nachvertragliche Wettbewerbsverbotsvereinbarung oder Vereinbarung des Wettbewerbsverbotes mit einem Gesellschaftsmitglied, das kein Adressat der gesetzlichen Regelung ist. Vorstandsmitglieder und GmbH-Geschäftsführer erwerben wichtige Kenntnisse und Beziehun-

²⁵ Ketevan Kokrashvili, Grundung einer GmbH, Martmsajulebis matsne, 1997 N4, S. 34.

²⁶ GewUntG Komm. § 2, X 2,3.

²⁷ GmbHG Großkomm. Hachenbeurg Rdnr. 36.

gen. Die Gesellschaft hat deshalb ein berechtigtes Interesse daran²⁸, mit Organmitgliedern ein nachvertragliches Wettbewerbsverbot zu vereinbaren. Im georgischen Recht gibt es keine gesetzliche Regelung, die die inhaltlichen Grenzen eines solchen Verbotes normiert. Die Zulässigkeit eines nachvertraglichen Wettbewerbsverbotes bei Organmitgliedern ist aus § 54 ZGB iVm. und Art. 30 Georgische Verfassung zu folgern. Das Wettbewerbsverbot darf den Verpflichteten in der Berufsausübung nicht übermäßig beschränken und nicht über die schützenswerten Interessen des Begünstigten hinausgehen. Die Reichweite des Verbotes muss sowohl sachlich als auch örtlich und zeitlich von einem berechtigten geschäftlichen Interesse der Gesellschaft gedeckt werden.

²⁸ Bauer/Diller Wettbewerbsverbote, Rdnr. 192 ff.

საზოგადოების ორგანოთა კონტროლი სახელმწიფოს მიერ

შინაარსი

- I. შესავალი
- II. სახელმწიფო კონტროლის ფორმები
 1. სისხლისსამართლებრივი კონტროლი
 2. საზოგადოების ორგანოებზე კონტროლი რეესტრის მოსამართლის მიერ
 3. საზოგადოების ორგანოთა კონტროლი საფინანსო ბაზრის მეთვალყურეობის მეშვეობით
- III. სახელმწიფო მეთვალყურეობის დასაბუთება
 1. სახელმწიფოს მიერ ინვესტორთა დაცვის დასაბუთება
 2. სახელმწიფოს მიერ პარტნიორთა დაცვის დასაბუთება
- IV. სარეესტრო კონტროლიდან კანონიერების მეთვალყურეობისაკენ?
 1. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კანონიერებაზე ზოგადი მეთვალყურეობის დასაბუთება
 2. გერმანული სამართლის მოკლე მიმოხილვა

I. შესავალი

პირველ რიგში თემა მოითხოვს დაზუსტებას: „საზოგადოების ორგანოთა კონტროლი სახელმწიფოს მიერ“. შეიძლება შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ საქმე ეხებოდეს სახელმწიფოს მხრიდან ზეგავლენას, ბაზარზე ზედამხედველობას და ეკონომიკის მართვას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემები საინტერესო პრობლემებს შეიცავენ, ქვემოთ ისინი არ იქნებიან განხილულნი¹.

¹გავრცელებული სისტემატიკის მიხედვით ეს საკითხები ეკონომიკის

ამჯერად მხოლოდ შემდეგ საკითხს დავუთმობთ ყურადღებას: განეკუთვნება თუ არა სახელმწიფოს ამოცანებს – იმ შემთხვევაში თუ ეს ასეა, რა ფარგლებში - კაპიტალური საზოგადოებების, კერძოდ სააქციო საზოგადოებების, ხელმძღვანელ ორგანოებზე კონტროლის განხორციელება.

ერთი შეხედვით შეიძლება ასეთი სახელმწიფოებრივი კონტროლი გამართლებული იყოს. მისი აუცილებლობა გამოძინარეობს იმ საფრთხიდან, რომელიც ინვესტორებისა და კრედიტორების ქონებას ემუქრება იმის გამო, რომ კანონმდებლობით კაპიტალური საზოგადოებები წევრთა შეზღუდული პასუხისმგებლობით დაშვებულნი არიან². სააქციო საზოგადოებებზე სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის იდეა მეორეს მხრივ იმ პერიოდში იქნა მეტწილად უარყოფილი, როცა მათი დაარსების პროცედურა კონცესიური სისტემის ბორკილებისგან იქნა გათავისუფლებული. იდეის მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ეფექტური კონტროლის განხორციელების უნარი³. ამ დროისთვის გავრცელებული შეხედულების თანახმად სისხლისსამართლებრივი მუქარა საკმარისი იყო იმისათვის, რომ საწარმოს ხელმძღვანელობას საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ემოქმედა. სისხლის სამართალი როგორც კონტროლის ინსტრუმენტი დღესაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამას გვიჩვენებს კანონმდებლის რეაგირება საწარმოო კრიზისებზე, მაგალითად ბოლო ხანებში აშშ-ში⁴.

მიუხედავად ამისა დასავლეთის ქვეყნებში მომწიფდა აზრი,

მართვის სამართლის საგანს წარმოადგენენ. თუ საფინანსო ბაზრის ზედამხედველობას არ მივიღებთ მხედველობაში, სამართლის ამ დარგს ქვემოთ არ განვიხილავთ.

² იხ. ჰომელჰოფის მიერ გადმოცემული დისკუსია სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონში ცვლილებების კონცეფციის შესახებ. *Hommelhoff, Eigenkontrolle statt Staatskontrolle*, in: *Schubert/Hommelhoff, Hundert Jahre modernes Aktienrecht* (1985), S. 53 (63).

³ იხ. „სააქციო სამსახურის“ დაფუძნების შესახებ დისკუსია: *Richter, Die Sicherung der aktienrechtlichen Publizität durch ein Aktienamt*, S. 245 ff. (1975).

⁴ ბალანსებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ იხილეთ *Donald, Die Entwicklung der US-amerikanischen Corporate Governance nach Enron*, WM 2003, S. 707.

რომ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მექანაზმი არ არის. აქედან გამომდინარე განვითარდა ხელმძღვანელ ორგანოთა კონტროლის ორი მექანიზმი. პირველი ითვალისწინებს მმართველი ორგანოების მიმართ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას და გავრცობას. მეორე მექანიზმი მოიცავს არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებზე (მაგალითად, სააქციო საზოგადოების დაარსება) კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარი კონტროლის განხორციელება გერმანიაში მოსამართლეებს დაეკისრათ. ისინი არიან პასუხისმგებელი სამეწარმეო რეესტრის წარმომადგენლებზე. სახელმწიფო ზედამხედველობის სწორედ ამ სახეს მივაპყრობთ ქვემოთ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამასთანავე განვიხილავთ მომიჯნავე დარგებსაც. ამ უკანასკნელთ განეკუთვნება სისხლის სამართალი, რომელსაც მოკლედ წარმოვიდგენთ. უფრო მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის სამართალი, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი ფასიანი ქაღალდების გამომშვებელთა (ემიტენტთა) მმართველ ორგანოებზე.

სახელმწიფო ზედამხედველობის ინტენსივიზაციის გზით მეწილეების დაცვის გაუმჯობესების შესაძლებლობისა და საზღვრების საკითხმა კორპორაციული მართვის (Corporate Governance) შესახებ დისკუსიაში ერთის მხრივ თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა⁵. მეორეს მხრივ ბალანსებთან დაკავშირებულმა ბოლოდროინდელმა სკანდალებმა თვით აშშ-შიც კი, სადაც სახელმწიფოს ჩარევას ტრადიციულად არ ესაღმებოდა, სახელმწიფოს ზეგავლენის გაძლიერება გამოიწვია⁶. ეს ფაქტი ადასტურებს ზოგად ისტორიულ-სამართლებრივ თეზას, რომლის

⁵ იხ. Report of the High Level Group of Company Law Experts, 4.11.202 შეგიძლიათ იხილოთ ვებ-მისამართზე http://europa.eu.int/comm/internal_market/en/company/company/modern/index.htm; ასევე *Kiethel, Maßnahmenkatalog der Bundesregierung zur Aktienrechtsreform 2003 – ‘Verbesserung’ des Klage-rechts der Aktionäre*, ZIP 2003, S. 707.

⁶ ასე იქნა გაუქმებული აუდიტორის თვითმმართველობა და ეს პროფესიული ჯგუფი სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოს დაექვემდებარა. ‘Public Company Accounting Oversight Board’ დაწესებულების წესდება იხ. <http://www.sec.gov/rules/pcaob/pcaob200301.htm>.

თანახმადაც როგორც ამერიკაში ასევე ევროპაში კანონმდებლის რეაქცია კრიზისებზე როგორც წესი სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესებაში ან მის გაძლიერებაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ მიზნად ისახავს სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მიმართ დაკარგული ნდობის აღდგენას⁷. ასე იქნა მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის დროს აშშ-ში ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტი (**Securities and Exchange Commission**) დაფუძნებული. იგივე გზა აირჩია გერმანიამაც: კერძოდ, სავაჭრო რეესტრის მნიშვნელობის ზრდა და ბანკებზე ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის შექმნა საკრედიტო სისტემის შესახებ კანონის საფუძველზე⁸. დიდი ბრიტანეთის საფინანსო ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს ხელახალი ფორმირება და კომპეტენციის გაფართოებაც იმ იდეით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ ვფექტური სახელმწიფოებრივი კონტროლით არსებითი წვლილი შეიძლება იქნას შეტანილი ინვესტორების ნდობის განმტკიცების საქმეში⁹.

მოსახლეობის ნდობის ჩამოყალიბება განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვისაა მნიშვნელოვანი. ამიტომ ამ საკითხებს ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ¹⁰. ამ მიზნით ჯერ დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე სახელმწიფო კონტროლის არსებულ ფორმებს მიმოვიხილავთ.

II. სახელმწიფო კონტროლის ფორმები

პირველ რიგში ხელმძღვანელ ორგანოთა წევრებზე სახელმწიფო ზედამხედველობის სხვადასხვა ფორმებს დავეთმობთ ყურადღებას.

⁷ იხ. *Hommelhoff* (სქოლიო 2).

⁸ იმპერიის კანონი საკრედიტო სისტემის შესახებ (5.12.1934).

⁹ *Financial and Services and Markets Act 2000*, ასევე *Fleischer RIW 2001*, S. 817.

¹⁰ სახელმწიფოს არასათანადო როლის შესახებ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იხ. ჯერ კიდევ *Knieper Wirtschaftsreform als Rechtsreform in post-kommunistischen Staaten RIW 1993*, S. 907.

1. სისხლისსამართლებრივი კონტროლი

სისხლის სამართალი ყოველგვარი ეჭვის გარეშე წარმოადგენს კაპიტალურ საზოგადოებათა სახელმწიფო კონტროლის სისტემის ერთ-ერთ ქვაკუთხედს. კანონმდებლის პირველი რეაქცია არსებულ სიძნელებებზე დანაშაულის ახალი სახეების შემოღება იყო. ასე იყო კერძოდ გერმანიაში. ზოგად სავაჭრო კოდექსში 1884 წელს შეტანილი ცვლილებებით კანონმდებელი იმ კრიზისის დაძლევის ცდილობდა, რომელიც „დამფუძნებელთა წლებს“ მოჰყვა¹¹. ამ დროს იქნა პირველად ისეთი ქმედებები დასჯადად გამოცხადებული როგორცაა „ფაქტების განზრახ გაყალბება“, „ქონებრივი მდგომარეობის არასწორად ასახვა“, „საარჩევნო ბარათების გაყალბება“, „გაკოტრების შესახებ განცხადების დაგვიანება“ და „ხმის მიცემის უფლების რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობით გამოყენებისათვის საზღაურის სახით სარგებლის მიღებაც“ კი¹². ჯერ კიდევ აღნიშნულ ცვლილებებამდე შეიცავდა კანონი „საზოგადოების საზიანოდ განზრახი ქმედების“ სისხლისსამართლებრივი სანქციით უზრუნველყოფილი აკრძალვს¹³. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ეს ნორმები სავაჭრო კოდექსში იქნა შეტანილი და დღესდღეობითაც ნაწილობრივ ძალაში რჩებიან (სააქციო კანონის 399-ე და შემდგომი მუხლები). ამით დასტურდება ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ხელმძღვანელი ორგანოების მოვალეობათა სამეწარმეოსამართლებრივ სისტემას და სანქციების სისხლისსამართლებრივ მექანიზმს შორის არსებობს.

ნორმებს ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ სხვა კანონებიც შეიცავენ: ბალანსის გაყალბება (სავაჭრო კოდექსის 331-ე მუხლი), ინსაიდერული ვაჭრობა (ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ

¹¹ „დამფუძნებელთა წლებად“ (Gründerjahre) XIX საუკუნის ბოლო მესამედს მოიხსენიებენ. ამ პერიოდში განსაკუთრებულ ზრდას განიცდიდა ეკონომიკა და მრავალი საწარმო იქნა დაარსებული (მთარგმნელის შენიშვნა).

¹² გერმანიის ზოგადი სავაჭრო კოდექსის 249-249 გ მუხლები.

¹³ ეს ნორმა მოგვიანებით სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლის გათვალისწინებით ზედმეტად მიიჩნეეს და გააუქმეს.

კანონის 38-ე მუხლი), ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისას არსებული მოვალეობების დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 283-ე ბ მუხლი). აღნიშნულთან მჭიდროდაა დაკავშირებული აუდიტორის დასჯადობა მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში (სავაჭრო კოდექსის 332-ე მუხლი). ჩამონათვალი გვიჩვენებს სისხლის სამართლის დარგში არსებულ ტენდენციას. კანონმდებელი სულ უფრო მეტად აკონკრეტებს მმართველ ორგანოთა მოვალეობებს და სულ უფრო მეტად აწესებს დამსჯელ სანქციებს ამ მოვალეობათა დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის ან ადმინისტრაციული სახდელის ფორმით¹⁴. მსგავსი ტენდენციები შეიმჩნევა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კორპორაციული სამართლის ახალ კოდიფიკაციებში¹⁵. ასე რომ თეზა სისხლისსამართლებრივ მეთოდებით სახელმწიფო კონტროლის გაფართოების შესახებ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

ოივე დასკვნამდე მივყავართ პრაქტიკაში სისხლისსამართლებრივი ნორმების შეფარდების ანალიზსაც. მართალია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ ნორმებს პრაქტიკაში ნაკლები ყურადღება ექცეოდათ¹⁶. ამჟამად თუმცა ამ მიმართებითაც ცვლილებები შეიმჩნევა. ასე მაგალითად, ამა წლის აპრილში პირველად იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სააქციო კანონის 400-მუხლის საფუძველზე, რომელიც უკვე 120 წელს მოითვლის¹⁷. როგორც გადაამწვევტი მოვლენა ისტორიაში შევა გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 2001 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება. სასამართლოს თავის პოზიცია უნდა გამოეხატა შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: რა შემთხვევაში შეიძლება მმართველი ორგანოს წევრის მიერ კორპორაციულსამართლებრივი მოვალეობების დარღვევა

¹⁴ სააქციო კანონის 405-ე, 406-ე მუხლები; სავაჭრო კოდექსის 334-ე მუხლი.

¹⁵ იხ. სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ პოლონეთის კანონის 585-596-ე მუხლები (მიღებული იქნა 2000 წლის 15 სექტემბერს). იხ. *Breidenbach (Hrsg.) Handbuch Wirtschaft und Recht in Osteuropa*, Bd. 2, PL 350 (Loseblatt).

¹⁶ *Otto Aktienstrafrecht*, Anm. 11 vor § 399, (1997).

¹⁷ *FAZ*, v. 9.4.2003, S. 13 'Geldstrafe in Millionenhöhe für die Haffas'.

სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლით (სამართავად გადაცემული ქონების განზრახ ბოროტად გამოყენება) გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. კერძოდ მოსამართლეებს უნდა შეეფასებინათ ერთ-ერთი საჯარო სატრანსპორტო საწარმოს გამგეობის თავმჯდომარის მიერ ადგილობრივი საფეხბურთო კლუბისათვის საზოგადოების სახსრებიდან შეწირულობის სახით 20.000 გერმანული მარკის გადაცემის ფაქტი¹⁸. გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საკორპორაციო სამართლით გათვალისწინებული ყოველი მოვალეობის დარღვევა სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლის მეორე ალტერნატივის თვალსაზრისით მოვალეობის დარღვევას არ წარმოადგენს. აუცილებელია, რომ დარღვევა მძიმე ხასიათს ატარებდეს.

მიუხედავად ამისა გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ გამგეობის თავმჯდომარის ქმედობა დასჯადად სცნო. სასამართლოს აზრით მძიმე დარღვევას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან შეწირულობა დაფარულად იქნა გაცემული, თანხის ოდენობა საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობას არ შეესაბამებოდა და შეწირულობას საწარმოს საქმიანობის სფეროსთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა¹⁹. ამ გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ ნათელი გახადა რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება მმართველი ორგანოს წევრის მიერ მოვალეობების ნებისმიერი დარღვევა გახდეს, თუ ამ დარღვევის შედეგად საზოგადოებას ქონებრივი ზიანი ადგება და დარღვევა საკმარისად მძიმეა²⁰. სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლის საშუალებით ზედამხედველობას კიდევ უფრო ეფექტურს ხდის პროკურატურისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, ჩამოართვას დამნაშავეს ამგვარი დანაშაულის წყალობით „მოპოვებული“ ქონება²¹.

აღნიშვნის ღირსია ასევე შემთხვევა, რომელიც ამჟამად გერ-

¹⁸ FAZ v. 9.4.2003, S. 13 'Geldstrafe in Millionenhöhe für die Haffas'.

¹⁹ FAZ v. 9.4.2003, S. 13 'Geldstrafe in Millionenhöhe für die Haffas'.

²⁰ იხ. *Laube*, AG 2002, S. 308.

²¹ სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე და შემდგომი მუხლები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონის 29-ე ა მუხლი.

მანიაში დისკუსიის საგანს წარმოადგენს და რომლის გადაწყვეტაც გზის მანვენებელი უნდა გახდეს. პასუხს მოითხოვს კერძოდ შემდეგი შეკითხვა: არის თუ არა სამართავად გადაცემული ქონების ბოროტად გამოყენება დასჯადი, როცა საწარმოს მიერთების დროს მიერთებული საზოგადოების მმართველი ორგანოების აწ გათავისუფლებული წევრებისათვის მილიონების ოდენობით პრემიების გადახდა ხდება, მაშინ როცა ეს გადახდები არც კანონით და არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყო²². თუ პროკურატურა იმის დამტკიცებას შეძლებს, რომ ამ გადახდებს სამართლებრივ საფუძველი არ გააჩნდათ, მაშინ ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ როგორც თანხის გადახდა ისევე მიღება სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ქმედებად უნდა იქნას მიჩნეული. ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა უფლება-მოვალეობები შრომით ხელშეკრულებებში მომავალში კიდევ უფრო ზუსტად განისაზღვრება.

პროკურატურის მხრიდან ხელმძღვანელი ორგანოების კონტროლის გარდა გერმანიაში სახელმწიფო კონტროლის სხვა ფორმაც ჩამოყალიბდა, კერძოდ – ზედამხედველობა რეგისტრაციაში გამტარებელი მოსამართლის მიერ.

2. საზოგადოების ორგანოებზე კონტროლი რეგისტრაციისათვის პასუხისმგებელი მოსამართლის მიერ

გერმანული სააქციო სამართლის ძირითადი ნორმა, რომელიც ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა საქმიანობაზე არაპირდაპირ კონტროლს უზრუნველყოფს, არის სააქციო კანონის 38-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად სამეურნეო საზოგადოების რეგისტრაციისას სასამართლოს ევალება შეამოწმოს, არის თუ არა საზოგადოება დადგენილი წესის შესაბამისად დაფუძნებული. თუ ეს ასე არ არის სასამართლომ უარი უნდა თქვას რეგისტრაციაზე.

საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების თანახმად ამ ნორმის მნიშვნელობა სცილდება მის სიტყვასიტყვით აზრს

²² იხ. პრესის გამოხმაურება „ვოლფონის“ მიერ „მანესმანის“ მიერთების შესახებ (7.2.2003).

და შეეხება სამეწარმეო რეესტრში სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტების რეგისტრაციის ყველა სხვა შემთხვევასაც²³. რეალურად ეს ნორმა ავალდებულებს რეგისტრაციისათვის პასუხისმგებელ მოსამართლეს, რომ მან რეგისტრაციის მიზნით მიწოდებული საბუთები არა მარტო ფორმალური სრულყოფილების არამედ შინაარსობრივად, მატერიალური სისწორის თვალსაზრისითაც შეამოწმოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „რეესტრის მოსამართლე“²⁴ ჩვეულებრივ მხოლოდ იმ შემთხვევებში ერთვება საქმეში, როცა ეჭვის აღმძვრელი გარემოებებია ცნობილი. სამაგიეროდ ამ მომენტიდან იგი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით დაიწყოს გამოძიება²⁵. გარდა ამისა ის იღებს გამოტოვებული ჩანაწერების შესავსებად და ყალბი ჩანაწერების შესასწორებლად აუცილებელ ყველა უფლებამოსილებას²⁶.

სააქციო კანონის 38-ე მუხლი 1937 წელს შევიდა კანონში. ამდენად შესაძლებელია იმის ეჭვიც არსებობდეს, რომ ნორმა არსობრივად ნაციონალ-სოციალიზმის პირმშო იყოს. ამის წინააღმდეგ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სააქციო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ 1937 წელს მიღებული კანონი ძირითადად ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის დროს გაწეული მუშაობის შედეგებს ეფუძნებოდა²⁷. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს,

²³ იხ. *Wagner in Heidel Aktienrecht*, Rn.2 zu §181 AktG; უკანასკნელად OLG Karlsruhe DB 2002, S. 889.

²⁴ მოხსენიების ღირსია ისიც, რომ სააქციო საზოგადოებების სარეესტრო სასამართლოში არა *Rechtspfleger*-ი, არამედ მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას, რაც ზოგადი პრინციპიდან გადახრას წარმოადგენს (§ 17 *Rechtspflegergesetz*).

მთარგმნელის შენიშვნა: *Rechtspfleger*-ი არის სპეციალური (არა აუცილებლად უმაღლესი) იურიდიული განათლების მქონე სახელმწიფო მოხელე, რომელსაც მართლმსაჯულების სისტემაში ისეთი ამოცანების გადაწყვეტა ეკისრება, რომლებიც უშუალოდ სამოსამართლო საქმიანობას არ განეკუთვნებიან.

²⁵ უდავო წარმოების შესახებ კანონის 112-ე მუხლი.

²⁶ იმავე კანონის 125 a, 132, 140 და შემდგომი მუხლები.

²⁷ *Assmann in Großkomm AktG Einl Rdn.* 168 (4.Aufl., 1992).

რომ 31-ე მუხლმა (1937) უკვე დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას კანონის ძალა მიანიჭა.²⁸

რეესტრის სასამართლოს კონტროლი პირველ ყოვლისა შემდეგ იურიდიულ ფაქტებს შეეხება:

- საზოგადოების კაპიტალის შექმნა,²⁹
- გამგობის წევრად მოწვევისას გამომრიცხავი პიროვნული საფუძვლების არსებობა,³⁰
- დამფუძნებელთათვის განსაკუთრებული უპირატესობების მინიჭების შესახებ შეთანხმება,³¹
- წესდებაში ცვლილების შეტანის პროცედურის მართლ-ზომიერება,³²
- საწარმოთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულების დადების მართლზომიერება,³³
- რეორგანიზაციის მართლზომიერება,³⁴ ³⁵
- შეზღუდულ ფარგლებში ასევე ბალანსის წარმოებისა და გამოქვეყნების მოვალეობათა დაცვა.³⁶

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რეგისტრაციის მწარმოებელ მოსამართლეს არა მარტო იმის შემოწმების უფლება აქვს, დაცული იქნა თუ არა კანონისა და წესდების მოთხოვნები. იგი უფლებამოსილია საზოგადოების ორგანოთა გადაწყვეტილებები შინაარსობრივადაც გააკონტროლოს.

აქ მოვიხმოთ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას „Kali & Salz“-ის შესახებ. გადაწყვეტას

²⁸ *Gadow in: Gadow u.a. Aktiengesetz, Anm.1 zu § 38 AktG, (1939).*

²⁹ სააქციო კანონის 38-ე მუხლი 37-ე და 52-ე მუხლებთან.

³⁰ სააქციო კანონის 38-ე მუხლი 37-ე (2) მუხლთან კავშირში.

³¹ სააქციო კანონის 38-ე მუხლი 37-ე, 52-ე მუხლებთან კავშირში.

³² სააქციო კანონის 38-ე მუხლი 181-ე მუხლთან კავშირში.

³³ სააქციო კანონის 8-ე მუხლი 294-ე მუხლთან კავშირში.

³⁴ სააქციო კანონის 319-ე მუხლი, რეორგანიზაციის შესახებ კანონი 19-ე მუხლი.

³⁵ წესდების ბათილობისა და განსზღვრული დამატებითი პირობების არსებობისას რეგისტრაციის მწარმოებელ სასამართლოს შეუძლია სააქციო საზოგადოების ლიკვიდირება. უდავო წარმოების შესახებ კანონის 114-ე მუხლი.

³⁶ სავაჭრო კოდექსის 334-ე და შემდგომი მუხლები.

მოითხოვდა საკითხი, უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა გათვალისწინებული წესების დაცვით მიღებული საერთო კრების გადაწყვეტილება ისეთ შინაარსობრივ მოთხოვნებს, რომლებზეც კანონი არაფერს ამბობს. ფედერალურმა სასამართლომ დადებითად უპასუხა ამ შეკითხვას. ვინაიდან აქციონერთა უფლებებში ჩარევა მძიმე ხასიათისაა და აქციონერი იძულებულია ამგვარი ჩარევის შედეგები ითმინოს, აუცილებელია, ამტკიცებს სასამართლო, გადაწყვეტილებების კონტროლი, რათა დაცული იქნას საზოგადოების წევრთა ინტერესები.³⁷

ამ გადაწყვეტილების მაგალითზე თვალსაჩინო ხდება ის, რომ ფედერალური სასამართლო საზოგადოების წევრთა დაცვას სასამართლოების მიერ გამართლებულად მიიჩნევს. ჩვენთვის საინტერესო თემატიკის ფარგლებში პასუხი უნდა გაცეს სხვა კითხვასაც: უნდა განახორციელოს თუ არა გადაწყვეტილებების კონტროლი მარეგისტრირებელმა სასამართლომაც. გერმანიაში ამას უპირატესად დაუშვებლად მიიჩნევენ, როცა საქმე ისეთ შეცდომებს შეეხება, რომლებიც აქციონერის მიერ საზოგადოების გადაწყვეტილებების მხოლოდ შეცილების უფლებას იძლევიან. ამის საპირისპიროდ მარკუს ლუთერმა ჯერ კიდევ 1969 წელს გამოთქვა აზრი, რომ რეგისტრაციაში გამტარებელი სასამართლოს ამოცანებს იმის შემოწმებაც მიეკუთვნება, ილახება თუ არა ამა თუ იმ ღონისძიებით საჯარო ინტერესი. თუ ეს უკანასკნელი ირღვევა, სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს უარი თქვას რეგისტრაციაზე იმისაგან დამოუკიდებლად შეცილების საფუძველი არსებობს თუ ბათილობის.³⁸ ამ თვალსაზრისის მოწინააღმდეგეთა აზრით ამით აქციონერებს ერთმევათ უფლება, თვითონ გადაწყვიტონ შეცილების სარჩელის აღძვრის საკითხი. ეს იქნებოდა ამავედროულად სააქციო კანონის 246-ე მუხლით შეცილებისათვის დადგენილი ვადის უგულებელყოფა.³⁹ თუ ფედერალური სასამართლოს ზემოთ მოყვანილ გადაწყვეტილებას მხედველობაში მივიღებთ, საბოლოო ჯამში

³⁷ BGH NJW 1978, S.1316 („Kali & Salz“).

³⁸ Lutter Die Eintragung anfechtbarer Hauptversammlungsbeschlüsse im Handelsregister, NJW 1969, S. 1873.

³⁹ Wagner in Heidel Aktienrecht, Rn. 10 zu §181 AktG

ჩემის აზრით ის კი არაა გადმწვეტი, იქნა თუ არა საჯარო ინტერესები შელახული, არამედ ის, თუ რამდენად მძიმე იყო ეს ჩარევა. თუ საზოგადოების წევრთა უფლებებში ჩარევა საკმარისად მძიმეა, მაშინ აღნიშნული კანონის 241-ე მუხლის პირველი ნაწილის 3 პუნქტით ან 4-ე მუხლით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლის არსებობაც სავარაუდოა.⁴⁰ აქედან გამომდინარე მძიმე დარღვევებისას მაინც შეიძლება რეგისტრაციისათვის პასუხისმგებელ მოსამართლეს გადაწყვეტილებების მატერიალური კონტროლის განხორციელებისაკენ მოეუწოდოთ.

ამ პრობლემების განხილვისას მკაფიოდ ისახება რეესტრის მეშვეობით კონტროლის შესაძლებლობები და საზღვრები. მის დადებით მხარეებს განეკუთვნება პრევენციული ზემოქმედება. სააქციო კანონის 181-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ის იურიდიული ფაქტები, რომელთა რეგისტრაციაც სავალდებულოა, მხოლოდ რეგისტრაციის მომენტიდან იძენენ სამართლებრივ ძალას.⁴¹ მაშასადამე რეესტრის მეშვეობით მმართველ ორგანოების ქმედებათა კონტროლი მანამდეცაა შესაძლებელი, სანამ ისინი საზიანო და შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებს გამოიწვევენ.

მეორესმხრივ ასეთი კონტროლის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ სერვესტროსამართლებრივი ზედამხედველობა კორპორაციულსამართლებრივი ღონისძიებების სწრაფ განხორციელებას უშლის ხელს. რეგისტრაციის დაყოვნებამ შეიძლება დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში სამართლებრივი მდგომარეობის გაურკვეველობა იქონიოს შედეგად.⁴² ამის გამო გერმანიაში პრევენციული კონტროლის ისეთი სისტემა იქნა არჩეული, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებებზე (მაგ. წესდებაში ცვლილებების შეტანა) ზედამხედველობით შემოიფარგლება. საწარმოს მართვასთან დაკავშირებული

⁴⁰ § 241 Ziff 3: „...ბათილია, როცა სააქციო საზოგადოების არსს არ შეესაბამება“. ამასთან დაკავშირებით იხილეთ *Hüffer in MüKoAktG § 241 Rn.54f.*

⁴¹ სააქციო კანონის 181-ე მუხლის მესამე პუნქტი.

⁴² ასეთი რისკის შემცირება პროცესულური სამართლებრივი მეთოდებით შეიძლება. მაგალითად უაცილებლად გადასაწყვეტი საკითხების გამოცალკევების გზით.

ღონისძიებების გადასინჯვის უფლებამოსილება გამორიცხულია. კვლავაც პრობლემატურია ის შემთხვევები, როდესაც ასეთ ღონისძიებებს ფაქტობრივად წესდებაში ცვლილების შეტანის ხასიათი აქვთ. უფლებამოსილია რეესტრის მოსამართლე ამ დროს საქმეში ჩაერიოს? ამჟამად მის განკარგულებაში არაა სანქციების სათანადო მექანიზმი. თუ აღნიშნულ შეზღუდვებს მხედველობაში არ მივიღებთ რეესტრის მეშვეობით კონტროლის ინსტიტუტმა გაამართლა და არსებული სახით სამეწარმეო რეესტრის შენარჩუნება მიუხედავად შიგა და შიგ გამოთქმული კრიტიკისა კამათს არ იწვევს.⁴³

3. საზოგადოების ორგანოთა კონტროლი საფინანსო ბაზრის ზედამხედველობის მეშვეობით

გერმანიისაგან განსხვავებით აშშ-ში კანონმდებელს სახელმწიფო სამართლის თავისებურებიდან გამომდინარე არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ მსოფლიო ეკონომიკის კრიზისიდან მიღებულ გამოცდილებაზე საკანონმდებლო ცვლილებებით ეპასუხა. ამიტომ მისი რეაქცია არსებულ არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე საჯარო ემისიებსა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტის (Securities and Exchange Commission, SEC) ფორმით სახელმწიფო კონტროლის დაწესებაში გამოიხატა.⁴⁴

რეგულირების ტექნიკის თვალსაზრისით ამ შემთხვევაშიც პრევენციული დაცვის სიტყმა იქნა არჩეული. თუმცა კონტროლი არა საზოგადოების დაარსებაზე იყო მიმართული, არამედ ფასიანი ქაღალდების საჯარო გამოშვებაზე. მას შემდეგ ბრუნვაში ჩაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წინაპირობას რეგისტრაციის სპეციალური პროცედურის გავლა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ რეგისტრაციისათვის აუცილებელი მონაცე-

⁴³ Ries Die Zukunft des Handelsregisters, Rechtspflegerstudien 2001, S.33.

⁴⁴ იხ. უნკანასკნელ ხანებში *Merkt* Zum Verhältnis von Kapitalmarktrecht und Gesellschaftsrecht in der Diskussion um die Corporate Governance, AG 2003, S. 126 (127). ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტის შესახებ: Sec. 4 Securities Exchange Act (1934). ასევე *Altendorfer* Die US-amerikanische Kapitalmarktaufsicht (SEC), S. 19 ff, (1995).

მების, კერძოდ ემისიის პროსპექტის სისწორის შემოწმებას მოიცავს.⁴⁵

ზედამხედველობის საგნის აღნიშნულ განსხვავებაში ძვეს გერმანულ და ამერიკულ სისტემებს შორის გადამწყვეტი სხვაობის საფუძველი. რეესტრული კონტროლი გერმანიაში საზოადოების ყველა ფორმაზე ვრცელდება, კაპიტალის ბაზრის ზედამხედველობა კი მხოლოდ იმ საწარმოებს მოიცავს რომელთა ფასიანი ქაღალდებითაც კაპიტალის ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს.

ამ გარემოებას პირდაპირ უკავშირდება კაპიტალის ბაზრის ზედამხედველობის კიდევ ერთი თავისებურება: თუ ფასიანი ქაღალდები ერთხელ იქნა ბრუნვაში ჩაშვებული, შემდგომი სახელმწიფო კონტროლის საშუალებად საჯაროობის მიმდინარე მოვალეობების დადგენა⁴⁶ და ამ მოვალეობათა შესრულებაზე თვალყურის დევნებაა რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა საჯაროობას მოითხოვს, მას მაინც გააჩნია ეფექტური სახელმწიფო კონტროლის თვალსზრისით ორი სისუსტე. პირველი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ საჯაროობის უზრუნველყოფის მოვალეობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ მისი ჩადენის შემდეგაა შესაძლებელი⁴⁷. მეორე ნაკლი ისაა, რომ ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტს მხოლოდ ირიბი კონტროლი შეუძლია განახორციელოს, რადგანაც ის უფლებამოსილი არაა საზოგადოების მმართველ ორგანოთა საქმიანობა პირდაპირ დაარეგულიროს. ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტს შეუძლია ორგანოების წევრთა მოქმედებათა ღიაობა მოითხოვოს იმის იმედით, რომ ამას დამაშინებელი ეფექტი ექნება. აქედან გამომდინარე ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტის კომპეტენცია საწარმოთა ზედამხედველობის თვალსაზრისით გერმანულ სამეწარმეო რეესტრთან შედარებით არა მარტო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საწარმოების⁴⁸

⁴⁵ Sec. 5, 8 (d) Securities Act (1933).

⁴⁶ უკანასკნელ ხანებში *Markt Unternehmenspublizität*, S.114 ff, (2001).

⁴⁷ აქედან გამომდინარე მხოლოდ სათანადოდ მკაცრი სისხლის სამართლებრივი მუქარა შეიზღება იყოს ქმედითი.

⁴⁸ კონტროლის იმ სახეს, რომელიც საფინანსო ბაზარზე სამართლებრივ ფორმის მიუხედავად ყველა სუბიექტებზე (უპირველეს ყოვლისა ბანკებსა

სახოგადოების ორგანოთა კონტროლი სახელმწიფოს მიერ

მიმართებაში, არამედ კონტროლირებადი მოქმედებების დიაპაზონის მიხედვითაც შეზღუდულია⁴⁹.

კაპიტალის ბაზრის ზედამხედველი ორგანოს კომპეტენციის ასეთი შეზღუდულობა გაწონასწორებულია ნორმების განსაზღვრისა და ჩარევის ფართო უფლებამოსილებებით. უპირველეს ყოვლისა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიების ჩატარების უფლებას, რომელიც კაპიტალის ბაზრის მომწესრიგებელი ნორმების დარღვევებზე რეაგირების ფართო უფლებამოსილებებს ახლავს თან.⁵⁰

ამ კომპეტენციის საფუძველზე დროთა განმავლობაში, მნიშვნელოვანწილად სასამართლოების წყალობითაც, მაკონტროლებელმა უწყებამ უფლება მოიპოვა:⁵¹

- ამოიღოს უკანონოდ მიღებული შემოსავალი,
- არ დაუშვას საწარმოს მართვის გარკვეული ღონისძიებების გატარება,
- არ დაუშვას ხმის მიცემის უფლების გამოყენება,
- დანიშნოს „განსაკუთრებული ექსპერტი“ რომელსაც ევალება კაპიტალის ბაზრის მომწესრიგებელი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა,
- უარი უთხრას დირექტორს თავისი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების გაგრძელებაზე,
- წარგზავნოს დირექტორთა საბჭოში (ბოარდ) დამოუკიდებელი წევრი,
- დანიშნოს მმართველი (რეცივერ),
- აღძრას ფულადი ჯარიმის გადახდის მოთხოვნით სამოქალაქო-სამართლებრივი სარჩელი

თუ ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტისა და

და ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეებზე ვრცელდება, ამჯერად არ დაგუტმობთ ყურადღებას.

⁴⁹ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე ზედამხედველობის საკითხებს აქ არ განვიხილავთ.

⁵⁰ Sec. 20 Securities Act (1933).

⁵¹ *Hazen The Law of Securities regulation*, § 9.5 'Ancillary Relief in SEC Injunction Actions', 3.Aufl. 1996. "Sarbanes – Oxley Act"-ის მეშვეობით უახლეს ცვლილებების შესახებ იხილეთ *Schwarz/ Holland Enron, WoldCom und die Corporate Governance Diskussion*, ZIP 2002, S. 1661 (1667 unter 1.4).

1994 წლიდან გერმანიაში არსებული ფინანსურ მომსახურებათა ზედამხედველობის ფედერალური უწყების ზედამხედველობით უფლებამოსილებებს ერთმანეთს შევადარებთ, დაავადგენთ, რომ ეს უკანასკნელი როგორც კომპეტენციის სფეროს ასევე რეაგირების უფლებამოსილებების თვალსაზრისით შეზღუდულია, რისი მიზეზიც კონტროლის გერმანული სტრუქტურების ორმხრივობაა. გადამწყვეტი სხვაობა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტსა და ფედერალურ უწყებას შორის საჯაროობის მოვალეობების შესრულებაზე თვალყურის დევნების კომპეტენციაში მდგომარეობს. ეს უფლებამოსილება გერმანიის საჯარო კოდექსის 325-ე და შემდგომი მუხლების თანახმად სამეწარმეო რეესტრს აქვს. საწარმოთა დამარეგისტრირებელ სასამართლოებს უფლება არა აქვთ მიწოდებული ბალანსები მატერიალურ სისწორის კუთხით შეამოწმონ.⁵²

საწარმოს საქმიანობაში ჩარევის უფლებების მიმართებაში ფედერალურ უწყებას ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტს მსგავსი უფლებამოსილებები მხოლოდ საკრედიტო სისტემის შესახებ კანონის საფუძველზე ენიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უფლებები მხოლოდ ფინანსური მომსახურების გამწვევ საწარმოთა მიმართ შეიძლება იქნან გამოყენებული.⁵³ სხვა ემიტენტების წინაშე კი ასეთი ფართო კომპეტენცია (მაგალითად, ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის შეჩერების უფლება) უწყებას არა აქვს. ეს განმაცვიფრებელია, ვინაიდან კანონი უშვებს სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვის შესაძლებლობებს, თუმცა ეს სხვა ორგანოს კომპეტენციაში შედის.⁵⁴

III. სახელმწიფო ზედამხედველობის დასაბუთება

აქამდე მხოლოდ აღწერილი იქნა, თუ სახელმწიფო ზედამხედველობის რომელი ფორმები არსებობს. მოდელის სახით

⁵² საჯარო კოდექსის 329-ე მუხლი.

⁵³ საკრედიტო სისტემის შესახებ კანონის 44-ე და მომდევნო მუხლები.

⁵⁴ მეწარმეობის შესახებ კანონის 35-ე მუხლი. დიდ ბრიტანეთში ამგვარ გადაწყვეტას ცალკე კანონი ითვალისწინებს: Company Director's Disqualification Act 1986, *Mayson/French/Ryan Company Law* (2002-2003 Edition), 18.8.5.6.

მიმოვიხილეთ ერთის მხრივ კაპიტალური საზოგადოებების რეესტრის წარმოების გზით კონტროლი, მეორეს მხრივ – კაპიტალის ბაზარზე სახელმწიფო ზედამხედველობა.

ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა სახელმწიფო ზედამხედველობის ეს ორივე ფორმა მეცნიერულად გამართლებული.

1. სახელმწიფოს მიერ ინვესტორთა დაცვის დასაბუთება

კაპიტალური საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოთა წევრების მიმართ სახელმწიფოებრივი ღონისძიებები პირველ რიგში პიროვნების კონსტიტუციურ უფლების დარღვევას წარმოადგენს. ვგულისხმობ საერთო ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით საზოგადოების ფორმით გაერთიანების უფლებას. ამგვარი ჩარევა, ისევე როგორც პიროვნების სხვა ძირითად უფლებების შეზღუდვა სათანადო დასაბუთებას მოითხოვს. აღიარებული შეხედულების თანახმად ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა იმ გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომელიც ეკონომიკური კრიზისებისა და საწარმოთა გაკონტრეების შედეგად იქნა დაგროვილი. რწმენა იმისა, რომ ინვესტორს უნარი აქვს საკუთარი ინტერესები დაიცვას როცა სახელმწიფო საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს საკმარისი არ არის. საჭიროდაა მინეული სახელმწიფოს მხრიდან უფრო ძლიერი დაცვა.⁵⁵ ამ არგუმენტაციიდან გამომდინარეობს ჯერ ერთი ის, რომ ხელმძღვანელ ორგანოებზე სახელმწიფო ზედამხედველობა მხოლოდ რაიმე გარკვეულ მიზნითაა დასაშვები, ჩვენს შემთხვევაში ასეთად ინვესტორების დაცვა გვევლინება. სხვა უფრო შორს მიმავალი მიზნების განხორციელება გამორიცხულია. მეორეს მხრივ სახელმწიფო კონტროლის მოცულობა პირდაპირ უკავშირდება დამბანდებელთა უნარს თავად იზრუნონ საკუთარ ინტერესებზე.

⁵⁵ იხ. პომელჰოფის მიერ გადმოცემული დისკუსია სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონში ცვლილებების ძირითადი კონცეფციის შესახებ. *Hommelhoff, Eigenkontrolle statt Staatskontrolle*, in: *Schubert/Hommelhoff*, *Hundert Jahre modernes Aktienrecht* (1985), S. 53 (63).

pool-ს (ნაღდი ფულის სარეზერვო ფონდს), რომელშიც კონცერნის ყოველი საწარმო შეიტანს იმ თანხას, რომელიც მას ამ მომენტისთვის არ ესაჭიროება და რომლიდანაც – ყოველ შემთხვევაში თეორიულად – უზრუნველყოფილი იქნება კონცერნის ყოველი საწარმოს გადახდისუნარიანობა. ასეთი სისტემის წყალობით შეიძლება საბანკო მომსახურების გადასახადების დაზოგვა და ერთმანეთის მიმართ უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების გაქვითვა. ალბათ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ კონცერნის ხელმძღვანელობას შესაძლებლობა ეძლევა გააკონტროლოს კონცერნის საწარმოების თანხების მიმოქცევა.

ბრემენის ვულკანის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ იგი გადაჭრით უარყოფს ერთადერთი პარტნიორის საკონცერნოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგანაც – სასამართლოს განცხადებით - შპს-ს ერთპიროვნული პარტნიორის პასუხისმგებლობისას საქმე ეხება არა არაძირითადი საწარმოს დაცვას ძირითადი საწარმოს მხრიდან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან, არამედ მხოლოდ ნომინალური კაპიტალის შენარჩუნებასა და ქონების დაცვას კრედიტორის ინტერესიდან გამომდინარე. კრედიტორის ინტერესებს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ემუქრება საფრთხე, თუ არაძირითადი საწარმო მისი ერთპიროვნული პარტნიორის ჩარევის შედეგად ვერ შესძლებს მისი ვალდებულებების შესრულებას. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს აზრით, ერთპიროვნული პარტნიორი ვალდებულია არაძირითადი საწარმოს ქონებასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებისას, გაითვალისწინოს მისი ინტერესი შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა და ამით საფრთხის ქვეშ არ დააყენოს მისი არსებობა. საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ, განსაკუთრებით წარსულში ძალზედ პოპულარული საკონცერნოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის უარყოფამ, დიდი აღიარება ჰპოვა. მაგრამ ეს ასევე იმასაც ნიშნავს, რომ ამგვარი პასუხისმგებლობა ვრცელდება არა მხოლოდ საწარმოებზე, არამედ ყოველ პარტნიორზე. ამიტომ გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ასევე იმ აქციო-

ნერისათვისაც, რომელიც არაა საწარმო და რომელზეც არ ვრცელდება საკონცერნო სამართალი.

ამ პასუხისმგებლობის ცალკეული დეტალები ჯერ კიდევ გასარკვევი და დასაზუსტებელია. სენატის თავმჯდომარის⁷ განმარტებით, მის წინაპირობას წარმოადგენს გაუფრთხილებელი ქმედება. გაკოტრების საქმის წარმოებისას ლიკვიდატორს უფლება აქვს და ვაღდებულებიცაა მოითხოვოს საზოგადოებისათვის ზიანის ანაზღაურება. გაკოტრების საქმის ფარგლებს გარეთ, კრედიტორს უნდა შეეძლოს იმოქმედოს უშუალოდ ერთადერთი პარტნიორის წინააღმდეგ. აზრი არ ექნებოდა, რომ მისთვის უფრო რთული გზისაკენ მიგვეთითებინა, რომლითაც მან ჯერ უნდა დაავიროს გადახდისუუნარო საწარმოს მოთხოვნა და შემდგომ მოითხოვოს მისთვის გადარიცხვა.

საკითხის სააქციო-სამართლებრივი გადაწყვეტა: ა) ფაქტობრივი კონცერნი. ახლა იმ კუთხით განვიხილოთ ბრემენის ვულკანისა და ITT კაზუსები, თითქოსდა დაზარალებული საზოგადოება წარმოადგენს არა შპს-ს, არამედ სააქციო საზოგადოებას. 1965 წლის სააქციო კანონი შეეცადა, 311-ე მუხლით მოეგვარებინა ძირითადი ან ერთადერთი პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა მისი საკონცერნო-სამართლებრივი ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პარტნიორი წარმოადგენს საწარმოს. მაგრამ საწარმოს ცნება ამ შემთხვევაში ძალიან ფართოა. პრინციპში, ყოველი სერიოზული კომერციული ინტერესის მქონე პარტნიორი, მაგალითად თვით თემიც კი, განიხილება როგორც საწარმო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ საზოგადოება ამ სხვა კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე არახელსაყრელ პირობებში მოექცეს.

როგორც ხჩანს, შპს-სთვის გათვალისწინებული კეთილსინდისიერების ვაღდებულების მსგავსი რეგულირება საკმარისი არ იყო სააქციო კანონმდებლისათვის, ვინაიდან სააქციო საზოგადოება შპს-სთან მიმართებაში გარკვეულ სტრუქტურულ

⁷ რორიხტი, საკორპორაციო სამართლის დისკუსიაში, 2001, საკორპორაციო-სამართლებრივ ხელნაწერთა გაერთიანება. გვ. 10, 15.

სხვაობებს წარმოაჩენს, როგორცაა უფრო დიდი დამოკიდებულება კაპიტალზე და მითითებებისაგან დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა გამგეობის მხრიდან. უწინარეს ყოვლისა, ისეთ სააქციო საზოგადოებებში, რომლებშიც დიდია წვრილ აქციონერთა რიცხვი, არსებობს დიდი პრობლემა, რომ არც აქციონერები და არც კრედიტორები არ არიან ჩახედულები ძირითად საწარმოსთან ურთიერთობებში და, ამდენად, არც კი უწყიან, არახელსაყრელ მდგომარეობაშია თუ არა მართლა საზოგადოება.

ამ განსაკუთრებულობებს სააქციო კანონი ითვალისწინებს დაცვის ორმიმართულებიანი სისტემით. ის განასხვავებს, ერთის მხრივ, ფაქტობრივ და, მეორეს მხრივ, სახელშეკრულებო საფუძველზე დაფუძნებულ საწარმოთა ურთიერთკავშირს შორის, ანუ ე.წ. ფაქტობრივ და სახელშეკრულებო კონცერნს შორის.

წმინდა ფაქტობრივი კონცერნის არსებობისას გერმანიის სააქციო კანონის 311-ე მუხლი უკრძალავს ძირითად საწარმოს არაძირითად საწარმოს უბიძგოს მისთვის არახელსაყრელ გარიგებების დადებასა და ღონისძიებების გატარებაზე. ეს ნორმა ზოგადი ხასიათისაა და ვრცელდება ერთპიროვნულ პარტნიორზეც და ასევე განურჩევლად იმისა, ზეგავლენა ხორციელდება გამგეობის, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ საერთო კრების გზით. ამასთან არახელსაყრელად ითვლება ყოველი ღონისძიება, რომელიც არ უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი საზოგადოების კეთილსინდისიერმა ხელმძღვანელმა. ამ აკრძალვის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პასუხისმგებლობის საკითხი აღარ დგება მაშინ, როცა არახელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორება ხდება ჯერ კიდევ სამურნეო წლის განმავლობაში.⁸ მაგრამ ჩანს, რომ ამგვარი კომპენსირების შესაძლებლობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს.

დავუბრუნდეთ განხილულ შემთხვევას: გამგეობამ მხოლოდ მაშინ შეიძლება სცნოს საკონცერნო გაწერა, როდესაც ძირითად საწარმოს მართვის საქმიანობას სულ მცირე შესატყვისი ღირებულება გააჩნია, ანუ სხვის მიერ ამგვარი საქმიანობის შესრულების შემთხვევაშიც ანალოგიური საფასურის გადახდა

⁸ Art. 311, Abs. 2 d AktG.

მოხდებოდა. გამგეობას მხოლოდ მაშინ აქვს თავისი საზოგადოების ჩართვა cash-pool-ში, როცა ეს თვით საზოგადოებისათვისაა ხელსაყრელი. თუკი საზოგადოება სტრუქტურული თვალსაზრისით მეტს იხდის, ვიდრე იღებს, უნდა მოხდეს ზედმეტ თანხაზე შესაბამისი პროცენტის დარიცხვა. საექვო ეკონომიკური მდგომარეობის შემთხვევაში აუცილებელია გარანტიები.

დარღვევებისას საზოგადოების ძირითადი საწარმო ვალდებულია საზოგადოებას ანაზღაუროს ზიანი.⁹ ის პასუხს აგებს აქციონერთა წინაშეც, ისევე, როგორც 117-ე მუხლის შემთხვევაში, უშუალოდ მიყენებული ზიანისათვისაც. მასთან ერთად, სოლიდარულად პასუხს აგებენ არაძირითადი საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების წევრებიც, რომლებიც თავისი ვალდებულებების საწინააღმდეგოდ დაჰყენენ საზიანო გარიგებას.

რჩება კითხვა: თუ ვინ დააყენებს მოთხოვნას? ხელმძღვანელობისაგან ამას არ უნდა ველოდოთ. ის როგორც წესი იმყოფება სხვა საწარმოს გავლენის ქვეშ. პარტნიორებს, როგორც წესი, აკლიათ საჭირო ინფორმაცია. გერმანულმა სამართალმა განავითარა ამ საკითხის თავისებური გადაწყვეტა, ე.წ. „დამოკიდებულების ანგარიში“¹⁰ გამგეობა ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიში ყველა გარიგებისა და ღონისძიების შესახებ, რომლებზეც არსებობს არახელსაყრელობის ეჭვი შესრულებისა და შემხვედრი შესრულების მითითებით, ხოლო ანგარიშის ბოლოს კი აღნიშნოს, აღმოჩნდა თუ არა მისი საზოგადოება აღნიშნული გარიგებებითა და ღონისძიებებით არახელსაყრელ მდგომარეობაში. ეს დასკვნითი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს. მოქმედი კანონმდებლობით თვით ანგარიში სავალდებულო არაა წარედგინოს მცირე აქციონერებსა და კრედიტორებს, იმდენად რამდენადაც ის შეიცავს საზოგადოების კომერციულ საიდუმლოებებსაც. ამ წესის ერთგვარი კომპენსირება ხდება იმით, რომ სამეთვალყურეო საბჭო და აუდიტორი ვალდებული არიან შეამოწმონ ეს ანგარიში და შედეგები გამოაქვეყნონ შემოწმების აქტში.¹¹

⁹ Art. 317 dAktG

¹⁰ Art. 312 dAktG

¹¹ Art. 313, 314, dAktG

გერმანიაში ამ გადაწყვეტილებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთნი დაცვის ამგვარ სისტემას არასაკმარისად თვლიან. ისინი მიიჩნევენ, რომ დამოკიდებულების ანგარიში არა-ეფექტური საშუალებაა, ვინაიდან აუდიტორი ძნელად თუ შეძლებს გარიგებების მიზანშეწონილობის შემოწმებას. მეორენი კი, ძირითადად ეკონომიკის სფეროს წარმომადგენელნი, აცხადებენ, რომ დაცვის ამგვარი მექანიზმი ზედმეტად ფართოა. მათი აზრით, ყოველი ცალკეული გარიგების დაბალანსების აუცილებლობის შემთხვევაში, ვეღარ მოხდებოდა ფილიალის მოგებაზე ორიენტირებული გაძღოლა. იმავედროულად, მათი აზრით, დამოკიდებულების ანგარიში უმცირესობის პარტნიორების არარსებობისას ზედმეტად ხარჯიანი და დამამძიმებელია.

თუმცა არსებული გამოცდილების საფუძველზე, დაცვის ამგვარ სისტემას მეტწილად დადებითი თვისებები მიეწერება, ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის პროფილაქტიკურ ხასიათს. სწორედ ამიტომაც გერმანიის Corporate Governance-ს სამთავრობო კომისიის მიერ 2001 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში არანაირი ცვლილების რეკომენდაცია არ იქნა შემოთავაზებული. იმავედროულად კომისიამ მხარი დაუჭირა გაკოტრების შემთხვევაში საწარმოს ბოლო ხუთი წლის დამოკიდებულების ანგარიშებისა და აუდიტორის დასკვნების საჯაროობას.¹² თუმცა სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეზღუდოს ან სულაც აკრძალოს საჯაროობა, როცა ძირითადი საწარმო არაძირითადი საწარმოს მიმართ თავის სამართლიან ინტერესებს წამოაყენებს. ეს, ჩვენი აზრით, გონივრული გამოსავალია. ანგარიშების ტრანსპარენტულობა ხელს შეუწყობს მათ გულდასმითა და კეთილსინდისიერად შედგენას.

ბ) სახელშეკრულებო კონცერნი. ფაქტობრივი მფლობელობის ურთიერთობების დაცვის სისტემის ამგვარი შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ გერმანული სამართალი დაცვის სისტემის მეორე შესაძლო ვარიანტს გეთავაზობს იმ შემთხვევისათვის, როცა ძირითადი საწარმო არ მიდის ცალკეული გარიგების დაბალანსებისა და დამოკიდებულების ანგარიშის გზით, არამედ

¹² გერმანიის სამთავრობო კომისიის ანგარიში, მინდერის ნომერი 180.

სურს ფილიალის მიმართვას კონცერნის ინტერესებისაკენ. ამ შემთხვევაში მან უნდა დადოს საკონცერნო ხელშეკრულება¹³ შვილობილ საწარმოსთან ან შეიყვანოს მის შემადგენლობაში შვილობილი საწარმო¹⁴. მაშინ მას შეეძლება შვილობილი საწარმოს მისი მითითებებით მართვა.¹⁵ ძირითადი საწარმო შეძლებს მისი შეხედულებისამებრ დააწესოს საკონცერნო შესატანი. cash-management-ი აღარ დაექვემდებარება მხოლოდ ფაქტობრივი მფლობელობისას მოქმედ შეზღუდვებს.

რაღა თქმა უნდა, ფილიალის ქონების ასეთი ფართო ხელმისაწვდომობისას განსაკუთრებით დაცულნი უნდა იყვნენ უმცირესობაში მყოფი პარტნიორები და კრედიტორები. მსგავსი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ საერთო კრების წევრთა 75%-ის თანხმობით. ამით დაცულნი არიან, უწინარეს ყოვლისა, უმცირესობაში მყოფი პარტნიორები, რომლებიც მათი არჩევანის შესაძლებლობა გარანტირებული დივიდენდის სანაცვლოდ საზოგადოებაში დარჩენასა და სასამართლოს მიერ განსასაზღვრი კონპენსაციით საზოგადოების დატოვებას შორის.¹⁶ კრედიტორისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ძირითადი საწარმო ვალდებულია თავის თავზე აიღოს არაძირითადი საწარმოს ყოველგვარი საბალანსო დანაკარგი.¹⁷ ამით ის არაპირდაპირ აკებს პასუხს არაძირითადი საწარმოს კრედიტორების წინაშე. სახელშეკრულებო ვადის გასვლისას მან უნდა წარმოადგინოს გარანტია.

დაცვის ამგვარი სისტემა გერმანიაში თითქმის აღარაა სადავო. პირიქით, სასამართლო პრაქტიკამ ის გარკვეული ცვლილებებით შპს-ზეც განავრცო. თუმცა კრიტიკის საგანი გახდა დივიდენდების გარანტიისა და კონპენსაციის დაწესებასთან დაკავშირებული საქმეთა სასამართლო წარმოების ხანგრძლივობა. გერმანიის პარლამენტს დღესდღეობით წარდგენილი აქვს კანონპროექტი ამ პროცედურის ახლებურად მოწესრიგების შესახებ,

¹³ Art. 291 dAktG

¹⁴ Art. 319 dAktG

¹⁵ Art. 308, 323 dAktG

¹⁶ Art. 304-306 dAktG

¹⁷ Art. 302, 324 dAktG

რომლის შემუშავებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბ-ნ ლუთერს, და რომელიც იმედია, რომ ამ სისტემას უფრო გააუმჯობესებს.

დაცვის ამ სისტემის მორიგი, და დასაძლევად გაცილებით რთული, სისუსტე ეხება საკითხს, თუ რა პრინციპით უნდა განსაზღვროს სასამართლომ საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორის ჯეროვანი კონპენსაციის ოდენობა. ის, თუნდაც კონსტიტუციური მოსაზრებით უნდა შეესაბამებოდეს სულ მცირე წილის ღირებულებას მაინც. შედარებით ადვილია კონპენსაციის ჯეროვნების შეფასება, როცა კონპენსაციის სახით შეთავაზებულია აქციები. ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც შერწყმისას, განმსაზღვრელია წილთა ღირებულების თანაფარდობა. მაგრამ აქციებში კომპენსაციის შეთავაზების უფლება აქვს მხოლოდ დამოუკიდებელ სააქციო საზოგადოებას. ყველა სხვა შემთხვევაში შეიძლება ფულადი კონპენსაციის მოთხოვნა.

მსგავსი ფულადი კონპენსაციის ოდენობა უწინ მხოლოდ საზოგადოების სამომავლო მოგების მიხედვით წესდებოდა, ანუ მოსალოდნელი წმინდა მოგებების ჯამით დასარიცხი პროცენტების გათვალისწინებით. მაგრამ, როგორც ცნობილია, მომავალი მოგება არასდროსაა გარანტირებული. ამასთან შეიძლება სადაო გახდეს საპროცენტო განაკვეთის, რისკის დანამატის თუ შეღავათის ოდენობა. ამ გაურკვევლობის გამო ოთხი წლის წინ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოსაც კი მიმართეს. მაშინ აქციათა საბირჟო კურსები ძალიან მაღალი იყო. აქციონერები, რომლებიც ითხოვდნენ კომპენსაციას, ასაბუთებდნენ თავიანთ მოთხოვნას იმით, რომ მოგების ღირებულების მიხედვით დაწესებული ნაღდი ფულადი კომპენსაცია არ შეიძლება ყოფილიყო საბირჟო კურსზე დაბალი, ვინაიდან ის წარმოადგენს საბაზრო ღირებულებას. მართლაც და საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კონპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულიყო საბირჟო კურსი.¹⁸ მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ საბირჟო კურსი იყოს მოგების ღირებულებაზე მაღალი. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ეს სრულდებოდა, შეფასების საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვადა. მაგრამ ამასობაში საბირჟო კურსმა დაიწია და ამით მართალი

¹⁸ BverfGE 100, 289.

აღმოჩნდა ყველა ის, ვინც გრძელვადიან პერსპექტივაში თავად საშუალო საბირჟო კურსსაც კი შეფასების არასანდო კრიტიკურიუმად მიიჩნევდა. დღესდღეობით კვლავ მოცულობითი სამუშაოები ტარდება მოგების ოდენობის განსასაზღვრად, თუმცა ეს ყველაფერი აუდიტორთა გასახარად, რომლებსაც ფართო ასპარეზი მიეცათ სამუშაოდ.

დასკვნა: მისი შესატანის გარდა, პატნიორი პასუხს აგებს ძირითადად ორ შემთხვევაში: ერთის მხრივ, ის პასუხს აგებს უკანონო ქმედებისას. საკვანძო სატყვეებად გამოვიყენებ პასუხისმგებლობას საზოგადოების ხელმძღვანელობის წევრების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების გამო 117-ე მუხლის მიხედვით, კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევისას ანდა არახელსაყრელ პირობებში ჩაყენებისთვის ფაქტობრივ კონცერნში. მსგავსი მართლსაწინააღმდეგო დარღვევის არარსებობის შემთხვევაში პარტნიორი პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი საკონცერნო ხელშეკრულების მეშვეობით საწარმოს საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენებს. ამ ორი სფეროს გარეთ პასუხისმგებლობის შეზღუდვა ხელშეუხებელია. ამიტომ ძალაში რჩება პრინციპი: აქციონერი პასუხს არ აგებს.

Die Haftung des Gesellschafters

Einleitung: Gibt es bei Kapitalgesellschaften überhaupt eine Haftung des Gesellschafters? In § 1 unseres Aktiengesetzes steht ausdrücklich: Für die Verbindlichkeiten der Gesellschaft haftet den Gläubigern nur das Gesellschaftsvermögen. Es ist doch gerade der Sinn der Kapitalgesellschaft, dass jedermann, der Finanzmittel nicht selbst benötigt, diese Mittel durch Kauf von Aktien gewinnbringend anlegen kann, ohne dabei für mehr zu haften als für die Leistung seiner Einlage. Das ist das Kernproblem der Frage, ob es nicht doch in Ausnahmefällen eine Haftung des Gesellschafters geben muss. Auf einige derartige Fälle will ich im folgenden eingehen.

Erster Fall: Eine Bank, nennen wir sie Allfinanz, ist Gesellschafterin mit 10 % und Darlehnsgeberin der X AG, man könnte sagen Hausbank, und erfährt eines Tages, dass die X AG ein Darlehn bei einer anderen Bank aufnehmen will. Selbstverständlich protestiert sie beim Finanzvorstand, muss aber dort hören, dass die Kreditkonditionen der anderen Bank wesentlich günstiger sind als ihr Angebot. Die Allfinanz gibt aber das Rennen nicht verloren, sie verweist auf ihre Stellung als Gesellschafter, der auch mal anders stimmen könne als der Vorstand es wünscht, und als alles nichts hilft macht sie das zuständige Vorstandsmitglied auch noch darauf aufmerksam, dass er sein Privathaus mit Krediten der Allfinanz gebaut hat und sie diese Kredite kündigen könnte. Der Finanzvorstand akzeptiert daraufhin das für seine Gesellschaft deutlich ungünstigere Angebot der Allfinanz.

Natürlich haftet das Vorstandsmitglied; es hat seine Gesellschaft durch Hereinnahme des ungünstigeren Darlehns wissentlich geschädigt. Soll nun neben ihm auch die Allfinanz für den Schaden der Gesellschaft haften? An sich hat sie ja nur getan, was im Geschäftsleben üblich ist, nämlich sich um ein für sie gutes Geschäft bemüht. Aber hier kommt doch etwas hinzu, was ihr Vorgehen anstößig macht: Es ging nicht um das eigene Vermögen des Vorstands, sondern um das ihm anvertraute Gesellschaftsvermögen. In der Tat steht das deutsche Recht

auf dem Standpunkt, wer vorsätzlich den mit Verfügungsmacht über fremdes Vermögen ausgestatteten Vorstand zu einer Schädigung dieses Vermögens verleitet, der muss nach § 117 AktG für den Schaden aufkommen.

Allerdings: Einfluss, der vorsätzlich missbraucht werden kann, hat nicht nur ein Gesellschafter. In der Tat sagt § 117 dAktG allgemein; Wer vorsätzlich unter Benutzung seines Einflusses.....“. Es haften also nach dieser Vorschrift auch andere Einflussnehmer, z. B. Gebietskörperschaften, Verwandte des Vorstandsmitglieds oder die Arbeitnehmervertretung. Das scheint auf den ersten Blick sehr weit zu gehen. Aber man muss im Auge die zwei Voraussetzungen behalten, nämlich erstens, dass der Vorstand zu objektiv pflichtwidrigem Handeln verleitet werden und der Einflussnehmer sich dessen bewusst sein muss. Und zweitens, dass der Einfluss so stark sein muss, dass er das Vorstandsmitglied zu pflichtwidrigem Handeln bewegen kann.

Wenn ich diese Haftung trotz ihrer Geltung auch für andere Personen als die Gesellschafter hier erwähne, so hat das zwei Gründe. Erstens ist sie vor allem für Gesellschafter praktisch geworden. Und zweitens hat sie insofern auch für die Vorstandshaftung Bedeutung, als der Vorstand neben dem Einflussnehmer und gesamtschuldnerisch mit ihm haftet. Die Haftung des Einflussnehmers geht aber im deutschen Recht in einigen wenngleich nicht sehr bedeutenden Punkten über die normale Haftung des Vorstands hinaus.

Vor allem haftet der Einflussnehmer auch den Aktionären; er haftet ihnen allerdings nur für ihren unmittelbaren Schaden. Dazu noch einige Bemerkungen. Wenn die Gesellschaft geschädigt wird, dann mindert sich naturgemäß auch der Wert der Aktien; es werden also auch die Aktionäre geschädigt. Aber sie werden eben nur mittelbar nämlich durch den Schaden der Gesellschaft geschädigt. Diesen ihren mittelbaren Schaden können sie nach deutschem Recht nicht im eigenen Namen geltend machen, also Ersatz an sich selbst fordern. Sie können nur dafür sorgen, dass die Gesellschaft den Ersatz ihres Schadens verlangt. Erhält die Gesellschaft diesen Ersatz, so entfällt auch der mittelbare Schaden der Aktionäre; denn dann haben die Aktien wieder den früheren Wert. Könnten die Aktionäre ihren mittelbaren Schaden im eigenen Namen geltend machen, so bestände die Gefahr, dass sie der Gesellschaft und Mitaktionären zuvorkommen und das die Gesellschaft zu Lasten der Kapitalerhaltung leer ausgeht.

Nun ist aber denkbar, dass der Aktionär unabhängig von dem Wertverlust, den seine Aktien bei Schädigung der Gesellschaft erleiden, auch noch unmittelbar geschädigt wird. Beispiel ist etwa, in einer Liquiditätskrise gewährt der Aktionär zur Rettung seiner Aktien der Gesellschaft ein Überbrückungsdarlehen, mit dem er in der späteren Insolvenz ausfällt, weil der Aufsichtsratsvorsitzende den Vorstand zu un gerechtfertigten Zahlungen an Dritte veranlasst hat.¹ Für diesen unmittelbaren Schaden des Aktionärs haftet ein Vorstandsmitglied normalerweise nicht. Nach § 117 Abs. 1 S. 2 dAktG haftet aber derjenige, der den Vorstand unter Benutzung seines Einflusses dazu verleitet, objektiv pflichtwidrig zum Schaden der Gesellschaft zu handeln, unmittelbar auch den Aktionären, soweit sie – so formuliert des Gesetz - - „abgesehen von einem Schaden, der ihnen durch Schädigung der Gesellschaft zugefügt worden ist, geschädigt worden sind.“ Anders als normalerweise der Vorstand haben der der Einflussnehmer und also auch der mit ihm gesamtschuldnerisch haftende Vorstand dem Aktionär auch einen solchen unmittelbaren, also nicht durch Schädigung der Gesellschaft vermittelten Schaden zu ersetzen.

Zweiter Fall: Meinem zweiten Fall liegt, etwas abgewandelt, ein vom dBGH unter dem Stichwort „Girmes“ entschiedener Sachverhalt zugrunde, Der Girmes AG drohte die Zahlungsunfähigkeit. Die Gläubigerbanken entwickelten einen Sanierungsplan, der außer Forderungsverzichten dieser Banken eine Kapitalherabsetzung im Verhältnis 5 : 2 vorsah. Vor der Hauptversammlung, die darüber beschließen sollte, veröffentlichte der Herausgeber des „Effektenspiegels“, einer Börseninformationszeitschrift, eine Expertise, nach der den Gläubigerbanken ein höherer Forderungsverzicht zumutbar sei und die Kapitalherabsetzung im Verhältnis 10: 9 genüge. Er forderte die Girmes-Aktionäre auf, ihm ihre Stimmrechte zu übertragen. Er werde dann in der Hauptversammlung die vorgeschlagene Kapitalherabsetzung im Verhältnis 5: 2 ablehnen und die Gläubigerbanken zu einem höheren Sanierungsbeitrag auffordern. Tatsächlich erteilten ihm rd. 40 % der Aktionäre Vollmacht. Die Sache ging aber schief. Die Gläubigerbanken lehnten die verlangte Erhöhung ihres Sanierungsbeitrags ab, die Kapitalherabsetzung scheiterte und die Girmes AG ging in Konkurs. Der kla-

¹ BGHZ 94, 55, 58; BGH NJW 1992, 3167.

gende Aktionär, der sich nicht an der Opposition beteiligt hatte, machte nun geltend, dass die opponierenden Aktionäre und ihr Stimmvertreter den Konkurs und damit den Verlust seiner Aktien verschuldet hätten, und ihm Ersatz leisten müssten.²

Beim ersten Blick in das Gesetz könnte man meinen, eine solche Klage sei von vornherein unbegründet. Denn § 117 Abs.7 Nr. 1 dAktG sagt ausdrücklich, dass die Haftung nach diesen Vorschriften, also nach § 117, nicht gelte, wenn der Einfluss durch Ausübung des Stimmrechts in der Hauptversammlung ausgeübt werde. In der Begründung des Aktiengesetzes von 1937, aus dem die Vorschrift stammt, heißt es sogar, eine Haftung für die Ausübung des Stimmrechts in der Hauptversammlung würde „den Grundlagen unseres Aktienrechts widersprechen“.³ Dem Aktionär dürfe es nicht verwehrt sein, sein Stimmrecht im eigenen Interesse geltend zu machen.

Nun aber bezieht sich die Freistellung für die Ausübung des Stimmrechts nach § 117 Abs. 7 nur auf die Haftung aus eben dieser Vorschrift, also § 117 AktG, und es war stets anerkannt, dass bei krasen, nämlich vorsätzlich sittenwidrigen Verstößen daneben eine Haftung nach dem für solche Verstöße geltenden § 826 BGB eingreift. Seit einiger Zeit wird aber weitergehend diskutiert, ob der Aktionär nicht trotz § 117 Abs. 7 Nr. 1 dAktG bei der Ausübung seines Stimmrechts in der Hauptversammlung Treupflichten im Verhältnis zur Gesellschaft und zu den Mitaktionären unterliegt, deren Verletzung zu Schadenersatz verpflichtet. Solche Treupflichten sind seit langem für die Gesellschafter einer Personenhandelsgesellschaft und für die Gesellschafter einer GmbH anerkannt. Man spricht auch von Loyalitätspflichten, Pflichten zu gegenseitiger Rücksichtnahme oder Förderpflichten. Sie gelten bei der GmbH auch für die Ausübung des Stimmrechts.

Nun ist die Treupflicht ein etwas schwammiges Rechtsgebilde. Auch hängt das Ausmaß der Treupflichten unstreitig bei der GmbH von der Realstruktur der Gesellschaft ab, also von der mehr oder minder

² Tatsächlich nahm der Kläger nicht diese Aktionäre in Anspruch, sondern den Herausgeber des Effektenspiegels. Dieser weigerte sich, die Namen der Aktionäre, die ihm Vollmacht erteilt hatten, zu nennen. Er müsse daher – so auch der dBGH – anstelle dieser Aktionäre selbst haften (§ 179 Abs. 1 dBGB). Das ist im vorliegenden Zusammenhang unerheblich.

³ Abgedruckt bei Klausning, Aktien-Gesellschaft, 1937 S. 87.

engen persönlichen Bindung und Zusammenarbeit der Gesellschafter. Das schien im starrerem Schema des Aktienrechts lange gegen eine Treupflicht auch des Aktionärs zu sprechen. Es könne auch, so meinte man, doch nicht sein, dass der nur kapitalistisch beteiligte Aktionär den ihm unbekanntem Mitaktionären Treue schulde. Heute überwiegt aber eindeutig die Meinung, dass auch der Aktionär als Mitglied einer Gesellschaft bei der Ausübung seiner mitgliedschaftlichen Rechte den Mitgesellschaftern Rücksicht auf deren Interessen schuldet. Diese Treupflicht ist der Ausgleich dafür, dass der Aktionär durch Ausübung seiner Rechte die Interessen seiner Mitgesellschafter beeinträchtigen kann. Der dBGH hat daher erstmalig im Linotype-Urteil⁴ vom 1. 2. 1988 eine Treupflicht auch des Aktionärs anerkannt. „Auch bei der AG hat ein Mehrheitsgesellschafter die Möglichkeit, durch Einflussnahme auf die Geschäftsführung die gesellschaftsbezogenen Interessen der Mitgesellschafter zu beeinträchtigen, sodass auch hier als Gegengewicht die gesellschaftsrechtliche Pflicht zu fordern ist, auf diese Interessen Rücksicht zu nehmen“. Allerdings dürfe, sagt der BGH „nicht verkannt werden, dass die Gesellschafterpflichten eines Kleinaktionärs in der Regel nicht von der gesellschaftsrechtlichen Treupflicht bestimmt werden.“

Im Girmes-Fall ging es aber nun um die Stimmrechtsausübung von Kleinaktionären, und also schien eine Haftung auszuscheiden. Denn dem Kleinaktionär gibt sein geringes Stimmengewicht nicht die Macht, die Interessen der Mitgesellschafter zu beeinträchtigen. Trotzdem ist

In der Girmes-Entscheidung der dBGH weiter gegangen. Er hat eine Haftung auch des Kleinaktionärs für die Ausübung seines Stimmrechts jedenfalls in dem dort gegebenen Fall angenommen, dass die Stimmen der Kleinaktionäre zu einer Sperrminderheit gebündelt werden. Eine solche Bündelung liege vor, wenn die Kleinaktionäre sich vertraglich auf eine einheitliche Stimmrechtsausübung verständigen oder wenn sie unabhängig voneinander einen Dritten zur Ausübung ihres Stimmrechts bevollmächtigen, der ihnen ein bestimmtes Stimmverhalten in Aussicht gestellt hat. Die Entscheidung lässt sogar offen ob das auch bei einer sich zufällig ergebenden Antrags- oder Sperrminderheit gelten soll.

⁴ BGHZ 103, 184 = NJW 1988, 1579. = DB 1988, 593, 595.

Mich überzeugt das nicht. Die Entscheidung verlässt das rechtspolitische Konzept der Treupflicht als Ausgleich für die mit dem mitgliederschaftlichen Einfluss verbundene Möglichkeit, die Interessen der Mitgesellschafter zu beeinträchtigen. Doch ist praktische Bedeutung gering. Denn der BGH sieht eine Haftung der Kleinaktionäre für ihre Stimmrechtsausübung nur bei vorsätzlichem Handeln als gegeben an. Er verweist insoweit mit Recht auf die gesetzgeberische Wertung in § 117 Abs. 7 dAktG. Mit ihrer Beschränkung auf vorsätzliches Handeln läuft die vom BGH postulierte Kleinaktionärshaftung aber praktische leer. Denn wie sollte ein Kläger einer Vielzahl von Kleinaktionären Vorsatz nachweisen können, wenn sie gebündelt oder gar zufällig einen Hauptversammlungsbeschluss zu Fall bringen. Zumal sich der Vorsatz mindestens eventual auch auf den Schaden beziehen müsste. Im Ergebnis ist die im Girmes-Urteil mit großem richterlichen Aufwand postulierte Haftung auch des Kleinaktionärs für die Ausübung seines Stimmrechts ein „Schlag ins Wasser“. Für den aktienrechtlichen Minderheitenschutz ist sie sogar nicht unbedenklich, weil die Drohung mit einer Haftung dazu dienen kann, opponierende Kleinaktionäre zu disziplinieren.

Dritter Fall: Damit komme ich zu den Haftungsfragen, die sich für den Gesellschafter eines Unternehmensverbundes, in der Praxis für das herrschende Unternehmen eines Konzerns stellen. Ich beginne mit einem Fall⁵, der eine GmbH betrifft, aber auch in der aktienrechtlichen Diskussion eine Rolle spielt. An einer GmbH waren der ITT-Konzern mit Mehrheit sowie ein Minderheitsgesellschafter beteiligt. ITT leistete für die GmbH gewisse Verwaltungsaufgaben und erhob dafür eine Konzernumlage. Der Minderheitsgesellschafter hielt diese Umlage für überhöht und forderte Rückzahlung an die Gesellschaft. Der dBGH gab ihm unter Berufung auf die Treupflichten der Gesellschafter Recht. Ein ein Gesellschafter verstoße gegen seine Treupflichten, wenn er die Gesellschaft zu verdeckten Ausschüttungen an sich selbst veranlasse. Das Urteil ist Grundlage des im Gesetz nicht geregelten richterrechtlichen GmbH-Konzernrechts. Denn der Sachverhalt ist konzerntypisch. Ein herrschendes Unternehmen übt Leitungsfunktionen über eine Tochtergesellschaft aus. Für Minderheitsgesellschafter be-

⁵ BGHZ 65, 15 „ITT“

steht die Gefahr, dass es dabei eigennützig verfährt, also Entscheidungen zum Vorteil des herrschenden Unternehmens und zum Nachteil der Tochtergesellschaft trifft. Solche Nachteile treffen dann die Minderheitsgesellschafter, deren Beteiligungen entwertet werden. Es steht außer Zweifel, dass sie geschützt werden müssen.

Trotzdem bleiben Fragen bei dem vom dBGH eingeschlagenen Weg über die Treupflicht. Die Lösung schützt den Mitgesellschafter; wie steht es aber mit dem Schutz der Gesellschaftsgläubiger, denen ja durch Benachteiligung der Tochter das haftende Vermögen geschmälert wird? Man kann den Gläubigerschutz vielleicht vernachlässigen, wenn Minderheitsgesellschafter vorhanden sind und den Anspruch geltend machen. Der Minderheitsgesellschafter ist dann der Schutzengel der Gesellschaft. Er sorgt auch im Interesse der Gläubiger dafür, dass nicht der Mehrheitsgesellschafter das haftende Vermögen eigennützig an sich zieht. Die Lösung versagt aber, wenn – wie bei der GmbH so oft – nur ein einziger Gesellschafter vorhanden ist oder wenn sich alle Gesellschafter darauf verständigen, die abhängige Gesellschaft auszuplündern. Dazu nun mein:

Vierter Fall. Er ist dem als „Bremer Vulkan“ bekannten relativ neuen Urteil des dBGH vom 17. 09. 2001⁶ nachgebildet. Dem Bremer Vulkan als Alleingesellschafter einer ostdeutschen Werft-GmbH wurde vorgeworfen, er habe die Werft veranlasst, nahezu ihre gesamten liquiden Mittel – zum guten Teil Fördermittel des Bundes – in einen von ihm beherrschten konzernrechtlichen Liquiditätspool einzubringen. Dort gingen sie durch den Zusammenbruch des Gesamtkonzerns verloren.

Ein cash-management wie beim Bremer Vulkan ist im Konzernleben beinahe alltäglich. Die Konzernleitung bildet einen cash-pool, in den einerseits jede Konzerngesellschaft momentan nicht benötigte Liquidität einbringt und aus dem sie andererseits – so jedenfalls die Theorie – mit benötigter Liquidität versorgt wird. So spart man Bankzinsen und kann auch Forderungen und Verbindlichkeiten in ausländischer Valuta gegeneinander verrechnen.. Vielleicht noch wichtiger ist, dass die Konzernleitung so den Zahlungsverkehr der Konzerngesellschaften kontrolliert.

⁶ BGHZ 149, 10 = NJW 2001, 3622 = AG 2002, 43

Die Bedeutung der Bremer Vulkan-Entscheidung liegt zunächst darin, dass sie vorab kurz aber entschieden eine konzernrechtliche Haftung des Alleingeschafters ablehnt. Denn es gehe bei der Haftung des Alleingeschafters einer GmbH nicht um den Schutz der abhängigen Gesellschaft gegen jedwede Benachteiligung durch das herrschende Unternehmen, sondern allein um die Erhaltung ihres Nennkapitals und die Gewährleistung ihres Bestandsschutzes im Interesse der Gläubiger. Das Gläubigerinteresse sei aber erst tangiert, wenn die abhängige Gesellschaft infolge der Eingriffe ihres Alleingeschafters ihren Verbindlichkeiten nicht mehr nachkommen könne. Der dBGH folgert hieraus - so der Leitsatz der Entscheidung -, der Alleingeschafter müsse bei Dispositionen über das Vermögen der abhängigen Gesellschaft auf ihr Eigeninteresse an der Aufrechterhaltung ihrer Zahlungsfähigkeit angemessen Rücksicht nehmen und dürfe ihre Existenz nicht gefährden. Das hat im Ergebnis und insbesondere in der Ablehnung der früher einmal sehr populären konzernrechtlichen Haftungsgrundlage ganz überwiegend Zustimmung gefunden. Es bedeutet aber z. B. auch, dass diese Haftung nicht nur Unternehmen, sondern jeden Geschafter trifft. Und insoweit könnten die Grundsätze der Entscheidung auch für denjenigen Aktionär erheblich sein, der kein Unternehmen ist und auf den daher das aktienrechtliche Konzernrecht nicht anzuwenden ist.

Die Einzelheiten dieser Haftung bleiben noch zu klären. Sie setzt nach ihrer Interpretation durch den Vorsitzenden des Senats⁷ fahrlässiges Handeln voraus. Im Insolvenzverfahren kann und muss der Insolvenzverwalter den Ersatzanspruch der Gesellschaft geltend machen. Außerhalb des Insolvenzverfahrens dürfte der Gläubiger unmittelbar gegen den Alleingeschafter vorgehen können, es hätte keinen Sinn, ihn auf den umständlichen Normalweg zu verweisen, bei dem er den Anspruch der zahlungsunfähigen Gesellschaft zunächst pfänden und sich zur Einziehung überweisen lassen müsste.

Aktienrechtliche Lösung: a) Faktischer Konzern. Lassen sie mich nun die Fälle ITT und Bremer Vulkan dahin variieren, dass die geschädigte Gesellschaft nicht eine GmbH, sondern eine Aktiengesellschaft

⁷ Röhrich in Gesellschaftsrecht in der Diskussion 2001, Schriftenreihe der Gesellschaftsrechtlichen Vereinigung. S. 10, 15.

ist. Das Aktiengesetz 1965 hat in den §§ 311 ff. versucht, die Haftung des herrschenden oder alleinigen Gesellschafters ausdrücklich zu regeln. Seine konzernrechtlichen Vorschriften gelten allerdings nur, wenn dieser Gesellschafter ein Unternehmen ist. Der Unternehmensbegriff wird dabei aber sehr weit gezogen. Im Prinzip wird jeder Gesellschafter, der noch anderweitige erhebliche geschäftliche Interessen hat, als Unternehmen angesehen, auch z. B. eine Gemeinde. Denn dann besteht immer die Gefahr, dass die Gesellschaft zugunsten dieser anderen geschäftlichen Interessen benachteiligt wird.

Eine Regelung ähnlich der GmbH-rechtlichen Treupflicht schien dem Aktiengesetzgeber nicht auszureichen. Denn die Aktiengesellschaft weist gegenüber der GmbH strukturelle Unterschiede wie eine stärkere Kapitalbindung und eine weisungsfreie, eigenverantwortliche Leitung durch den Vorstand auf. Vor allem besteht bei Aktiengesellschaften mit einer breit gestreuten Aktionärsminderheit das große Problem, dass weder die Aktionäre noch auch die Gläubiger Einblick in die Beziehungen zu dem herrschenden Unternehmen haben. Sie wissen daher nicht, ob die Gesellschaft benachteiligt wurde.

Diesen Besonderheiten trägt das Aktiengesetz durch ein sozusagen doppelspuriges Schutzsystem Rechnung. Es unterscheidet zwischen einem Unternehmensverbund auf rein tatsächlicher Grundlage – oft spricht man ungenau von einem faktischen Konzern – und einem Unternehmensverbund auf vertraglicher Grundlage, dem sog. Vertragskonzern.

Bei rein faktischer Beherrschung untersagt § 311 dAktG es dem herrschenden Unternehmen, die abhängige Gesellschaft zu für sie nachteiligen Rechtsgeschäften oder Maßnahmen zu veranlassen. Das gilt ganz allgemein, also auch für den Alleingesellschafter, und gleichzeitig, ob der Einfluß über den Vorstand, den Aufsichtsrat oder die Hauptversammlung ausgeübt wird. Nachteilig ist dabei jede Maßnahme, die der ordentliche und gewissenhafte Geschäftsleiter einer unabhängigen Gesellschaft nicht vornehmen dürfte. Die Eindeutigkeit dieses Verbotes der Nachteilszufügung wird allerdings dadurch beeinträchtigt, dass die Haftung entfällt, wenn der Nachteil noch innerhalb des Geschäftsjahrs ausgeglichen wird⁸. Praktische Bedeutung scheint diese im

⁸ § 311 Abs. 2 dAktG

Gesetzgebungsverfahren höchst umstrittene Ausgleichsmöglichkeit allerdings nicht zu haben.

Um nun auf die erörterten Fälle zurückzukommen: eine Konzernumlage darf der Vorstand also nur akzeptieren, wenn die Verwaltungsleistungen des herrschenden Unternehmens mindestens den entsprechenden Wert haben, also etwa einem Dritten das gleiche Entgelt für sie gezahlt werden müsste. Und an einem cash-pool darf der Vorstand seine Gesellschaft nur beteiligen, wenn das auch für seine Gesellschaft vorteilhaft ist. Zahlt die Gesellschaft strukturell mehr ein, als sie erhält, muss die Mehreinzahlung angemessen verzinst werden. Bei zweifelhafter wirtschaftlicher Lage sind Sicherheiten erforderlich.

Bei Verstößen haftet das herrschende Unternehmen der Gesellschaft auf Schadensersatz.⁹ Es haftet auch den Aktionären, wie im Falle des § 117, auf Ersatz ihres unmittelbaren Schadens. Neben ihm haften auch hier gesamtschuldnerisch die Verwaltungsmitglieder der abhängigen Gesellschaft, die sich pflichtwidrig auf die Benachteiligung eingelassen haben

Bleibt die Frage: wer macht den Anspruch geltend? Von der Verwaltung ist dies nicht zu erwarten. Sie steht typisch unter dem Einfluss des anderen Unternehmens. Den Gesellschaftern fehlen in der Regel die notwendigen Informationen. Das deutsche Recht hat hier eine eigenartige Lösung entwickelt, den Abhängigkeitsbericht.¹⁰ Der Vorstand muss über alle benachteiligungsverdächtigen Geschäfte und Maßnahmen unter Angabe von Leistung und Gegenleistung berichten. Er muss am Schluss des Berichts zusammenfassend erklären, ob seine Gesellschaft durch diese Geschäfte und Maßnahmen benachteiligt worden ist.. Diese Schlusserklärung ist zu publizieren. Hingegen ist der Bericht selbst nach geltendem Recht den Minderheitsaktionären und Gläubigern nicht offen zu legen, weil er auch Geschäftsgeheimnisse der Gesellschaft enthalten muss. Ein gewisser Ausgleich besteht darin, dass der Aufsichtsrat und vor allem bei prüfungspflichtigen Gesellschaften auch der Abschlussprüfer den Bericht zu prüfen und das Ergebnis in publizierten Testaten festzuhalten haben¹¹.

⁹ § 317 dAktG

¹⁰ Näher § 312 dAktG

¹¹ §§ 313, 314 dAktG

Das Urteil über dieses Schutzsystem hat auch in der Bundesrepublik stark geschwankt. Den einen geht der Schutz nicht weit genug. Sie hielten namentlich den Abhängigkeitsbericht für unwirksam, weil der Abschlussprüfer die Angemessenheit der Geschäfte kaum prüfen könne. Anderen, vor allem in der Wirtschaft, geht der Schutz zu weit. Sie meinen, wenn jedes einzelne Geschäft ausgeglichen sein müsse, könne eine Tochtergesellschaft nicht mehr erfolgsorientiert geführt werden. Außerdem sei der Abhängigkeitsbericht jedenfalls beim Fehlen von Minderheitsgesellschaftern zu aufwendig und zu lästig.

Aufgrund der bisherigen Erfahrungen werden dem Schutzsystem aber heute doch ganz überwiegend positive Wirkungen zugesprochen, wobei vor allem eine prophylaktische Wirkung des Abhängigkeitsberichts anerkannt wird. Daher hat auch der 2001 erschienene Bericht der deutschen Regierungskommission Corporate Governance keine grundsätzliche Änderung empfohlen. Die Kommission hat sich aber dafür ausgesprochen, dass im Insolvenzfall die Abhängigkeitsberichte und die Berichte des Abschlussprüfers zum Abhängigkeitsbericht aus den letzten 5 Jahren offengelegt werden müssen¹². Allerdings soll das Insolvenzgericht die Offenlegung beschränken oder ganz untersagen können, wenn das herrschende Unternehmen gegen sie berechnete Interessen geltend macht. Das scheint mir ein vernünftiger Vorschlag zu sein. Die Möglichkeit, dass die Berichte später doch einmal offengelegt werden müssen, wird sicher darauf hinwirken, dass sie sorgfältig und gewissenhaft erstattet werden.

b) Vertragskonzern. Bei dieser Bewertung des Schutzsystems für faktische Beherrschungsverhältnisse muss man allerdings berücksichtigen, dass das deutsche Recht ein zweites Schutzsystem für den Fall anbietet, dass ein herrschendes Unternehmen nicht den Ausgleich jedes Einzelgeschäfts und nicht den lästigen Abhängigkeitsbericht akzeptieren, sondern die Tochter auf die Interessen des Gesamtverbundes ausrichten will. In diesem Falle muss es mit der Tochter einen Beherrschungsvertrag¹³ abschließen oder sich die Tochter – so sagt das Gesetz – eingliedern.¹⁴ Dann kann es die Tochter nach seinen

¹² Bericht der Regierungskommission Corporate Governance Rn 180.

¹³ §§ 291 ff. dAktG.

¹⁴ §§ 319 ff. dAktG.

Weisungen führen.¹⁵ Das herrschende Unternehmen kann, um wiederum auf meine Beispiele zurückzukommen, die Höhe einer Konzernumlage praktisch nach eigenem Ermessen bestimmen. Ein cash-management unterliegt nicht den bei nur faktischer Beherrschung geltenden erheblichen Beschränkungen.

Selbstverständlich müssen aber bei einer so weitgehenden Zugriffsmöglichkeit auf das Vermögen der Tochter deren Minderheitsgesellschafter und Gläubiger besonders geschützt werden. Ein solcher Vertrag kann nur mit einer 75%-Zustimmung der Hauptversammlung geschlossen werden. Vor allem sind die Minderheitsgesellschafter dadurch geschützt, dass sie nach ihrer Wahl entweder gegen eine garantierte Dividende in der abhängigen Gesellschaft verbleiben oder gegen eine letztlich vom Gericht festzusetzende Abfindung aus der Gesellschaft ausscheiden können.¹⁶ Für die Gläubiger ist wichtig, dass das herrschende Unternehmen verpflichtet ist, etwaige Bilanzverluste der abhängigen Gesellschaft zu übernehmen.¹⁷ Damit haftet es Ihnen mittelbar. Beim Vertragsende muss es ihnen Sicherheit leisten.

Dieses Schutzsystem ist in der Bundesrepublik kaum umstritten. Im Gegenteil: die Rechtsprechung hat es mit gewissen Abwandlungen auf die GmbH erstreckt. Zu Kritik hat allerdings die lange Dauer der gerichtlichen Verfahren über die Festsetzung der Dividendengarantie und der Abfindung Anlass gegeben. Dem deutschen Bundestag liegt zurzeit ein unter maßgebender Mitwirkung von Herrn Lutter entstandener Gesetzentwurf zur Neuordnung des Verfahrens vor, der hoffentlich Abhilfe schafft.

Eine weitere, allerdings kaum behebbare Schwäche dieses Schutzsystems liegt bei der Frage, wie die letztlich im gerichtlichen Verfahren festzustellende angemessene Abfindung des ausscheidenden Gesellschafters bemessen wird. Sie muss schon aus verfassungsrechtlichen Gründen mindestens dem Wert des Anteils entsprechen. Relativ leicht lässt sich die Angemessenheit noch beurteilen, wenn als Abfindung Aktien angeboten werden. Dann ist, wie bei einer Verschmelzung, das Wertverhältnis der Anteile maßgebend. Eine Abfindung in Aktien

¹⁵ §§ 308, 323 deAktG

¹⁶ §§ 304 – 306 dAktG

¹⁷ § 302 f., § 324 dAktG

darf aber nur eine unabhängige Aktiengesellschaft anbieten. In allen anderen Fällen kann eine Barabfindung verlangt werden.

Die Höhe einer solchen Barabfindung hat man früher allein nach dem sog. Ertragswert der Gesellschaft bestimmt, also nach der Summe der erwarteten abgezinsten Zukunftserträge. Aber die zukünftigen Erträge sind bekanntlich unsicher und über den maßgebenden, Zinssatz, über Risiko-Zu- oder Abschläge lässt sich streiten. Wegen dieser Unsicherheit wurde vor vier Jahren sogar das Bundesverfassungsgericht angerufen. Damals waren die Börsenkurse sehr hoch. Abfindungswillige Aktionäre argumentierten, es könne doch nicht sein, dass die nach dem Ertragswert bestimmte Barabfindung unter dem Börsenkurs liege, da dieser doch den Marktwert wiedergebe. In der Tat entschied das Verfassungsgericht, dass der Börsenkurs berücksichtigt werden müsse.¹⁸ Er sollte maßgeblich ist, wenn er über dem Ertragswert liegt. Da er das in vielen Fällen zweifelsfrei tat, erschien die Bewertungsfrage entschärft. Aber inzwischen sind die Börsenkurse in den Keller gegangen und haben damit all denen Recht gegeben, die den Börsenkurs, selbst den Durchschnittskurs in längeren Referenzzeiträumen, für einen sehr unzuverlässigen Bewertungsmaßstab halten. Zurzeit plagt man sich daher wieder mehr mit dem Ertragswert herum, zur Freude der Wirtschaftsprüfer, die hier eine fette Weide als Gutachter finden.

Zusammenfassung: Der Gesellschafter haftet – außer für die Leistung seiner Einlage - mithin im Wesentlichen in zwei Fällen. Er haftet erstens bei rechtswidrigem Handeln, Als Stichworte nenne ich die Haftung für die unerlaubte Beeinflussung von Verwaltungsmitgliedern nach § 117, für Verstöße gegen die gesellschaftliche Treupflicht oder für Nachteilszufügungen im faktischen Konzern. Ohne einen solchen rechtswidrigen Verstoß haftet der Gesellschafter nur, wenn er die Gesellschaft durch einen Beherrschungsvertrag seinen Zwecken dienstbar macht. Außerhalb dieser beiden Felder ist die Haftungsbeschränkung im Prinzip unangefochten. Damit bleibt es beim Grundsatz: der Aktionär haftet nicht.

¹⁸ BverfGE 100, 289.

**აქციონერთა უფლებები ინფორმაციის მიღების,
კონტროლის თაობაზე და კეთილსინდისიერი
ხელმძღვანელობის ვალდებულება**

I. შესავალი

წინამდებარე მოხსენების მიზანია ქართულ სააქციო სამართალში კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობისა და პასუხისმგებლობის პრობლემის გაშუქება აქციონერთა კონკრეტული უფლების – ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის ზოგიერთ ასპექტთან მიმართებაში. ამ უფლების სწორი რეგულირება და რეალური უზრუნველყოფა საერთო-კორპორაციულ ინტერესებს ემსახურება, ვინაიდან საჭიროებს კორპორაციული მართვის ეფექტურობის, საზოგადოების ორგანოთა გადაწყვეტილებების კონტროლის, აქციონერთა, მათ შორის, მცირე აქციონერთა, ინტერესების დაცვის სამართლიან დაბალანსებას, რაც მხოლოდ კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის პირობებშია შესაძლებელი. საკითხი, თავის მხრივ, უკავშირდება საკორპორაციო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების განხორციელებას, როგორცაა პარტნიორთა თანასწორუფლებიანობა,¹ კორპორაციული მართვის საჯაროობა და გამჭვირვალობა,² რაც აქციონერებს იცავს მათი უფლებების დარღვევისა და ხელ-

¹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, მესამე გამოცემა, გვ.68-69;

² იქვე, გვ.68-69; აღნიშნული პრინციპი გაშუქდა ჯერ კიდევ პირველ გერმანულ-ქართულ სიმპოზიუმზე საკორპორაციო სამართალში, იხ. მარკუს ლუთერი, კორპორაციული მართვა გერმანიასა და აშშ-ში. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი, 2000, გვ.31; რუდიგერ ფონ როზენი, კორპორაციული მართვის საფუძვლები ბირჟაზე აღიარებული საზოგადოებებისათვის. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი, 2000, გვ.76-77.

მძღვანელობის თვითნებობისაგან. ასევე ნიშანდობლივია, რომ კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის იდეის რეალიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა კანონის მიერ აქციონერთა უფლებების დამცავი გარანტიების შექმნა, რომელთა შორის საგულისხმოა ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებების რეალური უზრუნველყოფის მექანიზმები. ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოების კონტროლის შესაძლებლობა აქციონერს ეხმარება, არ დაუშვას ხელმძღვანელობის მიერ საზოგადოების ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებების მიღება და იმავდროულად აიძულებს ხელმძღვანელობასაც, იყოს ფხიზლად და დაიცვას საზოგადოების ინტერესები. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის სახის ჩამოყალიბებას.

II. ინფორმაციის მიღების, კონტროლის უფლების რეგულირება და შინაარსი

სააქციო საზოგადოებაში ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებების რეგულირებისა და შინაარსის საკითხს, ამ უფლებების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობის როლთან მიმართებაში, განვიხილავთ „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა და „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №375 ბრძანებულების მაგალითზე.*

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი მოცემულ საკითხს აწესრიგებს ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმების საფუძველზე. კანონის ზოგადი ნაწილის 3.9 მუხლი ადგენს სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოების საქმიანობის კონტროლის ზოგად წესს, რომელიც ვრცელდება როგორც სააქციო საზოგადოების, ისე – სხვა სამეწარმეო

* მოცემულ შემთხვევაში არ ვეხებით კეთილსინდისიერებისა და ზნეობის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებს, ასევე „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონს, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ნორმატიულ აქტებს.

საზოგადოებების მიმართ. ამ მუხლის თანახმად: „ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება მხოლოდ ამ კანონით შეიზღუდოს, გაფართოება კი შესაძლებელია საზოგადოების წესდებით ან სხვა კანონით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლება, როგორც წესი, გულისხმობს, რომ:

- ა. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი;
- ბ. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მიიღოს საზოგადოების ყველა პუბლიკაცია;
- გ. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე. კერძოდ, პარტნიორს შეუძლია უშუალოდ გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს ან ამისათვის მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი; წლიური ანგარიშის თაობაზე მოსთხოვოს განმარტებები საზოგადოების ორგანოებს ამ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მის დამტკიცებამდე; ანგარიშის არასწორად შედგენის შემთხვევაში საზოგადოებას მოსთხოვოს ანგარიშის შემოწმების ხარჯების ანაზღაურება.

აღნიშნული უფლებები კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის არსებობის მძლავრი სტიმულია. როგორც ვხედავთ, კანონი აწესებს აქციონერთა წინაშე ხელმძღვანელობის მუდმივი ანგარიშვალდებულების მოვალეობას და ამით ბოჭავს საზოგადოების დირექტორისა და სხვა ხელმძღვანელ პირთა თვითნებობის გამოვლენის შესაძლებლობას, ავალდებულებს მათ, იმოქმედონ კეთილსინდისიერად.

ამასთან, კანონი შესაძლებლად მიიჩნევს ინფორმაციის მი-

ლებისა და კონტროლის ზემოაღნიშნული უფლებების როგორც გაფართოებას, ისე – შეზღუდვას. კერძოდ, გაფართოება შესაძლებელია საზოგადოების წესდების ან სხვა კანონის საფუძველზე, ხოლო შეზღუდვა – მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით. მოქმედ კანონმდებლობაში აღნიშნული უფლებების გაფართოების შემთხვევები არ არის მოცემული და ასეთი გაფართოება მთლიანად კონკრეტული სააქციო საზოგადოების წესდებაზეა მიწოდებული. რაც შეეხება შეზღუდვებს, ასეთს ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კერძო ნაწილის მეოთხე თავი. ამ უფლებების შეზღუდვა, შესაბამისად, გაელენას ახდენს კეთილსინდისიერების დამცავი მექანიზმების ფარგლებზე.

ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის თაობაზე აქციონერთა უფლებების კანონისმიერი შეზღუდვის შემთხვევები რეგულირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლით. პირველ რიგში, შეზღუდვა გამოიხატება ამ უფლებების რეალიზაციის წესში. აღნიშნულ წესს განსაზღვრავს 53.3 მუხლი, რომლის თანახმად, ჩვეულებრივ, აქციონერები თავიანთ უფლებებს, მათ შორის ინფორმაციის მიღების, კონტროლის უფლებებს, ახორციელებენ საერთო კრებაზე. მაშასადამე, აქციონერები ყოველთვის, მათთვის სასურველ დროს, ამ უფლებებს ვერ განახორციელებენ. ამისათვის აუცილებელია, რომ ისინი დაელოდნენ სს-ის საერთო კრების გამართვას. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ერთი პრაქტიკული პრობლემა, რომელიც მცირე აქციონერთა უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული და აქტუალურია პრივატიზებულ საწარმოთა მცირე აქციონერების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, საკითხი შეეხება იმ აქციონერთა ინტერესების დაცვას, რომლებიც არ ფლობენ კრების მოსაწვევად საკმარისი კაპიტალის კოტას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.3.3 მუხლის თანახმად, საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ საწარმოს ინტერესების შესაბამისად რიგგარეშე კრების ჩატარება. მოცემულ შემთხვევაში ეს არის გამონაკლისი კანონით უზრუნველყოფილი პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან. მართლია, კანონის 54.1 მუხლის თანახმად,

სს-ში მორიგი საერთო კრება უნდა გაიმართოს ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში, მაგრამ არ არის გამორიცხული შემთხვევა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობამ თავი აარიდოს საერთო კრების მოწვევას და აქციონერისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად და საზოგადოების საქმიანობის კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი გახდეს აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა. ხშირ შემთხვევაში ასეთი კრების მოწვევის პროცედურაზე მცირე აქციონერებს ხელი არ მიუწვდებათ (იგულისხმებიან აქციონერები, რომლებიც ფლობენ საწესდებო კაპიტალის 5%-ზე ნაკლებს). დღეს საქართველოში ასეთ აქციონერთა ძირითადი ნაწილი ყოფილ სახელმწიფო საწარმოთა შრომითი კოლექტივის წევრებზე მოდის, რომელთაც პრივატიზების პროცესში უფასოდ და შედავათიან პირობებში გადაეცათ აქციები და ასევე იმ პირებზე, რომლებმაც აქციები „ვაუნერიზაციის“ პროცესში შეიძინეს. ასეთი აქციონერების ინტერესების დაცვა, ფაქტობრივად, მთლიანად დამოკიდებულია ხელმძღვანელთა პიროვნულ კეთილსინდისიერებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აქციონერებს ინტერესების დაცვის რეალური შიდასაზოგადოებრივი საშუალებები ფაქტობრივად არ გააჩნიათ და იძულებული არიან, სხვა გზებით დაიცვან თავიანთი ინტერესები (ფასიანი ქაღალდების კომისიისადმი მიმართვა, სასამართლოსადმი მიმართვა, რაც ხანგრძლივი და ხარჯებთან დაკავშირებული პროცედურაა). ხშირ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მცირე აქციონერთა ინტერესების დაცვით, ვინაიდან უმეტესწილად სააქციო საზოგადოება მსხვილ აქციონერთა საკუთრებად მოიაზრება. ვფიქრობთ, რომ საქართველოში, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ დაბალია კორპორაციული შეგნება, ამიტომ აქციონერებს, რომლებიც საწესდებო კაპიტალის 5%-ზე ნაკლები კაპიტალის კვოტას ფლობენ, უფრო მეტად ქმედითი მექანიზმები და გარანტიები უნდა ჰქონდეთ თავიანთი უფლებების დასაცავად. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ხელმძღვანელთა კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას.

პასუხისმგებელი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის

აქციონერთა უფლებები ინფორმაციის მიღების თაობაზე

გარანტიებს იძლევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.3.3 მუხლიც, რომლის თანახმად, თუ სააქციო საზოგადოების დირექტორები საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერთა მოთხოვნით ოცი დღის განმავლობაში არ მოიწვევენ საერთო კრებას, აქციონერებს შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების ადგილსამყოფლის მიხედვით. მაშასადამე, თუკი საზოგადოების დირექტორი თავს აარიდებს კრების მოწვევას, შესაძლებელია, სააქციო საზოგადოებაში საერთო კრება მოიწვიოს სასამართლომ და იმავდროულად აქციონერებმა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენონ. ასეთი მაგალითები სასამართლო პრაქტიკაში უკვე არსებობს.³

იგივე შეეხება აქციონერთა მიერ სამეურნეო მოქმედებების ან მოღიანად წლიური ბალანსის შემოწმების შესაძლებლობას. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.3.2 მუხლის თანახმად, საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მოღიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ აქციონერებს მიაჩნიათ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. ამ შემთხვევაშიც, თუ საერთო კრება არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების შესახებ შეიძლება მიიღოს სასამართლომ. აქციონერთა ეს უფლება მათი ქონებრივი უფლებების რეალიზების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი უფლებებისა, როგორცაა დივიდენდის მიღების უფლება. ზემოაღნიშნული ნორმა ხელმძღვანელობის მიერ საზოგადოების ფინანსური საქმიანობის კეთილსინდისიერი გაძღოლის გარანტიებს ქმნის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მექანიზმი სუსტად იცავს 5%-ზე ნაკლები საწესდებო კაპიტალის მფლობელ აქციონერებს.

აქციონერთა მნიშვნელოვანი უფლებაა აქციათა რეესტრიდან ინფორმაციის მიღების უფლება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51.3 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 100-ზე მეტია, ვალდებულია, აქციონერთა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით,

³ მაგალითად, ბორჯომის რაიონული სასამართლოს 4.07.2000წ. გადაწყვეტილება.

ხოლო თუკი აქციონერთა რაოდენობა არ აღემატება 100-ს, სააქციო საზოგადოებას შეუძლია, სურვილისამებრ აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოება თვითონ აწარმოებს რეესტრს, ინფორმაციის გაცემა ხელმძღვანელებს ევალებათ, ხოლო დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ რეესტრის წარმოებისას – დამოუკიდებელ რეგისტრატორს. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №375 ბრძანებულებით დამტკიცებული აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულების მე-5 მუხლის თანახმად რეესტრში არსებული ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვთ შემდეგ პირებს: ემიტენტს (სააქციო საზოგადოებას), რეგისტრირებულ პირებს (აქციათა რეესტრში რეგისტრირებული აქციების მფლობელებს) და მარეგულირებელ ორგანოს (ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო კომისიას). ამასთან, ამავე დებულების მიხედვით განსაზღვრულია, თუ რა სახის ინფორმაციის მიღების უფლება აქვთ რეესტრში რეგისტრირებულ პირებს. ასეთს განეკუთვნება ინფორმაცია რეგისტრირებული პირების სახელზე რეგისტრირებული აქციების, ამ ინფორმაციაში ყველა ცვლილებისა და ემიტენტის საწესდებო კაპიტალთან კუთვნილი აქციების საერთო რაოდენობის პროცენტული შეფარდების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქციონერს უფლება აქვს, აქციონერთა რეესტრიდან მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ, მაგრამ ვერ მოიპოვებს სხვაგვარ ინფორმაციას, მაგალითად: სხვა აქციონერების ვინაობის, მათი კუთვნილი აქციების რაოდენობის შესახებ და ა.შ. აქედან გამომდინარე, მცირე აქციონერი, რომელსაც ინფორმაციისა და კონტროლის უფლებების რეალიზების მიზნით რიგგარეშე კრების მოწვევა ან საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შემოწმება და ამისათვის საწესდებო კაპიტალის 5%-ის შეგროვების მიზნით სხვა აქციონერებთან გაერთიანება სურს, მოკლებულია ამის შესაძლებლობას, თუკი საზოგადოების დირექტორი კეთილსინდისიერად არ ასრულებს თავის ვალდებულებებს. ასეთი წესის არსებობა, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აბრკოლებს აქციონერთა მიერ ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლების განხორციელებას, რაც დებულების ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული დროებითი დებულება,

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოქმედებს ფასიანი ქაღალდების კომისიის მიერ აქციათა რეესტრის წარმოების წესების მიღებამდე. ამიტომ სასურველი იქნება, თუკი მომავალში აღნიშნული წესები გაითვალისწინებს ინფორმაციის გაცემის უფრო ქმედით მექანიზმსა და შეავსებს დროებითი დებულების ხარვეზს. ამასთან, აქციონერთა მიერ ინფორმაციის მიღების უფლების გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია განმარტება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.9 მუხლში მოცემული ცნებისა – „პუბლიკაცია“. კერძოდ, მოიცავს თუ არა იგი საზოგადოების აქციათა რეესტრის მონაცემებს? თუ დაეუშვებთ, რომ „პუბლიკაციაში“ უნდა მთიაზრებოდეს საზოგადოებასთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი, მაშინ მოცემული დებულება აღმოჩნდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.9 მუხლის ნორმებით დადგენილი უფლებების არამართლზომიერი შემზღვეველი, ვინაიდან ამ მუხლის თანახმად, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებების შეზღუდვა მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით შეიძლება განსორციელდეს.

III. დასკვნა

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ქმნის იმ მუხრუჭს, რომელიც აბრკოლებს არაკეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის საქმიანობას და არსებობას. ამასთან, ანალიზით გამოიკვეთა მოქმედი კანონმდებლობით მოწესრიგებული კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის სახე და ის შუქრდილები, რომლებიც თანახლავს ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის თაობაზე აქციონერთა უფლებების უზრუნველყოფას. აღნიშნულის მიზანია, შეიქმნას უფრო მეტი გარანტიები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში მაღალი კორპორაციული შეგნების დონის ჩამოყალიბებას, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის.

Sorgfaltspflicht und Informations- und Kontrollrechte in einer Aktiengesellschaft

I. Einführung

Zweck des vorliegenden Beitrags ist es, sich mit den Problemen der Sorgfaltspflicht und der Haftung zu befassen in Bezug auf gewisse Aspekte des konkreten Aktionärsrechts – des Informations- und Kontrollrechts. Eine richtige Regelung und reale Gewährleistung dieses Rechts dient den gesellschaftsrechtlichen Interessen, weil es einer gerechten Bilanz der Effektivität der Geschäftsführung, der Entscheidungskontrolle der staatlichen Gremien, des Interessenschutzes der Aktionäre bzw. Kleinaktionäre bedarf, was nur unter Beachtung der Sorgfaltspflicht möglich ist. Diese Frage hängt ihrerseits mit der Verwirklichung wichtiger Grundsätze des Gesellschaftsrechts zusammen, wie z.B. dem Gleichbehandlungsgrundsatz, dem Grundsatz der Publizität der Geschäftsführung und dem Grundsatz der Transparenz, die die Aktionäre vor Rechtsverletzungen und Willkür der Geschäftsführung schützen. Eine der wichtigsten Voraussetzungen für die Verwirklichung der Sorgfaltspflicht ist die Schaffung gesetzlicher Schutzgarantien der Aktionärsrechte. Als allererstes sollen hier die realen Sicherungsmechanismen der Informations- und Kontrollrechte geschaffen werden. Die Gelegenheit, die Information zu erhalten und die Gesellschaft zu kontrollieren, hilft dem Aktionär, gesellschaftswidrige Entscheidungen durch die Geschäftsführung zu verhindern und zwingt zugleich die Geschäftsführung selbst, wachsam zu sein und im Interesse der Gesellschaft zu handeln. All das trägt schliesslich zur gewissenhaften Geschäftsführung bei.

II. Regelung und Inhalt der Informationserhaltung und der Kontrollrechte

Die Informations- und Kontrollrechte sind im georgischen Gesetz „Über die gewerblichen Unternehmen“ sowie durch das Präsidialde-

kret des georgischen Staatspräsidenten vom 18.06.1998 „Über die Übergangsbestimmungen des Aktienregisterverfahrens“ geregelt.

Das Gesetz über die gewerblichen Unternehmen regelt die aufgeworfene Frage durch die Vorschriften des allgemeinen und besonderen Teils. Durch den Artikel 3.9 des allgemeinen Teils wird die allgemeine Regel der Information und der Gesellschaftstätigkeitskontrolle bestimmt. Diese Regel erstreckt sich sowohl auf die AG als auch auf andere gewerbliche Gesellschaften. Laut diesem Artikel hat „jeder Gesellschafter das Recht auf eine Ausfertigung des Jahresabschlusses und auf alle anderen Publikationen der Gesellschaft. Er hat weiter das Recht, die Richtigkeit des Jahresabschlusses unter Einsicht in die Bücher und Papiere der Gesellschaft persönlich zu prüfen oder durch einen unabhängigen Sachverständigen prüfen zu lassen und Aufklärung von den Gesellschaftsorganen nach Vorlage des Jahresabschlusses und vor Entlastung der Direktoren zu verlangen; werden dabei Unregelmäßigkeiten festgestellt, so trägt die Gesellschaft die Kosten dieser Prüfung. Diese Kontroll- und Prüfungsrechte können nur durch dieses Gesetz eingeschränkt, durch Gesetz oder Satzung jedoch erweitert werden.“

Vor diesem Hintergrund meint man unter Informations- und Kontrollrecht in der Regel, dass:

- a) Jeder Gesellschafter dazu berechtigt ist, eine Ausfertigung des Jahresabschlusses zu bekommen;
- b) Jeder Gesellschafter das Recht hat, alle Publikationen der Gesellschaft zu erhalten;
- c) Jeder Gesellschafter berechtigt ist, die Richtigkeit des Jahresabschlusses unter Einsicht in die Bücher und Papiere der Gesellschaft persönlich zu prüfen oder durch einen unabhängigen Sachverständigen prüfen zu lassen und Aufklärung von den Gesellschaftsorganen nach Vorlage des Jahresabschlusses und vor Entlastung der Direktoren zu verlangen; werden dabei Unregelmäßigkeiten festgestellt, so hat der Gesellschafter das Recht, den Schadensersatz für diese Prüfung von der Gesellschaft zu fordern.

Genannte Rechte sind ein Impuls für die gewissenhafte Geschäftsführung. Die Gesellschaftsdirektoren sind gesetzlich verpflichtet, den Aktionären regelmäßig Bericht zu erstatten. Zugleich wird durch das Gesetz die Möglichkeit zur Begehung von willkürlichen Handlungen

ausgeschlossen und die Direktoren werden verpflichtet, ihre Tätigkeit gewissenhaft auszuüben.

Des Weiteren sieht das Gesetz die Möglichkeit vor, die erwähnten Informations- und Kontrollrechte zu erweitern und einzuschränken. Eine Erweiterung ist möglich durch die Gesellschaftssatzung oder das andere Gesetz, eine Einschränkung lediglich durch das Gesetz „Über die gewerblichen Unternehmen“. Die Erweiterung der genannten Rechte unterliegt nicht dem Gesetz, sondern wird durch die Satzung einer konkreten AG geregelt. Was die Beschränkungen anbelangt, so sind diese im Abschnitt 4 des Besonderen Teils „Über die gewerblichen Unternehmen“ enthalten. Solche Rechtsbeschränkungen wirken sich auf die Rahmen der Schutzmechanismen der Sorgfaltspflicht aus.

Die Fälle der gesetzlichen Beschränkungen der Prüf- und Informationsrechte der Aktionäre sind durch Artikel 53 des georgischen Gesetzes „Über die gewerblichen Unternehmen“ geregelt. Die Einschränkung dieser Rechte kommt vor allem bei ihrer Ausübung zum Ausdruck. Die genannte Regel wird von Artikel 53.3 bestimmt, laut dem „im übrigen die Aktionäre ihre Rechte in der Hauptversammlung ausüben, und zwar das Stimmrecht, das Informationsrecht, das Kontrollrecht“. D. h., die Aktionäre vermögen es nicht immer unmittelbar, zum gewünschten Zeitpunkt ihre Rechte auszuüben. Sie müssen auf die Einberufung der Hauptversammlung der AG warten. Diesbezüglich entsteht ein praktisches Problem, das mit dem Rechtsschutz von Kleinaktionären zusammenhängt und aktuell hinsichtlich des Interessenschutzes von Kleinaktionären der privatisierten Betriebe ist. Und zwar handelt es sich um den Interessenschutz der Aktionäre, die über keine ausreichende Kapitalquote verfügen, eine Versammlung einberufen zu können.

Laut Artikel 53.3.3 haben die „Aktionäre, die mindestens 5% des Gesamtkapitals auf sich vereinigen, haben das Recht, die Einberufung einer außerordentlichen Hauptversammlung zu verlangen, sofern es das Unternehmensinteresse erfordert.“ In diesem Fall haben wir es mit einer gesetzlichen Abweichung vom Gleichbehandlungsgrundsatz für die Gesellschafter zu tun. Zwar ist laut Artikel 54.1 die nächste Hauptversammlung einer AG alljährlich – innerhalb von zwei Monaten nach Abfassung der Jahresbilanz – einzuberufen, es ist aber nicht ausgeschlossen, dass die Geschäftsführung die Einberufung der Versammlung umgeht bzw. es für den Aktionär notwendig ist, eine ausserordentliche Versammlung einzuberufen, um Informationen zu erhalten oder die

Gesellschaftskontrolle auszuüben. Die Kleinaktionäre vermögen es in der Regel nicht, eine solche Versammlung einzuberufen. Gemeint sind die Aktionäre, die unter 5% des Gesamtkapitals besitzen. Heutzutage bilden den überwiegenden Teil solcher Aktionäre in Georgien die ehemaligen Arbeitskollektivmitglieder der staatlichen Betriebe, welchen die Aktien unentgeltlich bzw. ermässigt während des Privatisierungsprozesses überreicht wurden bzw. die diese Aktien während der Privatisierung durch Wertpapiere (Voucherisierung) erworben haben. Der Interessenschutz solcher Aktionäre hängt quasi vollständig von der persönlichen Sorgfalt der Geschäftsführung ab. Ansonsten verfügen die Aktionäre über keine realen innergesellschaftlichen Interessenschutzmittel und es bleibt ihnen nichts anderes übrig, als das Gericht zu ihrem Interessenschutz anzurufen, was ein langfristiges und aufwendiges Verfahren darstellt. M. E. sollen die Aktionäre in Georgien – einem Transformationsland, in dem das Gesellschaftsbewusstsein immer noch sehr niedrig ist und eine Gesellschaft als Eigentum der Grossaktionäre wahrgenommen wird, wo die Geschäftsführer sich weniger für die Interessen der Kleinaktionäre einsetzen und ihnen gegenüber weniger rechnungslegungspflichtig sind – die über eine unter 5% liegende Kapitalquote verfügen, mehr aktive Mechanismen und Garantien zu ihrem Rechtsschutz haben. Bei solcher Problemlösung steigt natürlich das Gewissenhaftigkeits- und Verantwortungsgefühl der Geschäftsführer.

Die Sicherungsgarantien der zuständigen Geschäftsführung werden durch den Artikel 53.3.3 des georgischen Gesetzes „Über die gewerblichen Unternehmen“ vorgeschrieben, laut dem die Aktionäre, die mindestens 5% des Gesamtkapitals auf sich vereinigen, berechtigt sind, das Gericht, in dessen Bezirk die Gesellschaft ihren Sitz hat, anzurufen, wenn die AG-Direktoren nicht innerhalb von zwanzig Tagen eine außerordentliche Hauptversammlung einberufen haben. D. h. die Hauptversammlung kann in einer AG auch durch das Gericht einberufen werden, sofern sich der Gesellschaftsdirektor weigert, diese selbst einzuberufen. Solche Beispiele gibt es bereits in der Rechtsprechung und zugleich werfen die Aktionäre die Haftungsfrage der Geschäftsführung auf.

Das Gleiche bezieht sich auf die wirtschaftlichen Handlungen der Aktionäre sowie die gesamte Überprüfbarkeit der Jahresbilanz. Laut Artikel 53.3.2 sind „Aktionäre, die mindestens 5% des Ge-

samtkapitals auf sich vereinigen, berechtigt, eine Sonderprüfung bestimmter Geschäftsvorfälle oder des ganzen Jahresabschlusses zu verlangen, wenn sie meinen, dass Unregelmäßigkeiten vorliegen. Wird ein derartiger Beschluss von der Hauptversammlung abgelehnt, so hat das Gericht, in dessen Bezirk die Gesellschaft ihren Sitz hat, über die Einsetzung der Sonderprüfung zu entscheiden“. Dieses Recht der Aktionäre ist eine wichtige Voraussetzung für die Ausübung der Vermögensrechte der Aktionäre, u. a. eines so wichtigen Rechts wie das auf die Dividende. Die erwähnte Vorschrift bildet in finanzieller Hinsicht eine Garantie für gewissenhafte Geschäftsführung für die Gesellschaft. Es ist aber dabei hervorzuheben, dass solche Schutzmechanismen ziemlich schwach für die Aktionäre sind, die unter 5% des Stammkapitals besitzen.

Das massgebende Recht für die Aktionäre stellt das Recht dar, Informationen aus dem Aktienregister zu erhalten. Diese Frage wird durch das Präsidialdekret N 375 vom 18.06.1998 „Über die Übergangsbestimmungen im Aktienrechtsverfahren“ geregelt. Laut Kapitel V der Übergangsbestimmungen sind folgende Personen berechtigt, im Register vorhandene Informationen zu erhalten: Emittenten (d. h. eine AG), die eingetragenen Personen (d. h. die Besitzer der im Aktienregister eingetragenen Aktien) und die Verwaltungsbehörde (d. h. der Staatliche Ausschuss für die Wertpapiere). Dazu ist laut der gleichen Bestimmung vorgesehen, zu welchen Informationen die eingetragenen Personen berechtigt sind. Dazu gehören Informationen über den gesamten Zinssatz der auf den Namen der eingetragenen Personen eingetragenen Aktien sowie Informationen über alle Änderungen und der dem Stammkapital einer AG gehörenden Aktien an. Vor diesem Hintergrund ist der Aktionär berechtigt, lediglich eine Information über sich zu bekommen. Er ist also nicht dazu berechtigt, Informationen über einen anderen Aktionär oder dessen Anteil an Aktien zu erhalten. Mit anderen Worten ist ein Kleinaktionär nicht dazu berechtigt, eine ausserordentliche Versammlung einzuberufen bzw. die wirtschaftliche Tätigkeit der Gesellschaft zu überprüfen. Es sei denn, er vereinigt sich mit anderen Aktionären, um die 5% des Stammkapitals zu erreichen und dadurch seine Informations- und Kontrollrechte ausüben. Er darf es jedoch dann nicht, wenn der Gesellschaftsdirektor seine Pflichten gewissenhaft ausübt. Diese Regel hindert im Wesentlichen das Recht der Aktionäre, Informationen zu erhalten und die Kontrolle auszuüben und ist lücken-

haft. Die genannte Übergangsvorschrift besteht laut Artikel I des Präsidialdekrets bis zur Verabschiedung des Gesetzes über das Aktienregisterverfahren. Daher wäre es von Vorteil, wenn das genannte Gesetz einen besseren Informationserteilungsmechanismus vorsähe und die vorhandene Lücke durch eine Übergangsvorschrift ausfüllen würde.

III. Schlussfolgerung

Von diesem Hintergrund sieht man, dass das Gesetz „Über die gewerblichen Unternehmen“ die Tätigkeit einer gewissenlosen Geschäftsführung hindert. Zugleich kommt das gesetzlich geregelte Antlitz einer Geschäftsführung ans Tageslicht, welche ihre Tätigkeit sorgfältig ausübt. Andererseits wirft das Thema auch Schattenseiten auf, die mit der Informations- und Kontrollfrage zusammenhängen und die Rechte der Aktionäre gewährleisten sollen. Ziel dessen ist es, mehr Garantien zu schaffen, die in Georgien zur Bildung eines hohen gesellschaftsrechtlichen Bewusstseins beitragen, was wichtig für die Zukunft unseres Landes sein wird.

სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება

I. შესავალი

სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება სამართლებრივად დარეგულირებულია გერმანიის სააქციო კანონის § 93 აბზ. 1 პუნქტ 1-ში. რომლის მიხედვითაც: „გამგეობის წევრები საზოგადოების მართვას უნდა მოეკიდონ მოწესრიგებული და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი გალისხმიერება“.

კეთილსინდისიერების ვალდებულების სამართლებრივი განსაზღვრა მეტად აბსტრაქტულია. „ხელმძღვანელის“ ცნება, როგორც ეს დაფიქსირებულია სააქციო კანონის § 93 აბზაც 1 პუნქტ 1-ში არ იძლევა კეთილსინდისიერების განსაკუთრებული და კარგად გასაგები კონკრეტიზაციის საშუალებას. „ხელმძღვანელის“ ცნების გამოყენება ხდება მხოლოდ იმის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად, რომ გამგეობის წევრებმა არა მარტო მოწესრიგებულად და კეთილსინდისიერად უნდა იმოქმედონ – როგორც ამას სამოქალაქო სამართალი სამართლებრივ ურთიერთობებში ჩაბმული ნებისმიერი კერძო პირისგან მოითხოვს, არამედ მათი მოქმედება იმდენად უნდა იყოს მოწესრიგებული და კეთილსინდისიერი, რამდენადაც ამას სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელისგან მოელიან. გამგეობის წევრთა კეთილსინდისიერების მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაკონკრეტება მეტად რთულია, გამგეობის წევრთა მიერ საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული ყველა საქმის ვითარება საკმაოდ განსხვავებულია.

მოსაზრებები გამგეობის კეთილსინდისიერების განმარტების შესაძლებლობის შესახებ გერმანიის სააქციო სამართალში ანგლო-საქსონური სამართლიდანაა შემოსული. მის მიხედვით გამგეობა მოქმედებს როგორც მეპაიეს („principal“) ნდობით

სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება

აღჭურვილი პირი („agent“). ეკონომიკური თვალსაზრისით საქმე გვაქვს საპაიო ურთიერთობის განსაკუთრებულ სახეობასთან, რომელიც ხორციელდება ერთისმხრივ აქციონერს როგორც მეპაიეს და მეორესმხრივ გამგეობას როგორც ნდობით აღჭურვილ პირს შორის. გერმანიის ფედერალური სასამართლოს¹ და შესაბამისი იურიდიული ლიტერატურის² თვალსაზრისით მოწვევრიგებული და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელი შეიძლება ეწეოდეს მას, ვინც მოქმედებს როგორც კონკრეტული სახის საწარმოს გულისხმიერი და დამოუკიდებელი ხელმძღვანელი, და რომელიც განკარგავს არა საკუთარ ქონებას, არამედ როგორც ნდობით აღჭურვილი პირი ვალდებულია დაიცვას სხვისი ქონებრივი ინტერესები. აქციონერის და გამგეობის დამოკიდებულების ამგვარი განხილვა – „მეპაიესა და ნდობით აღჭურვილ პირს შორის ურთიერთობის“ (ფიდუციური, ნდობითი ურთიერთობა) სახით – ჯერ არ წარმოადგენს გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულების საკმარის კონკრეტიზაციას.

II. ვალდებულება სააქციო საზოგადოების წინაშე

გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულების კონკრეტიზაცია შეუძლებელია კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების განხილვის გარეშე. გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება შიდა პასუხისმგებლობის ანალოგიურია, ანუ შეესაბამება საზოგადოების წინაშე გამგეობის წევრების პასუხისმგებლობას. გამგეობის წევრების შიდა პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სააქციო კანონის § 93, აბზ. 2, პუნქტი 1. ეს ნორმა ადგენს: „გამგეობის წევრები, რომლებიც დაარღვევენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ვალდებული არიან საზოგადოების წინაშე აუნაზღაურონ მას ამ დარღვევით გამოწვეული ზარალი როგორც სოლიდარულმა მევალებმა“. ანუ, სააქციო კანონის § 93, აბზ. 2, პუნქტი 1-ის შესაბამისი პასუხის-

¹ ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 129, 30, 34

² Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 93, ნომ. 4

მგებლობის საკითხის დადგომისთვის უნდა არსებობდეს გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება. უფრო მეტიც, ეს ვალდებულება დარღვეულ უნდა იქნას. გარდა ამისა გამგეობის წევრის ქმედება კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით თავის რეფერატში ბატონი ლუთერი შეეხება.

გამგეობის წევრების განსაკუთრებული კეთილსინდისიერების ვალდებულება ზემოთქმულისგან განსხვავებით არ არის მნიშვნელოვანი გარე პასუხისმგებლობისათვის, ანუ გამგეობის წევრთა პასუხისმგებლობისათვის მესამე პირის მიმართ. გამგეობის წევრების პასუხისმგებლობა მესამე პირის მიმართ, მაგალითად სააქციო საზოგადოების ბიზნეს პარტნიორის მიმართ, ფასდება არა საკორპორაციო სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ნორმებით, არამედ ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის და აქედან გამომდინარე ზოგად-სამოქალაქო სამართალში დაფიქსირებული კეთილსინდისიერების მოთხოვნების საფუძველზე. გამგეობის წევრებმა მათი ქმედებით შესაძლებელია დააზარალონ არა მარტო საზოგადოება, არამედ მესამე პირებიც. ეს მესამე პირები თავდაპირველად შეეცდებიან პრეტენზია საზოგადოებას წაუყენონ; თუმცა მესამე პირები შესაძლებელია იმაშიც იყვნენ დაინტერესებულნი, რომ პასუხი პირადად გამგეობის წევრებს მოთხოვონ, მაგალითად საზოგადოების გაკორტების შემთხვევაში, ან როდესაც გამგეობის წევრის ქმედება არ შეიძლება მიეწეროს სააქციო საზოგადოებას. მესამე პირთა პრეტენზიები გამგეობის წევრთა მიმართ მათი პრეტენზიებისგან სააქციო საზოგადოების მიმართ ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მესამე პირები არ არიან იმ განსაკუთრებულ ურთიერთობებში ჩაბმულნი, რომლებიც გამგეობის წევრებს მათ საზოგადოებასთან აკავშირებს. ქალბატონი შტაინი მის რეფერატში უფრო დაწვრილებით შეეხება გამგეობის გარე პასუხისმგებლობას მესამე პირთა მიმართ.

მათი დაზარალების შემთხვევაში ვერც აქციონერები დაყვრდნობიან სააქციო კანონის § 93-ს. აქციონერებს სააქციო კანონის § 93 არ ანიჭებს უშუალო უფლებებს³. აქციონერებს

³ Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 93, ნომ. 19

სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება

არც ის შეუძლიათ, რომ გამგეობის წევრებს წაუყენონ საზოგადოების ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ⁴. გერმანიის დელიქტური სამართლის შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის § 823 აბზ. 2) სააქციო კანონის § 93, აბზ. 2, პუნქტი 1 აგრეთვე არ წარმოადგენს აქციონერების „დამცავ კანონს“. აქედან გამომდინარე გამგეობის წევრთა კეთილსინდისიერების ვალდებულება ძირითადად განისაზღვრება მათი ურთიერთობით სააქციო საზოგადოებასთან და არა მათი ურთიერთობით აქციონერებთან ან მესამე პირებთან.

სააქციო კანონის § 93, აბზ. 2, პუნქტი 1-ის ძირითად ცნებას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის ცნება. გამგეობის ვალდებულებები შეიძლება მომდინარეობდეს სამართლებრივი ნორმებიდან. ამგვარ ნორმებს წარმოადგენენ, მაგალითად, გამგეობის მიერ სააქციო საზოგადოების მართვის ამოცანის დადგენა სააქციო კანონის § 76 აბზ. 1-ის მიხედვით, საზოგადოების მართვის ამოცანების დადგენა სააქციო კანონის § 77-ის მიხედვით ან კანონით დადგენილი სხვა ცალკეული დირექტივები გამგეობის ვალდებულებების შესახებ. ეს ცალკეული ვალდებულებები ნაწილობრივ ჩამოთვლილია სააქციო კანონის § 93 აბზ. 3-ში. თუმცა არსებობს გამგეობის სხვა სამართლებრივი ვალდებულებებიც, რომლებიც სააქციო კანონის § 93 აბზ. 3-ში მოხსენიებული არ არის.

გამგეობის ვალდებულებები შესაძლებელია მომდინარეობდნენ არა მარტო სამართლებრივი ნორმებიდან, არამედ საზოგადოების წესებიდან და გამგეობის წევრთან დადებული შრომითი ხელშეკრულებიდანაც⁵.

III. საწარმოო ინტერესებზე ორიენტაცია საზოგადოების სათანადოდ მართვის და ხელმძღვანელობის ვალდებულებისას

გამგეობის ყველაზე უმთავრესი და აქედან გამომდინარე სააქციო კანონში ყველაზე გამორჩეულ ადგილას (სააქციო

⁴ Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 93, ნომ. 19

⁵ Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 93, ნომ. 13

კანონის §§ 76 და 77) მოხსენიებული ვალდებულება არის საზოგადოების კეთილსინდისიერად მართვის და ხელმძღვანელობის ვალდებულება.

მართვის ცნების ხელმძღვანელობის ცნებისგან გამიჯვნა მნიშვნელობას იძენს, როდესაც საუბარია იმაზე, თუ რა ამოცანები უნდა დაეკისროს მთელს გამგეობას როგორც კოლექტიურ ორგანოს მის თითოეულ წევრთან ურთიერთობისას. მართვის ფუნქციის შესრულება ეკისრება გამგეობის არა ცალკეულ წევრებს, არამედ მთლიან გამგეობას როგორც მმართველ ორგანოს.

გამგეობის იმ მმართველობითი ამოცანების პარალელურად, რომლებიც კანონითაა განსაზღვრული, არსებობს აგრეთვე დაუწერელი ამოცანებიც. იმდენად, რამდენადაც საფინანსო, საინვესტიციო და საკადრო დაგეგმვა და გამგეობის ბიზნეს-პოლიტიკის ზოგიერთი სხვა სფერო გარკვეული წონის მქონე გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს, ამ დროს საუბარია სააქციო კანონის § 76 აბზ. 1-ით გათვალისწინებულ მმართველობით ამოცანებზე. გარდა ამისა საწარმოო კოორდინაცია და საწარმოო კონტროლი, როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური თვალსაზრისით, აგრეთვე უნდა იქნას განხილული როგორც მმართველობითი ამოცანები⁶. გამგეობის ამოცანები შესაძლებელია დანაწილდეს საწარმოო დაგეგმვის⁷, საწარმოო სტრუქტურის და საწარმოო კონტროლის სფეროებად.

სააქციო საზოგადოების მართვა და სხვა სახის ხელმძღვანელობა უშუალოდ საწარმოზე დამყარებული. საზოგადოების მართვის და სხვა სახის ხელმძღვანელობის განხორციელება ხდება „საწარმოო ინტერესების“ გათვალისწინებით, რომლებიც ორიენტირებულია არა მარტო სააქციო კანონის დირექტივებზე, არამედ ნორმებზეც, რომლებიც დაფიქსირებულია კანონში თანაგანსაზღვრის შესახებ, კანონში გრძელვადიან კრედიტთა

⁶ Semler, სააქციო საზოგადოების მართვა და ზედამხედველობა, მე-2 გამოცემა, 1996, გვ. 10

⁷ ლუთერი, სააქციო საზოგადოება, 1991, 249, 250 და შემდეგ; კალმაიერი, ZGR, 1993, 104; ფედერსენ, ZGR, 1993, 114; გიოტცი, სააქციო საზოგადოება 1995, 337, 338 და შემდეგ.

ბაზრის შესახებ, კანონში გაკოტრების შესახებ და კანონში კონკურენციის შესახებ. გამგეობას არა აქვს უფლება მხოლოდ აქციონერთა ინტერესებზე იყოს ორიენტირებული⁸. უფრო მეტიც, კანონით და წესდებით დადგენილ ფარგლებში გამგეობამ ანგარიში უნდა გაუწიოს აგრეთვე დასაქმებულთა, კრედიტორთა და საზოგადოებრივ ინტერესებს.

მაშასადამე, მართვის და სხვა სახის ხელმძღვანელობის დროს გამგეობამ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ინტერესები. ამასთან ისმის კითხვა ინტერესთა იერარქიის შესახებ. საზოგადოების ინტერესზე ორიენტაცია პირველ რიგში მოითხოვს, რომ გამგეობამ უზრუნველყოს სააქციო საზოგადოების სტაბილური რენტაბელურობა⁹. სააქციო საზოგადოების არსებობა, როგორც წესი, გამგეობის მოქმედების ეფექტურობაზეა დამოკიდებული. ამის მიუხედავად გამგეობა არ არის ვალდებული საზოგადოების არსებობა ნებისმიერ ფასად უზრუნველოს. დიდი ხნის განმავლობაში არარენტაბელური საზოგადოების ფუნქციონირების ხელშეწყობა არ შედის საწარმოო ინტერესებში. მოკლე ხნის განმავლობაში დაშვებულია აგრეთვე ისეთ პოზიციებზე ორიენტირება, რომლებიც რენტაბელურობის პრინციპებს არ პასუხობენ. ასე მაგალითად ინვესტიციებთან, იმიჯთან ან მარკეტინგთან დაკავშირებული მიზეზების გამო მოკლე ხნით შესაძლებელია საწარმოს რენტაბელურობაზე უარის თქმა, იმისთვის, რომ სწორედ იგივე რენტაბელურობა უფრო ხანგრძლივი ვადით იქნას უზრუნველყოფილი.

პრობლემატურ საკითს წარმოადგენს, თუ რამდენად უნდა ზრუნავდეს გამგეობა „Shareholder Value“-ს¹⁰ (აქციათა საბირჟო

⁸ თუმცა ამ მიმართულებით ტენდენციას განიცდის Adams, სააქციო საზოგადოება 1990, 243, 246 და შემდეგ.

⁹ ქალაქ ჰამის მიწის უმაღლესი სასამართლო, სააქციო საზოგადოება 1995, 512, 514; კიოლნის კომენტარი სააქციო კანონთან დაკავშირებით / მერტენსი, მე-2 გამოცემა, § 76 ნომ. 10 და 22; ზემლერი, სააქციო საზოგადოების მართვა და ხელმძღვანელობა, მე-2 გამოცემა, 1996, ნომ. 40 და შემდეგ. კლემი in: „Festschrift für Ritter“, 1997 გვ. 675, 685 და შემდეგ; ოურგენმაიერი, სამეწარმეო ინტერესი, 1994, გვ. 103

¹⁰ „Shareholder Value“-ს ცნებასთან დაკავშირებით საწარმოო ეკონომიკის

ღირებულების) ამადლებისტვის¹¹. ამასთან საქმე ეხება იმას, რომ საწარმოო ღირებულების მაქსიმიზაცია, ანუ აქციების სტაბილურად მადალი კურსის უზრუნველყოფა, სამეწარმეო საქმიანობის მიზნად უნდა იქნას განხილული¹². თუმცა გამგეობის მიზანს მართვისა და ხელმძღვანელობის დროს, არ არის აუცილებელი რომ წარმოდგენდეს აქციონერთა მფლობელობაში მყოფი აქციების საბირჟო კურსის უწყვეტი ზრდის უზრუნველყოფა¹³. თუმცა აუცილებელ მოთხოვნას წარმოდგენს ის, რომ სააქციო საზოგადოების მართვის და ხელმძღვანელობის დროს აქციათა საბირჟო კურსს, ანუ წილის შიდა ღირებულების ამადლებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდეს.

გარდა ამისა გამგეობამ დასაქმებულთა ინტერესებსაც უნდა გაუწიოს ანგარიში¹⁴. ამგვარი ვადლებულების არსებობის წინაპირობები მეტად შეზღუდულია, რადგანაც დასაქმებულთა ინტერესების გათვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ისინი არ მოდიან კონფლიქტში სხვა, განსა-

თვალსაზრისით იხილეთ: Rappaport, *Creating Shareholder Value: The new Standart os Business Performance*, 1986; Copeland/Koller/Murrin, *Valuation: Measuring and Managing the Value of the Companies*, 1995; Unzeitig/Köthner, *Shareholder Value Analyse*, 1995; Bischoff, *Das Shareholder Value-Kozept*, 1994; Zimmermann/Wortmann, *Der Betrieb* 2001, 289, 293; გარდა ამისა იურიდიულ ლიტერატურაში, ძირითადად – Müller ZGR 1997, 129; გარდა ამისა R.H. Schmidt/Spindler in: *Festschrift für Kübler*, 1997, S. 515; von Weder ZGR 1998, 69; Kübler in: *Festschrift für Zöllner*, 1998, S. 321; W. U. Schilling, *Betriebs-Berater* 1997, 373; Groh, *Der Betrieb* 2000, 2153; Hommelhof in: *Festschrift für Lutter*, 2000, S. 94, 102 და შემდეგ.

¹¹ ამასთან დაკავშირებით მაგალითად, Hüffer, ZHG 161 (1997), 214, 217 და შემდეგ; Mülbert, ZGR 1997, 129, 156 და შემდეგ; Ulmer, AcP 202 (2002), 143, 152 და შემდეგ; Weder, ZGR 1998, 69, 77 და შემდეგ.

¹² K. Schmidt, საკორპორაციო სამართალი, მე-4 გამოცემა, § 26 III 3 c.

¹³ ამ მიმართულებისკენ ისრება უმაღლესი ფედერალური სასამართლო, ფედერალური სასამართლოს დადგენილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 15, 71, 78; ამის საპირისპიროდ *Kölnener Komm Aktiengesetz/Mertens*, 2. Auflage, § 76 Rn. 22.

¹⁴ დასაბუთება სამთავრობო კონცეფცია სააქციო კანონთან დაკავშირებით, Kropff, 1965, S. 97.

კუთრებით კი პრიორიტეტულ პრინციპებთან¹⁵. ასე მაგალითად რენტაბელურობის და ქმედითობის ინტერესები შესაძლებელია გულისხმობდნენ აგრეთვე (დამატებით) დასაქმებულთა ინტერესთა გათვალისწინებასაც, რადგანაც საწარმოს მდგრადი რენტაბელურობა ან ქმედითობა სწორედ მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების ბირთვზე ზრუნვით და მისთვის შესაბამისად მაღალი ანაზღაურების უზრუნველყოფითაა შესაძლებელი. თუმცა შესაძლებელია პირიქითაც ხდებოდეს, როდესაც სააქციო საზოგადოების მდგრადი რენტაბელურობა ან ქმედითობა სწორედ სისტემატიური დათხოვნებით, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებებით ან ხელფასთა დაყოვნებით იყოს განპირობებული. საზოგადოების მართვის ფარგლებში განსაკუთრებული რაციონალიზატორული ღონისძიებების განხორციელება დასაშვებია. გამგეობის სხვა სახის ცალკეული ღონისძიებები, რომლებიც დასაქმებულთა ხარჯზე ხორციელდება, შრომითი დავების განმხილველი ფედერალური სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომელიც საწარმოო საქმიანობით განპირობებულ დათხოვნებს უკავშირდება¹⁶, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დაუშვებლად საწარმოო ინტერესების არასათანადოდ გათვალისწინების გამო, თუ ეს ღონისძიებები აშკარად დაუსაბუთებლად, გაუაზრებლად ან თვითნებურადაა გატარებული. ხშირ შემთხვევაში ის ღონისძიება, რომელიც დაუსაბუთებელი, გაუაზრებელი ან თვითნებურია, ისედაც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებზე ორიენტაციის პრინციპს.

საზოგადოების, აქციონერების და თანამშრომლების ინტერესთა პარალელურად გამგეობას მართვისა და ხელმძღვანელობის დროს მოეთხოვება აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებაც¹⁷. თუ „საზოგადოებრივი კეთილდღე-

¹⁵ Geßler/Hefermehl, სააქციო კანონი, § 76 ნომ. 26

¹⁶ შრომით დავების განმხილველი ფედერალური სასამართლო, შრომის-სამართლებრივი პრაქტიკა, ნომ. 1, 22, 80 სამსახურიდან დათხოვნის წესების მარვეულირებელი კანონი § 1, 1969 სამსახურიდან დათხოვნა, რომელიც საწარმოო საქმიანობითაა განპირობებული.

¹⁷ დასაბუთება სამთავრობო კონცეპცია სააქციო კანონთან დაკავშირებით,

ობის ინტერესები“ სავალდებულო სამართლებრივ დირექტივებში არ არის ასახული (მაგალითად სისხლის სამართლის, გარემოს სამართლის, საზოგადოებრივი წესრიგის რეგულირების ნორმათა ერთობლიობის და უშიშროების სამართლის სფეროებში), ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დადგებიან აქციონერების, თანამშრომლების და საწარმოს ინტერესებზე მაღლა¹⁸. „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ და „ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობის“ ცნებები ისედაც მეტად განუსაზღვრელია. საზოგადოების და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის ხშირად აქვს ადგილი პარალელიზმს¹⁹.

გარდა ამისა „საზოგადოებრივ კეთილდღეობაში“ შესაძლებელია აგრეთვე ნაგულიხმები იქნას სააქციო საზოგადოების საქმიანობის ორიენტირება ძირითად კანონში როგორც კონსტიტუციაში დაფიქსირებულ ფასეულობათა სისტემაზე²⁰. თუმცა მხოლოდ ძირითადი კანონის ფასეულობათა სისტემის საფუძველზე შეუძლებელია დადგინდეს სააქციო საზოგადოების ეკონომიკურად ორიენტირებული ხელმძღვანელობის ნორმები. აგრეთვე დაუშვებელია, რომ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე აპელირებით გამკობას საზოგადოების ხელმძღვანელობისას განსაკუთრებული ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები მოვახვიოთ თავს. გარდა ამისა ზოგადად შეუძლებელია, რომ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე აპელირებით ცალკეულ საზოგადოებას ნაციონალური ეკონომიკისთვის (და არა ცალკეულ საწარმოსთან მიმართებაში მყოფი საწარმოო ეკონომიკისათვის) სასარგებლო „პოლიტიკის“ გატარება მოვთხოვოთ²¹.

Kropff, 1965, S. 97. K. Schmidt, საკორპორაციო სამართალი, მე-4 გამოცემა, § 28 II 1a.

¹⁸ დასაბუთება სამთავრობო კონცეპცია სააქციო კანონთან დაკავშირებით, Kropff, 1965, S. 97. და შემდეგ: Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 76, ნომ. 12.

¹⁹ Geßler/Hefermehl, სააქციო კანონი, § 76 ნომ. 25

²⁰ Rittenr AG 1973, 113, 116 f.; Henze, Betriebs-Berater 2000, 209, 212.

²¹ სააქციო სამართალს დაკავშირებული კომენტარი, Kort, სააქციო კანონი, მე-4 გამოცემა § 76 ნომ. 62.

ჩამოთვლილ ინტერესთა გარკვეული პრიორიტეტის მიხედვით განლაგება სამართლებრივად შესაძლებელია იმის საფუძველზე, რომ სააქციო კანონი საკორპორაციო სამართლებრივ ინტერესებს წინა პლანზე აყენებს. თანამშრომელთა ინტერესების გათვალისწინება, ამის საპირისპიროდ, ძირითადად მხოლოდ თანაგანსაზღვრის და შრომის სამართლის ნორმებიდან და სამართალდარღვევის დირექტივებიდან გამომდინარე ნაგულისხმები²², საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება ინტერესთა ბალანსში კიდევ უფრო ნაკლებადაა წარმოდგენილი. ძირითად ინტერესთა რანგობრივი თანამიმდევრობა პრინციპში ამით ამოიწურება²³.

IV. საზოგადოების მართვის და ხელმძღვანელობის ორგანიზაციული მოწყობა

გამგეობას ეკისრება სააქციო საზოგადოების სათანადო ორგანიზაციული მოწყობის ვალდებულება. გამგეობამ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ გამგეობის ყველა წევრს ნებისმიერ დროს ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს სააქციო საზოგადოების ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას²⁴. გამგეობის უფლებავალდებულებები შესაძლებელია დარგობრივად იქნას დანაწილებული. ასე მაგალითად მანქანათმშენებლობის სფეროში მოქმედი საწარმოს გამგეობის ერთი წევრი შესაძლებელია პასუხისმგებელი იყოს მსუბუქი ავტომობილების, მეორე წევრი – სატვირთო მანქანების ხოლო მესამე – მოტოციკლების სფეროსთვის. ამგვარი დარგობრივი დანაწილების შემთხვევაში გამგეობის თითოეულ წევრს ეკისრება ვალდებულება, თვალყური ადევნოს და გააკონტროლოს სხვა დარგებში მიმდინარე²⁵ პრო-

²² Godin/Wilhelmi, სააქციო კანონი, § 76 შენიშვნა 7.

²³ რაიმე განსაზღვრული რანგობრივი თანამიმდევრომის წინააღმდეგ გამოდიან: Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 76, Geßler/Hefermehl, სააქციო კანონი, § 76 ნომ. 29.

²⁴ შსს-სათვის ანალოგიურად ფედერალური სასამართლოს ZIP 1995, 560.

²⁵ შსს-სათვის ანალოგიურად ფედერალური სასამართლოს ZIP 1995, 560.

ცესები. გარდა ამისა გამგეობის წევრებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ გამგეობის თითოეული ადგილი საუკეთესოდ იქნას დაკავებული, ისევე როგორც პოზიციები მმართველი თანამშრომლების დონეზე. და ბოლოს, ამ მმართველობით დონეებს შორის მუშაობის კოორდინაცია და კონტროლი ოპტიმალურად უნდა ხორციელდებოდეს.

სააქციო საზოგადოების მართვისას პირადი პასუხისმგებლობა, რომელიც გამგეობას ეკისრება, გულისხმობს, რომ გამგეობას არა აქვს უფლება მართვა სააქციო საზოგადოების სხვა თანამშრომლებს გადააბაროს – ეს მხოლოდ მისი უფლებამოსილებაა. ყოველ შემთხვევაში, საწარმოო პოლიტიკური მიზნების დადგენას საკუთრივ გამგეობა უნდა ახორციელებდეს. საზოგადოების მართვის მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვანი დონის დივიზიები შესაძლებელია გამოთხოვადი უფლებამოსილების საშუალებით დელეგირებულ იქნას სააქციო საზოგადოების თანამშრომლებზე. დაუშვებელია ძირითადი მმართველობითი კომპეტენციების უცხო ფორმებზე ან სხვა მესამე პირებზე გადაცემა, მაგალითად გამგეობის მმართველობითი ფუნქციების გადანაცვლების სახით²⁶. საკუთრივ საზოგადოების მართვა არ შეიძლება გადატანილ იქნას მესამე პირებზე.

სააქციო კანონის § 90-ის მიხედვით გამგეობას აგრეთვე ანგარიშგების ვალდებულებებიც ეკისრება. 2002 წელს ანგარიშგების ეს ვალდებულებები სამართლებრივად გაფართოებული იქნა. ამიერიდან გამგეობა ვალდებულია წარმოადგინოს დასაბუთებული ინფორმაცია ფინანსური, საინვესტიციო და საკადრო დაგეგმვის შესახებ, ისევე როგორც ინფორმაცია მანამდე დადგენილ მიზნებიდან გადახვევების შესახებ²⁷. სააქციო კანონის § 90 აბზ. 3 პუნქტ 2-ის მიხედვით გამგეობას არ აქვს უფლება უარი თქვას ანგარიშის წარდგენაზე, თუ ამას სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრი მოითხოვს. სამეთვალყურეო საბჭოს-

²⁶ სააქციო სამართალან დაკავშირებული კომენტარი, Kort, სააქციო კანონი, მე-4 გამოცემა § 76 ნომ. 50. კიოლნის კომენტარი სააქციო კანონთან დაკავშირებით / მერტენსი, მე-2 გამოცემა, § 76 ნომ. 43

²⁷ ამასთან დაკავშირებით: Ihrig/Wagner, Betriebs-Berter 2002, 789, 793

თვის წარსადგენ ანგარიშს ამიერიდან უმთავრესად წერილობით ფორმა უნდა ჰქონდეს.

გამგეობის მიერ საზოგადოების კეთილსინდისიერად მართვის და ხელმძღვანელობის ვალდებულებებს განეკუთვნება აგრეთვე სააქციო კანონის და სხვა კანონების სამართლებრივი ნორმების შესრულება. ასე მაგალითად, გამგეობას ეკისრება ბუღალტერიის წარმოებისა და ბალანსების შედგენილს ვალდებულება. ამგვარი ვალდებულებები ძირითადად მომდინარეობს გერმანიის სამართლებრივი ნორმებიდან, როგორცაა სააქციო კანონის § 91 ან სააქციო კანონის და სავაჭრო კოდექსის დირექტივები ბუღალტერიის წარმოებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ვალდებულებები აგრეთვე შეიძლება მომდინარეობდენ სხვა ქვეყნების სამართლებრივი ნორმებიდან, თუ გერმანული სააქციო საზოგადოება საერთაშორისო ბიზნესშია ჩართული. ასე მაგალითად გერმანიის სააქციო საზოგადოებების გამგეობებს შესაძლებელია მოეთხოვოს მათ მიერ შედგენილი ბალანსების სერტიფიცირება ამერიკის შეერთებულ შტატებში 2002 წელს ძალაში შესული **Sarbanes-Oxley Act**-ის შესაბამისად, რაც ბალანსების სისწორის წერილობით დადასტურებას გულისხმობს²⁸. გერმანიის სამართალში საკამათო საკითხს წარმოადგენს, გულისხმობს თუ არა სააქციო კანონის § 91 აბზ. 2-ით განსაზღვრული ვალდებულება, რომელიც გამგეობას ზედამხედველობითი სისტემის შექმნას აკისრებს – რათა უზრუნველყოფილ იქნას იმ პროცესების დროულად დაფიქსირება, რომლებიც სააქციო საზოგადოების არსებობას საფრთხეს შეუქმნიან – აგრეთვე ზოგადი სარისკო მენეჯმენტის შემუშავების ვალდებულებასაც²⁹.

გამგეობის მიერ საზოგადოების სათანადოდ ხელმძღვანელობისათვის შესაბამის სამართლებრივ ვალდებულებებს აგრეთვე განეკუთვნება ვალდებულება, მოიწვიოს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება, შეასრულოს ნორმები სააქციო საზოგადოების საბაზისო კაპიტალის მობილიზაციის და შენარჩუნების შესახებ, ისევე როგორც სხვადასხვა ვალდებულებები

²⁸ Kersting, ZIP 2003, 233, 235 და შემდეგ.

²⁹ Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 91, ნომ. 9.

სააქციო საზოგადოების ფინანსური კრიზისის შემთხვევაში, განსაკუთრებით გაკოტრების დეკლარირების ვალდებულება სააქციო კანონის § 92 აბზ. 2-ის მიხედვით. გარდა ამისა გამგეობამ უნდა შეასრულოს სააქციო საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებები და უზრუნველყოს სააქციო საზოგადოების თანამშრომლების მხრიდან სოციალური დაზღვევის შენატანების განხორციელება.

V. მიზანშეწონილობის ფარგლები გამგეობის მოქმედების დროს

ზოგადი კეთილსინდისიერების ვალდებულება უნდა გავმიჯნოთ წარუმატებელი ქმედებისა და მცდარი გადაწყვეტილებებისაგან³⁰. მხოლოდ და მხოლოდ შეცდომები და არასწორი გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მძიმე და სისტემატიურ ხასიათს ატარებენ, შესაძლებელია გახდნენ გამგეობის შესაბამისი წევრის დათხოვნის და მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების გაუქმების მიზეზი, თუმცა ეს არ ასახუთებს გამგეობის წევრის პასუხისმგებლობის საკითხის ავტომატურად დადგომას³¹.

ხშირ შემთხვევაში გამგეობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ პროგნოზებზე, რომლებიც, მათი თავისებურების გამო, შეუძლებელია აბსოლუტურად უტყუარი იყოს. აქედან გამომდინარე გარკვეული სიტუაციით განპირობებული გამგეობის ქმედების აბსტრაქტული შეფასება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ამას ემატება ისიც, რომ ხშირად მრავალ დონისძიებას შორის არჩევანის გაკეთება შესაძლებელია კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის გარეშე.

საზოგადოების მართვის და ხელმძღვანელობის დროს გამგეობას მრავალ სფეროში³² ეძლევა საკუთარი შეხედულებისამებრ

³⁰ Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 93, ნომ. 13a.

³¹ Hüffer, სააქციო კანონი, მე-5 გამოცემა, § 93, ნომ. 13a.

³² მიზანშეწონილობის გარეშე მოქმედების ვალდებულებებთან დაკავში-

**სააქციო საზოგადოების გამგეობის
კეთილსინდისიერების ვალდებულება**

მოქმედების საშუალება, რაც მას სხვადასხვა შესაძლებლობას შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლებას ანიჭებს³³. ამ შესაძლებლობებს შორის გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობამ არჩევანი არც იმ შესაძლებლობაზე უნდა შეაჩეროს, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე „საიმედოა“ რისკის ნაკლებობის თვალსაზრისით, და არც პირიქით – გაატაროს იმგვარი ღონისძიება, რომელიც უკიდურესად სარისკოა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანი პერსპექტივა აქვს. ღონისძიების გატერების მომენტში, ანუ *ex ante*, გამგეობის მიერ მხარდაჭერილი ღონისძიება ვერ ჩაითვლება პასუხისმგებლობის დარღვევად მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით, ანუ *ex post*, აღმოჩნდება, რომ სხვა ღონისძიებას უკეთესი შედეგები ექნებოდა.

ფედერალური სასამართლო საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ამ მოსაზრებას ნათლად აფიქსირებს პრინციპულ განაჩენში „ARAG/Garmenbeck“-ის საქმესთან დაკავშირებით, 1997 წელი: „ . . . გამგეობას საზოგადოების საწარმოო საქმიანობის მართვისას უნდა მიეცეს მოქმედების ფართე სივრცე, რის გარეშეც სამეწარმეო საქმიანობა აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ბიზნეს-რისკზე გააზრებულად წასვლის პარალელურად ამას განეკუთვნება აგრეთვე არასწორი შეფასებების და არასწორი გათვლების საშიშროებაც, რაც ემუქრება საწარმოს ნებიმიერ ხელმძღვანელ პირს, იმას კი, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოქმედებს.

რეპით: Goette in: Geiß/Nehm/Brander/Hagen (Herausgeber), Festschrift 50 Jahre BGH, Bundesanwaltschaft und Rechtsanwaltschaft beim BGH, 2000, S. 123, 130 ff.

³³ ფედერალური სასამართლო, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით 125, 239, 246, 248; ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით 135, 244, 253; დაწვრილებითი კომენტარი სააქციო კანონთან დაკავშირებით – Hopt, მე-4 გამოცემა § 93 ნომ. 81 და შემდეგ; მიუნხენის სახელმძღვანელო საკორპორაციო სამართლის შესახებ, Wiesner, მე-2 გამოცემა, § 19 ნომ 33; Horn ZIP 1997, 1129, 1133, 1139; Kindler ZHR 162 (1998), 101, 105 ff.; 118; Heermann ZIP 1998, 761, 762 ff.; Henze Betriebs-Berater 2000, 209, 211.

(. . .) (ზარალის ანაზღაურების ვალდებულებზე) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება საუბარი, როდესაც საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც უნდა ჯდებოდეს პასუხისმგებლობის გრძნობით გატარებული, მხოლოდ საწარმოო კეთილდღეობაზე ორიენტირებული, გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების კეთილსინდისიერად დადგენაზე დამყარებული საწარმოო საქმიანობა, აშკარად დარღვეულია, სამეწარმეო რისკზე წასვლის ინიციატივა უპასუხისმგებლოდ არის გადამეტებული ან როდესაც გამგეობის საქმიანობა სხვა მიზეზების გამო უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის დარღვევად.³⁴

გამგეობას აქვს გადაწყვეტილების მიღების ფართე შესაძლებლობები აშშ-სამართლის „ბიზნესის სამართლებრივი ნორმის“ შესაბამისად³⁵. გადაწყვეტილების მიღების ამგვარი შესაძლებლობების გამო გამგეობის ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება სამართლებრივად შეესაბამებოდეს მრავალი შესაძლებლობიდან ერთ-ერთს. „ბიზნესის სამართლებრივი ნორმის“ მიხედვით პასუხისმგებლობა გამორიცხულია, როდესაც, პირველ რიგში, გამგეობის წევრები საფუძვლიანად იცნობენ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას, მეორე, გამგეობის წევრები თვლიან, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოების ინტერესებშია და მესამე, არ არსებობს კონფლიქტი გამგეობის წევრთა ინტერესებთან. გერმანიის სამართალის მიერ გამგეობის წევრებისადმი მინიჭებული შესაძლებლობა – იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ შეესაბამება მიზანშეწონილობის საფუძველზე მოქმედების იმ შესაძლებლობებს, რომლებიც დადგენილია ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში ბიზნესის სამართლებრივი ნორმების ცნების

³⁴ ფედერალური სასამართლოს გასაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 135, 244.

³⁵ Horn ZIP 1997, 1129, 1134; Trockels AG 1990, 139; აგრეთვე Luttermann Betriebs-Berater 2001, 2433, 2436; Kronstein/Hawkins RIW 1983, 249, 251; გარდა ამისა M. Becker Verwaltungskontrolle durch Gesellschafterrechte 1997 S. 263 ff; Abeltshauer Leitungshaftung im Kapitalgesellschaftsrecht 1998 S 128 ff; Merk, US-Amerikanisches Gesellschaftsrecht, 1991, S 398 ff.

ქვეშ³⁶. გამგეობის შეხედულებისამებრ მოქმედების „აბსოლუტურ“ საზღვრებად დასახელებულ იქნა საზოგადოების არსებობის საფრთხის ქვეშ დაყენება და მოთხოვნა, რომ გამგეობის მმართველობითი პასუხისმგებლობა სტაბილურად უნდა იქნას ორიენტირებული საზოგადოების მდგრად რენცაბელურობაზე.

გამგეობის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შეთხვევაში შეესაბამება მის ვალდებულებებს, თუ იგი მიღებულია სათანადო ინფორმაციულ საფუძველზე. თუკი გამგეობა გადაწყვეტილების მიღების მომენტში შესაბამისად არ არის ინფორმირებული, იგი უნდა შეეცადოს, მოიძიოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია, იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია. გამგეობამ არ უნდა აწარმოოს სარისკო საქმიანობა, რომელსაც წარმატების შემთხვევაში დიდი მოგების პერსპექტივა აქვს, თუმცა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სააქციო საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას³⁷.

VI. კორპორაციული მართვა

გერმანიაში გამგეობის მიერ საზოგადოების მართვაზე და ხელმძღვანელობაზე სულ უფრო დიდი გავლენა აქვს მოსახურებებს კორპორაციული მართვის შესახებ³⁸. გერმანიაში 2002

³⁶ ნაწილობრივ განსხვავებულია Großkommentar Aktengesetz/Hipt, 4. Auflage, § 93 Rn. 83; Hopt in: Festschrift für Mestmäcker, 1996, S 909, 919 ff.; აგრეთვე იხილეთ: Schwark in: Hommelhof/Lutter/Schmidt/Schön/Ulmer, Corporate Governance, ZHR-Beiheft 71, 2002, S 75, 98 ff.

³⁷ ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით 69, 207, 213, 215.

³⁸ Hopt, Corporate Governance: Aufsichtsrat oder Markt? – Überlegungen zu einem internationalen und interdisziplinären Thema – in: Hommelhoff/Rowedder/Ulmer (Herausgeber), 3. Max Hachenburg-Gedächtnisvorlesung 1998, 2000, S. 9 ff; Federsen/Hommehoff/Schneider, Corporate Governance, 1996; Assmann, Ag 1995, 289; Rock, AG 1995; 291; Wymeersch, AG 1995, 299; rechtsvergleichend Hopt/Wymeersch (eds), Comparative Corporate Governance – Essays and Materials .., 1997; Hopt/Kanda/Roe/Wymeersch/Prigge(eds), Comparative Corporate Governance The state of the Art and Emerging Research 1998; Hopt, ZGR 2000, 779; Frey, DSr 1995, 1320.

წლიდან არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა ყველა საბირჟო კოტირების მქონე სააქციო საზოგადოების გამგეობისთვის. მნიშვნელოვანი და სწორია კოდექსით გათვალისწინებული ორად დაყოფა – რეკომენდაციებად, ეგრეთწოდებულ „უცილებელ ნორმებად“, რომელთა გადახვევის უფლება გამგეობას აქვს, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებულია ყველა ამ გადახვევის შესახებ ღიად განაცხადოს, და შეთავაზებებად, ეგრეთწოდებულ „შესაძლებელ“ და „სასურველ“ მითითებებად, რომელთა არშესრულება ყოველგვარი გაცხადების გარეშეა შესაძლებელი³⁹.

მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა გამოკითხვებმა ნათელიყო, რომ კორპორაციული მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური ინვესტორებისთვის. მრავალსამართლებრივ სისტემაში უკვე არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსები⁴⁰. კორპორაციული მართვის საკმაოდ თვალში საცემი ცნება, რომელიც შესაძლებელია გადავთარგმნოთ როგორც პასუხისმგებლობასა და მდგრად ფასეულობათა შექმნაზე დაფუძნებული საწარმოო მართვა და კონტროლი⁴¹, გერმანული თვალთახედვით ეხება როგორც სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედებას, ასევე გამგეობის საქმიანობასაც. პრაქტიკაში კორპორაციული მართვის პრინციპების დამკვიდრებისთვის მთლიანობაში დადებითი ფონია შექმნილი, მანამ ვიდრე გამგეობის მოქმედების მიმართ წაყენებული მოთხოვნების ფიქსირებას გადაჭარბებულ პასუხისმგებლობამდე არ მივყავართ.

In Zusammenhang mit Übernahmeversuchen sind sowohl der Vorstand des Bieters als auch der Vorstand der Zielgesellschaft im Rahmen ihres unternehmerischen Ermessens berechtigt, Werbekampagnen durchzuführen⁵⁵. Diese Werbekampagnen müssen sich im Rahmen des jeweiligen Unternehmensinteresses halten. Ob die Kosten für solche den Übernahmeversuch befürwortende oder ihn abwehrende Kampagnen noch im Rahmen des jeweiligen Unternehmensinteresses liegen, kann sich nur nach der Lage des Einzelfalls beurteilen. Bei der größten Übernahme in Deutschland, bei der das deutsche Unternehmen „Mannesmann“ von dem britischen Unternehmen „Vodafone“ übernommen wurde, kosteten diese Werbekampagnen weit über 100 Millionen Euro.

Einer besonders kritischen Beobachtung unterliegt das Vorstandsverhalten bei Übernahmeversuchen, wenn der Vorstand der zu übernehmenden AG für den Fall des Erfolgs der Übernahme hohe Erfolgswahlungen oder Abfindungszahlungen erhält. Auch hierfür ist zur Zeit in

⁵⁴ *Winter/Harbarth*, ZIP 2002, 1, 3 ff.

⁵⁵ *Hopt* in: Festschrift für Lutter, 2000, S. 1361, 1382 f; *Horn*, ZIP 2000, 473, 482; *Kort* in: Festschrift für Lutter, 2000, S. 1421, 1439 ff; *Krause*, AG 2000, 217, 219 f; *Thümmel*, Der Betrieb 2000, 461, 462; *Winter/Harbarth*, ZIP 2002, 1, 16.

Deutschland das Beispiel „Mannesmann“ wichtig: Der ehemalige Vorstandsvorsitzende von Mannesmann *Esser* hat viele Millionen Euro im Zuge der erfolgreichen Übernahme erhalten. In Erwartung von Geldleistungen ist es dem Vorstand der zu übernehmenden AG nicht generell verwehrt, Maßnahmen zu ergreifen, die ein Zustandekommen der Übernahme wahrscheinlich machen. Es kann nicht ohne weiteres angenommen werden, dass die Förderung des Erfolgs der Übernahme nur der Verfolgung eigener Interessen und nicht auch dem Unternehmensinteresse dient. Jedoch können solche Zahlungen an Vorstandsmitgliedern je nach den Umständen des Einzelfalls nicht nur gesellschaftsrechtlich unzulässig sein, sondern sogar strafrechtlich relevant sein⁵⁶.

Bei Unternehmenskäufen und Unternehmensübernahmen wird oft eine Prüfung der Zielgesellschaft durchgeführt, die sogenannte „Due Diligence“. Bei solchen Unternehmensakquisitionen trifft den Vorstand der die Akquisition betreibenden AG regelmäßig eine Pflicht zur Durchführung einer Due Diligence, und zwar sowohl im Vorfeld der Transaktion als auch bei ihrer Durchführung. Diese Pflicht zur Durchführung der Due Diligence kann entfallen, wenn der Vorstand der Zielgesellschaft ihre Durchführung verweigert⁵⁷. Allerdings besteht dann oft auch eine Pflicht des Vorstands der die Akquisition betreibenden AG, von der Akquisition Abstand zu nehmen. Zeitmangel kann hingegen nur in ganz seltenen Fällen die Verpflichtung zur Durchführung einer Due Diligence ganz entfallen lassen⁵⁸. Allerdings kann die Due Diligence in Eilfällen auf die Prüfung weniger Kernfragen beschränkt werden.

Es kann bei einer Unternehmensakquisition zur Leitungsverantwortung des Vorstands der Zielgesellschaft gehören, dem akquirierenden Unternehmen Informationen im Rahmen der Due Diligence zur Verfügung zu stellen. Allerdings unterliegt der Vorstand hierbei regelmäßig verschiedenen arbeitsrechtlichen, datenschutzrechtlichen, wettbewerbsrechtlichen, aktienrechtlichen und übernahmerechtlichen Geheimhaltungspflichten, die ihm im Rahmen seiner Leitungsaufgabe gerade eine Weitergabe von Unternehmensdaten verbieten können⁵⁹.

⁵⁶ *Burgard*, WM 2000, 611, 612.

⁵⁷ *Werner*, ZIP 2000, 989, 996.

⁵⁸ Insofern anders als hier *Werner*, ZIP 2000, 989, 994.

⁵⁹ Großkommentar Aktiengesetz/*Hopt*, 4. Auflage, § 93 Rn. 213; *Hopt*, ZGR 2002, 333; *Treack* in: Festschrift für Fikentscher, 1998, S. 434; *Lutter* in: Festschrift für Schippel, 1996, S. 455, 462 ff.; *Meincke*, WM 1998, 749, 750 f.

Bestehen keine solchen ausdrücklichen Geheimhaltungspflichten, so hat der Vorstand der Zielgesellschaft die Risiken einer Informationserteilung gegen die Risiken einer Verweigerung der Erteilung von Informationen abzuwägen⁶⁰.

X. Vorstandspflichten und kapitalmarktrechtlicher Anlegerschutz

Ferner treffen den Vorstand kapitalmarktrechtliche Pflichten⁶¹. Kapitalmarktrechtliche Überlegungen sind auch in dem bereits erwähnten Bericht der Regierungskommission Corporate Governance 2001 zu finden⁶². Insbesondere der kapitalmarktrechtliche Anlegerschutz⁶³ hat zunehmend Auswirkungen auch auf die Verfassung der AG, und zwar nicht nur in Hinblick auf die Pflichten des Vorstands nicht nur gegenüber Dritten, sondern auch in Hinblick auf die Sorgfaltspflicht des Vorstands gegenüber der AG. Hierzu werden *Herr von Rosen* und *Herr Claussen* Stellung nehmen..

Die kapitalmarktrechtliche Betrachtung des Vorstandshandelns gebietet, die Leitungs- und Geschäftsführungsaufgabe des Vorstands stärker als früher in Deutschland üblich als eine den Anteilseignern dienende Funktion zu verstehen. Eigenmächtigkeiten des Vorstands schiebt das inzwischen ausdifferenzierte Haftungsregime insbesondere des § 93 AktG einen Riegel vor. Allerdings zeigt die Praxis, dass es der tatsächlichen Erfassung und Ahndung von Missständen immer noch an Effizienz mangelt. Solche Missstände beruhen oft auf einer

⁶⁰ *Stoffels*, ZHR 165 (2001), 362, 367 ff.; ähnlich auch *K. J. Müller*, NJW 2000, 3452, 3453 ff sowie *Linker/Zinger*, NZG 2002, 497, 499 ff.

⁶¹ *Mülbert*, Aktiengesellschaft, Unternehmensgruppe und Kapitalmarkt, 2. Auflage, 1996, S. 154 ff.; *Seibt* in: Gesellschaftsrechtliche Vereinigung (Herausgeber), Gesellschaftsrecht in der Diskussion 2000, 2001 S. 37 ff.

⁶² *Spindler* in: Gesellschaftsrechtliche Vereinigung (Herausgeber), Gesellschaftsrecht in der Diskussion 2001, 2002 S. 91.

⁶³ Dazu *Fleischer*, Empfiehlt es sich, im Interesse des Anlegerschutzes und zur Förderung des Finanzplatzes Deutschland das Kapitalmarkt- und Börsenrecht neu zu regeln? Kapitalmarktrechtliches Teilgutachten F für den 64. Deutschen Juristentag 2002, Rn. F 19 ff.

unzulänglichen Wahrnehmung von Kontrollaufgaben durch den Aufsichtsrat⁶⁴.

XI. Loyalitätspflichten des Vorstands gegenüber der Gesellschaft

Die Vorstandsmitglieder treffen umfassende Loyalitätspflichten gegenüber der AG. Der Rechtsgrund für diese Loyalitätspflichten und damit auch deren Verhältnis zu den Sorgfaltspflichten des Vorstands sind im einzelnen strittig⁶⁵. Auch die Loyalitätspflichten lassen sich aber letztlich auch auf § 93 Absatz 1 Satz 1 AktG stützen.

Das Vorstandsmitglied muss sich gegenüber der AG in seinem dienstlichen Verhalten loyal verhalten. Auch im außerdienstlichen Bereich darf das Vorstandsmitglied sich nicht gegen die AG stellen und darf daher keine Funktionen übernehmen, die das Vorstandsmitglied in einen Interessenkonflikt mit der AG bringen⁶⁶. Tätigt das Vorstandsmitglied selbst Geschäfte mit der AG, so muss es eigene Interessen hinter die Unternehmensinteressen zurückstellen⁶⁷. Eine gesetzliche Konkretisierung der dem Vorstandsmitglied gegenüber der AG obliegenden Loyalitätspflicht enthält § 88 AktG. Diese Norm sieht ein Wettbewerbsverbot für Vorstandsmitglieder vor. Ferner trifft das Vorstandsmitglied das Verbot, Geschäftschancen der AG an sich zu ziehen. Geschäfte, die der AG zuzuordnen sind, dürfen nicht von Vorstandsmitgliedern für eigene Rechnung getätigt werden⁶⁸. Auch als gesetzliche Konkretisierung der Loyalitätspflicht der Vorstandsmitglieder gegenüber der AG ist die in § 81 Absatz 1 Satz 2 AktG enthaltene Regelung der Verschwiegenheitspflicht der Vorstandsmitglieder anzusehen. Danach haben die Vorstandsmitglieder über vertrauliche Angaben und über Geheimnisse der AG Stillschweigen zu wahren.

⁶⁴ *Girnhuber*, Das US-amerikanische Audit Committee als Instrument zur Vermeidung von Defiziten bei der Überwachungstätigkeit der deutschen Aufsichtsräte, 1998, S. 87 ff.

⁶⁵ Großkommentar Aktiengesetz/*Hopt*, 4. Auflage, § 93 Rn. 144 f. und 187; *Hüffer*, Aktiengesetz, § 93 R 5 f.

⁶⁶ Großkommentar Aktiengesetz/*Hopt*, 4. Auflage, § 93 Rn. 157.

⁶⁷ Großkommentar Aktiengesetz/*Hopt*, 4. Auflage, § 93 Rn. 159.

⁶⁸ Großkommentar Aktiengesetz/*Hopt*, 4. Auflage, § 93 Rn. 166.

სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში

I. ზოგადი მიმოხილვა

„დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორები“. ასეთი შეფასება მისცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში როგორც დირექტორების უფლებამოსილებას საწარმოს, მათ შორის სააქციო საზოგადოების ქონების მიმართ, ისე პარტნიორთა შესაძლებლობას დირექტორების განთავისუფლებასთან დაკავშირებით¹.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის თანახმად სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს. ისინი სს-ას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაშიც (9.4 მუხლი). საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა არა მხოლოდ დირექტორთა უფლებაა, არამედ მათ მოვალეობასაც წარმოადგენს (56.1 მუხლი).

დირექტორი (დირექტორები) სააქციო საზოგადოების სავალდებულო ორგანოა. ტერმინს „დირექტორი“ კანონი იმ პირთა აღსანიშნავად იყენებს, რომელთაც კანონის ძალით მინიჭებული აქვთ უფლება სამეწარმეო საზოგადოებები წარმოადგინონ მესამე

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე – შემდგომში სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №7 გვ. 715. ეს გადაწყვეტილება შეესაბამება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ გერმანული კანონის 38-ე მუხლს, რომლის თანახმად „დირექტორების დანიშვნა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაციის მოთხოვნის ხელყოფის გარეშე“.

სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში

პირებთან ურთიერთობაში და უხელმძღვანელონ საწარმოს საქმიანობას. ასეთ საქმიანობას მეწარმეთა შესახებ კანონი „ხელმძღვანელობით საქმიანობას“ უწოდებს (9.2 მუხლი).² „დირექტორის“ სინონიმად კანონი იყენებს „დირექტორატს“, როგორც რამდენიმე დირექტორისაგან შემდგარ ორგანოს.³ დირექტორატი არის სააქციო საზოგადოების აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო, ე.ი. დადოს საწარმოს სახელით ხელშეკრულებები⁴. დირექტორატის მიერ განსახორციელებელი საქმიანობა იმდენად დამოუკიდებელი და სპეციფიკურია, რომ მისი კომპეტენცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს.⁵

ხელმძღვანელობითი საქმიანობის ლეგალურ დეფინიციას იძლევა მეწარმეთა შესახებ კანონის 9.2 მუხლი, რომლის თანახმად, ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საწარმოს მიზანს. საწარმოს მიზნებისათვის განხორციელებული მოქმედება უნდა ანახლავდეს საზოგადოების მიერ.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოების ხელმძღვანელობის ერთპიროვნულ და კოლექტიურ ფორმებს. სააქციო საზოგადოებებში, როგორც წესი, გამოიყენება ხელმძღვანელობის კოლექტიური ფორმა. ამ მიზნით იქმნება დირექტორატი, რომელიც რამდენიმე დირექტორისაგან შედგება.⁶ 56.3 მუხლის მეორე და

² კოორპერატივში დირექტორის თანამდებობის სინონიმია „გამგეობის წევრი“. გამგეობა შეიძლება ჰქონდეს სააქციო საზოგადოებასაც და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასაც. მაგალითად, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის მე-13 მუხლი. ამიტომ ტერმინები „დირექტორი“, „გამგეობის წევრი“ და „დირექტორატი“, „გამგეობა“ სინონიმებია.

³ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მესამე გამოცემა. 2002 წ. გვ. 423

⁴ გარდა ამისა, სააქციო საზოგადოებას სასამართლოში წარმოადგენენ დირექტორები (56.3 მუხლი)

⁵ მაგალითად, კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს (მეწარმეთა შესახებ კანონის 55.8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი).

⁶ საქართველოში დიდად პოპულარულია საწარმოთა ხელმძღვანელობისა-

მესამე აბზაცები აკონკრეტებს ამ ხელმძღვანელობის ფორმებს. იმ შემთხვევებში, როცა სახეზეა რამდენიმე დირექტორი და ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, დირექტორები მხოლოდ ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმოწერებს. ცალკეულ დირექტორებს შეიძლება მიენიჭოთ ზოგი გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება. საზოგადოების მიმართ ნების გამოქვეყნების გამოსახატავად საკმარისია ნების გამოქვეყნება ერთი დირექტორის მიმართ.

თუ დირექტორი რამდენიმეა, მაშინ წესდება შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს, რომ ერთ რომელიმე მათგანს დამოუკიდებლად ან ერთ-ერთ სავაჭრო წარმომადგენელთან ერთად მიენიჭოს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება; მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ დირექტორებს სავაჭრო წარმომადგენლების გარეშეც შეეძლოთ წარმოადგინონ საზოგადოება.

სააქციო საზოგადოების დირექტორების დანიშვნის უფლება აქვს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს (55.8 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი). ასევე სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაა მათი განთავისუფლება⁷.

სს-ების დირექტორების მოვალეობა ზოგადად არის განსაზღვრული 9.7 მუხლში, რომლის 1999 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია შემდეგნაირად აყალიბებდა ამ მოვალეობას: სს-ების დირექტორები „საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ

თვის ისეთი სახელწოდებების გამოყენება, როგორცაა პრეზიდენტი, გენერალური დირექტორი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი იყენებს განსხვავებულ ტერმინებს, როგორცაა დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, აკრძალული არაა სხვა დასახელებების ხმარებაც. ძირითადი აქ ისაა, რომ მათ უფლებამოსილებას და კომპეტენციას განსაზღვრავს კანონი. კანონისეული სახელწოდებისაგან განსხვავებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შეიძლება ეწოდოს პრეზიდენტი, თუმცა მისი კომპეტენცია არ უნდა აღემატებოდეს კანონით გათვალისწინებულს. იგივე ეხება გენერალური დირექტორის ინსტიტუტს.

⁷ აქედან გამომდინარე, დირექტორების პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოების წინაშე პრაქტიკულად წარმოადგენს დირექტორების პასუხისმგებლობას სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში

ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით“.⁸

1999 წლის 9 ივნისს მიღებული კანონით 9.7 მუხლის რედაქცია შეიცვალა და იგი ამგვარად ჩამოყალიბდა: სს-ების დირექტორები „და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად: კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.“⁹

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილების მიზანი დირექტორების მოვალეობათა დაკონკრეტება იყო და გარკვეულწილად ეს ასეც მოხდა, ლეგალური დეფინიცია მოვალეობისა მაინც ზოგადია და იგი სერიოზულ განმარტებებს საჭიროებს. მართალია, საკანონმდებლო ნოველამ დააკონკრეტა კეთილსინდისიერების მოვალეობა, მაგრამ მისი ისეთი ელემენტები, როგორცაა „ჩვეულებრივად, საღად მოაზროვნე პირი“ ან „ანალოგიურ თანამდებობებზე მყოფი პირი“ მაინც მოითხოვს დაზუსტებას.

გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკის თავისებურებებს, სამეწარმეო ხელმძღვანელობის კულტურის დაბალ დონეს, ხელმძღვანელი პირების დაბალ კვალიფიკაციას, მხოლოდ 9.7 მუხლზე დაყრდნობით გაჭირდება სს-ების დირექტორების მიერ კეთილსინდისიერად ხელმძღვანელობის შინაარსის გარკვევა. ამიტომ, ჩემი აზრით, კეთილსინდისიერების საზომად და კრიტერიუმად უპირველეს ყოვლისა, აღებული უნდა იქნეს იმ მოვალეობების შესრულება, რომლებიც მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე დირექტორებს ეკისრებათ.

მეწარმეთა შესახებ კანონის 56.2 მუხლის თანახმად, დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. თუ არ არსებობს ასეთი შინაგანაწესი, მაშინ გამოიყენება ხელმძღვანელობის

⁸ იგი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებდა გერმანიის სააქციო კანონის §93-ის პირველი აბზაცის პირველ წინადადებას.

⁹ სსმ I, 1999, №24, მუხლი 110.

ზოგადი უფლებამოსილებანი. ვინაიდან საქართველოში ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი სპეციალური აქტით არ არის დადგენილი,¹⁰ მისი შინაარსის დაზუსტებისათვის აუცილებელია დირექტორების მოვალეობათა კატალოგის ჩამოყალიბება, რომელიც მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარეობს.

II. დირექტორების მოვალეობანი საზოგადოების ქონების შექმნისა და მისი შენარჩუნების სფეროში

1. მოვალეობანი საზოგადოების დაფუძნებისას

სს-ების დაფუძნებისა და მისი რეგისტრაციისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს დირექტორების დანიშვნა¹¹, რომელსაც წინ უძღვის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. როგორც წესი, სს-ების დაფუძნებისას, რეგისტრაციაში გატარებისა და დამფუძნებელი პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალში შესატანის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა დირექტორების მიერ ხდება. ამიტომ საზოგადოების კეთილსინდისიერი მოვალეობის გაძღოლის ვალდებულება დირექტორების დანიშვნისთანავე წარმოიშობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დირექტორების მოვალეობა სამეწარმეო საზოგადოებების დაფუძნებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, როცა სს-ება გამოდის დამფუძნებლის როლში და დაფუძნების პროცესის წარმართვა ევალება დირექტორს. დირექტორი ვალდებულია მოამზადოს სადამფუძნებლო დოკუმენტები, იზრუნოს საწესდებო კაპიტალის შევსებაზე, საწარმოს დროულ რეგისტრაციაზე და ა.შ.

დირექტორების ეს მოვალეობა პირდაპირ გამომდინარეობს მეწარმეთა შესახებ კანონის 5.3 მუხლიდან, რომლის თანახმად,

¹⁰ მაგალითად, განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც მოქმედებს Deutsche Corporate Governance Kodex.

¹¹ დაუშვებელია საზოგადოების რეგისტრაცია დირექტორების გარეშე: ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გვ. 423.

„თუ საზოგადოების შექმნის მიზნით წარდგენილი არასწორი მონაცემების ან დაფუძნების ხარჯების გამო საზოგადოებას ზარალი მიაღება, მაშინ პარტნიორები, ისევე როგორც საზოგადოების დირექტორები, როგორც სოლიდარული მოვალეები, ვალდებული არიან გადაიხადონ შეუტანელი გადასახადები, ანაზღაურონ დაფუძნების ხარჯების გადაუხდელობით გამოწვეული, აგრეთვე ამ დროს წარმოშობილი სხვა ზარალი“.

საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში შესატანის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა იმ პარტნიორების გარიცხვის საკითხი, რომელთაც არ შეუტანიათ შესატანი საწესდებო კაპიტალში. საკითხი შეეხებოდა იმას, თუ ვინ არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს პარტნიორის გარიცხვის საკითხი: აუცილებელია თუ არა პარტნიორთა კრების მოწვევა? საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ შესატანის შეუტანლობის საბაბით პარტნიორის გარიცხვის საკითხი წყდება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ და ამ დროს საზოგადოების კრების მოწვევა სავალდებულო არ არის.¹² დირექტორების მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობაც შეიძლება დაკვალიფიცირდეს 53 მუხლის მოთხოვნათა დარღვევად. ე.ი. სს-ების დირექტორები ვალდებული არიან იზრუნონ იმაზე, რომ საზოგადოების დამფუძნებელმა აქციონერებმა დროულად შეიტანონ შესატანი საწესდებო კაპიტალში.

2. მოვალეობანი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში

დირექტორის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა საზოგადოების ქონების ზუსტი აღრიცხვა და სწორი საბუღალტრო წარმოების უზრუნველყოფა. „დირექტორები პასუხისმგებელი არიან იმაზე, რომ საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს“ (13.1.1. მუხლი).

დირექტორები ვალდებული არიან საწარმოს საქმიანობის დაწყებისას და ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებისას შე-

¹² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №3, გვ. 244-250

ადგიონი საინვენტარიზაციო ნუსხა, რომელშიც შეიტანება მონაცემები საზოგადოების ქონების შესახებ (13.2 მუხლი).

ღირექტორები ვალდებული არიან ათი წლის განმავლობაში შეინახონ საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტები (13.3 მუხლი).

დაბოლოს, ღირექტორების ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ის, რომ მათ სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უნდა შეადგინონ წლიური ანგარიშგება (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში (13.4 მუხლი).

პრაქტიკაში, როგორც წესი, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება დაკისრებული აქვთ ბუღალტრებს, მაგრამ მათი მოვალეობა მხოლოდ ტექნიკური ამოცანების შესრულებით შემოიფარგლება და ისინი მესამე პირებთან ურთიერთობაში არ მონაწილეობენ. რაც შეეხება საბუღალტრო აღრიცხვის სისწორეს, მასზე პასუხისმგებელი სწორედ ღირექტორია.¹³

ქართული სასამართლო პრაქტიკა ჯერჯერობით არ იცნობს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის დარღვევისათვის ღირექტორების პასუხისმგებლობის შემთხვევებს.

3. მოვალეობანი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით

ღირექტორების ერთ-ერთ არსებით ვალდებულებას წარმოადგენს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე განცხადების შეტანა სასამართლოში, თუკი საწარმო გადახდისუუნარო გახდება. საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომიდან სამი კვირის ვადაში, ღირექტორებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე უნდა განაცხადონ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ (14.1.3. მუხლი).

კანონის თანახმად, არ მიიხნევა ბრალეულ გაჭიანურებად, თუ ღირექტორები გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას

¹³ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გვ. 168.

სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში

ეპყრობიან კეთილსინდისიერებით, რომლის შინაარსი განსაზღვრულია 9.7 მუხლში¹⁴. სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს შემთხვევებს, როცა დირექტორებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მათ დროულად არ განაცხადეს გაკოტრების წარმოების განახლების შესახებ. როგორც წესი, გაკოტრების პროცესების ინიცირებას ახდენენ სააქციო საზოგადოებათა კრედიტორები.¹⁵

III. დირექტორების ხელმძღვანელობითი მოვალეობანი საზოგადოების მართვისას

1. საზოგადოების წესდებით განსაზღვრული საქმიანობის მიზნის განხორციელების მოვალეობა

საზოგადოების დაფუძნებისას დამფუძნებელი აქციონერები წესდებით განსაზღვრავენ საქმიანობის მიზანს, კერძოდ იმას, თუ რას უნდა ემსახურებოდეს საზოგადოება და ის კაპიტალდაბანდება, რომელიც დამფუძნებლებმა გაიღეს. ამიტომ დირექტორების უპირველესი მოვალეობაა მთელი ძალისხმევა მოახმარონ საქმიანობის მიზნის მიღწევას. გარიგებები საწარმოს პარტნიორებთან და კონტრაქტებთან შეარჩიონ იმ პერსპექტივით, რომ მაქსიმალურად ეფექტურად იქნეს მიღწეული დასახული მიზანი.

დირექტორების უფლება თავისუფლად განკარგონ საზოგადოების ქონება, დაბალანსებულია სამეთვალყურეო საბჭოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით ზოგიერთი გარიგების დადებისას. მაგალითად, 55.9 მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა აუცილებელი ისეთი გარიგებების დადებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების უძრავი ქონების შექენას ან მის გასხვისებას, ანდა სხვა საწარმოთა 50%-ზე მეტი წილების შექენას ან გასხვისებას და ა.შ.

¹⁴ სასამართლო პრაქტიკას ჯერ არ განუმარტავს, თუ რა უნდა ჩათვალოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისადმი კეთილსინდისიერ მოპყრობად.

¹⁵ 2002 წელს საქართველოს სასამართლოების წარმოებაში იმყოფებოდა გაკოტრების 100-ზე მეტი საქმე.

დირექტორებს არა აქვთ უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე დაიწყოთ ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობა ან შეწყვიტონ არსებული საქმიანობა,¹⁶ ასევე განახორციელონ ინვესტიციები, რომელთა ოდენობა ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში, აღემატება საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს და ა.შ.

დირექტორი ასევე არაა უფლებამოსილი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს საზოგადოების ქონება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი დავა სასამართლო პრაქტიკიდან, რომლის დროსაც სააქციო საზოგადოების აქციონერები ედავებოდნენ დირექტორს, რომ მან საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენა საზოგადოების ქონება.¹⁷ საქმე საინტერესოა იმით, თუ რამდენად ჰქონდათ აქციონერებს უფლება სარჩელი შეეტანათ დირექტორების წინააღმდეგ მაშინ, როცა მეწარმეთა შესახებ კანონის 55.8 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოა უფლებამოსილი საზოგადოების სახელით დირექტორების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი სასამართლოში.

2. კონკურენციის აკრძალვა

სს-ის დირექტორებს არა აქვთ უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით.

კონკურენციის აკრძალვას არ ექვემდებარება საზოგადოების დირექტორების მუშაობა დირექტორად შვილობილ საზოგადოებაში ან ფილიალებში. ამ შემთხვევაში კონკურენციის აკრძალვის წესები არ გამოიყენება.

კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევის სამართლებრივი შედეგი გათვალისწინებულია 9.6 მუხლის მეხამე აბზაცში, კერძოდ:

¹⁶ ამ საკითხზე მეტად საინტერესოდ ისაუბრა ბატონმა მარკუს ლუთერმა
¹⁷ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/222.

სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში

- ა. დამრღვევი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე;
 - ბ. დათმოს ანაზღაურების მიღების მოთხოვნები და
 - გ. აანაზღაუროს ის ზარალი, რაც საზოგადოებას მიადგამისი საქმიანობის შედეგად.
- გადაწყვეტილებას ამ უფლების გამოყენების შესახებ იღებს სამეთვალყურეო საბჭო.

3. წლიური ანგარიშისა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშის შედგენის მოვალეობა

57.1 მუხლის თანახმად, დირექტორების მოვალეობას შეადგენს წლიური ანგარიშისა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშის შედგენა. გარდა ამისა, დირექტორატმა უნდა შეიმუშაოს და სამსჯელოდ სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები მომავალი სამეურნეო პოლიტიკის შესახებ, ინფორმაცია საზოგადოების რენტაბელობის თაობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით დირექტორებმა სხვა ინფორმაციაც უნდა მიაწოდონ საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

ინფორმაციის მოთხოვნაზე უფლებამოსილი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ინფორმაციის გამცემი ორგანო – დირექტორატი.

დირექტორატის ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო, საიმედო და ობიექტური. ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომელიც წარედგინება დირექტორების ანგარიშს.¹⁸ ამ მოვალეობის შეუსრულებლობა შესაძლოა დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდეს.

4. დირექტორების სხვა ორგანიზაციული მოვალეობანი

დირექტორების მოვალეობანი კანონის მრავალ ადგილას არის მოცემული და ისინი ან აქციონერების ან სააქციო საზოგადოებების ორგანოების შესაბამის უფლებებს უკავშირდებიან. მაგალითად, 51.2 მუხლიდან გამომდინარე, აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა სერტიფიკატი ან ამონაწერი საზოგა-

¹⁸ MünchHdb. AG/Wiesner, §25, Rn. 20-22.

დოების აქციათა რეესტრიდან. ამ დოკუმენტების დროულად გაცემის მოვალეობა სწორედ დირექტორების მოვალეობას წარმოადგენს.

ა. დამოუკიდებელ რეგისტრატორთან რეესტრის წარმოების მოვალეობა

სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობაც 100-ზე მეტია, ვალდებულია აქციონერთა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით (51.3 მუხლი). ამ მოვალეობის შესრულება უნდა უზრუნველყონ დირექტორებმა.

ბ. აქციონერებისთვის განმარტებების მიცემის მოვალეობა

აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებს (53.3.1 მუხლი). ამ განმარტებების მიცემა დირექტორების მოვალეობაა.

გ. საერთო კრების მოწვევის მოვალეობა

საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ საწარმოს ინტერესების შესაბამისად რიგგარეშე კრების ჩატარება (53.3.3 მუხლი). დირექტორები ვალდებული არიან მოთხოვნის დაყენებიდან ოცი დღის ვადაში მოიწვიონ კრება.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე მეტი დავები სწორედ საერთო კრების მოწვევის საკითხთან არის დაკავშირებული. კერძოდ, დავის საგანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დირექტორები ხშირად არღვევენ საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურას.¹⁹

დ. რეგისტრაციასავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილების რეგისტრაციის მოვალეობა

მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება სა-

¹⁹ მაგალითად, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 სექტემბრის განჩინება სს „ელექტროგადაცემის“ საქმეზე.

ჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ (5.6 მუხლი). ამ ცვლილებების რეგისტრაციის განხორციელება წარმოადგენს დირექტორების მოვალეობას.

ე. დივიდენდების დროულად გადახდის მოვალეობა

გადაწყვეტილებას საზოგადოების წლიური მოგების განაწილების შესახებ, რომელიც შეიცავს ასევე აქციონერებისათვის დივიდენდების გაცემის საკითხს, იღებს აქციონერთა საერთო კრება. დივიდენდების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მათი დროული გადახდა აქციონერებისათვის დირექტორების მოვალეობას წარმოადგენს.

IV. დირექტორების სხვა მოვალეობანი

სს-ების დირექტორების მოვალეობები არ შემოიფარგლება მხოლოდ მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი დებულებებით.

1. სასამსახურო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობანი

გარდა იმისა, რომ დირექტორების მოვალეობა განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, ასევე მნიშვნელოვანია ის სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც იდება საზოგადოებასა და დირექტორებს შორის. ამ ხელშეკრულებით, როგორც წესი, განისაზღვრება დირექტორთა დამატებითი მოვალეობანი, რომელთა დარღვევაც დირექტორთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც იდება დირექტორებთან, არ არის შრომის ხელშეკრულების იდენტური. ამიტომ მის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული შრომის სამართლის ის წესები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეთა შრომით ურთიერთობებს აწესრიგებენ.²⁰ განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ნორმებს, რომლებიც შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობებს

²⁰ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. № 7, გვ. 715.

განსაზღვრავენ. ეს გამომდინარეობს დირექტორების სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკიდან – მათ მინდობილი აქვთ საზოგადოების ქონება და დაყოვნებამ დირექტორების გათავისუფლების საკითხში საზოგადოებას შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორები გარეგნულად სამუშაოს მიმღებებს ჰგვანან, აღიარებული შეხედულების თანახმად, ისინი არ მიიჩნევიან სამუშაოს მიმღებად და, შესაბამისად, არ უთანაბრდებიან მუშა-მოსამსახურეებს.²¹

სასამსახურო ხელშეკრულებას დირექტორებთან დებს სამეთვალყურეო საბჭო. ხელშეკრულების ფორმას კანონი არ განსაზღვრავს, თუმცა ურთიერთობათა სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სასურველია წერილობითი ფორმის გამოყენება, რაც პრაქტიკაში ასეც ხდება. არც ის არის გამორიცხული (ამას იცნობს ქართული პრაქტიკა), რომ საერთოდ არ გაფორმდეს რაიმე ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმები.

სასამსახურო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობა შეიძლება იყოს ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, ახალი პროდუქციის წარმოების დაწყება და ა.შ.

2. საჯარო სამართლიდან გამომდინარე მოვალეობები

ამ სახის მოვალეობები, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსით, რომელიც აკისრებს საზოგადოების დირექტორს საგადასახადო ვალდებულებების დროულად და კანონის შესაბამისად განხორციელების მოვალეობას.

3. ფასიანი ქაღალდების სამართლიდან გამომდინარე მოვალეობები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი დირექტორების მრავალ მოვალეობას განსაზღვრავს, რომლებიც,

²¹ Geßler/Hefermehl AktG/Hefermehl §84, Rn. 35; Reiser, Recht der Kapitalgesellschaften, 1983, S. 67.

უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ემისიასთან და საფონდო ბირჟაზე სააქციო საზოგადოების მონაწილეობასთან.²² ამ კანონის მიღების შემდეგ ცვლილებები შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლებმაც დამატებით განსაზღვრეს დირექტორთა პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევისათვის.²³ ამ ცვლილებების თანახმად, ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას მიენიჭა უფლება განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165⁴-165⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიყენონ სს-ის დირექტორების მიმართ ადმინისტრაციული სახდელები.²⁴

კომისიის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების თაობაზე ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.²⁵

სს-ების დირექტორების მოვალეობები ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან გამომდინარე, არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონით ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. ამ კანონის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას მიღებული აქვს დადგენილებები, რომლებიც აკონკრეტებენ ემიტენტების მოვალეობებსა და მათ პასუხისმგებლობას.²⁶

²² საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1, 1999 წელი, მუხ. 1.

²³ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების კრებული. თბილისი, ოქტომბერი, 2001 წ. გვ. 61-64.

²⁴ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მოსმენა დაიწყო 2001 წელს. დღემდე მოსმენილია 273 საქმე. აქედან 2001 წელს – 34, ხოლო 2002 წელს – 239 საქმე. სს-თა 600-ზე მეტ მმართველი ორგანოს წევრს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები. მაგალითად, სს „ხიდშენის“ გენერალურ დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით დაეკისრათ 150-150 ლარის ოდენობის ჯარიმა და ა.შ.

²⁵ მაგალითად, ვაკე-საბურთალოს სასამართლომ განიხილა სს „თერჯოლის სასურსათო კომბინატის“ ხელმძღვანელობამ გაასაჩივრა კომისიის მიერ 2002 წლის 4 დეკემბერს მიღებული დადგენილება ჯარიმის დაკისრების თაობაზე, რომელიც სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა.

²⁶ მაგალითად, კომისიის მიერ დამტკიცებული წესები „ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ წლიური ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ“

V. პასუხისმგებლობა კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევისათვის

კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობის შინაარსის განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია იმ პასუხისმგებლობის დახასიათება, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს ამ მოვალეობათა შეუსრულებლობას.

1. დირექტორების მატერიალური პასუხისმგებლობა

როგორც აღინიშნა, 1999 წლის 9 ივნისის კანონით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლი ახლებურად ჩამოყალიბდა. თუ ძველი რედაქცია მხოლოდ საზოგადოების ხელმძღვანელებს აკისრებდა კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულებას, ამგვარი ვალდებულების სუბიექტები გახდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.²⁷

ზოგად ნაწილში დირექტორების პასუხისმგებლობის გვერდით სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პასუხისმგებლობის დამკვიდრებამ პრაქტიკაში ერთი ასეთი პრობლემა წარმოშვა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ კანონმდებელმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების მართვის საკითხებში დირექტორებს გაუთანაბრა? პრაქტიკაში უკვე იყო მცდელობა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა 9.7 მუხლზე დაყრდნობით სცადეს დირექტორების ფუნქციების აღება საკუთარ თავზე. *სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის დირექტორების მოვალეობათა დაკისრება კანონის აშკარა დარღვევაა.* კანონის 55.8 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად დირექტორების ფუნქციები

(ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების კრებული, 2001 წ. გვ. 128-135), „ანგარიშგაღებულნი საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შესაძენის და მისი ცვლილებების საჯაროობის შესახებ“ (ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების კრებული, 2001 წ. გვ. 136-139) და ა.შ.

²⁷ თუმცა მათი ეს ვალდებულება 9 ივნისის კანონის მიღებამდეც იყო გათვალისწინებული 55.10 მუხლით. ამჯერად ზოგადი ნაწილიც გამდიდრა ამ ნორმით.

სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში

არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

მაშასადამე, 9.7 მუხლის ახალი რედაქცია არ ცვლის კლასიკურ და ტრადიციულ ურთიერთდამოკიდებულებას დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. იგი მხოლოდ აზუსტებს, რომ კეთილსინდისიერების ვალდებულება თანაბრად ვრცელდება როგორც დირექტორებზე, ისე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე, ოღონდ მათთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

მეწარმეთა შესახებ კანონის 9.7 მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, დირექტორები მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: დირექტორები მოვალენი არიან საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. ისინი საზოგადოების ინტერესების გამომხატველები არიან და არა აქციონერების. ამიტომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დირექტორების მიმართ აქვს არა აქციონერს, არამედ სააქციო საზოგადოებას.²⁸ სააქციო საზოგადოებას კი ამგვარ დაგებში წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო.

დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მათ. ე.ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და ის მოქმედებდა კეთილსინდისიერად.

პასუხისმგებელი მენეჯმენტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გამოსატყულებაა კანონის ნორმა, რომელიც ვალდებულებს საზოგადოებას არ თქვას უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე იმ შემთხვევებში, როცა ეს ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.²⁹

²⁸ ეს სრულიად მართებულად არის აღნიშნული პროფესორ მიხეილ კორტის მოხსენებაში.

²⁹ ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი: ა) გადახდისუნაროა ან ბ) გაკოტრების თავიდან აცილების ან საგაკოტრებო წარმოების შეწყვეტის მიზნით იგი მოურიგდება თავის კრედიტორებს.

საზოგადოების ხელმძღვანელი დამოუკიდებელი და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი პირია. იგი ბევრ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, მართავს საზოგადოების ყოველდღიურ საქმეებს. ამიტომ იგულისხმება, რომ ის საზოგადოების აქციონერებზე უკეთ იცნობს საზოგადოების საწარმოო საქმეებს. დირექტორი არ უნდა იყოს აქციონერების (სამეთვალყურეო საბჭოს) გადაწყვეტილებათა ბრმა შემსრულებელი. პირიქით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მას არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ იგი აქციონერთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად მოქმედებდა (9.7 მუხლის მეორე აბზაცის ბოლო წინადადება).

ქართული სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს შემთხვევებს, როცა სააქციო საზოგადოებას მიემართოს სასამართლოსთვის დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამას მრავალი მიზეზი აქვს, რომლებიც ძირითადად პროფესორ მარკუს ლუთერის მოხსენებაში დაწვრილებითაა დახასიათებული. ეს მიზეზები დამახასიათებელია ქართული სააქციო საზოგადოებებისთვისაც. დამატებით მიზეზებად შეიძლება დასახელდეს დაბალი სამეწარმეო კულტურა და პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უგულვებლყოფა ქართულ სინამდვილეში.

2. დირექტორების გამოწვევა

დირექტორების (გამოწვევის) განთავისუფლების ექსკლუზიური უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს. დირექტორების გამოწვევის (განთავისუფლების) საფუძვლებს კანონი არ განსაზღვრავს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, დირექტორის გასანთავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი.³⁰ დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა ასეთ საფუძვლად მიიჩნევს შემდეგს: დირექტორის მხრიდან

³⁰ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დირექტორების განთავისუფლების შესაძლებლობა განმტკიცებულია გერმანიის სააქციო კანონის 84-ე მუხლში. მნიშვნელოვანი საფუძვლის ცნება კანონში დაზუსტებული არაა. მას დიდიხალი სასამართლო პრაქტიკა აკონკრეტებს. Hüffer, Aktiengesetz. 4. Aufl. § 84, Rn. 23-37.

სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში

საზოგადოების ქონების ბოროტად გამოყენება პირადი მიზნებისათვის; გამუდმებული კინკლაობა დირექტორატის სხვა წევრებთან; წლიური ანგარიშის შედგენაზე უარის თქმა; არასწორი ან ყალბი ანგარიშის მომზადება; დირექტორატის სხვა წევრების მოტყუება მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით; სპეკულაციური გარიგებების დადებით საზოგადოების საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა; დირექტორის თანამდებობის გამოყენება პირადი საქმიანობისათვის და ა.შ.³¹ გამოწვევის საფუძვლად მიჩნეულია ასევე შრომითი კოლექტივის წევრების გაფიცვა დირექტორის გადაწყვეტის მოთხოვნით.³² დირექტორის გათავისუფლების საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე დირექტორის მიმართ უნდობლობის გამოცხადება საერთო კრების მიერ.³³

*მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია (და არა მხოლოდ უფლებამოსილია) მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის გათავისუფლების შესახებ.*³⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შეიძლება შეფასდეს მეწარმეთა შესახებ კანონის 9.7 და 56.4 მუხლების დარღვევად და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს დაეკისროს პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დირექტორის განთავისუფლება თანამდებობიდან ხდება სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივით. ამ დროს, ბუნებრივია, განთავისუფლებულ დირექტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს თანამდებობაზე აღდგენა. თუ რამდენად მნიშვნელოვანია განთავისუფლების საფუძველი, ეს სასამართლოს შეფასების საგანია.

პრაქტიკაში საინტერესოა საკითხი, შეუძლია თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს დირექტორის ჩამოცილება თანამდებობიდან. ამ კითხვაზე პასუხი უნდა გავცეს დიფერენცირებულად:

³¹ MünchHdb. AG/Wiesner, §20, Rn.44

³² Geßler/Hefermehl AktG/Hefermehl §84, Rn. 70

³³ MünchHdb. AG/Wiesner, §20, Rn.47

³⁴ Kölner Komm. AktG/Mertens §84 Rn. 65

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-199-ე მუხლებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის მიზანია მოსარჩელის მიერ მომავალში შესატანი სარჩელის უზრუნველყოფა, თუკი უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიზანია მიმართოს სასამართლოს დირექტორის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მიზნით და ითხოვს დირექტორის ჩამოცილებას საქმეებიდან სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ეს დასაშვებია. ხოლო თუ სამეთვალყურეო საბჭო ითხოვს დირექტორის ჩამოცილებას საქმეებიდან, ვიდრე სამეთვალყურეო საბჭო მიიღებდეს გადაწყვეტილებას დირექტორის გამოწვევის შესახებ, ასეთი მოთხოვნა სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს.

სასამართლოში მიმართვის გარეშე სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, რომ დირექტორი დროებით ჩამოაცილოს საქმიანობას ისე, რომ იგი არ გაათავისუფლოს თანამდებობიდან. ამიტომ სასამართლოში ამ მოთხოვნით მიმართვის აუცილებლობა არც უნდა წარმოიშვას. თუ რა ვადით შეიძლება დირექტორის ჩამოცილება საქმიანობიდან, არ არის განსაზღვრული. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა ამგვარ ჩამოცილებას შესაძლოდ მიიჩნევს ერთ თვემდე ვადით.³⁵

არ არის სავალდებულო, რომ დირექტორის გათავისუფლების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას იქნეს მიღებული. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს: დირექტორის გარდაცვალება ან მისი გამოცხადება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; დირექტორის არჩევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად; სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია და ა.შ.

დირექტორის გამოწვევა (გათავისუფლება) აუცილებლად უნდა იქნას რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში დირექტორს კვლავაც ექნება შესაძლებლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოვიდეს საზოგადოების სახელით.

³⁵ Krieger, Personalentscheidungen des Aufsichtsrats, 1981, (Fn. 12), S.153

Die Sorgfaltspflicht der Direktoren einer AG nach dem georgischen Recht

I. Allgemeiner Überblick

„Als Entschädigung für das Risiko, dass das Recht der Geschäftsführung und der Vermögensverfügung durch einen Direktor in sich birgt, müssen die Gesellschafter stets das Recht haben, die Direktoren zu entlassen bzw. abzuberufen.“ So bewertete es der Oberste Gerichtshof Georgiens (OGG) in einer seiner Entscheidungen über die Befugnisse der Direktoren, u. a. über das AG-Vermögen sowie das Recht der Gesellschafter, die Direktoren zu entlassen.¹

Laut Art.9.1 des Gesetzes über die gewerblichen Unternehmen (GewUntG)* haben die Direktoren die Befugnis zur Leitung einer AG. Sie vertreten eine AG auch nach außen (Art.9.4), also gegenüber Dritten. Die Geschäftsführung und Vertretung ist nicht nur das Recht der Direktoren, sondern auch ihre Pflicht (Art.56.1).

Die Direktoren sind ein gesetzlich vorgeschriebenes Organ einer AG. Den Begriff „Direktor“ verwendet das Gesetz für die Personen, die gesetzlich ermächtigt sind, die unternehmerischen Gesellschaften nach außen zu vertreten und die Unternehmenstätigkeit zu leiten. Eine solche Tätigkeit wird im GewUntG als „Führungstätigkeit“ bezeichnet (Art.9.2).²

¹ Zivilrechtliche Entscheidungen des OGG 2001 Nr.7, S.715. Diese Entscheidung entspricht dem §38 des deutschen GmbHG, laut dem „Die Bestellung der Geschäftsführer zu jeder Zeit widerruflich ist, unbeschadet der Entschädigungsansprüche aus bestehenden Verträgen“.

* Alle folgenden Artikel sind solche des GewUntG, soweit nicht anders angegeben.

² In der Genossenschaft ist das Synonym zur Direktorstelle „Vorstandmitglied“. Sowohl eine AG als auch eine GmbH können einen Vorstand haben, z.B. laut Art.13 des Gesetzes über die Geschäftsbanken. Daher sind die Begriffe „Direktor“, „Vorstandsmitglied“, „Direktorat“, „Vorstand“ Synonyme.

Als Synonym zum Begriff Direktor wird der Begriff Direktorat verwendet, das aus mehreren Direktoren besteht.³ Das Direktorat ist das Exekutivorgan einer AG, das die Tätigkeit eines Unternehmens leitet und berechtigt ist, gegenüber Dritten ohne Vollmacht das Unternehmen zu vertreten, d.h. im Namen des Unternehmens Verträge zu schließen.⁴ Die Tätigkeit, die vom Direktorat ausgeführt wird, ist so unabhängig und spezifisch, dass seine Zuständigkeit den anderen Organen nicht übertragen werden kann.⁵

Der Begriff der Geschäftsführung wird in Art.9.2 definiert, laut dem die Geschäftsführung eine Handlung ist, die unmittelbar dem Unternehmenszweck dient. Die zu Unternehmenszwecken ausgeführte Handlung ist durch die Gesellschaft zu vergüten.

Es werden zwei Geschäftsführungsformen unterschieden: die Einzel- und Gesamtgeschäftsführung. In den AG wird in der Regel die Gesamtgeschäftsführungsform verwendet. Zu diesem Zweck wird auch das Direktorat gegründet.⁶ In Art.56.3 werden die Geschäftsführungsformen konkretisiert. Sind mehrere Direktoren vorhanden und ist nichts anderes vertraglich vorgesehen, so schließen die Direktoren nur gemeinsam Rechtsgeschäfte und unterzeichnen nur gemeinsam. Die Vollmacht zur Vornahme bestimmter Rechtsgeschäfte bzw. zur Ausübung von Vorstandstätigkeiten kann auf einzelne Direktoren übertragen werden. Zur Willenserklärung gegenüber einer Gesellschaft reicht die Erklärung gegenüber einem Direktor aus.

Gibt es mehrere Direktoren, dann kann auch die Satzung vorsehen, dass einem von ihnen selbständig oder zusammen mit einem Proku-

³ Lado Chanturia/Tedo Ninidze, Kommentar zum Gesetz über die gewerblichen Unternehmer, 3. Auflage 2002, S.423

⁴ Ausserdem werden die AG vor Gericht durch Direktoren vertreten (Art.56.3).

⁵ Z.B. ist es gesetzlich vorgeschrieben, dass die Funktionen der Direktoren nicht an den Aufsichtsrat übertragbar sind (Art.55.8)

⁶ In Georgien ist es üblich, solche Geschäftsführungsbezeichnungen zu verwenden wie Präsident, Generaldirektor usw. Obwohl verschiedene Begriffe verwendet werden wie Direktor, Aufsichtsratsvorsitzender, ist es nicht verboten, auch andere Bezeichnungen zu benutzen. Hauptsache ist, dass ihre Berechtigungen und Zuständigkeiten gesetzlich vorgeschrieben werden. Im Gegensatz zur gesetzlichen Bezeichnung kann der Aufsichtsratsvorsitzende als Präsident bezeichnet werden, wobei sich natürlich seine Zuständigkeit nicht ändert. Das gleiche gilt für das Institut des Generaldirektors.

Die Sorgfaltspflicht der Direktoren einer AG nach dem georgischen Recht

risten die Geschäftsführungsbefugnis verliehen wird. Aber zugleich sollte es möglich sein, dass die Direktoren auch ohne Prokuristen die Gesellschaft vertreten dürfen.

Nur der Aufsichtsrat ist dazu berechtigt, die Direktoren einer AG zu bestellen und abzuberufen (Art.55.8).⁷

Die Pflichten der AG-Direktoren sind allgemein im Art. 9.7 geregelt, der vor dem 1.9.1999 diese Pflicht anders als heute formulierte.“⁸

Nach dem am 9.6.1999 verabschiedeten Gesetz wurde diese Formulierung geändert: „Die AG-Direktoren und Aufsichtsratsmitglieder haben in den Angelegenheiten der Gesellschaft die Gewissenhaftigkeit und Sorgfalt einer ordentlichen, unter ähnlichen Bedingungen und in ähnlichem Amt befindlichen Person anzuwenden sowie mit dem Glauben zu handeln, dass ihre derartige Ausübung der Tätigkeit die nützliche für die Gesellschaft ist.“⁹

Obwohl Zweck dieser Veränderung die Konkretisierung der Pflichten der Direktoren war, ist die gesetzliche Definition der Pflicht dennoch allgemein und bedarf ergänzender Auslegung. Die Novelle präziserte zwar die Sorgfaltspflicht, aber solche Elemente wie „normaler, frei denkender Mensch“ und „eine Person in ähnlichem Amt“ erschließen sich nicht von selbst. Unter Berücksichtigung der wirtschaftlichen Besonderheiten während des Transformationsprozesses, des niedrigen kulturellen Niveaus der Geschäftsführung, der niedrigen Qualifikation der Amtsträger, wird es schwer fallen, nur auf Grund des Art.9.7 den Inhalt der Sorgfaltspflicht der Direktoren festzustellen. Daher soll meines Erachtens als Maß und Kriterium der Sorgfaltspflicht vor allem die Erfüllung der Leistungen in den Vordergrund gestellt werden, die den Direktoren gesetzlich auferlegt sind.

Laut Art.56.2 werden die Rechte der Direktoren durch die vom Aufsichtsrat angenommene Geschäftsordnung bestimmt. Gibt es eine solche Geschäftsordnung nicht, so werden allgemeine Geschäftsführungsbefugnisse geltend gemacht. Da in Georgien die allgemeinen Geschäftsführungsbefugnisse nicht durch einen Sonderakt¹⁰ bestimmt

⁷ Ausgehend davon ist die Haftung der Direktoren vor der AG praktisch die gegenüber dem Aufsichtsrat

⁸ Es ist eine genaue Wiedergabe des § 93 Abs.1 S.1 AktG

⁹ 1999 Nr.24 Art.110

¹⁰ Z.B. im Unterschied zu Deutschland, wo der Deutsche Corporate Governance Kodex besteht.

sind, bedarf es zur Inhaltsbestimmung der Aufstellung eines Kataloges der Pflichten von Direktoren, die aus dem Gesetz hervorgehen.

II. Die Pflichten der Direktoren im Bereich der Bildung und Aufrechterhaltung von Gesellschaftsvermögen

1. Pflichten bei der Gesellschaftsgründung

Eine grundlegende Voraussetzung für die AG-Gründung und Eintragung ist die Bestellung von Direktoren,¹¹ der die Bildung des Aufsichtsrates vorangeht. In der Regel wird die organisatorische Gewährleistung für die Eintragung und Einlageleistung des Stammkapitals durch die Gesellschafter von den Direktoren durchgeführt. Die Geschäftsführungs- und Sorgfaltspflicht entsteht mit der Bestellung der Direktoren.

Besonders wichtig sind die Pflichten der Direktoren bezüglich der Gesellschaftsgründung, wenn eine AG als Gründer auftritt und die Gründungsprozessleitung einem Direktor auferlegt wird. Ein Direktor ist verpflichtet, Gründungsunterlagen vorzubereiten, das Stammkapital vollständig zu erbringen sowie das Unternehmen rechtzeitig einzutragen.

Diese Pflicht der Direktoren geht unmittelbar aus Art.5.3 hervor: „Werden zum Zweck der Errichtung der Gesellschaft falsche Angaben gemacht oder wird die Gesellschaft durch Gründungsaufwand geschädigt, so haben die Gesellschafter sowie die Direktoren der Gesellschaft als Gesamtschuldner fehlende Einzahlungen zu leisten, eine Vergütung, die nicht unter dem Gründungsaufwand aufgenommen ist, zu ersetzen und für den sonst entstehenden Schaden Ersatz zu leisten.“

In der Rechtsprechung tauchte die Frage auf, ob die Gesellschafter, die bei der Gesellschaftsgründung keine Einlage in das Stammkapital geleistet haben, ausgeschlossen werden sollen. Es ging darum, wer über diese Berechtigung verfügen soll: ist es erforderlich, eine Gesellschafterversammlung einzuberufen? Der OGG führte dazu aus, dass es allein Sache der Geschäftsführung und dafür die Einberufung einer Versammlung nicht notwendig ist.¹² Auch die Nichterfüllung dieser Pfl-

¹¹ Die Gesellschaftseintragung ohne Direktoren ist unzulässig, Chanturia/Ninidze, S.423

¹² Zivilrechtliche Entscheidungen des OGG 2001 Nr.3 S.244-250

chten kann als Verletzung der Anforderungen des Art.5.3 angesehen werden. D.h. die AG-Direktoren sind verpflichtet, dafür zu sorgen, dass die Gründungsaktionäre einer AG rechtzeitig ihre Einlagen ins Stammkapital leisten.

2. Pflichten im Bereich der Buchführung und Rechnungslegung

Die wichtigste Verpflichtung eines Direktors ist es, über das Gesellschaftsvermögen genau Buch zu führen und alles genau zu inventarisieren. „Die Direktoren sind dafür verantwortlich, dass die Buchführung und Rechnungslegung ihres Unternehmens den internationalen Standards entspricht.“ (Art.13.1.1).

Die Direktoren sind weiterhin verpflichtet, bei Beginn der Tätigkeit ihres Unternehmens und bei Beendigung jedes Wirtschaftsjahres eine Inventarliste zu erstellen mit den Angaben über das Gesellschaftsvermögen (Art.13.2) sowie die Buchhaltungsunterlagen ihrer Gesellschaft 10 Jahre lang aufzubewahren (Art.13.3)

Stärker als diese Punkte stehen aber Fragen heutiger Unternehmensführung und –kontrolle sowie der Haftung im momentanen Fokus der deutschen Bundesregierung. Auch wenn das eine oder andere in den vorangegangenen Referaten detailliert behandelt wurde, möchte ich kurz die in Europa und Deutschland eingeführten und angedachten Maßnahmen skizzieren.

III. Europa muss funktionierende Finanzmärkte haben

Tatsache ist, dass für die Lösung der drängenden wirtschaftlichen, aber auch gesellschaftlichen Probleme Eigenkapitalausstattung und Altersvorsorge an der Aktie kein Weg vorbei führt. Gerade in den gegenwärtigen, sicherlich schwierigen Börsenzeiten ist daher auch der europäische Gesetzgeber im Rahmen seines Programms zur Integration des europäischen Kapitalmarktes mehr denn je bemüht, um begründetes Vertrauen für die Aktie zu werben. Sollen unser Rechtssystem, die Struktur und die Akteure des Finanzplatzes langfristig wettbewerbsfähig bleiben, muss Europa funktionierende Finanzmärkte haben. Das bedeutet sowohl Kompetenz am Finanzplatz als auch wesentlicher Einfluss auf die Gestaltung der künftigen europäischen Rahmenbedingungen. Die Kenntnis der Interessen und Bedürfnisse der Wirtschaft und der Kapitalmärkte sind Voraussetzung für klare Konturen von Gesellschafts- und Kapitalmarktrecht. Hier ist zu berücksichtigen, dass mehr als 80 % der entsprechenden Gesetzgebung heute in Brüssel durch Beschlüsse des Europäischen Parlaments und des Ministerrats nach Vorarbeiten durch die EU-Kommission stattfinden, so dass wir hierauf unser besonderes Augenmerk richten müssen und die entsprechenden Gesetzgebungsprozesse mitgestalten müssen. An einzelnen Maßnahmen möchte ich nur ein paar Stichworte aufführen, die aber erkennen lassen, in welchem breitem Spektrum sich Brüssel mit der Stärkung und Integration des Kapitalmarktes befasst. So sind Projekte gegenwärtig diskutiert bzw. bereits beschlossen: die Einführung von internationalen Buchhaltungsstandards als verpflichtende Rechnungslegungsnorm für börsennotierte Gesellschaften, Richtlinien gegen Marktmissbrauch, Übernahmen, Wertpapierdienstleistungen, Wertpapierprospekten wie auch eine Transparenzrichtlinie. Dies ist allerdings nur eine unvollständige Aufzählung.

IV. Kapitalmarktregulierung und Corporate Governance

Der deutsche Gesetzgeber hat in Sachen Kapitalmarktregulierung wie in Sachen Gesellschaftsrecht in den letzten zehn bis zwölf Jahren ein gewaltiges Pensum absolviert. Oftmals lag den Gesetzen die Umsetzung einer europäischen Richtlinie zugrunde. In den vergangenen Jahren konzentriert sich der deutsche Gesetzgeber jedoch ganz besonders auf die Erneuerung der gesetzlichen Regeln im Themenbereich Corporate Governance. Der Erfolg ist durchaus sichtbar: Der Finanzplatz Deutschland ist nicht mehr das rückständige Land, für das es aus Sicht amerikanischer und englischer Fonds lange Zeit gehalten wurde. Auch objektiv ist das deutsche Gesellschafts- und Kapitalmarktrecht heute viel moderner und kapitalmarktgerichteter als noch vor zehn Jahren. In mancher Hinsicht haben wir modernere Rahmenbedingungen als sie beispielsweise in den USA existieren. Als Beispiel möge die deutsche Trennung zwischen Unternehmensführung und –kontrolle in den eigenständigen Organen Vorstand und Aufsichtsrat genügen. Diese Trennung wird in den USA mit ihrem bisherigen Board-System nunmehr verstärkt angeregt, da ein Grund der Bilanzskandale in der Verquickung zwischen operativem und überwachendem Management identifiziert wurde.

In diesem Zusammenhang hat sich die Gesetzgebung auch mit den Akteuren des Kapitalmarktes befasst. Insbesondere die Organe Vorstand und Aufsichtsrat haben sich verstärkt auf ihre Verantwortlichkeiten und ihre Sorgfaltspflichten gegenüber ihren Unternehmen und damit auch ihren Aktionären zu besinnen. Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit des Vorstands und des Aufsichtsrates gegenüber ihrem Unternehmen sind zwar im deutschen Aktiengesetz seit längerem ausdrücklich vorgesehen.

Da diese Themen von meinen Vorrednern eindrucksvoll abgewickelt wurden, möchte ich mich auf einige Aspekte des kurz auf den im vergangenen Jahr geschaffenen Deutschen Corporate Governance Kodex konzentrieren.

Zur Schaffung dieses Kodexes wurde vom Bundesministerium der Justiz im September 2001 die Regierungskommission „Corporate Governance“ berufen. Beim am 26. Februar 2002 vorgestellten Kodex steht die Unternehmensleitung im Mittelpunkt.

Die Bedeutung von Sorgfaltspflicht und Verantwortlichkeit für den Kapitalmarkt und die Entwicklung des Aktienwesens

Nach der Definition dieser Regierungskommission betrifft „Corporate Governance“ vor allem die Funktionsweise der Leitungsorgane, ihre Zusammenarbeit und die Kontrolle ihres Verhaltens. Damit ist im deutschen Modell die Zweiteilung der Verantwortlichkeiten von Vorstand und Aufsichtsrat – also von zwei Organen - angesprochen.

Der Kodex selbst enthält, soweit er nicht ausdrücklich gesetzliche Regelungen als Anlegerinformation wiederholt, vorrangig Empfehlungen. Es handelt sich beim ihm ein so genanntes „soft law“, bei dem es den Unternehmen überlassen ist, inwieweit sie diesen Empfehlungen folgen. Hierbei ist zu unterscheiden, zwischen den Empfehlungen, die ein Unternehmen bzw. seine Organe befolgen „soll“, und den Anregungen, denen nachgekommen werden „sollte“ oder „kann“. Einzig gesetzlich geregelt ist die so genannte Entsprechenserklärung, in der Vorstand und Aufsichtsrat seit Ende 2002 jährlich zu erklären haben, dass dem Kodex entsprochen wurde und wird, oder welche Empfehlungen nicht angewendet wurden oder werden (das so genannte „comply or explain“). Diese Vorgabe findet sich in dem Mitte 2002 verabschiedeten Transparenz- und Publizitätsgesetz (TransPuG) und ist in § 161 Aktiengesetz eingefügt.

Die Empfehlungen beinhalten unter anderem eine Stärkung der einzelnen Aufsichtsratsmitglieder, die Mindestzahl und Form der Aufsichtsratssitzungen, eine Verpflichtung zur Erstellung eines Kataloges zustimmungsbedürftiger Geschäfte, Verschwiegenheitspflichten der Aufsichtsratsmitglieder sowie die Billigung des Konzernabschlusses auch durch den Aufsichtsrat. Der Kodex ist so angelegt, dass die regelmäßig tagende Kommission Modifizierungen vornehmen kann, wenn es kapitalmarktpolitisch geboten erscheint. Hier dürfte sich ein halb-jähriger Modus einspielen.

Neben dem Corporate Governance Kodex ist in der aktuellen deutschen Diskussion vor allem der Maßnahmenkatalog der deutschen Bundesregierung zu nennen, der die Umsetzung ihres Programms zur Stärkung der Unternehmensintegrität und des Anlegerschutzes zum Ziel hat.

Ein Bestandteil dieses Maßnahmenkatalogs betrifft die persönlichen Haftung von Vorstands- und Aufsichtsratsmitgliedern gegenüber der Gesellschaft. Gleichzeitig sollen die Klagemöglichkeiten für die Aktionäre verbessert werden. Dabei soll, um die Entscheidungsfreude der Organe nicht vollständig zu bremsen, eine so genannte „business

judgement rule“ eingeführt werden. Danach soll sinngemäß keine Pflichtverletzung vorliegen, wenn der Vorstand frei von sachfremden Einflüssen auf der Grundlage als angemessen erachteter Information in gutem Glauben zum Wohl der Gesellschaft handelte. Damit sollen schlichte unternehmerische Fehlentscheidungen kein Haftungsrisiko bedeuten. Im Rahmen dieses Symposiums wurde diese Frage ausreichend diskutiert.

Auch die schon lang diskutierte Direkthaftung für vorsätzliche und grob fahrlässige Falschinformation von Organmitgliedern ist Bestandteil des Maßnahmenkatalogs. Dieser Direkthaftung stimme ich im Grundsatz zu. Zu weitgehend erscheint mir jedoch die Tatsache, dass geprüft werden soll, ob der Anwendungsbereich der jetzigen Vorschrift auf zusätzliche kapitalmarktrelevante Informationen, etwa in Reden und Interviews von Vorstand- bzw. Aufsichtsratsmitgliedern, erweitert werden soll. Sollte dies erforderlich sein, dann müssten auch Minister und Parlamentarier für alle öffentlichen Äußerungen haftbar gemacht werden.

Was Sie an der Regulierungsmasse, die in der Vergangenheit über uns hereingebrochen ist und noch hereinbrechen dürfte, erkennen können, ist Ausdruck der Tatsache, dass es in der Vergangenheit an der Erkenntnis von einzelnen handelnden Akteuren um ihre Verantwortlichkeit für ihr Unternehmen, aber auch für den Kapitalmarkt als das eingangs dargestellte wichtige volkswirtschaftliche Element fehlte, so dass das öffentliche Gut eines integeren und transparenten Kapitalmarkts von Anlegerseite angezweifelt werden konnte. Diesem Zweifel müssen wir marktwirtschaftlich begegnen. Verständlicherweise wird jetzt versucht, die Einsicht zu dieser Verantwortlichkeit bei den Akteuren zu erziehen, wobei die Kosten der Regulierung auch von denjenigen zu tragen sein werden, deren Verhalten auch bisher schon sorgfältig und verantwortlich war. Dass heißt, die Rechnung haben alle zu bezahlen, obwohl sich nur wenige kriminell verhalten haben. Dass dies erforderlich geworden zu sein scheint, ist traurig, aber mit Sicherheit auch menschlich. Anreizsysteme wie Aktienoptionsprogramme oder der Shareholder-Value-Gedanke, Dinge, die früher gelobt worden sind und heute kritisiert werden, sind zum Teil aus dem Ruder gelaufen. Dies gründet auf der Gier vieler Teilnehmer, Organe sowie spekulativer Anleger. Auch die Anlegerseite, die ein maßgebliches Interesse an neuer Regulierung den Emittenten abfordern möchte, sollte im Interesse eines nicht überregulierten und damit möglicherweise wachstumshem-

Die Bedeutung von Sorgfaltspflicht und Verantwortlichkeit für den Kapitalmarkt und die Entwicklung des Aktienwesens

mend organisierten Kapitalmarkt stärkere Verantwortung übernehmen. Mehr Anlegern muss vermittelt werden, die Aktie als Langfristanlage und als Element der Volkswirtschaft zur Kapitalbeschaffung und seines damit einhergehendes Mitbesitzes für ein Unternehmen zu erkennen.

Insofern ist auch der Teil meines Titels, der die Bedeutung von Sorgfaltspflicht und Verantwortlichkeit für den Kapitalmarkt anspricht, schlicht mit den folgenden Wort zu kommentieren: die Bedeutung ist immens. Neben Produkten und Dienstleistungen kommt dem Kapitalmarktanforderungen eine entscheidende Bedeutung zu. Dies gilt umso mehr für Märkte wie Georgien, wo vieles noch aufgebaut werden muss. Der Kapitalmarkt ist von hoher Bedeutung und bedarf der besonderen Pflege durch alle Beteiligten: Unternehmen, Anleger und Finanzintermediäre. Es ist daher mehr als verständlich, dass die Themenkomplexe Corporate Governance und Unternehmensführung, Anlegerschutz, Transparenz und Haftung der Organe immer wichtiger werden. In allen Bereichen ist das Bewusstsein um die Verantwortlichkeit gegenüber Unternehmer, Anleger und Markt Grundvoraussetzung für einen funktionierenden Gesamtablauf des Kapitalmarkts. Fehlt es in einem Bereich an diesem Bewusstsein, wird der Gesamtablauf gestört. Dies ist in den letzten Jahren wohl geschehen und soll nun behoben werden.

Letztlich erfordert dies für alle unsere Märkte – in Georgien wie in Deutschland – ein neues ethisches Verhalten von Offenheit und Transparenz, von Fairness und der Bereitschaft, gemeinsam Risiko zu tragen. Der Aktienmarkt bietet Risiken und Chancen. Wir müssen täglich lernen, diese beiden Pole Risiko und Chance gegeneinander abzuwägen.

**სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის გაზრდის
ალტერნატიული გზები
(იძულებიდან სტიმულირებამდე)**

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დამკვიდრდა ოპტიმალური თანაფარდობა იძულებით დაკისრებულ და ნებაყოფლობით აღიარებულ კორპორაციული მართვის (მ.შ. ხელმძღვანელობის საქმიანობის) ნორმებს შორის. ნებისმიერი სავალდებულო ნორმა ვერ იმუშავებს, თუ მას საფუძვლად ნებაყოფლობით აღიარებული და გააზრებული ლოგიკა არ უძევს. ანუ, სხვა სიტყვებით, ამგვარი ნორმის ამოქმედება მისი განმსორციელებლისთვის ხელსაყრელი და ადექვატული სარგებლის მომტანი უნდა იყოს.

კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებასაც მისგან გამომდინარე ვალდებულებებსა და სარგებელს შორის ბალანსი უნდა ედოს საფუძვლად. თუ ვალდებულებები ადექვატურ სარგებელს არ იწვევს, ამ ვალდებულებათა გაუმართლებლობის გამო მათგან თავის არიდების პრაქტიკა სრულიად ბუნებრივი ხდება.

კორპორაციული მართვის პრინციპების ადექვატურობა დღის წესრიგში სწორედ სააქციო საზოგადოებათა მართვის კონტექსტში ჩნდება, ვინაიდან სწორედ სააქციო საზოგადოებაშია ყველაზე მეტად დაცილებული მესაკუთრე შემსრულებელ-მენეჯერისაგან. კი მაგრამ, რა განაპირობებს ამგვარი სამეწარმეო ფორმის არჩევას, თუ მისი მართვა მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული? ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ის უპირატესობებია, რასაც ეს კორპორაციული ფორმა იძლევა და მათ შორის უმთავრესი – კაპიტალის ყველაზე იაფად მოზიდვის შესაძლებლობაა. ანუ სააქციო საზოგადოების კორპორაციული მართვის რთული მექანიზმი და მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულების განსაკუთრებული პრინ-

**სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები**

ციებები ის ხარკია, რომელიც იაფი კაპიტალის მოსაზიდად უნდა იქნას გადახდილი.

სწორედ ამის გამო ხდებოდა სააქციო საზოგადოებების შექმნა აგერ უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე. მრავალფეროვან ისტორიულ პერიპეტიათა შესაბამისად იხვეწებოდა კორპორაციული მართვის პრინციპებიც.¹

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სააქციო საზოგადოებათა შექმნის სრულიად განსხვავებული პრაქტიკა დამკვიდრდა. აქ სააქციო საზოგადოებები იქმნებოდა მასობრივი პრივატიზაციის მიზნებისთვის. ხდებოდა სახელმწიფო საწარმოების გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად (კორპორაციზაცია) და შემდგომ ამ საწარმოთა აქციების გაყიდვა საპრივატიზაციო აუციონების გზით. ამ პროცესში, აქციათა გაყიდვიდან თანხები შედიოდა არა თვით საწარმოებში, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში. ამის შედეგად ამ საწარმოებში ვეღარ მუშაობდა მთავარი პრინციპი სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ კორპორაციული მართვის საუკეთესო პრინციპების ნებაყოფლობით დაცვისა. მართლაც, თუ ჩვეულებრივი მიზნით შექმნილ სააქციო საზოგადოებაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან დარღვევებს კორპორაციულ მართვაში – ეს საწარმო ვერასდროს ვეღარ შეძლებს საფონდო ბაზრის მეშვეობით კაპიტალის მოზიდვას. „პოსტკომუნისტურ“ სააქციო საზოგადოებებში კი ეს ამოცანა არც კი დამდგარა და მათი ხელმძღვანელობის ქცევაც სწორედ ამ სიტუაციის შესაბამისი იყო და არის. შედეგად, ამ საწარმოებში კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება, ძირითადად, იძულების გზით ხდება და, ამის გამო, მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში ადგილი აქვს კორპორაციული მართვის პრინციპებიდან თავის მასობრივ არიდებას.

ამ საჯარო საწარმოებში „მათრახისა და კვერის“ დარღვეული ბალანსის აღსადგენად მიზანშეწონილად გვესახება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

¹ ეს პროცესი დღესაც გრძელდება და ამის ნათელი მაგალითს უკანასკნელ ხანებში აშშ-ში განვითარებული კორპორაციული სკანდალები და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენს.

1. კორპორაციული მართვის ეროვნული კოდექსის შექმნა.²
2. საფონდო ბირჟის ლისტინგში კორპორაციული ფასიანი ქაღალდების დაშვების აუცილებელ პირობად, სხვა მოთხოვნებთან ერთად, იქცეს ამ კოდექსთან შესაბამისობა.
3. საფონდო ბირჟის ლისტინგში მყოფი ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს დაუწესდეს შემდეგი შეღავათები:
 - მოგების გადასახადი გაუნახევრდეს;
 - ამ ფასიანი ქაღალდების კაპიტალის ნაყოფი³ გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისგან, თუ მათი ბენეფიციარული მესაკუთრეობა ერთ წელიწადს აღემატება;
 - ნება დაერთოს სადაზღვევო კომპანიებს თავისი აქტივები (რეზერვები) განათავსონ ამ ფასიან ქაღალდებში.
 - ფინანსური სექტორის მარეგულირებელ ინსტიტუტების მიერ ეს ფასიანი ქაღალდები აღიარებულ იქნას ლიკვიდურ აქტივებად.
4. სააქციო საზოგადოებათა პრივატიზაციისას აქციათა საჯარო შეთავაზებაზე გაერცხლდეს საერთაშორისოდ დამკვიდრებული იგივე მოთხოვნები, რაც აუცილებელია ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი სხვა საჯარო შეთავაზებისას (ემისიის პროსპექტი და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა)⁴.

² იხ. ქვემოთ დაწვრილებით ამ კოდექსის შესახებ.

³ აქციის (წილის) გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხასა და მის შესაძენად გადახდილ თანხას შორის სხვაობა (კაპიტალ გაინს).

⁴ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „...საჯარო შეთავაზებად ჩაითვლება, აგრეთვე, არა-ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით წამოყენებული...“ წინადადება მათი „...პირდაპირი ან არა-პირდაპირი გაყიდვის შესახებ არანაკლებ 100 პირისთვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისთვის...“ „...იმ პირის სახელით, რომელიც არ არის ემიტენტი“. ამ ნორმის შემოღების მთავარი მიზანი იგივეა, რაც ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას: დაიცვას ინვესტორი ისეთ ფასიან ქაღალდში ინვესტირებისგან, რომლის შესახებ არსებითი ინფორმაცია არ არის საჯაროდ ცნობილი. ანამ, სანამ 1933 წელს, ცნობილი გლანს-სტიგალის კანონის მოთხოვნით, ემისიის პროსპექტი

**სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელების
პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები**

ყველა ეს ღონისძიება, როგორც აღვნიშნეთ, მოწოდებულია პრივატიზებულ სააქციო საზოგადოებათა კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში იმგვარი გარემოს შექმნა, რომელიც სააქციო საზოგადოებათა შექმნის მთავარ მოტივაციას – ყველაზე იაფი კაპიტალის მოზიდვას – შეუწყობდა ხელს.

ყველა ქვეყნის ეკონომიკის წინაშე და, მითუმეტეს, პოსტკომუნისტურ სივრცეში, განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკის ეფექტიანობა მიკრო, ანუ საწარმოს, დონეზე. საწარმოს ეფექტიანობას კი, მნიშვნელოვანწილად, განაპირობებს მოზიდული კაპიტალის სიიარაღე: იგი ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, უფრო კონკურენტუნარიანს ხდის მას და, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მის მომგებიანობას. აქციების გამოშვების გზით მოზიდული კაპიტალი კი ყველაზე იაფად არის აღიარებული. სწორედ ამიტომ ექცევა, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, სულ უფრო მეტი ყურადღება საფონდო ბაზრების განვითარებას ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც, ისტორიულად, აქცენტი უფრო საბანკო კაპიტალზე კეთდებოდა (მაგალითად, გერმანიაში). სააქციო საზოგადოებებს დამატებითი უპირატესობებიც გააჩნია: ა) მათი ასიათასობით და, ზოგჯერ, მილიონობით, მესაკუთრე მისი პროდუქციის ერთგული მომხმარებელიც ხდება (რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მარკეტინგის ხარჯებს), ბ) საფონდო ბაზრის ყოველდღიური მონაცემები საწარმოს წარმატებულობის პერმანენტური მონიტორინგის შესაძლებლობას იძლევა; გ) საფონდო ბაზრის კრებსითი ინდექსები

არ გახდა საჯარო შეთავაზების ერთადერთი კანონიერი საფუძველი, აშშ-ში (და პრაქტიკულად ყველა სხვა ქვეყანაშიც) ადგილი ჰქონდა უამრავ მაქინაციებს, რასაც თან სდევდა მრავალრიცხოვან ინვესტორთა მოტყუება. სამწუხაროდ, ეს მწარე გამოცდილება, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოსა და ბევრ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, პრივატიზაციის პროცესში „დავიწყებულ“ იქნა და აქციების შეთავაზება საპრივატიზაციო აუქციონებზე ემისიის პროსპექტის გარეშე ხდებოდა. დღესაც საქართველოში ‘ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ’ საქართველოს კანონის ხსენებული მოთხოვნა პრივატიზაციის პროცესზე არ ვრცელდება.

ეკონომიკის დარგების თუ მილიანად ეკონომიკის ოპერატიული მონიტორინგის იდეალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მაგრამ ასიათასობით და მილიონობით აქციონერი თავის კაპიტალს ასე ადვილად არ გაიღებს, თუ ამ საწარმოთა მართვა მაქსიმალურად ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშგაღებულად არ არის. სწორედ ამიტომ, ამგვარი სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, ნებაყოფლობით იღებენ თავის თავზე კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ვალდებულებას, რაც, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს აქციონერთა ნდობას და, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო ზრდის საწარმოს ეფექტიანობას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი საწარმოთა ჩამოყალიბებას სააქციო საზოგადოების ფორმით, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ მოიხსნება ყველა ბარიერი მათი მთავარი ფუნქციის – იაფი კაპიტალის მოზიდვის – განსახორციელებლად. თუ ეს ძირითადი მექანიზმი დაიწყებს ფუნქციონირებას, სწრაფად ამოქმედდება ყველა თანმდევი სისტემა და, მათ შორის, გაჩნდება ბუნებრივი სტიმული კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

ის გარემოება, რომ დღეს საქართველოში არ ხდება ახალი საჯარო სააქციო საზოგადოებების შექმნა⁵ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში ამ გზით კაპიტალის მოზიდვა შეუძლებელია – ანუ არსებობს ბარიერები ზემოხსენებული მთავარი ფუნქციის განსახორციელებლად.

ვენახოთ, რა ბარიერებია ეს. ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა⁶, გერმანელი და ამერიკელი

⁵ დღეს საქართველოში პრაქტიკულად ყველა საჯარო (ე.წ. „ანგარიშგაღებულად“) სააქციო საზოგადოება პრივატიზაციის პროცესშია შექმნილი. დარჩენილ სააქციო საზოგადოებათა მცირე ნაწილს ეს კორპორაციული ფორმა ან კანონით აქვს დაკისრებული (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები), ან კიდევ, „პრესტიჟულობის“ მოსაზრებებით აქვთ არჩეული და აქციონერთა მცირე რაოდენობის გამო რეალურად არასაჯარო, კერძო სტრუქტურებს წარმოადგენენ.

⁶ “მეწარმეთა შესახებ” და “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონები და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წესები.

**სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები**

ექსპერტების და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით, ადგილზეა და უცხოელ სპეციალისტთა საკმარის მაღალ შეფასებასაც იმსახურებს. შექმნილია და ეფექტურად ახორციელებს თავის ფუნქციებს საფონდო ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. უკვე სამი წელიწადია, ჩამოყალიბდა და წარმატებით ფუნქციონირებს საფონდო ბაზრის აუცილებელი ინფრასტრუქტურა: საქართველოს საფონდო ბირჟა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რვა დამოუკიდებელი რეგისტრატორი, 33 საბროკერო კომპანია.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოს საფონდო ბაზარი განიცდის მიმზიდველი ინსტრუმენტების ნაკლებობას. ამის მთავარი მიზეზი საქართველოს ფინანსური ბაზრის ხელ-ოვნური დეფორმირებაა, რაც რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული.

ჩვეულებრივ, საინვესტიციო კაპიტალი ეძებს უფრო მომგებიან პირობებს, ხოლო საწარმო – უფრო იაფ კაპიტალს. არადეფორმირებული ბაზრის პირობებში ამ ორი მხარის ინტერესი საფონდო ბაზარზე იკვეთება. ჩვენთან კი ეს ასე არაა. საქართველოში ყველაზე მომგებიანი ფასიანი ქაღალდი სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებაა, ხოლო შედარებით წარმატებული საწარმოები ყველაზე იაფ კაპიტალს საერთაშორისო დონორი ინსტიტუტებისგან (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) იღებენ. რატომ ხდება ასე?

სახაზინო ვალდებულებები. კაპიტალის ბაზრებზე „მომგებიანობა-რისკი“ თანაფარდობის სკალაზე, როგორც წესი, ყველაზე დაბალი პოზიცია სახაზინო ვალდებულებებს აქვს მინიჭებული. ანუ სახაზინო ვალდებულებები ითვლება ყველაზე ნაკლებად სარისკო ფასიან ქაღალდად და, შესაბამისად, ყველაზე დაბალი მომგებიანობითაც ხასიათდება. ყველა სხვა ფასიანი ქაღალდი – კორპორაციული და მუნიციპალური ობლიგაციები, საწარმოთა აქციები – ამ სკალაზე მომდევნო პოზიციებს იკავებს. ანუ სახაზინო ვალდებულებების მომგებიანობა (მათზე საპროცენტო განაკვეთი) ერთგვარ ათვლის წერტილს წარმოადგენს ყველა

სხვა ფასიანი ქაღალდისათვის. საქართველოში საპროცენტო განაკვეთები სახაზინო ვალდებულებებზე წარმოდგენელ სიდიდეებს აღწევს. მაქსიმალურ განაკვეთს 150%-თვისაც გადაუჭარბებია, ხოლო საშუალო განაკვეთი, უკანასკნელ ხანებში, 40%-ის მიდამოებში ფიქსირდება. ამის ერთადერთი მიზეზი ამ ბაზრის ხელოვნური შეზღუდვაა, რაც, ერთის მხრივ, მიზნად ისახავს ზემოგების მიღებას მასში მონაწილე სუბიექტებისთვის და, ამავდროულად, ა) მნიშვნელოვნად აზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ბ) ისრუტავს საინვესტიციო სახსრებს რეალური სექტორიდან და გ) ყოველგვარ შანსს უსპობს საწარმოებს მოიზიდონ კაპიტალი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, ვინაიდან შეუძლებელია ლეგალური წარმოება ფუნქციონირებდეს ისე, რომ 40%-იანი ან მასზე მაღალი სარგებელი გადაუხადოს ინვესტორს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახაზინო ვალდებულებების ბაზარი ხელოვნურად იზღუდება. ეს ხდება სამი გზით:

- სახაზინო ვალდებულებების პირველად აუქციონზე დაშვებულია მხოლოდ კომერციული ბანკები, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში თითქმის ყველგან, პირველად აუქციონებზე წამყვანი როლი საინვესტიციო ბანკებს (საბროკერო კომპანიებს) აქვთ მინიჭებული⁷;
- სახაზინო ვალდებულებების პირველადი აუქციონების გამოცხადება, ნაცვლად დებულებით გათვალისწინებული 6-დღიანი წინსწრებისა, აუქციონამდე 1-2 დღით ადრე ან საერთოდ არ ხდება.
- სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზარი ხელოვნურად იზღუდება იმ ნორმატიული ხარვეზებით, რომელთა გამოც სახაზინო ვალდებულებებით მეორადი ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე შეუძლებელი ხდება.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საინვესტიციო პოლიტიკა. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, საერთაშორისო საფი-

⁷ მაგალითად, აშშ-ში, ყველა პირველადი დილერი საინვესტიციო ბანკია და პირველად აუქციონზე დადებულ გარიგებათა 95% მათზე მოდის.

**სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები**

ნანსო კორპორაცია, საინვესტიციოდ ყველაზე წარმატებულ და მიმზიდველ საწარმოებს არჩევენ. მათი საქმიანობის ხელშესა-
წყობად ეს ინსტიტუტები განსაკუთრებით შეღავათიან, კონცე-
სიურ სესხებს გამოყოფენ. ეს საწარმოსთვის, რა თქმა უნდა,
ხელსაყრელ, შეიძლება ითქვას, სასათბურე პირობებსაც ჰქმნის,
მაგრამ ამგვარი ფინანსურ ინტერვენციებს სერიოზული დე-
ფორმაცია შეაქვთ კაპიტალის მიწოდებაში ჩვენი ქვეყნის მო-
ცულობით მცირე და მგრძობიარე ფინანსურ ბაზარზე.

ამრიგად, ხარვეზები სახაზინო ვალდებულებების გამოშვებისა
და მიმოქცევის პოლიტიკაში ახდენს საქართველოს ფინანსურ
ბაზარზე მოთხოვნის დეფორმაციას, ხოლო საერთაშორისო სა-
ფინანსო ინსტიტუტები – მიწოდების დეფორმაციას. ამის შე-
დეგად შეუძლებელი ხდება აქციების საჯარო გამოშვებით
კაპიტალის მოზიდვა საწარმოებში და საჯარო სააქციო საზო-
გადოებათა ეფექტური კორპორაციული სტრუქტურის ამოქმედება.
შესაბამისად, არ იქმნება სააქციო საზოგადოებები, სადაც კორ-
პორაციული მართვის მოწინავე პრინციპების დამკვიდრება
თვით ამ საწარმოს და მისი ხელმძღვანელობის მოთხოვნილება
იქნება.

ნათელია, რომ ჩვენს ქვეყანაში ეფექტური კორპორაციული
სტრუქტურების ასამოქმედებლად, უპირველეს ყოვლისა, კაპიტა-
ლის ბაზრის განვითარების ზემოხსენებული ბარიერები უნდა
მოიხსნას – რისი გაკეთებაც, პოლიტიკური ნების არსებობის
პირობებში, უმოკლეს ვადაშია შესაძლებელი. მაგრამ ეს იქნება
უმნიშვნელოვანესი, მაგრამ მხოლოდ პირველი, ეტაპი კორპორა-
ციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ნებაყოფლობით დამ-
კვიდრების საქმეში. ქვემოთ შევჩერდებით იმ დონისძიებათა
არასრულ ჩამონათვალზე, რაც აუცილებელია ამ ურთულესი
ამოცანის განსახორციელებლად.

1. შეიქმნას კორპორაციული მართვის ეროვნული კოდექსი.
ამ კოდექსში გაერთიანდეს, ერთის მხრივ, კორპორაციული მარ-
თვის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრინციპები (მაგალი-
თად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორ-
განიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები) და, მეორეს
მხრივ, ეროვნული კანონმდებლობის და მოწინავე ქართულ
საწარმოთა პრაქტიკის ნორმები.

ასეთი კოდექსის შემუშავების პრაქტიკა უკვე ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული (მაგალითად, გერმანიაში, რუსეთში). ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის გამოცდილება.⁸

მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში საფონდო ბაზარი სულ უფრო მეტ პოპულარობას იქონდა გერმანიაში (2002 წლის დეკემბერში აქ აქციონერთა რაოდენობამ 11.5 მილიონს მიაღწია), სულ უფრო აქტუალური ხდებოდა კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება ქვეყანაში. ამის თვალსაჩინო დასტურია ის ფაქტი, რომ McKinsey-ის და მსოფლიო ბანკის ამასწინანდელი გამოკვლევის მიხედვით⁹, გერმანიაში მსხვილი საერთაშორისო ინვესტორები მზად არიან კარგი კორპორაციული მართვის მქონე საწარმოებში 13%-იანი (რუსეთში – 38%-იანი, თურქეთში – 27%-იანი, დიდ ბრიტანეთში – 12%-იანი) პრემია¹⁰ გადაიხადონ. თუ თავდაპირველად, გერმანულ კომპანიებში კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა დირექტორთა ნაკლები ინტერესის გამო ძნელდებოდა, მოვლენათა ხსენებული განვითარების შემდეგ პრობლემამ კორპორაციული მართვის პრინციპების ცოდნის ნაკლებობისკენ გადაინაცვლა. ამის გამო დღის წესრიგში დადგა კორპორაციული მართვის ეროვნული კოდექსის შემუშავება, რომელიც უნდა გამხდარიყო

⁸ Christian Strenger, *The Corporate Governance Code - Important implementation steps for good Corporate Governance*. (Second Meeting of the European and Central Asian Network for Building Capacity for Director Professionalism, sponsored by Global Corporate Governance Forum, International Finance Corporation, Center for International Private Enterprise et al., Moscow, March 17, 2003).

⁹ McKinsey (2002): *Global Investor Opinion Survey*, Sesrulebuli Global Corporate Governance Forum -Tan TanamSromlobiT. veb-gverdi: <http://www.mckinsey.com/practices/corporategovernance/PDF/GlobalInvestorOpinionSurvey2002.pdf>

¹⁰ აქ „პრემია“ შემდეგნაირად განიმარტება. ვთქვათ არსებობს ორი და კომპანია ერთსა და იმავე ქვეყანაში, რომელთა როგორც წარსული საქმიანობა, ასევე მათი მომავალი საბაზრო პოტენციალი მსგავსად გამოიყურება. ავუშვათ, ახლა, რომ ამ კომპანიების დირექტორთა თუ სამეთვალყურეო საბჭოები მისდევნენ მართვის განსხვავებულ პრაქტიკას (– „კარგს“ და – „ცუდს“). ის თანხა, რომელსაც ინსტიტუციური ინვესტორი ზედმეტად გადაიხდის „კარგი“ მართვის მქონე კომპანიის აქციაში, წარმოადგენს „პრემიას“.

**სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები**

კორპორაციული მართვის სანიმუშო ნორმათა კრებული. ეს პროცესი სამ ეტაპად წარიმართა:

- 1999-2000 წლებში სააქციო საზოგადოებების, აუდიტორების, ინვესტორებისა და პრაქტიკოსი იურისტებისგან შედგენილი 10-კაციანი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა „საუკეთესო პრაქტიკის კოდექსი“, რომელიც ყურდნობოდა გერმანულ კანონმდებლობას, კორპორაციული მართვის საერთაშორისო სტანდარტებს და საერთაშორისო ინვესტორთა მოლოდინს. ეს კოდექსი შემდგომი ექსპერტიზისთვის გადაეცა მართვის სფეროში ისეთ წამყვან საერთაშორისო ინსტიტუტებს, როგორცაა Calpers და Hermes. როგორც აღვნიშნეთ, მთავარი მიზანი იყო გერმანული კომპანიებისთვის შექმნილიყო ბაზარზე ორიენტირებული მართვის ნორმათა სანიმუშო სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზე ეს კომპანიები შეიმუშავებდნენ მართვის საკუთარ წესებს. ამასთან, ისინი ვეღარ გაიმართლებდნენ თავს ამგვარი სანიმუშო ნორმების არარსებობით.
- 2000 წლის ივლისში ჩამოყალიბდა კორპორაციული მართვის პირველი სახელმწიფო კომისია, რათა შექმნილიყო კორპორაციული მართვის ოფიციალური გერმანული სტანდარტები როგორც კომპანიათა სახელმძღვანელოდ, ასევე კორპორაციული განონმდებლობის შემდგომი განვითარებისათვის. 2001 წლის სექტემბერში ამუშავდა კორპორაციული მართვის მეორე სახელმწიფო კომისია ოფიციალური „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის“ შესამუშავებლად¹¹. ამ კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ყველა დაინტერესებული მხარეები: საფონდო ბირჟის ლისტინგში მყოფ სხვადასხვა საწარმოების, ინსტიტუციონალური ინვესტორების, ფინანსური და იურიდიული სფეროს აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ხუთთვიანი ინტენსიური მუშაობის, აქტიური საზოგადო-

¹¹ ხელმისაწვდომია ინგლისურ და გერმანულ ენებზე ვებ-გვერდზე: www.corporate-governance-code.de.

ებრივი განხილვის შემდეგ 2002 წლის თებერვალში მოხდა ამ კოდექსის გამოქვეყნება. საფონდო ბირჟის ლისტინგში მყოფი კომპანიებისთვის ამოქმედდა პრინციპი „შეასრულე ან ახსენი“. ანუ, თუ სააქციო საზოგადოებას სურს იყოს საფონდო ბირჟის ლისტინგში, მან ან უნდა შეასრულოს ამ კოდექსის მოთხოვნები ან ახსნას, თავის ანგარიშებში, თუ რატომ ვერ აკმაყოფილებს კოდექსის ამ ან იმ მოთხოვნას.

- მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ დანერგვის სტიმულირებისთვის გერმანიის ფინანსურ ანალიტიკოსთა საზოგადოებამ (DVFA) შეიმუშავა „გერმანული კორპორაციული მართვის შეფასების სისტემა“¹². ეს სისტემა მოწოდებულია შეაფასოს კომპანიების მიერ კორპორაციული მართვის გერმანული კოდექსის მოთხოვნათა შესრულების დონე.

2. შეიქმნას კორპორაციული მართვის შეფასებების ეროვნული სისტემა გერმანული თუ სხვა ქვეყნების შეფასებათა სისტემების ანალოგიურად. ეს სისტემა საფუძვლად დაედოს, ერთის მხრივ, საფონდო ბირჟის ლისტინგში ჩართვას, და, მეორეს მხრივ, საწარმოთა კორპორაციული მართვის რეიტინგს, რომელიც პერიოდულად განხორციელდება საინვესტიციო და ფინანსური ანალიტიკოსების მიერ (საინვესტიციო ბანკები, აუდიტორული კომპანიები და ა.შ.).

3. შეიქმნას კორპორაციულ დირექტორთა¹³ ინსტიტუტი. კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა მხოლოდ კანონმდებლობაზე, ეროვნულ კოდექსსა თუ სახელმძღვანელო ნორმებზე არაა დამოკიდებული. თუ არ ამოქმედდა ამ ნორმების შესწავლისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო ინსტიტუტი, მათი ეფექტურობა უმნიშვნელო დარჩება. ამიტომ აუცილებელია ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების

¹² ამ სისტემის გერმანული და ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.dvfa.de.

¹³ აქ და ქვემოთ, 'დირექტორის' ქვეშ ვგულისხმობთ, როგორც დირექტორებს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

**სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის გაზრდის ალტერნატიული გზები**

ფართოდ გამოყენებით¹⁴ ქვეყანაში სპეციალიზებული სასწავლებლის შექმნა.

4. შეიქმნას დამოუკიდებელ დირექტორთა ასოციაცია, რომლის მიზანი იქნება:

- დამოუკიდებელ დირექტორთა ეთიკური ნორმების შემუშავება;
- დამოუკიდებელ დირექტორთა მაღალი პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
- კოლეგათა ურთიერთობისა და პროფესიული განვითარებისთვის ფორუმის უზრუნველყოფა;
- დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოების წინაშე მდგომი მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევა და მათი გადაწყვეტის გზების ძიება;
- კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება.

5. დამოუკიდებელ დირექტორთა ატესტაციისა და სერტიფიცირების ეროვნული სისტემის შექმნა. რომლის ამოქმედება შესაძლებელია როგორც კორპორაციულ დირექტორთა ინსტიტუტის, ასევე დამოუკიდებელ დირექტორთა ასოციაციის ბაზაზე. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს კრიტერიუმების სისტემა რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- კორპორაციულ დირექტორთა პროფესიული საქმიანობის პრინციპებს;
- ეთიკურ ნორმებს;
- პროფესიულ გამოცდილებას;
- კვალიფიკაციის აუცილებელ მინიმუმს გარკვეულ სფეროებში (ეკონომიკა, ფინანსები, კანონმდებლობა, კორპორაციული მართვა და ა.შ.).

ამ და სხვა ანალოგიური კრიტერიუმების შესაბამისად, ერთის მხრივ, უნდა ხდებოდეს დამოუკიდებელ დირექტორთა ოფიციალური ატესტაცია და სერტიფიცირება, ხოლო, მეორეს მხრივ, დამოუკიდებელ დირექტორთა რეიტინგის შექმნა ავტორიტეტული ანალიტიკურ-კვლევითი ინსტიტუტების მიერ. ეს კიდევ დამა-

¹⁴ მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არსებული დირექტორთა სკოლა წელს თავის ასი წლისთავს აღნიშნავს.

ტებით სტიმულს შეუქმნის დამოუკიდებელ დირექტორებს პროფესიული სრულყოფისა და განვითარებისთვის. ამავდროულად, ქვეყანაში შეიქმნება პროფესიულ დირექტორთა ფენა, რომელიც კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ცხოვრებაში ყველაზე აქტიურ გამტარებლად მოგვევლინება.

დაბოლოს, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება ქვეყნის ეკონომიკის წარმატებული განვითარების უმნიშვნელოვანესი საწინდარია. ამ საუკეთესო პრაქტიკის დასამკვიდრებლად კი გამოყენებული უნდა იქნას არა მარტო იძულების, არამედ სტიმულირების ფართო არსენალი, რომლის გარეშეც კარგი კორპორაციული მართვის უპირატესობათა სრული ამოქმედება ვერასდროს ვერ მოხერხდება.

Alternative Wege zur Erhöhung der Verantwortlichkeit der Führung einer Aktiengesellschaft

In den wirtschaftlich entwickelten Ländern hat sich die optimale Gleichbehandlung zwischen den zwangsweise auferlegten und freiwillig anerkannten Vorschriften von Corporate Governance (d. h. der Tätigkeit einer Gesellschaft) eingebürgert. Eine beliebige verbindliche Vorschrift funktioniert nicht, sofern sie sich nicht auf die freiwillig anerkannte Logik stützt. Anders gesagt, soll die bestehende Vorschrift für den Betroffenen günstig sein und adäquate Vorteile bringen.

Auch die Einführung der besten Praxis der Corporate Governance hat auf dem Gleichgewicht zwischen den daraus hervorgehenden Obliegenheiten und Vorteilen zu beruhen. Entstehen durch die Verpflichtungen keine adäquaten Vorteile, so wird den Verbindlichkeiten in der Praxis immer häufiger ausgewichen.

Die Frage der Adäquanz der Grundsätze von Corporate Governance stellt sich im Zusammenhang mit der Leitung der AG, da der Aktionär gerade in einer AG vom Auftragnehmer-Manager am weitesten entfernt ist. Was aber bedingt denn die Auswahl der Unternehmensform der Aktiengesellschaft, wenn ihre Verwaltung mit gewissen Schwierigkeiten verbunden ist? Selbstverständlich ist es ein Vorteil, der durch diese Gesellschaftsform zustande kommt. Vor allem ist es aber die finanziell günstigste Kapitalanziehungsquelle. Der schwierige Mechanismus von Corporate Governance einer AG und die besonderen Grundsätze der Rechnungslegungs- und Verantwortungspflicht ihrer Corporate Governance stellen die Einlagen dar, die für eine finanziell günstige Kapitalheranziehung geleistet werden müssen.

Daher wurden AG bereits seit mehreren Jahrhunderten gegründet. Auch die Grundsätze von Corporate Governance wurden – bedingt durch historische Veränderungen – vervollständigt.¹

¹ Dieser Prozess hält heute noch an. Als offensichtlichstes Beispiel sind hier die in der letzten Zeit in den USA zugetragenen gesellschaftsrechtlichen Auseinandersetzungen und die daraus hervorgehenden legislativen Veränderungen anzuführen.

Seit den 90-er Jahren hat sich in den Nachfolgestaaten der ehemaligen Sowjetunion und den mittel- und osteuropäischen Ländern eine völlig unterschiedliche Praxis eingebürgert. Hier wurden die AG zwecks Massenprivatisierung gegründet. Staatliche Betriebe wurden in die AG umgewandelt und anschliessend die Unternehmensaktien durch die Privatisierungen versteigert. Die Erlöse aus dem Aktienverkauf wurden nicht von den Betrieben selbst, sondern vom Staat eingenommen. Infolge dieser Ereignisse war in ähnlichen Betrieben der Hauptgrundsatz ausser Kraft gesetzt, die besten Grundsätze der Corporate Governance durch die AG freiwillig zu schützen. Sofern in der Tat wesentliche Verstösse bei der Geschäftsführung einer AG vorhanden sind, vermag so ein Betrieb nie wieder, das Kapital über die Fondsbörse anzuziehen. Die postkommunistischen AG wurden vor diese Aufgabe gar nicht gestellt und auch das Verhalten ihrer Geschäftsführung war und ist den Umständen entsprechend. Daher wird die beste Corporate Governance in diesen Betrieben zwangsweise eingeführt. Darüber hinaus wird im gesamten postkommunistischen Raum den Geschäftsführungsgrundsätzen ausgewichen.

Daher halten wir es für erforderlich, folgende Vorkehrungen zu treffen, um das aus dem Ruder geratene Gleichgewicht („Zuckerbrot und Peitsche,“) in diesen Betrieben wiederherzustellen:

1. Das nationale Gesetzbuch über die Corporate Governance zu schaffen;²
2. Eine zwingende Voraussetzung neben allen anderen Voraussetzungen für die Zulassung von gesellschaftlichen Wertpapieren im Listing der Fondsbörse soll es werden, diese in Einklang mit den Grundsätzen des Gesetzbuches zu bringen;
3. Den Emittenten der im Listing der Fondsbörse befindlichen Wertpapiere sind folgende Ermässigungen zu gewähren:
 - Die Gewinnsteuer ist zu halbieren;
 - Die Kapitalfrucht³ dieser Wertpapiere ist von der Einkommenssteuer zu befreien, sofern ihr Eigentum ein Jahr überschreitet;
 - Den Versicherungen soll es erlaubt werden, ihre Aktivseiten

² S. unten ausführlich bzgl. dieses Gesetzbuches.

³ Der Unterschied zwischen der infolge des Aktien- (Anteil-) verkaufs erhaltenen und der zu ihrem Erwerb entrichteten Summe.

Alternative Wege zur Erhöhung der Verantwortlichkeit der Führung einer Aktiengesellschaft

- (Rücklagen) in die Wertpapiere zu übertragen;
- Die Institutionen, die den Finanzsektor regeln, haben diese Wertpapiere für liquidierte Aktivseiten zu erklären.

4. Bei der Privatisierung haben sich auf hat das öffentliche Aktieangebot die gleichen internationalen Anforderungen zu erfüllen, die bei einem beliebigen öffentlichen Angebot von Wertpapieren zu erfüllen sind (Emmissionsprospekt und die damit zusammenhängende Haftung).⁴

Alle genannten Massnahmen werden getroffen, um die Corporate Governance der privatisierten AG zu verbessern. Es ist aber wichtiger, eine kapitalfreundliche Stimmung in Georgien zu bilden, damit mehr AG gegründet werden.

Für die Wirtschaft aller Staaten – und insbesondere für die postkommunistischen – ist die Effektivität auf der Betriebsebene von Bedeutung. Die Effektivität eines Unternehmens wird überwiegend durch das herangezogene finanziell günstige Kapital bedingt: Dadurch verringern sich die Selbstkosten und die Unternehmen werden somit konkurrenzfähiger. Somit wird der Profit gewährleistet. Das durch die Emission von neuen Aktien angezogene Kapital ist als finanziell günstigstes aner-

⁴ Über den Markt der Wertpapiere – laut Artikel 3. des georgischen Gesetzes „Über den Wertpapiermarkt“: „Als öffentliches Angebot gilt außerdem ein Vorschlag, der im Zusammenhang steht mit den Wertpapieren des nichtrechnungspflichtigen Unternehmens ...über ihren unmittelbaren bzw. mittelbaren Verkauf für mind. 100 Personen oder eine im Voraus nicht bestimmbar Anzahl von Personen...im Namen der Person, die *kein Emittent ist*“. Hauptgrund der Einführung dieser Vorschrift ist der gleiche wie beim öffentlichen Angebot von Wertpapieren durch einen Emittenten: einen Investor vor solchen Wertpapierinvestitionen zu schützen, über die noch keine wesentlichen Informationen öffentlich bekannt sind. Ehe 1933 durch die gesetzliche Anforderung des berühmten Glas-Stigal-Gesetzes das Emissionsprospekt die erste und bis dahin einzige gesetzliche Grundlage des öffentlichen Angebots geworden ist, gab es in den USA (und eigentlich in allen anderen Staaten) gewisse Machenschaften und darauf folgende Investorenbetrügereien. Leider geriet diese bittere Erfahrung in den 90-er Jahren in Georgien und anderen postkommunistischen Ländern in Vergessenheit und das Angebot von Aktien bei Privatisierungsversteigerungen geschah ohne Emissionsprospekt. Auch heute erstreckt sich die genannte Vorschrift des georgischen Gesetzes „Über den Wertpapiermarkt“ nicht auf das Privatisierungsverfahren.

kannt. Daher wird – insbesondere im letzten Jahrzehnt – mehr Aufmerksamkeit der Entwicklung von Fondmärkten selbst in solchen entwickelten Ländern gewidmet, wo historisch die Schwerpunkte auf dem Bankkapital liegen (beispielsweise in Deutschland). Die AG verfügen über einen zusätzlichen Vorteil: a) Tausende bzw. Millionen ihrer Eigentümer werden zugleich zu ihren treuen Produktionskunden (das verringert erheblich die Vermarktungskosten); b) Die täglichen Fondbörsenangaben ermöglichen das fortwährende Monitoring der betrieblichen Erfolge; c) Die Sammelangaben des Fondmarkts stellen ein ideales Instrument für die operative Überwachung der Wirtschaftszweige und der gesamten Wirtschaft dar. Aber Tausende von Aktionären werden ihr Kapital nicht so einfach investieren wollen, sofern die Geschäftsführung dieser Unternehmen nicht effektiv, transparent und rechnungslegungspflichtig sein wird. Daher übernehmen solche AG freiwillig die Pflicht, bessere Grundsätze der Corporate Governance einzuführen, was einerseits das Vertrauen der Aktionäre gewinnt und andererseits die Betriebseffektivität wesentlich erhöht.

Vor diesem Hintergrund soll zur Gestaltung von Unternehmen in Form einer AG alles getan werden, um das, was die Verwirklichung der Hauptfunktion hindert, – das finanziell günstige Kapital anzuziehen, – abzuschaffen. Funktioniert dieser Hauptmechanismus, so funktionieren zugleich auch alle Begleitsysteme, u. a. entsteht eine natürliche Stimulierung zur Einführung der besten Geschäftsführungspraxis.

Die Tatsache, dass in Georgien keine neuen öffentlichen AG gegründet werden,⁵ weist darauf hin, dass es auf diese Weise in Georgien nicht möglich ist, Investitionen anzuziehen, d. h. es gibt Hindernisse bei der Ausübung der Hauptfunktionen.

Lassen Sie uns sehen, welche Hindernisse es sind. Die gesetzliche Grundlage⁶, die die Wertpapiere regelt, wurde mit Unterstützung

⁵ Heutzutage sind alle öffentlichen (sog. „berichterstattungspflichtige“) AG in Georgien während des Privatisierungsvorgangs gegründet worden. Dem kleineren Teil der übrigen AG wurde diese gesellschaftliche Form entweder gesetzlich auferlegt (kommerzielle Banken, Versicherungen) oder sie haben die Wahl nach „Berühmtheitskriterien“ getroffen und stellen wegen geringer Quantität nicht-öffentliche, private Strukturen dar.

⁶ Die Gesetze „Über die gewerblichen Unternehmen“ und „Über den Markt der Wertpapiere“ sowie die Regeln des georgischen Nationalausschusses der Wertpapiere.

der deutschen und amerikanischen Sachverständigen sowie der internationalen US-Entwicklungsagentur geschaffen und wird von den ausländischen Experten ziemlich hoch bewertet. Der georgische Nationalausschuss für Wertpapiere ist gebildet und übt seine Tätigkeit effektiv aus. Auch die georgische Fondbörse, der Hauptdepositor der georgischen Wertpapiere, 8 unabhängige Register der Wertpapiere und 33 Brokervereine – die notwendige Infrastruktur des Fondmarkts – funktionieren erfolgreich seit drei Jahren.

Ungeachtet dessen mangelt es auf dem georgischen Fondmarkt an kapitalanziehenden Mitteln. Der Hauptgrund ist eine künstliche Deformierung des georgischen Finanzmarkts, was durch einige Faktoren hervorgerufen ist.

Das Investitionskapital sucht in der Regel nach besseren Profitbedingungen und das Unternehmen selbst – nach einem finanziell günstigeren Kapital. Unter nicht deformierten Marktbedingungen überschneiden sich die Interessen beider Parteien auf dem Fondmarkt. Das beste gewinnbringende Wertpapier in Georgien ist die Staatsanleihe. Die erfolgreichsten Unternehmen bekommen das finanziell günstigste Kapital von internationalen Geberorganisationen (KfW, die Internationale Finanzgesellschaft). Warum ist es so?

Staatsanleihen: Die Staatsanleihen nehmen auf den Kapitalmärkten den untersten Platz auf der Gleichheitsskala „Profit – Risiko“ ein. Mit anderen Worten gelten die Staatsanleihen als wenig riskantes Wertpapier und weisen dementsprechend auch den geringsten Gewinn auf. Alle anderen Wertpapiere – gesellschaftliche und municipale Obligationen, die Betriebsaktien – nehmen auf dieser Skala die folgenden Stellen ein. Der Gewinnsatz der Staatsanleihen (Zinsen) gilt als Ausgangspunkt für alle anderen Wertpapiere. Die Zinssätze erreichen in Georgien unglaubliche Höhen bzgl. der Staatsanleihen. Der genannte maximale Zinssatz übertraf sogar 150%. Der Durchschnittssatz liegt in letzter Zeit bei 40%. Der einzige Grund dafür ist die künstliche Beschränkung des Markts, was einerseits bezweckt, den Übergewinn für die Beteiligten zu erzielen und gleichzeitig: a) Dem Staatshaushalt erheblich schadet; b) Die Investitionsmittel aus dem realen Sektor einzieht und c) Den Unternehmen jede Gelegenheit entzieht, das Kapital durch Wertpapiere anzuziehen, weil die gesetzliche Produktion so zu funktionieren hat, um 40% oder mehr Vorteile dem Investor zu zahlen.

Wie oben erwähnt, wird der Markt der Staatsanleihen künstlich eingeschränkt. Dies erfolgt auf dreierlei Weise:

- Bei der Erstversteigerung der Staatsanleihen sind nur kommerzielle Banken zugelassen, wobei in anderen Staaten auf den Versteigerungen die Führungsrolle den Investitionsbanken (Brokervereinigungen) beigemessen wird;⁷
- Die Erstversteigerung der Staatsanleihen wird 1-2 Tage vor der Versteigerung oder gar nicht angekündigt, statt laut der Geschäftsordnung 6 Tage vorher angekündigt zu werden;
- Der sekundäre Markt der Staatsanleihen wird künstlich durch normative Lücken eingegrenzt, weswegen ein erneuter Handel mit den Staatsanleihen auf der Fondbörse unmöglich wird.

Investitionspolitik der internationalen Finanzinstitutionen. Solche Organisationen, wie die KfW und die Internationale Finanzgesellschaft wählen die erfolgreichsten und attraktivsten Unternehmen für ihre Investitionen. Diese Institutionen stellen besonders finanziell günstige konzessionale Darlehen für ihre Tätigkeit zur Verfügung. Das schafft natürlich günstige Bedingungen für die Unternehmen, aber solche finanziellen Interventionen entstellen ernsthaft die Kapitalanziehung auf dem kleinen und empfindlichen georgischen Finanzmarkt.

Somit werden Forderungen auf dem georgischen Finanzmarkt durch die Lücken in der Produktions- und Verkehrspolitik der Staatsanleihen und Lieferungen – durch die internationalen Finanzinstitutionen – entstellt. Infolge dessen ist es unmöglich, das Kapital in den Unternehmen durch die öffentliche Ausgabe von Aktien anzuziehen sowie die effektive Gesellschaftsstruktur der öffentlichen AG zu in Gang zu bringen. Dementsprechend werden keine AG gegründet, in denen die Hauptforderung dieses Unternehmens und seiner Geschäftsführung sein wird, die grundlegenden Grundsätze der Corporate Governance einzuführen.

Es ist offensichtlich, dass hierzulande die oben genannten Hindernisse für die Kapitalmarktentwicklung abgeschafft werden müssen, um effektivere gesellschaftliche Strukturen zu entwickeln. Dies ist beim Vorhandensein des entsprechenden politischen Willens in Kürze mög-

⁷ In den USA z. B. ist die Investitionsbank der allererste Dealer und 95% aller bei der Erstversteigerung geschlossenen Rechtsgeschäfte kommt auf diese Bank.

lich. Dieser wird natürlich massgebend sein, aber als ein erster Schritt gilt die freiwillige Einführung einer besseren Praxis der Corporate Governance. Unten möchten wir auf die unvollständige Auflistung der Vorkehrungen eingehen, die zur Umsetzung dieser wichtigen Aufgabe notwendig sind.

1. Es ist das nationale Gesetzbuch der Corporate Governance zu schaffen. In ihm sind einerseits die international anerkannten Grundsätze von Corporate Governance zu verankern (z. B. die Grundsätze von Corporate Governance der wirtschaftlichen Zusammenarbeit und der Entwicklungsorganisation) und andererseits die Vorschriften der nationalen Gesetzgebung und der Praxis der führenden georgischen Unternehmen.

Ähnliche Gesetzbücher sind bereits in vielen Ländern erarbeitet (z. B. in Deutschland, Russland). Die diesbezügliche deutsche Erfahrung ist von grossem Interesse.⁸

Seit den 90-er Jahren gewann die Fondbörsen immer mehr an Bedeutung in Deutschland (im Dezember 2002 betrug die Anzahl der Aktionäre 11,5 Mio.). Somit wuchs die Dringlichkeit, die beste Praxis der Corporate Governance in Deutschland einzuführen. Als ein offensichtliches Beispiel hierfür dient die Tatsache, dass laut der von McKinsey und der Weltbank durchgeführten Studie⁹ die grossen internationalen Investoren in Deutschland bereit sind, eine 13%ige Prämie¹⁰ (in Russland – 38%, in der Türkei – 27%, in Grossbritannien – 12%) für die guten Geschäftsführungsbetriebe zu zahlen. Zu Beginn fiel es den deutschen Unternehmen aus Interessenmangel der Direktoren schwer,

⁸ Christian Strenger, The Corporate Governance Code – Important implementation steps for good Corporate Governance (Second Meeting of the European and Central Asian Network for Building).

⁹ McKinsey (2002): Global Investor Opinion Survey, durchgeführt unter Mitarbeit mit Global Corporate Governance Forum –Web-Seite: <http://www.mckinsey.com/practices/corporategovernance/PDF/GlobalInvestorOpinionSurvey2002.dpf>.

¹⁰ Hier ist der Begriff „Prämie“ folgendermassen auszulegen: nehmen wir an, es gibt 2 Unternehmen: A und B im gleichen Land, deren vergangene Tätigkeit als auch das künftige Marktpotenzial gleich aussehen. Des Weiteren stellen wir uns vor, dass die Direktoren- bzw. Aufsichtsräte dieser Unternehmen eine unterschiedliche Geschäftsführungspraxis betreiben (B – ein gute und A – eine schlechte). Die Summe, die vom Investor zusätzlich für die Aktien des „gut“ betreibenden Unternehmens bezahlt wird, stellt eine „Prämie“ dar.

die beste Praxis der Corporate Governance einzuführen. Nach den oben genannten Ereignissen hat sich das Problem auf den Kenntnis-mangel der Corporate Governance verschoben. Im Anschluss entstand die Notwendigkeit, ein nationales Gesetzbuch der Corporate Governan-ce zu erarbeiten, welches die Sammlung der besten Vorschriften der Corporate Governance werden sollte. Dieser Prozess teilt sich in drei Etappen:

- 1999-2000 wurde von einer Arbeitsgruppe – bestehend aus AG, Wirtschaftsprüfern, Investoren und praktischen Juristen (insge-samt 10 Personen) – „das beste Praxisgesetzbuch“ erarbeitet, das auf der deutschen Gesetzgebung beruhte sowie den inter-nationalen Standards von Corporate Governance und den Er-wartungen der internationalen Investoren entsprach. Dieses Ge-setzbuch wurde später zur Begutachtung internationalen Insti-tutionen vorgelegt, wie z.B. Calpers und Hermes. Wie gesagt bestand das Hauptziel darin, für die deutschen Unternehmen ein marktorientiertes Corporate Governance-Lehrbuch zu schaf-fen, aufgrund dessen diese Betriebe eigene Führungsregeln erarbeiten würden. Zugleich würden sie sich mit einem Mangel der bestehenden Vorschriften nicht mehr rechtfertigen können.
- Im Juli 2000 wurde der erste Staatliche Geschäftsführungsaus-schuss gebildet, um die offiziellen deutschen Standards der Corporate Governance für die Geschäftsführung im Ganzen so-wie die weitere Entwicklung der gesellschaftlichen Gesetzge-bung ins Leben zu rufen. Im September 2001 kam ein zweiter Staatlicher Ausschuss der Corporate Governance zustande, um das offizielle „deutsche Corporate Governance-Gesetzbuch“ zu erarbeiten.¹¹ Diese Kommission setzte sich aus allen betroffe-nen Parteien zusammen: den Vertretern von verschiedenen Unternehmen, die im Listing der Fondbörse vereinigt sind, den institutionalen Investoren sowie den Vertretern der akademi-schen Kreise der finanziellen und juristischen Bereiche zusam-men. Nach einer intensiven fünfmonatigen Zusammenarbeit sowie gesellschaftlichen Erörterung wurde sind Empfehlungen im Februar 2002 veröffentlicht worden. Daher gilt seitdem für

¹¹ Zugänglich in deutscher und englischer Sprache auf der Web-Seite: www.corporate-governance-code.de.

die im Listing der Fondbörsen bestehenden Unternehmen der Grundsatz „erfülle und erkläre“. D. h. wenn die AG am Listing der Fondbörse zu beteiligen. Diese hat entweder die Anforderungen des Gesetzbuches zu erfüllen oder in ihren Berichten zu erklären, warum den gesetzlichen Anforderungen nicht entsprochen werden kann.

- Die DVFA erarbeitete zwecks Einführungsanreizes der breiten und besten Führungspraxis ein „deutsches Corporate Governance-Bewertungssystem“.¹² Durch dieses System wird versucht, das Erfüllungsniveau der Anforderungen des deutschen Corporate Governance-Gesetzbuches zu bewerten.

2. Es ist ein nationales Corporate Governance-Bewertungssystem zu schaffen, das analog dem deutschen und anderen Bewertungssystemen gestaltet werden soll. Dieses System hat einerseits als Grundlage zu dienen für die Einbeziehung der Fondbörse ins Listing, und andererseits für die Quote der Corporate Governance im Ganzen, die durch die Investitions- und Finanzanalytiker durchgeführt wird (Investitionsbanken, Prüfgesellschaften usw.).

3. Es ist eine Vereinigung der Gesellschaftsdirektoren zu bilden.¹³ Die Einführung der besten Corporate Governance-Praxis hängt nicht nur von der Gesetzgebung, dem nationalen Gesetzbuch und den Lehrbuchnormen ab. Funktioniert das Fortbildungsinstitut nicht, das diese Vorschriften unterrichtet, so bleibt ihre Wirkung äußerst gering. Daher ist es erforderlich, in Georgien eine solche Fachhochschule einzurichten, die die bestehende internationale Erfahrung umfassend anwendet.¹⁴

4. Es ist eine Vereinigung der unabhängigen Direktoren zu gründen, die es sich zum Ziel setzt:

- Die ethischen Normen der unabhängigen Direktoren zu erarbeiten;
- Die hochprofessionellen Standards der unabhängigen Direktoren auszuarbeiten;

¹² Die deutsche und englische Fassung dieses Systems siehe auf der Webseite: www.dvfa.de.

¹³ Hier und unten meinen wir unter „Direktoren“ sowohl die Direktoren selbst als auch die Aufsichtsratsmitglieder.

¹⁴ Das in Großbritannien bestehende Geschäftsführerinstitut feiert in diesem Jahr ihr 100jähriges Jubiläum.

- Die Foren bzw. Kongresse für Kontakte und zur beruflichen Entwicklung zu durchzuführen;
- Die vor den Direktoren- und Aufsichtsräten stehenden wichtigen Probleme zu erforschen und ihre Lösungswege zu finden;
- Die besten Erfahrungen mit Corporate Governance einzuführen.

5. Es ist ein nationales Prüfungs- bzw. Zulassungssystem der unabhängigen Direktoren zu bilden. So ein System ist entweder auf der Basis des Gesellschaftsdirektoreninstituts oder der Vereinigung der unabhängigen Direktoren zu gründen. Diesbezüglich ist ein Kriteriensystem zu erarbeiten, das folgende Punkte umfasst (sich aber nicht darauf beschränkt):

- Die Grundsätze der beruflichen Tätigkeit der Gesellschaftsdirektoren;
- Die ethischen Normen;
- Die Berufserfahrung;
- Das notwendige Qualifikationsminimum in gewissen Bereichen (Wirtschaft, Finanzen, Gesetzgebung, Corporate Governance u. s. w.).

Aufgrund dieser und anderer Kriterien hat einerseits die offizielle Prüfung bzw. Zulassung der unabhängigen Direktoren zu erfolgen, andererseits aber ist die Berufung der unabhängigen Direktoren durch ein anerkanntes analytisches Forschungsinstitut zu erfolgen. Das gibt den unabhängigen Direktoren einen zusätzlichen Anreiz für ihre berufliche Vervollständigung und Entwicklung. Zugleich wird im Lande eine Schicht der beruflichen Direktoren gebildet, die die beste Erfahrung der Corporate Governance unmittelbar ins Leben rufen.

Als Schlussfolgerung ist noch einmal zu betonen, dass die Einführung der besten Praxis von Corporate Governance eine wichtige Voraussetzung für die wirtschaftliche Entwicklung des Landes ist. Dafür muss aber nicht nur das Zwangspotential, sondern auch das Anreizpotential ausgenutzt werden, ohne das die besten Vorteile der Corporate Governance nicht zu nutzen sind.

**სააქციო საზოგადოების დირექტორთა
სამეწარმეო ხასიათის პასუხისმგებლობის
საფუძვლების ზოგადი დახასიათება ქართული
და ინგლისური სამართლის მიხედვით**

რაც არ უნდა სკეპტიკურად შევხედოთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ერთი რამ ცხადია, კორპორაციული განვითარების დონე საქართველოში პერმანენტულად იზრდება. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელი წლების განმავლობაში შემუშავებულია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, დაგროვილია პრაქტიკული გამოცდილება. მიუხედავად ამისა, რეალობა ცხადყოფს, რომ დღემდე არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა რიგ შემთხვევაში სამართლებრივი რეგულირების მიღმა რჩება. ამ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება კორპორაციული მართვის მოდელის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

საქართველოში მოქმედი კანონი „მეწარმეთა შესახებ“ საწარმოთა ხელმძღვანელობის პრობლემას თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნილებათა შესაბამისად იხილავს. ხელმძღვანელობა კომპეტენტური მენეჯმენტის „management“ გონივრულ შექმნას გულისხმობს, რაც კორპორაციული მართვის განსაკუთრებულ, საწარმოს საქმიანობისათვის პასუხისმგებელ რგოლს წარმოადგენს. „უმთავრესად დირექტორის ნიჭზე, მის უნარზე, გამოცდილებასა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული საწარმოს ბედი – რენტაბელური იქნება იგი თუ არა. ამავე დროს, დირექტორი პასუხს აგებს საწარმოს წინაშე.“¹

როგორც ჩვენი, ისე უცხოეთის ზოგიერთი ქვეყნის, პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ დირექტორთა როლი საწარმოს მართვის საქმეში შაქრისა და მათრახის პრინციპის გათვა-

¹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეობის შესახებ კანონის კომენტარი. მესამე გამოცემა. თბ., 2002. გვ. 115.

ლისწინების მიუხედავად, ერთგვარად „დაკნინებულია“, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი შეკრებები ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამასთან, ისინი თავიანთ ფუნქციას მხოლოდ იმ აქციონერთა ინტერესების დაცვაში ხედავენ, რომლებმაც ფაქტობრივად მოახდინეს მათი „დელეგირება“ ღირეცქციაში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული მართვის მოდელი მისი მონაწილეებისათვის არაერთ ეთიკურ პრობლემას წარმოქმნის. „აქციათა უმრავლესობის მფლობელებს თავიანთი მაკონტროლებელი პოზიცია შეუძლია გამოიყენონ იმისთვის, რომ აიძულონ მენეჯმენტი წავიდეს დათმობაზე, გაიზარდოს აქციონერთა ერთი ჯგუფის პოლიტიკა ან განსაკუთრებული კეთილგანწყობით მოეყრას აქციათა უმრავლესობის მფლობელებს. საწარმოთა შერწყმის, ან შექმნის პროცედურის განხორციელებისას მსხვილმა აქციონერებმა შესაძლოა სხვა აქციონერთა ხარჯზე მოითხოვონ პრემიალური ღირებულება თავიანთი მაკონტროლებელი პოზიციის გამო. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კორპორაციული შემოსავალი დაბალია, მენეჯმენტს შეუძლია კორპორაციის აქტივების ფარული გამოყენება პირადი მოგების მისაღებად. ამ დროს მენეჯმენტი კორპორაციულ მიზნებს იშველიებს, რეალურად კი მწარმოებლობის დაბალი დონის ფონზე ფართოვდება მენეჯმენტის „იმპერია“, შესაბამისად ვიწროვდება მენეჯმენტის პასუხისმგებლობის მოცულობა.

კორპორაციული მართვის მოდელი მიზნად ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და ფიდუციური მოვალეობის დარღვევის თავიდან აცილებას ისახავს. სააქციო საზოგადოების მართვაში არსებული ეთიკური პრობლემების ანალიზის აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ ისინი თავის მხრივ დიდ ზეგავლენას ახდენენ აქციონერთა უფლებების განხორციელებაზე, ამერიკის საკანონმდებლო ინსტიტუტმა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაასრულა კორპორაციული მართვის პრობლემათა ხანგრძლივი კვლევა, რომლის შედეგებიც ჩამოაყალიბა დასკვნით მოხსენებაში - „კორპორაციული მართვის პროექტი“.²

² Irwin's Business Law. Concepts, analysis, perspectives. Elliot I. Klayman, John W. Begby, Dan S. Ellis. 1994. p. 874.

**სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის
პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება**

სააქციო საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძვლები. წარმოდგენილი მოხსენების მიზანია საწარმოს (კომპანიის) დირექტორთა პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი განხილვა საქართველოსა და ინგლისის კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მაგალითზე. თავისთავად თემა მეტად მოცულობითია, თუმცა შევეცდები მოკლე დროში მაინც განვსაზღვროთ საწარმოს წინაშე დირექტორთა პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხები.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში, მართვის თვალსაზრისით სააქციო საზოგადოებები ორ ჯგუფად იყოფიან: 1. ერთსაფეხურიანი მართვის სისტემა 'one – board system', რომელსაც საერთო სამართლის ქვეყნები ეფუძნება და იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სამეწარმეო საქმიანობასა და მასზე კონტროლს. ამ შემთხვევაში დირექტორთა საბჭოს ისეთივე ფუნქციები აქვს, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს; 2. ორსაფეხურიანი მართვის სისტემა 'two-tier-System', რომელსაც გერმანიასთან ერთად საქართველოც ეფუძნება. ორსაფეხურიანი სისტემის დროს დირექტორატის ზემდგომ, მის მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მუდმივად აკონტროლებს დირექტორატის საქმიანობას.³

მიუხედავად წარმოდგენილი განსხვავებისა, როგორც საერთო სამართლის ქვეყნებში, ისე საქართველოში, საწარმოს საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე დირექტორთა მიერ საწარმოს წინაშე ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, იწვევს განსაზღვრული სახის პასუხისმგებლობას, რაც პრაქტიკაში თავისთავად უამრავ პრობლემას წარმოქმნის.

სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის უფლება-მოვალეობანი და მისი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონით „მეწარმეთა შესახებ“ (ინგლისში – კანონით „კომპანიათა შესახებ“, აშშ-ში „ერთიანი სავაჭრო კოდექსით“, სამოსამართლო სამართლით); საწარმოს წესდებით (საერთო სამართლის ქვეყნებში – კომპანიის მემორანდუმით); დირექტორთა რეგლამენტით ან დებულებით (თუკი

³ დაწვრილებით იხ.: ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 128-130; მ. ლუთერი.

ასეთი არსებობს); ასევე სასამსახურო ხელშეკრულებით, რომელიც იდება საწარმოსა და დირექტორს შორის (თუკი ასეთი არსებობს), (ინგლისში – დირექტოთან დადებული ინდივიდუალური კონტრაქტით).

ამ საკითხის უშუალოდ განხილვამდე დავაზუსტებ, თუ კონკრეტულ შემთხვევაში ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის სუბიექტი, ანუ ვინ შეიძლება იყოს სს-ის დირექტორი. ზოგადად, საწარმოს დირექტორი შეიძლება იყოს სრულწლოვანი და სრული ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკური პირი. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს როგორც ამ საზოგადოების აქციონერი, ისე გარეშე პირიც. ამასთან, გასათვალისწინებელია საქ. სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის შინაარსი, რომლის თანახმად, „თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსთვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუხდუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების და დამთავრების მიმართ.“

საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით“ (ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ინგლისის კანონმდებლობა ითვლისწინებს საწარმოს დირექტორის მაქსიმალურ ასაკსაც და იგი 70 წელს უდრის (კანონი „კომპანიათა შესახებ“, მუხ. 293).

ვთვლით, რომ სამოქალაქო კოდექსში არსებული ნორმა „არასრულწლოვნის ემანსიპაციის“ შესახებ, აშკარა შეუსაბამობაშია სამეწარმეო კანონმდებლობასთან, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, დირექტორები „საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის“. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის მოცულობიდან გამომდინარე, იგი მუდმივად უნდა გრძნობდეს საზოგადოების მაჯისცემას და აკონტროლებდეს

**სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის
პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება**

მის რითმს. იგივე აზრს იზიარებს ინგლისის კანონი „კომპანიათა შესახებ“, სადაც აღნიშნულია: „კომპანიის დირექტორი საქმეს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, მაღალკვალიფიციური ცოდნით და გამოცდილებით ისევე, როგორც ამას აკეთებს მინდობილი მესაკუთრე ტრასტის ხელშეკრულების შესაბამისად“.⁴ გარდა ამისა, აღარ შეეჩერდები ისეთ მნიშვნელოვან ასპექტზე, როგორცაა დირექტორის პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა, რაც გუშინდელი დისკუსიის ცენტრალურ საგნად იქცა.

წარმოდგენილ ნორმათა და მომხსენებელთა მსჯელობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ესოდენ დიდი ვალდებულება, სადაც პრიორიტეტი მენეჯმენტულ გამოცდილებას, ცოდნასა და მაღალკვალიფიციურობას ენიჭება, არ შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვანს.

რაც შეეხება უშუალოდ დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძვლებს. ნებისმიერი პირის ძირითადი ვალდებულება და შესაბამისად პასუხისმგებლობაც, მისი სამართლებრივი სტატუსიდან მომდინარეობს.

დირექტორის ძირითადი მოვალეობაა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ გაუძღვეს საზოგადოებას და შეასრულონ დაკისრებული ამოცანები (56.4 მუხლი), რომლებიც შეიძლება უშუალოდ წესდებიდან გამომდინარეობდეს ანდა ხელმძღვანელობის პრაქტიკული გარემოებებიდან წარმოიშვას.

ინგლისში Percival v. Wright-ის საქმეზე⁵ დადგინდა: დირექტორებმა თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ საწარმოს წინაშე კეთილსინდისიერად. ამასთან, დირექტორებმა თავისი საქმიანობის დროს უნდა გაითვალისწინონ კორპორაციულ ურთიერთობათა მონაწილეების განსხვავებული კატეგორიების ინტერესები (იგულისხმება კომპანიის აქციონერები, მუშა-მოსამსახურეები, კრედიტორები). ისინი აღნიშნულ საქმიანობას უნდა მოეკიდონ გულისყურით და გამოცდილებით.

⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით ვიზიარებ ბატონი ზემლერისა და ბატონი პაპუაშვილის მოხსენებებში დაფიქსირებულ მოსაზრებებს.

⁵ Percival v. Wright (1902) 2 Ch. 421.

ქეთევან ქოქრაშვილი

საერთო სამართლის ქვეყნების სამოსამართლო სამართალი პერმანენტულად ავითარებს კორპორაციულ ურთიერთობათა რეგულირების მეთოდებს და ცალკეულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე აკონკრეტებს დირექტორთა ქცევის წესებსა და პასუხისმგებლობის საფუძვლებს. მაგალითად, City Equitable Five Insurance-ის⁶ საქმეზე დადგინდა კომპანიის დირექტორთა ქცევის სამი მნიშვნელოვანი წესი. ესენია:

- ა) დირექტორი ვალდებულია მოიქცეს ისე, როგორც უნდა მოელოდნენ მისი განათლებისა და გამოცდილების მქონე პირისაგან;
- ბ) დირექტორი საკმარისია საქმიანად ესწრებოდეს დირექტორთა საბჭოსა და შესაბამისი კომიტეტების სხდომებს;
- გ) დირექტორი უფლებამოსილია საკუთარ ვალდებულებათა დელეგირება მოახდინოს კომპანიის სხვა თანამდებობის პირზე, თუ ეს უკანასკნელი დირექტორის ნდობით აღჭურვილი პირია და შეუძლია კეთილსინდისიერად შეასრულოს დირექტორის მიერ დელეგირებული მოვალეობანი.

მოგვიანებით, კერძოდ 1989 წელს ინგლისში *Dorchester Co. Ltd v. Stebbing*-ის⁷ საქმეზე, ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით დადგინდა კომპანიის დირექტორთა ქცევის ახალი წესები, უფრო კონკრეტულად, ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაში აღინიშნა:

- ა) დირექტორის ქცევის სტანდარტი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მხოლოდ კომპანიის პროფესიონალურად მოქმედი დირექტორია, არამედ, პირველ რიგში, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი.
გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში საბოლოოდ გამოიკვეთა კომპანიის ე.წ. ანაზღაურებადი დირექტორის მისსავე საწარმოსთან ურთიერთობის შტრიხები. კერძოდ:
- ბ) თუკი დირექტორი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე იღებს ანაზღაურებას, იგი ვალდებულია პერმანენტულად

⁶ City Equitable Five Insurance (1925) Ch. 407.

⁷ *Dorchester Finance Co. Ltd v. Stebbing* (1989) BCLC 498

**სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის
პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება**

ევწრებოდეს დირექტორთა საბჭოს სხდომებს და ამასთან, ზრუნავდეს კომპანიის კეთილდღეობაზე.

კომპანიის პარტნიორები დირექტორებს განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვავენ, რომელთაგან მთავარი კომპანიის განვითარებაზე ზრუნვაა. თუკი დირექტორი თავისი ქმედებით აღნიშნულ მიზანს გადაუხევეს, მას შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ინგლისურ კანონმდებლობაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპის საბჭოს მე-5 დირექტივის მე-14 მუხლმა, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის დირექტორთა პასუხისმგებლობას აქციონერთა წინაშე. ამ შემთხვევაში მათ სრული (შეუზღუდავი) პასუხისმგებლობა ეკისრებათ, თუმცა ცალკეული დირექტორი უფლებამოსილია აიცილოს პასუხისმგებლობა, თუკი დაამტკიცებს ამა თუ იმ შემთხვევაში მისი ბრალის უქონლობას. ამასთან, მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ესა თუ ის კონკრეტული საკითხი მისი კომპეტენციის ფარგლებში არ შედიოდა, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ დირექტორი არ არის პასუხისმგებელი კომპანიის დელიქტურ ქმედებაზე, თუკი ეს უკანასკნელი უშუალოდ დირექტორის მითითებიდან არ მომდინარეობს.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, დირექტორები, რომლებიც არ შეასრულებენ მათზე დელეგირებულ ვალდებულებებს, წარმოშობილი ზიანისათვის სოლიდარულად აკებენ პასუხს, ამავე დროს მტკიცების ტვირთიც მათ ეკისრებათ („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლი).

დირექტორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. საწარმოს (კრედიტორს) თავისი სურვილისამებრ შეუძლია შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ დირექტორს (მოვალეს), როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება (სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლი).

ერთ-ერთი დირექტორის (მოვალის) მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან და-

ნარჩენ მოვალეებს (სამოქალაქო კოდექსის 467-ე მუხლი). მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი დირექტორი მთლიანად შეასრულებს ვალდებულებას (ანაზღაურებს საწარმოსათვის მიყენებულ ზიანს), მას დანარჩენი დირექტორების მიმართ უკუმოთხოვნის (რეგრესული მოთხოვნის) უფლება უჩნდება.

აღნიშნულ ურთიერთობებში დირექტორების პასუხისმგებლობის შემოღება კიდევ ერთი გარანტიაა სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. პასუხისმგებელ პირთა ინდივიდუალიზება და მათი ვალდებულებების ზუსტად განსაზღვრა აუცილებელი წინაპირობაა მოწესრიგებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად.⁸

ზოგადად, ზიანის ანაზღაურება მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენისაკენ ზიანის მიმყენებლის ქონების ხარჯზე. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი). კანონი კრძალავს ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას წინასწარი შეთანხმებით (სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლი).

როგორც საერთო სამართლის ქვეყნებში, საქართველოშიც მტკიცების ტვირთი საწარმოს დირექტორებს აწევთ, რაც იმას გულისხმობს, რომ სწორედ მან უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და ის მოქმედებდა ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით.

ინგლისის კანონმდებლობამ, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ცალკე გამოყო კომპანიის დირექტორთა მიერ ვალდებულებათა ე.წ. ფუნდამენტალური დარღვევის შემდეგი შემთხვევები:

1. კომპანიის საკუთრების უკანონო ფლობა ან უსორო გამოყენება. მაგალითად, *Cook v. Deeks*-ის⁹ საქმეზე დადგინდა,

⁸ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 180.

⁹ *Cook v. Deeks* (1916) A.C. 554.

**სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის
პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება**

რომ კომპანიის დირექტორები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ კანადის ერთ-ერთ ფირმასთან და მოლაპარაკების ბოლო დღეს გადაწყვიტეს, რომ ხელშეკრულება დაედოთ არა კომპანიის, არამედ საკუთარი სახელით. სასამართლომ საქმის არსებითი შესწავლის საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ რადგან მოლაპარაკებისას დირექტორები კომპანიის სახელითა და მის ინტერესებში მოქმედებდნენ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შედეგი კომპანიისთვის უნდა დადგეს;

2. კონფლიქტი დირექტორისა და კომპანიის ინტერესებს შორის. ერთ-ერთ საქმეზე 1854 წელს ინგლისის ლორდთა პალატამ დაადგინა: არ შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი დირექტორის კერძო ინტერესებსა და კომპანიის ინტერესებს შორის. ეს უნივერსალური წესია. უფრო ზუსტად, არავის, ვინც კომპანიასთან ფიდუციარულ ურთიერთობაშია, არ შეუძლია მონაწილეობდეს გარიგებაში, რომელშიც ასეთ პირს აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს კომპანიის ინტერესებთან კონფლიქტში მყოფი პირადი ინტერესი.

3. დირექტორთა კომპეტენციის გამოყენება არასათანადო მიზნებისათვის. ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ამჯერად უბრალოდ დავამატებთ: რომ აქციონერთა უმრავლესობას უფლება აქვს დირექტორს მოუხსნას პასუხისმგებლობა.

დირექტორთა მიერ ვალდებულებათა დარღვევის სხვა შედეგები ინგლისური სამართლის მიხედვით. ინგლისის კანონმდებლობით, კომპანიის დირექტორთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენს მიერ წარმოდგენილი ზემოქმედების ღონისძიების, ანუ ზიანის ანაზღაურებების დაკისრების გარდა, პასუხისმგებლობის საფუძვლების ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ზემოქმედების სხვა ზომები. მათ შორის: დირექტორისათვის რომელიმე კონკრეტული სახის საქმიანობის აკრძალვა, მისი დისკვალიფიკაცია ან სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც ბატონმა ლადო ჭანტურიამ აღნიშნა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა დუმს დირექტორთა ვადაზე ადრე გათავისუფლების საფუძვლების შესახებ, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე არსებობს (აღსანიშნავია, რომ ინგლისში მოქმედებს კანონი „დირექტორთა

დისკვალიფიკაციის შესახებ“).

დირექტორი შეიძლება ვადაზე ადრე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ:

- ა) დაარღვია მოქმედი კანონმდებლობა;
- ბ) თუ გაკოტრდება ან დადებს მოვალის კომპრომისულ შეთანხმებას კრედიტორთან;
- გ) თუ ფსიქიურად დაავადდა ან წევს პოსპიტალში 1983 წლის კანონის შესაბამისად 'Mental Health Act'; თუ სასამართლოს მიერ აღიარებულია ფსიქიურად შეშლილად, ან თუ მის ქონებაზე დაწესებულია მეურვეობა;
- დ) თუ თავად აცნობა კომპანიას გადადგომის შესახებ;
- ე) თუ დირექტორთა საბჭოსთან შეუთანხმებლად არ გამოცხადებულა სამსახურში ბოლო 6 თვის განმავლობაში.

ინგლისის სასამართლო პრაქტიკა ასევე იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა მართალია აშკარად სახეზეა კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძვლები, მაგრამ ზემოქმედების ღონისძიებათა ჩატარებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს თავად კომპანიაზე, ასეთ შემთხვევაში დირექტორის პასუხისმგებლობა შედარებით მსუბუქდება. მაგალითად:

- ა) თუ დირექტორის დისკვალიფიკაცია უარყოფითად მოქმედებს კომპანიის დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებზე;¹⁰
- ბ) თუ დირექტორი მოქმედებდა ვინმეს პროფესიონალური რჩევის საფუძველზე;¹¹
- გ) თუ დირექტორი ასაკობრივად იყო ახალგაზრდა.¹²

გარდა ამისა, სასამართლო უფლებამოსილია ნება დართოს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრებას, „აპატიოს“ ბრალეულ დირექტორს. მაგალითად, პრაქტიკაში ცნობილია ფაქტები, როდესაც აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დირექტორს პატიების საფუძველზე შეუმცირდა პასუხისმგებლობა იმ მიზეზით, რომ მან არ იცოდა, რომ არღვევდა ვალდებულებას

¹⁰ Majiestis Recording Stutius (1989) BCLC 1.

¹¹ Rolus Properties Ltd. and another (1988) 4 BCC. 446.

¹² Re. Chartmore (1990) BCLC 673

**სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამეწარმეო ხასიათის
პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება**

იმის გამო, რომ საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა დირექტორთა საბჭოს სხდომებს.

„კომპანიათა შესახებ“ ინგლისის კანონის 310-ე მუხლის დანაწესი პირდაპირ მიუთითებს, რომ დირექტორი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან დაარღვია ე.წ. ფუნდამენტური ვალდებულებანი და ჩაიდინა „შეუწყნარებელი“ საქციელი (მაგალითად, კომპანიის მოტყუება).

და ბოლოს, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საწარმო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოექცეს დირექტორის თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნას. ჩემი აზრით, განათლებასთან ერთად პირველ რიგში უნდა შეამოწმოს მისი გონებრივი და პიროვნული შესაძლებლობანი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საერთო სამართლის ქვეყნებში წლების განმავლობაში შემუშავებული და დამკვიდრებული დირექტორთა სანდოობის შემოწმების ტრადიციული სისტემა. ეს უკანასკნელი მეტად საინტერესოა და მოიცავს:

1. კანდიდატის სიცრუის დეტექტორზე აუცილებელ შემოწმებას;
2. კანდიდატის ბიოგრაფიის ბოლო 10 წლის მონაცემების გადამოწმებას;
3. უცხოეთში მოგზაურობის მიზნების გამორკვევას;
4. კანდიდატის ფინანსური მდგომარეობის კვლევას.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ დირექტორის პროფესიონალიზმს, არამედ მის მორალურ თვისებებსაც, რაც კანდიდატის შესაბამისი ტესტირებით მოწმდება. კერძოდ, კომპანიას სურვილი აქვს კანდიდატისგან მიიღოს პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. ხომ არ ახასიათებს კანდიდატს მავნე ჩვევები (მაგალითად, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია);
2. ხომ არა აქვს ჩადენილი რაიმე სახის დანაშაული;
3. სწორია თუ არა მონაცემები ძველი სამსახურის შესახებ;
4. ხომ არა აქვს რაიმე სახის კავშირი კონკურენტ ფირმასთან;

5. ხომ არა აქვს კრიმინალური მიზნები.

ვფიქრობთ, ინგლისში დამკვიდრებული პრაქტიკის დანერგვა საქართველოს სინამდვილეში ურიგო არ იქნებოდა. მართალია, ჩვენთან მოქმედი კანონმდებლობა ცდილობს სრულყოფილად მოაწესრიგოს ს.ს-ის დირექტორთა პასუხისმგებლობის საფუძვლები და ზემოქმედების ღონისძიებანი, რასაც სასამართლო პრეცედენტიც უწყობს ხელს, რეალურად ყურადღების გარეშე რჩება დირექტორის პიროვნულობისა და მისი გონებრივი პოტენციალის შეფასების კრიტერიუმთა განსაზღვრა, რაც თავისთავად სამართლებრივი რეგულირების სფეროს სცდება.

მიუხედავად აღნიშნულისა მიგვაჩნია: უპრიანი იქნება, თუ კანონმდებელი შეცვლის თავის შეხედულებას დირექტორის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით და ამასთან, განსაზღვრავს მაქსიმალურ ასაკსაც; ასევე, დააწესებს დირექტორის კვალიფიციურობის, მენეჯმენტული გამოცდილებისა და პიროვნული კეთილსინდისიერების შემოწმების აუცილებლობას; გააძლიერებს კონტროლს დირექტორთა მიერ აქციებთან დაკავშირებულ უკანონო გარიგებებსა და ფინანსურ მაქინაციებზე. ვფიქრობთ, ყოველივე ეს ერთგვარი პროფილაქტიკაა კეთილსინდისიერი, გამოცდილი, პასუხისმგებელი და წარმატებაზე ორიენტირებული მენეჯმენტის შექმნისა და შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის საფუძვლების შემცირებისა.

Allgemeine Charakterisierung der Grundlagen der gesellschaftsrechtlichen Haftung der AG-Direktoren nach georgischem und englischem Recht

Das Entwicklungsniveau von dem Gesellschaftsrecht in Georgien steigt fortwährend. Diesbezüglich wurden im Laufe der letzten Jahre mehrere gesetzgebende Akte ausgearbeitet, praktische Erfahrungen gesammelt. Aber die Realität zeigt, dass es trotzdem viele Probleme gibt, die rechtlich nicht reguliert werden. Diesen Problemen gehören einige wichtige Fragen des Modells von Corporate Governance an.

Das in Georgien bestehende „Gesetz über die gewerblichen Unternehmer“ behandelt das Problem der Unternehmensführung entsprechend den modernen wirtschaftlichen Anforderungen. Die Leitung eines Unternehmens bedeutet die vernünftige Schaffung der kompetenten Verwaltung, die ein besonderer, für die Unternehmenstätigkeit wichtiger Teil von Corporate Governance ist. „Das Schicksal eines Unternehmens, seiner Rentabilität, ist vor allem von Talent, Fähigkeiten, Erfahrung und Möglichkeiten des Direktors abhängig. Außerdem ist der Direktor dem Unternehmen gegenüber verantwortlich“¹.

Ungeachtet dessen zeigt die Praxis sowohl in unserem, als auch in einigen anderen Ländern, dass die Direktorenrolle in der Geschäftsführung einigermaßen „entmachtet“ ist. Ihre Versammlungen haben oft einen formellen Charakter. Dabei sehen sie ihre Funktion nur im Schutz der Interessen der Anteilseigner, die sie quasi auf die Geschäftsführung „übertragen haben“. Diesbezüglich ist zu erwähnen, dass das Modell von Corporate Governance für deren Teilnehmer viele ethische Probleme verursachen kann. Die Inhaber der meisten Aktien können ihre kontrollierende Funktion nutzen, um die Verwaltung dazu zu zwingen, auf Kompromisse einzugehen, dass die Politik einer Gruppe der Anteilsinhaber wächst oder die Inhaber der meisten Aktien mit besonderer Sorgfalt behandelt werden. Bei der Durchführung der Fusion oder

¹ L.Chanturia, T.Ninidze. Kommentierung des Gesetzes über gewerbliche Unternehmer. 3. Auflage, Tbilissi 2002, Seite 115.

der Unternehmensübernahme können wichtige Anteilhaber auf Kosten anderer Anteilhaber wegen ihrer Aufsichtsposition den Prämienwert verlangen. Außer den Fällen, in denen der Gesellschaftsertrag niedrig ist, kann die Verwaltung zwecks persönlicher Profitierung die Aktiva der Gesellschaft verdeckt verwenden. Dabei dient das Management den gesellschaftlichen Zielen, in der Tat wird aber neben der niedrigen Leistungsfähigkeit des Unternehmens „das Imperium“ der Verwaltung erweitert, dementsprechend verringert sich der Umfang der Geschäftsführungshaftung.

Das Modell von Corporate Governance setzt sich die Vermeidung der missbräuchlichen Machtanwendung und der Verletzung der treuhänderischen Haftung zum Ziel. Die Notwendigkeit der Analyse der im Management einer Aktiengesellschaft bestehenden ethischen Probleme ist dadurch bedingt, dass sie ihrerseits auf die Geltendmachung der Rechte der Anteilhaber einen großen Einfluss haben. Der Gesetzgeber der USA vollendete in den 90er Jahren die langfristige Erforschung der Probleme von Corporate Governance und stellte die Ergebnisse im abschließenden Vortrag „Entwurf Corporate Governance“ dar.²

Grundlagen der Haftung des Geschäftsführers einer Aktiengesellschaft. Das Ziel des vorliegenden Vortrags ist die allgemeine Analyse der Grundlagen der Haftung der Geschäftsführer eines Unternehmens am Beispiel der vergleichenden rechtlichen Analyse der Gesetzgebungen von Georgien und England. Das Thema selbst ist recht umfangreich, wir werden allerdings versuchen, in kurzer Zeit einige Fragen der Haftung der Geschäftsführer gegenüber dem Unternehmen zu behandeln.

Es ist erwähnenswert, dass in der modernen Welt die Aktiengesellschaften hinsichtlich der Geschäftsführung in zwei Gruppen geteilt werden: 1. einstufiges System der Corporate Governance (one board system), auf das sich die Länder des common law stützen. Dieses System unterscheidet nicht zwischen Unternehmenstätigkeit und deren Aufsicht. In diesem Fall hat das Direktorat dieselbe Funktion wie der Aufsichtsrat; 2. Zweistufiges System der Corporate Governance (two tier system), auf das sich neben Deutschland auch Georgien stützt. Im Falle eines Zweistufensystems ist das Direktorat dem Aufsichtsorgan

² Irwin's Business Law. Concepts, analysis, perspectives. Elliot I.Klayman, John W. Begby, Dan S.Ellis.1994. p. 874.

Allgemeine Charakterisierung der Grundlagen der gesellschaftsrechtlichen Haftung der AG-Direktoren

– dem Aufsichtsrat unterstellt, der die Tätigkeit des Direktorats ständig kontrolliert.³

Trotz der dargestellten Unterschiede bringt die Nichterfüllung oder die nicht ordnungsgemäße Erfüllung der Verpflichtungen gegenüber dem Unternehmen in den Ländern des common law sowie in Georgien eine bestimmte Art der Haftung mit sich, was in der Praxis zahlreiche Probleme hervorruft.

Die gewerblichen Befugnisse der Direktoren einer Aktiengesellschaft und die Haftung wegen ihrer Nichterfüllung werden im „Gesetz über gewerbliche Unternehmer“ geregelt (in England im Gesetz „über Gesellschaften“, in den USA durch „das einheitliche Handelsgesetzbuch“, das Richterrecht); durch die Satzung der Unternehmen (in den Ländern des common law durch das Memorandum der Gesellschaft); eine Geschäftsordnung oder andere Verordnung der Direktoren (wenn es so etwas gibt) sowie durch den Anstellungsvertrag, der zwischen dem Unternehmen und dem Direktor geschlossen wird (in England durch den mit dem Direktor geschlossenen individuellen Vertrag).

Bis wir unmittelbar zu der Charakterisierung und vergleichenden rechtlichen Analyse der Grundlagen der Haftung der Direktoren kommen, wollen wir erörtern, wer in einem konkreten Fall das Subjekt der Verantwortung sein, d.h. wer der Direktor einer Aktiengesellschaft sein kann. Allgemein gesehen, kann der Direktor eines Unternehmens eine volljährige und geschäftsfähige natürliche Person sein, ungeachtet ihrer Staatsangehörigkeit, ihres Wohnortes und ihrer Ausbildung. Zum Direktor kann sowohl der Anteilsinhaber dieser Gesellschaft, als auch eine Person von außen bestellt werden. Dabei soll der Inhalt des Artikels 65 des Zivilgesetzbuches von Georgien berücksichtigt werden: „wenn der gesetzliche Vertreter den Minderjährigen, der das 16. Lebensjahr vollendet hat, zur unabhängigen Geschäftsführung eines Unternehmens ermächtigt, so ist der Minderjährige in den für dieses Unternehmen üblichen Rechtsverhältnissen unbeschränkt geschäftsfähig. Dies gilt sowohl für die Gründung als auch die Auflösung eines Unternehmens und die Eingehung oder Aufhebung eines Dienst- und Arbeitsverhältnisses.“

Die Geschäftsführungsbefugnis bedarf der Einwilligung durch den gesetzlichen Vertreter und der Zustimmung des Fürsorge- und Vor-

³ ausführlich siehe: L.Chanturia, T.Ninidze, Seiten 128-130; M.Luther, Seiten 23-26.

mundschaftsamtens“. (im Unterschied zu der georgischen Gesetzgebung soll nach der Gesetzgebung von England das maximale Alter des Geschäftsführers eines Unternehmens 70 Jahre nicht überschreiten (Gesetz „über die Gesellschaften“, Art. 293)).

Wir meinen, dass die im Zivilgesetzbuch vorhandene Vorschrift über die „Emanzipierung der Minderjährigen“ mit der Gesetzgebung über gewerbliche Unternehmen unvereinbar ist. Denn nach dem „Gesetz über gewerbliche Unternehmer“ „haben die Direktoren in den Angelegenheiten der Gesellschaft die Gewissenhaftigkeit und Sorgfalt einer ordentlichen, unter ähnlichen Bedingungen und im ähnlichen Amt befindlichen Person anzuwenden sowie mit dem Glauben zu handeln, dass ihre derartige Ausübung der Tätigkeit die nützliche für die Gesellschaft ist“. Dies wird vom englischen Gesetz „über die Gesellschaften“ unterstützt, in dem folgendes steht: „der Direktor einer Gesellschaft hat in den Angelegenheiten der Gesellschaft die Sorgfalt, fachkundiges Wissen und Erfahrungen anzuwenden, wie das der Treuhänder nach dem Vertrag von Trust tut“.⁴

Die Analyse der vorgestellten Normen zeigt, dass diese große Verpflichtung, bei der die Prioritäten auf Erfahrung der Geschäftsführung, Wissen und Fachkunde gesetzt werden, einem Minderjährigen nicht auferlegt werden darf.

Grundlagen der unmittelbaren Haftung eines Direktors. Die Hauptverpflichtung und entsprechende Verantwortung jeder beliebigen Person hängen von ihrer Rechtsstellung ab.

Die Hauptpflicht des Direktors ist, seine Aufgaben mit der Sorgfalt und Gewissenhaftigkeit eines ordentlichen Geschäftsmannes bzw. –führers zu erfüllen (Artikel 56.4). Diese Aufgaben können unmittelbar in der Satzung festgelegt sein oder durch praktische Umstände der Geschäftsführung bedingt sein.

In England wurde bezüglich des Falls *Percival v. Wright*⁵ folgendes festgestellt: Die Direktoren haben ihre Pflichten dem Unternehmen gegenüber sorgfältig zu erfüllen. Dabei haben die Direktoren während ihrer Tätigkeit die Interessen verschiedener Kategorien der Teilneh-

⁴ Bezüglich dieser Frage teile ich die in den Vorträgen vom Prof. Semler und Dr. Papuashvili vorgetragenen Auffassungen.

⁵ *Percival v. Wright* (1902) 2 Ch. 421.

Allgemeine Charakterisierung der Grundlagen der gesellschaftsrechtlichen Haftung der AG-Direktoren

mer der Gesellschaftsverhältnisse zu beachten (Hier werden Anteilshaber der Gesellschaft, Arbeiter-Angestellten, Gläubiger gemeint). Sie haben bei ihrer Tätigkeit Sorgfalt und Erfahrungen anzuwenden.

Das Richterrecht der Länder des common law entwickelt fortwährend Regulierungsmethoden der Gesellschaftsverhältnisse und legt auf Grund verschiedener Entscheidungen Verhaltensregeln und Haftungsgrundlagen der Direktoren fest. Beispielsweise wurden mit Rücksichtnahme auf den Fall *City Equitable Five Insurance*⁶ drei wichtigen Regeln des Verhaltens der Direktoren einer Gesellschaft festgelegt. Das sind:

- a) Der Direktor ist verpflichtet, sich so zu verhalten, wie man es von einer Person mit seiner Ausbildung und Erfahrungen erwartet;
- b) Der Direktor ist nicht verpflichtet, der Gesellschaft ständig Aufmerksamkeit zu schenken. Es ist ausreichend, an den Sitzungen des Direktorates und entsprechenden Ausschüssen sachlich teilzunehmen.
- c) Der Direktor ist bevollmächtigt, eigene Pflichten auf eine andere Amtsperson der Gesellschaft zu übertragen, wenn der Vertrauensperson des Direktors ist und im Stande ist, die vom Direktor übertragenen Pflichten sorgfältig zu erfüllen.

Später, im Jahre 1989 wurden in England bezüglich des Falls *Dorchester Co. Ltd. v. Stebbing*⁷ neben dem Obengesagten zusätzlich neue Verhaltensregeln der Direktoren einer Gesellschaft festgelegt, im Beschluss des House of Lords wurde nämlich erklärt:

- a) Der Standard des Direktorenverhaltens bedeutet die Tatsache, dass er nicht nur der professionell handelnde Direktor der Gesellschaft, sondern vor allem ein vernünftig denkender Mensch ist.
Außerdem wurden in diesem Beschluss die Beziehung eines bezahlten Direktors zu seinem Unternehmen endgültig festgelegt, nämlich:
- b) Wenn der Direktor im Zusammenhang mit seiner Tätigkeit die Vergütung bekommt, ist er verpflichtet, auf den Sitzungen des

⁶ *City Equitable Five Insurance* (1925), Ch.407

⁷ *Dorchester Finance Co. Ltd v.Stebbing* (1989) BCLC 498.

Direktorenrates fortwährend anwesend zu sein und sich um das Wohl der Gesellschaft zu kümmern.

Die Gesellschafter erteilen den Direktoren bestimmte Vollmachten, von denen das wichtigste die Sorgfalt für die Entwicklung der Gesellschaft ist. Wenn der Direktor mit seiner Handlung vom erwähnten Ziel abweicht, haftet er entsprechend. Diesbezüglich muss erwähnt werden, dass Artikel 14 der Richtlinie 5 des Europarats, der die Haftung der Gesellschaftsdirektoren den Anteilseignern gegenüber vorsieht, auf die englische Gesetzgebung großen Einfluss hatte. In diesem Fall wird ihnen volle (unbeschränkte) Haftung auferlegt. Allerdings kann ein einzelner Direktor die Verantwortung vermeiden, wenn er im konkreten Fall sein Nichtverschulden beweisen kann. Dabei ist die Behauptung, dass diese oder jene konkrete Frage nicht zu seiner Aufgabe gehöre, kein Argument für eine Haftungsbefreiung. Hierbei muss erwähnt werden, dass der Direktor für das deliktische Handeln der Gesellschaft nicht verantwortlich ist, wenn diese Tat nicht unmittelbar die Folge seiner Anweisung ist.

Nach der georgischen Gesetzgebung haften die Direktoren, die ihre Pflichten nicht erfüllen, der Gesellschaft gesamtschuldnerisch für den entstandenen Schaden. Gleichzeitig trifft sie auch die Beweislast („Gesetz über gewerbliche Unternehmer“, Artikel 9.7).

Die gesamtschuldnerische Haftung bedeutet, dass jeder Direktor die volle Leistung schuldet. Das Unternehmen (der Gläubiger) kann die Leistung auf Wunsch von jedem der Direktoren (Schuldner) ganz oder zu einem Teile fordern. Bis zur Bewirkung der ganzen Leistung bleiben sämtliche Schuldner verpflichtet (Artikel 465, ZGB).

Die Erfüllung durch einen Gesamtschuldner wirkt auch für die übrigen Schuldner (Artikel 467, ZGB). Wenn einer der Direktoren seine Pflicht ganz erfüllt (den dem Unternehmen zugefügten Schaden ersetzt), bekommt er anderen Direktoren gegenüber das Rückforderungsrecht (Rückgriffs- oder Regressanspruch).

Unter den genannten Beziehungen ist die Einführung der Haftung der Direktoren eine Garantie der Stabilität. Die Individualisierung der verantwortlichen Personen und präzise Festlegung deren Pflichten ist eine notwendige Voraussetzung für die Schaffung der geregelten Marktwirtschaft.⁸

⁸ L.Chanturia, T.Ninidze, Seite 180.

Allgemeine Charakterisierung der Grundlagen der gesellschaftsrechtlichen Haftung der AG-Direktoren

Der Schadensersatz ist allgemein gesehen auf die Wiederherstellung des ursprünglichen Vermögenszustands des Betroffenen durch die Person, die den Schaden zugefügt hat, gerichtet. „Wer zum Schadensersatz verpflichtet ist, hat den Zustand herzustellen, der bestehen würde, wenn der zum Ersatz verpflichtende Umstand nicht eingetreten wäre“ (Teil 1, Artikel 408, ZGB). „Das Recht, wegen der Verletzung einer Verpflichtung Schadensersatz zu verlangen, kann nicht im voraus aufgegeben werden“ (Artikel 410, ZGB).

Sowohl in den Ländern des common law als auch in Georgien trifft die Beweislast die Direktoren eines Unternehmens. Das bedeutet, dass gerade der Direktor beweisen muss, dass er an dem Schaden, der der Gesellschaft zugefügt wurde, nicht schuld ist und dass er bei seiner Handlung wie ein ordentlicher Geschäftsmann gehandelt hat.

Mit Rücksicht auf die Rechtsprechung hob die englische Gesetzgebung folgende Fälle der so genannten fundamentalen Pflichtverletzung der Gesellschaftsdirektoren hervor.

1. Gesetzwidriger Besitz oder falsche Anwendung des Gesellschaftseigentums. Bezüglich des Falls *Cook v. Deeks*⁹ wurde beispielsweise festgestellt, dass die Direktoren der Gesellschaft mit einer kanadischen Firma Verhandlungen führten und am letzten Verhandlungstag beschlossen hatten, den Vertrag nicht im Namen der Gesellschaft, sondern im eigenen Namen zu schließen. Auf Grund des gründlichen Studiums des Falls traf das Gericht folgende Entscheidung: „Da die Direktoren während der Verhandlungen im Namen und Interessen der Gesellschaft handelten, soll aus dem Vertrag die Folge für die Gesellschaft eintreten;

2. Konflikt zwischen den Interessen des Direktors und der Gesellschaft. Zu einem Fall stellte 1854 das House of Lords folgendes fest: Zwischen den Privatinteressen des Direktors und den Interessen der Gesellschaft darf kein Konflikt entstehen. Das ist die universale Regel. Genauer gesagt, darf niemand, der mit der Gesellschaft im treuhänderischen Verhältnis steht, am Geschäft teilnehmen, an dem diese Person ein privates Interesse Privatinteressen hat oder haben kann, das mit den Gesellschaftsinteressen im Konflikt stehen können.

3. Anwendung der Zuständigkeit der Direktoren zu nicht entsprechenden?? Zwecken. Darüber haben wir schon gesprochen, diesmal

⁹ *Cook v. Deeks* (1916) A.C. 554

werden wir nur hinzufügen, dass die Mehrheit der Anteilshaber das Recht hat, den Direktor von der Haftung zu entlasten.

Andere Folgen der Pflichtverletzung seitens der Direktoren nach dem englischen Recht. Nach der englischen Gesetzgebung ist das Gericht im Falle der Pflichtverletzung seitens der Direktoren der Gesellschaft neben der von uns vorgestellten Maßnahme, d.h. der Verpflichtung zum Schadensersatz mit Rücksichtnahme auf Charakter und Schwere der Haftungsgrundlagen verpflichtet, andere Einflussmaßnahmen zu treffen. Dazu gehören folgende: Verbot einer konkreten Tätigkeit für den Direktor, seine Disqualifizierung oder Kündigung (Es ist erwähnenswert, dass in England das Gesetz „über die Disqualifizierung der Direktoren“ besteht).

Der Direktor kann vorzeitig abberufen werden, wenn er:

- a) Gesetze verletzt hat;
- b) insolvent wird und sich mit dem Gläubiger vergleicht;
- c) seelisch erkrankt oder entsprechend dem Gesetz von 1983 (Mental Health Act) im Krankenhaus liegt; wenn er vom Gericht für geisteskrank erklärt wurde oder sein Vermögen unter Vormundschaft steht.
- d) selbst die Gesellschaft um seinen Rücktritt ersucht hat;
- e) ohne Absprache mit dem Direktorat innerhalb der letzten 6 Monate bei der Arbeit nicht erschienen ist.

Die englische Rechtsprechung kennt außerdem solche Fälle, in denen die Haftungsgrundlagen des Gesellschaftsdirektors klar vorhanden sind, aber die Durchführung der entsprechenden Maßnahmen/Bewirkungsmaßnahmen auf die Gesellschaft selbst negativen Einfluss haben kann. In diesem Fall wird die Haftung des Direktors teilweise entlastet. Z.B. wenn

- a) die Disqualifizierung des Direktors auf die Angestellten der Gesellschaft negative Auswirkung hat¹⁰;
- b) der Direktor einen fachlichen Rat befolgte¹¹;
- c) der Direktor jung war¹².

¹⁰ *Majestis Recording Stutius* (1989) BCLC 1.

¹¹ *Rolus Properties Ltd. and other* (1988) 4 BCC. 446

¹² *Re. Chartmore* (1990) BCLC 673

Allgemeine Charakterisierung der Grundlagen der gesellschaftsrechtlichen Haftung der AG-Direktoren

Außerdem ist das Gericht berechtigt, der Gesellschafterversammlung zu erlauben, den verantwortlichen Direktor zu „entschuldigen“. In der Praxis gibt es beispielsweise die Fälle, wo auf Beschluss der Hauptversammlung dem Direktor auf Grund der Entschuldigung die Haftung vermindert wurde, weil er nicht wusste, dass er die Pflicht verletzte, indem er aus untrifftigem Grund auf den Sitzungen des Direktors nicht anwesend war.

Die Regelung des Artikels 310 des Gesetzes von England „über Gesellschaften“ deutet direkt darauf hin, dass der Direktor in jedem Fall auf Beschluss der Hauptversammlung der Gesellschaftspartner von der Haftung entlastet werden kann. Ausgenommen ist der Fall, wenn er so genannte fundamentale Pflichten verletzt hat und „unverzeihliche“ Handlungen (z.B. Betrug der Gesellschaft) begangen hat.

Und zum Schluss...Abschließend hat das Unternehmen unter Berücksichtigung des Obengesagten die Bestellung einer Person zum Direktor mit besonderer Sorgfalt vorzunehmen. Vor allem soll es seine intellektuellen und persönlichen Fähigkeiten überprüfen. Hier soll man das traditionelle Überprüfungssystem der Zuverlässigkeit der Direktoren nennen, das in den Ländern des common law im Laufe der Jahre ausgearbeitet und eingeführt wurde. Es umfasst folgendes:

- 1) obligatorische Prüfung des Kandidaten auf dem Lügendetektor;
- 2) Überprüfung der Angaben der letzten zehn Jahre des Lebenslaufes des Kandidaten;
- 3) Klärung der Ziele seiner Auslandsreisen;
- 4) Klärung der finanziellen Lage des Kandidaten.

Außerdem wird nicht nur den fachlichen, sondern auch den moralischen Eigenschaften des Direktors ein großer Wert beigemessen. Das wird mittels entsprechender Prüfung des Kandidaten überprüft. Die Gesellschaft hat nämlich den Wunsch, von Kandidaten die Antworten auf folgende Fragen zu bekommen:

1. Ob der Kandidat schädliche Eigenschaften hat (beispielsweise Alkoholismus, Drogensucht);
2. Ob der Kandidat ein Verbrechen begangen hat;
3. Ob die Angaben über die alte Arbeitsstelle stimmen;
4. Ob er in einer Verbindung mit der konkurrierenden Firma steht;
5. Ob er kriminelle Ziele hat.

Wir denken, dass die Einführung der in England eingebürgerten Praxis in Georgien in der Tat nicht schlecht sein wird. Die bei uns bestehende Gesetzgebung versucht ja die Haftungsgrundlagen und Bewirkungsmaßnahmen der Direktoren von Aktiengesellschaften vollkommen zu regeln, aber der Bestimmung der Kriterien für die Evaluierung des persönlichen und geistigen Potentials eines Direktors wird praktisch keine Aufmerksamkeit geschenkt, weil es auch nicht mehr zum Bereich der rechtlichen Regelung gehört.

Trotz des Obengesagten meinen wir folgendes: es wäre gut, wenn der Gesetzgeber seine Meinung über das Mindestalter eines Direktors ändert und auch das maximale Alter bestimmt. Außerdem soll die Notwendigkeit der Überprüfung der Befähigung des Direktors, unternehmerische Erfahrung und persönliche Sorgfalt festgelegt sowie die Aufsicht über gesetzwidrige, mit Aktien verbundene Geschäfte und finanzielle Machenschaften seitens des Direktors verstärkt werden. Wir glauben, dass dies eine Möglichkeit der Vorbeugung für die Schaffung der sorgfältigen, erfahrenen, verantwortungsvollen und auf Erfolge orientierten Verwaltung und dementsprechend die Reduzierung der Haftungsgrundlagen sein wird.

როლფ კნიპერი

კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საკორპორაციო კანონმდებლობებში

- I. საკითხის დასმა
- II. ემპირია
- III. საკანონმდებლო მეთოდები
- IV. კანონთა შინაარსი
 1. ვინ აგებს პასუხს?
 - ა) საზოგადოების და მისი წევრების პასუხისმგებლობა
 - ბ) საზოგადოების ორგანოთა პასუხისმგებლობა
 2. ვის მიმართ იგება პასუხი?
 3. ვინ აყენებს საზოგადოების მოთხოვნებს პასუხისმგებლობის შესახებ?
 4. რა მოცულობით და რა ხნის განმავლობაში იგება პასუხი?
- V. დასკვნითი შენიშვნა

I. საკითხის დასმა

ამ ფორუმზე – მეორე გერმანულ-ქართულ სიმპოზიუმზე – აქამდე გაკეთებულ მოხსენებებში მთელი მოცულობით და კომპლექსურობით იქნა წარმოდგენილი სააქციო საზოგადოების საშინაო და საგარეო ურთიერთობების წარმოებისას ესოდენ მნიშვნელოვანი კეთილსინდისიერების მოვალეობის და პასუხისმგებლობის საკითხების პალიტრა. მათში საუბარი იყო საქმიან ურთიერთობებში მყოფ ორგანოთა განსაკუთრებულ საკორპორაციო-სამართლებრივ და ზოგად სამოქალაქო-სამართლებრივ კეთილსინდისიერების მოვალეობების შესახებ - რომლის დასაზუსტებლად ამჟამად Business Judgment Rule –ს მოიხმობენ ხოლმე, მაშინ, როდესაც ადრე ალბათ საქმიან ურთიერთობებთან მორგებულ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის

§ 276 –ის ინტერპრეტაციით დააკმაყოფილებოდა - და სააქციო საზოგადოების პარტნიორთა ერთგულების მოვალეობების შესახებ. მათში განვითარებულ იქნა ორგანოთა პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების კეთილდღეობის, ინტერესებისა და შემოქმედებითი პოტენციალის მიმართ, რომელიც პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან ერთად საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს დაგეგმვის, ორგანიზების და კონტროლის განხორციელებისას. მოხსენებებში დასახელდა გერმანიის სააქციო საზოგადოების კანონში შემავალი ისეთი მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხები, როგორებიცაა: საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების მოვალეობა, გადახდის უუნარობის შესახებ განაცხადის დროულად გაკეთების, კრების მოწვევის, ინფორმირების, დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის და გავლენიან პარტნიორთა მიმართ შესაფერისი დამოკიდებულების მოვალეობები.

წარმოდგენილ იქნა მოვალეობის დამრღვევი და უპასუხისმგებლო მოქმედებების შედეგად დამღვარი პასუხისმგებლობის შედეგები მთელი თავიანთი ასპექტებით. ამასთან განსაკუთრებით ხაზგასმულ იქნა პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირების ზიანის პრევენციული და პროფილაქტიკური ასპექტი ზიანის თავიდან აცილების თვალსაზრისით, და ამავდროულად – ჩემდა სასიხარულოდ – პრაქტიკული გამოცდილებით დანსაკუთრებით მდიდარ პროფ. კლაუსენის მოხსენებაში – გაისმა გარკვეული სკეპსისი “homo oeconomicus“-ის და სამართლის ეკონომიკური ანალიზის მიმართ. ამ მოხსენებების საფუძველზე ყალიბდება ერთიანი სისტემა (ცხრილი), რომელიც უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხების რეგულირებას რომელიმე ქვეყანაში, ან - როგორც ქვემოთ წარმოგიდგინო – გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ეს ცხრილი შეიძლება შემდგენიარად წარმოვადგინოთ: ვინ აგებს პასუხს და მოთხოვნის წაყენების რა საფუძველზეა ეს პასუხისმგებლობა დამყარებული: საზოგადოება და/ან რომელიმე მოქმედი პირი და/ან აგრეთვე გამგეობის, სამეთვალყურეო საბჭოს და/ან სხვა ორგანოს ყველა დანარჩენი წევრი და/ან პარტნიორი და/ან სხვა პიროვნებები,

კეთილსინდისიერების მოვლეობის რეგულირება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში

ვის მიმართ იგება პასუხი, ანუ შიგნით საზოგადოების მიმართ და/ან გარეთ პარტნიორების და/ან მესამე პირის მიმართ,

ვის შეუძლია მოთხოვნის წაყენება ანუ ვინ უნდა წარმოადგინოს საზოგადოება, მისი ორგანოს, ერთი ან რამდენიმე პარტნიორის თუ გარეშე პირის მეშვეობით,

რითი იგება პასუხი, ანუ მოთხოვნის მოცულობა,

რა დროის განმავლობაში იგება პასუხი, ანუ ხანდაზმულობის საკითხი.

II. ემპირია (პრაქტიკული გამოცდილება)

ცხადია, მნიშვნელოვანია იმის განხილვაც, თუ რა სისშირით დგება პასუხისმგებლობის საკითხი, ანუ პასუხისმგებლობის შესახებ ნორმების სასამართლოში გამოყენების სტატისტიკის შესახებ. ამ თემაზე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ მიმოხილვის გამკეთებელ პიროვნებას შეიძლება შეშურდეს კიდევ თავისი დასავლელი კოლეგებისა, რადგანაც მათ შეუძლიათ მოუხმონ ძალზე მდიდარ სასამართლო პრაქტიკას, როცა თავად მას უკიდურესად დარიბი თვალსაჩინო მასალა უპყრია ხელთ. ასე, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მონაცემებით, “სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის შეცდომებისათვის საქართველოში ტიპიურ სანქციად დღემდე რჩება მისი შრომითი ხელშეკრულების მოშლა, ხოლო პრეტენზიის წარდგენა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება¹”. იგი ასახელებს მხოლოდ ოთხ შემთხვევას, როდესაც პარტნიორთა მიერ საწარმოს ხელმძღვანელობის მიმართ საჩივარი იქნა წარდგენილი, რადგან მათ დაარღვიეს თავიანთი ვალდებულებები კრების მოწვევის პროცედურასთან დაკავშირებით.

რუსულ სააქციო სამართალშიც მსგავსი მდგომარეობაა, თუმცა იქ არსებულ პრობლემებთან, როგორც მატერიალურ ასევე საპ-

¹ ლადო ჭანტურია, კაპიტალური საზოგადოებების ორგანოთა პასუხისმგებლობა, გამოუქვეყნებელი მანუსკრიპტი, 2003 წლის მარტი.

როცესო სამართალში გვაქვს საქმე კერძოდ, პასუხისმგებლობის საფუძვლების ბუნდოვან ფორმულირებაში და მტკიცებულების ვალდებულების განაწილების შიშის მომგვრელ რეგულირებაში².

ჩემი მცდელობები, ამ მოხსენების მომზადებისას შემეგროვებინა ემპირიული მასალა სხვა ქვეყნებიდანაც, ვერ აღმოჩნდა მაინცდამაინც წარმატებული. ტაჯიკეთიდან მაცნობეს, რომ იქ სასამართლოებს ამგვარი პრობლემატიკისათვის არ იყვნენ დაკავებულნი. სომხეთშიც, როგორც ერთი სომეხი მკვლევარი გვატყობინებს³, 2002 წლის შემოდგომამდე არც ერთი საჩივარი არ შესულა სასამართლოში კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევის გამო, მაგრამ ის, რომ სასამართლოებს საკორპორაციო სამართლთან ჰქონდათ საქმე, იქიდანაც ირკვევა, რომ 2002 წელს სომხეთის ეკონომიკურმა (სამეურნეო) სასამართლოებმა რამდენიმე პროცესი ჩაატარეს, რომლებშიც საქმეები აღძრული იყო სააქციო საზოგადოებების კრებების გადაწყვეტილებების გასაჩივრების გამო.

ეირგიზეთში საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევები, როგორც წესი, იწვევენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. თურქმენეთში გაბატონებული წესის თანახმად სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელები - იქ პრივატიზირების პროცესი შორს არაა წასული - რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ კარგი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევას, მიზეზების გარკვევის გარეშე თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობებიდან და არც თუ ისე იშვიათად მათ ყოველგვარი ძიების გარეშე აპატიმრებენ კიდევ. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, დისციპლინარული ღონისძიებები და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების აღძვრა წარმოადგენენ რეაქციას ორგანოთა მოქმედებებზე მრავალ

² რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს მოსამართლის ფაიზუტდინოვის ცნობით, Enforcement of Minority Shareholders' Rights: OECD/Weltbank, Fourth Meeting of the Russian Corporate Governance Round Table, Moscow 2001.

³ Karapetjan, Shareholders' Rights: Theory and Practise in Armenia, IFC/OECD/Weltbank (Hrsg.), Third Meeting of the Eurasian Corporate Governance Round Table, Kiev 2002.

**კეთილსინდისიერების მოვლეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

ქვეყანაში, და არა მატერიალური პასუხისმგებლობა, როგორც ეს ნათლად ჩანს უზბეკეთის პრეზიდენტის ერთ-ერთ ბრძანებულებაში⁴.

აზერბაიჯანში ერთი პრივატიზებული სახელმწიფო საწარმოს თანამშრომელმა თავისი სამსახურიდან განთავისუფლების გამო უზენაეს სასამართლომდეც კი მიადწია თავისი სარჩელით, რომელშიც იგი მისთვის აქციების მიკუთვნებას და განთავისუფლების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა, მაგრამ პროცესი წააგო⁵. უზბეკეთში უმაღლეს სამეურნეო სასამართლოში რეგისტრირებულია 8 შემთხვევა, რომლებშიც საქმე ეხებოდა დივიდენდების დაგაუხდელობას და აქციების ჩამორთმევას⁶.

ფაქტობრივი მასალის ამგვარი სიმწირის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ბევრ ქვეყანაში განაჩენები თითქმის არ ქვეყნდება, და უეჭველად ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანას ჯერ კიდევ უკმარი კანონმდებლობა აქვთ, და თვით იქაც კი, სადაც მოთხოვნის წარდგენის საფუძვლები ნათლადაა ფორმულირებული და ამ მოთხოვნების არსებობაც აშკარაა, სასამართლო გზას თავს არიდებს. ჭარბობს პრაქტიკა, როდესაც კერძო პირებს შორის წამოჭრილი პრობლემები სასამართლოს გარეთ წყდება ანდა, როდესაც საკანონმდებლო ტექსტების ნაკლოვანებებს მოსამართლის მიერ კანონთა განმარტების შედეგად სამართლის განვითარებით კი არ გაეცემა პასუხი, არამედ კანონმდებლობისადმი აპელირებით და თვით თანამედროვე გერმანელი კანონმდებლებისათვის უჩვეულოდ ხშირი საკანონმდებლო ნოვაციებით. ასე მაგალითად ყაზახეთში მოქმედებს 1998 წელს მიღე-

⁴ უზბეკეთის პრეზიდენტის 1998 წლის 4 მარტის ბრძანებულება „თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური უზუნარობის და სახელმწიფოებო ვალდებულებების შესრულებისათვის“, <http://www.lexinfosys.de> oder www.cis-legal-reform.org

⁵ აზერბაიჯანის პრეზიდენტის აპარატის განყოფილების გამგის გ. რასულოვას 2003 წლის 30 აპრილის ელექტრონული შეტყობინების თანახმად

⁶ უზბეკეთის პრეზიდენტთან არსებული კანონმდებლობის მონიტორინგის ინსტიტუტის თანამშრომლის შ. ასიანოვის 2003 წლის 29 აპრილის ელექტრონული შეტყობინების თანახმად

ბული კანონი სააქციო საზოგადოებების შესახებ, რომელიც თავისი არსებობის მოკლე ხანში ოთხჯერ იქნა საფუძვლიანად განახლებული, და რომელსაც თავის დროზე დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ წინ უძღვოდა ორი ასევე სააქციო სამართლის შემცველი კანონი. ამჟამად ყაზახეთის პარლამენტში შეტანილია სრულიად ახალი სააქციო კანონის პროექტი. მხოლოდ საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს ამ ნაჩქარევი და ქაოტური საკანონმდებლო მოდერნიზაციის გამოცდილებიდან.

სასამართლოების მცირე დასაქმებულობის მიზეზები ნამდვილად არ არის ორგანოთა კეთილსინდისიერება და კანონებისადმი ერთგულება, რომელთა ნაკლებობაზე საყოველთაოდ ჩივიან. ამ სფეროში არსებული ხარვეზების თვალსაჩინოდ დასაბუთებას ვპულობთ IFC/OECD –ს და მსოფლიო ბანკის მიერ ამა წლის 17-18 აპრილს კიევში მოწვობილ “კორპორაციული მართვის საკითხების ევრაზიული მრგვალი მაგიდის” მესამე შეკრების მასალებში. სამაგალითოდ, როგორც ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი, ციტირებული იყო ყაზახეთის შესახებ მოხსენება, რომელშიც ჩამოთვლილი იყო აქციონერებისადმი უთანაბრო მოპყრობის, საწარმოს გარდაქმნისას ქონების ჩამორთმევის, დეზინაფორმაციის, აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების ჩამორთმევის, შიდა ინფორმაციის საკუთარი სარგებლობისთვის გამოყენების, რეესტრის ხარვეზებიანი წარმოების და ყაზახეთის კანონმდებლობის წინააღმდეგ მიმართული სხვა მძიმე შემთხვევები, და რომელშიც იმავდროულად წუხილი იყო გამოთქმული იმის გამო, რომ აქციონერები მოცილებული არიან თავიანთ უფლებებს და პასიურად მოქმედებენ⁷.

სხვათა შორის, ყაზახეთის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის ერთმა მოსამართლემ ასტანაში საუბრისას ამა წლის 14 მაისს მომიყვა 2002 წელს მომხდარ სამ საქმეზე სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც წარმოიქმნა სააქციო საზოგადოებების საჩივრებიდან ცალკეული ხელმძღვანელების წინააღმდეგ და ამ სამიდან ორ შემთხვევაში მაინც მხარეთა ინტერესები არ არის შესაფერისად გათვალისწინებული და

⁷ A. Kenjebayeva, Shareholder Rights, Equitable Treatment and the Role of the State in Kasachstan, Kiew 2002

**კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

საქმიანი ბრუნვა საფრთხეში არის მოქცეული. ყაზახეთის სააქციო კანონის 76 მუხლი ითვალისწინებს, რომ გამგეობის წევრმა ყოველი დიდი გარიგების დადებისას აქციონერთა კრების თანხმობა უნდა მიიღოს. ამას არ ჰქონდა ადგილი, თანაც, მესამე შემთხვევაში საქმის გარემოებებს ისიც ემატება, რომ მოქმედი პირი ორივე საზოგადოების ხელმძღვანელობას განეკუთვნებოდა. სასამართლომ სამივე გარიგება ბათილად ცნო, თუმცა პირველ ორ შემთხვევაში კონტრაქტისთვის არ იყო ცნობილი ხელმძღვანელობის უფლებამოსილების გადაჭარბების შესახებ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაყენებული არ იყო.

ცალკეული შემთხვევები მოწმობენ იმის შესახებ, რომ არსებულ სამწესიერო პასიურობაში პოზიტიური ძვრები დაიწყო. ერთის მხრივ, ნელ-ნელა იზრდება მართლმსაჯულების პროფესიონალიზმი და სანდოობა, და როგორც ემპირიული გამოკვლევები ამ ქვეყნებში - და განსაკუთრებით შტამბუქდავად საქართველოში⁸ - ადასტურებენ, ყალიბდება ნდობა იუსტიციის მიმართ. მეორეს მხრივ აქა იქ იქმნება აქციონერთა და მცირე აქციონერთა დაცვის ასოციაციები, რომლებიც თავიანთი წესდების თანახმად მათი უფლებების დაცვას სასამართლოს წინაშეც იწყებენ.

III. საკანონმდებლო მეთოდები

საკორპორაციო სამართლის, კეთილსინდისიერების და პასუხისმგებლობის მოვალეობის კოდიფიკაციის შესწავლისას შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მეთოდური მიდგომა. ერთის მხრივ არის საქართველო, სადაც 1994 წელს მიღებულ იქნა ერთიანი “კანონი მეწარმეთა შესახებ”, რომელშიც ზოგადი ნაწილის შემდეგ მოწესრიგებულია ყველა სახის პირთა და კაპიტალური საზოგადოებები. ბირჟაზე აღიარებული საზოგადოებებისათვის ამასთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ 1998 მიღებული კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, რომელიც

⁸ Judiciary of Georgia, ALPE, Tbilisi, 2002; Mark Dietrich, Legal and Traditional Reform in Central Europe and the Former Soviet Union, 2000

ცოტა არ იყოს ზოგიერთ პრობლემურ ნიუანსებს ქმნის⁹. ეს კანონები განიხილებიან როგორც მოცემული სამართლის მომცველი და სრული რეგულირება. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წელს სანკტ-პეტერბურგში ეს ქართული მიდგომა დსთ-ს საპარლამენტაშორისო ასამბლეისათვის სამოდელოდ შეთავაზებულ იქნა, მან ვერ შეძლო თანამეგობრობის ქვეყნებში აღიარების მოპოვება. ამ ქვეყნებში რუსეთის ფედერაციის ზეგავლენით შენარჩუნებულ იქნა ძველი საბჭოური კოდიფიკაციური მეთოდები, რომელთა თანახმად ზოგადი ნორმები იურიდიული პირების, სააქციო საზოგადოებების, გაკორტების წარმოების შესახებ მოთავსებული არიან სამოქალაქო კოდექსებში, და შემდეგ უფრო დეტალურად წესრიგდებიან სპეციალურ კანონებში. ადვილად წარმოსადგენია, რომ ამგვარ მეთოდს დუბლირებებისაკენ, წინააღმდეგობებისაკენ, შეზღუდვებისაკენ მივყავართ და იგი საზიანოა სტაბილურობისა და სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის.

IV. კანონთა შინაარსი

1. ვინ აგებს პასუხს?

ა) საზოგადოებათა და პარტნიორთა პასუხისმგებლობა

ამჟამად უკვე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანა აღიარებს საკუთარი ქონებით აღჭურვილი და მხოლოდ ამ ქონებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის პრინციპს, რომლის ყველაზე თვალსაჩინო განსახიერება სააქციო საზოგადოებაა. ის, რომ რუსეთისა და მისი წაბაძვით ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სამართალმა ე. წ. “უნიტარული საწარმოს” სახით შექმნა სამეწარმეო საზოგადოებები, რომლებიც სამართლებრივად განსაზღვრულია როგორც იურიდიული პირები საკუთრების გარეშე და რომელთა ქონების მფლობელი სახელმწიფოა, და იგი სუბსიდიარულად

⁹ იხ. A. Schramm, Pflichten und Haftung der Leitungsorgane einer AG nach georgischem Recht mit Blick auf die Corporate-Governance-Diskussion, გამოუქვეყნებელი მანუსკრიპტი, 2003 წლის მარტი

**კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

აგებს პასუხს დირექტორთა ყველა ვალდებულებაზე (რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მუხლი 114/126), უნდა განვიხილოთ როგორც გარდამავალი პერიოდის კურიოზი, რომელიც ალბათ მალე აღარ იარსებებს.

ყველა კანონის მიხედვით სააქციო საზოგადოება “აგებს პასუხს თავისი კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით”, მაშინ, როდესაც “აქციონერები სააქციო საზოგადოების ვალდებულებების გამო პასუხს არ აგებებენ” (საქართველოს მეწარმეთა შეს. კანონის მუხლი 51.1). ნაკლებად იბღბიანად და რბილად რომ ვთქვათ გაუგებრად აყალიბებს რუსეთის სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 96) და უზბეკეთის 1996 წელს მიღებული სააქციო კანონი (მუხლი 4) წესს, რომ აქციონერები პასუხს აგებენ მათ მიერ გადაუხდელი შენატანის ოდენობით. ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ აწესებს დამფუძნებელ აქციონერთა პასუხისმგებლობას კრედიტორთა წინაშე მათ მიერ შესატანის სრულ შეტანამდე (მუხლი 3.4).

აქციონერთა პასუხისმგებლობის არარსებობის ძირითადი პრინციპი ნათლად არის განსაზღვრული საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 51.1 მუხლით, მსგავსად რუსეთის სკ-ს 96 და ყაზახეთის 1998 წელს მიღებული სააქციო კანონის მე-3 მუხლისა, თუმცა ამ ორს მაინც აქვს დამატებული ნახევარფრაზა, რომ აქციონერთა პასუხისმგებლობის არარსებობა “ძალაშია მოცემულ კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა” (ყაზახეთის სააქციო კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი).

ყაზახეთის კანონით ჩამოთვლილ ამ შემთხვევებს პირველ რიგში მიეკუთვნებიან აქციონერთა და ორგანოთა გარიგებები საზოგადოებასთან, რომლებიც დადებულ იქნენ კანონში განსაზღვრული იმ წესის და თანხმობის გარეშე, რომლებმაც საზოგადოება მანიპულირებული და არახელსაყრელი ხელშეკრულებებისგან უნდა დაიცვას. ამგვარი გარიგებები ბათილია და ამ ხელშეკრულებების ძალით სახელშეკრულებო პარტნიორებს ვვალდებთ აუნაზღაურონ თავად საზოგადოებას გარიგების დადების მცდელობის შედეგად დამდგარი ზარალი. ბრალეულობის არსებობის პირობის შესახებ არაფერია ნათქვამი (ყაზახეთის სააქციო კანონის მ. 84). თუ რაოდენ განსხვავებულად

ვითარდება კანონმდებლობები მიუხედავად საერთო სამართლებრივი ტრადიციებისა და საერთო ძირითადი მოდელებისა, ნათელი ხდება, თუ შევადარებთ ნათქვამს სომხეთის 2001 წელს მიღებულ სააქციო კანონთან, რომლის მიხედვით მსგავს სიტუაციაში - აქციონერებსა და ორგანოებს მიერ საზოგადოებასთან დადებულ გარიგებებში - სამართლებრივი შედეგი არ არის გარიგების ბათილობა, და კეთილსინდისიერების ფაქტი მათ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან (სომხეთის სააქციო კანონის მ. 85). ამას შეიძლება მივაკუთვნოთ – გარკვეული გამონაკლისებით – ასევე პასუხისმგებლობა დაფუძნების სტადიაში წარმოქმნილი ვალდებულებებისათვის, რომელიც საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ დამფუძნებელთა სოლიდარულ პასუხისმგებლობად რჩება (ყ.ზ. სააქციო კანონის მე-9 მუხლი), თუმცა კანონთა ტექსტიდან მთლად ნათელი არ არის, იწვევს თუ არა მთავარი კრების გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების მიერ ვალდებულებების თავის თავზე აღების შესახებ დამფუძნებელთა ან აქციონერთა განთავისუფლებას ვალდებულებისგან თუ მხოლოდ ვალებში შეზიარებას.

პარტნიორთა პასუხისმგებლობის კიდევ ერთი საფუძველი განსაკუთრებით მკაფიოდ განმეორებულია სომხეთის 2001 მიღებულ სააქციო კანონში, მას ადგილი აქვს ასევე მსგავსი ფორმით რუსეთის, ყაზახეთის¹⁰, უზბეკეთის და ყირგიზეთის სამოქალაქო კოდექსებში. სომხეთის სააქციო კანონის მე-3 მუხლი ასაბუთებს გაკოტრების შემთხვევაში იმ აქციონერების და სხვა პირების პასუხისმგებლობას, რომელთაც “უფლება აქვთ საზოგადოებას სავალდებულო ინსტრუქციები მისცენ ან საშუალება გააჩნიათ, განსაზღვრონ საზოგადოების საქმიანობა”, თუ მათ ეს ზემოქმედების საშუალებები გამოიყენეს იმ შეგნებით, რომ ამგვარ საქმიანობას შესაძლოა გაკოტრება მოჰყვეს. ეს

¹⁰ აქ დგება ძნელი საკითხი იმის შესახებ, მოქმედებს თუ არა სამოქალაქო კოდექსი იმ მოცულობით, როგორც ამას გულისხმობს ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის მ. 3, თუ ყაზახეთის სააქციო კანონის მ. 3-3-დან, რომელიც პასუხისმგებლობის გამორიცხვაში გამონაკლისებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, თუ ეს „ამ კანონით“ გათვალისწინებულია, უნდა დაინახოთ სამოქალაქო კოდექსის მოქმედების შეზღუდვა.

**კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

პასუხისმგებლობა არსებობს საზოგადოების პასუხისმგებლობასთან ერთად და გამოიყენება კრედიტორების მიერ მათ მიმართ გადახდის მოთხოვნის სახით (სომხეთის სააქციო კანონის მე-3 მუხლის მე-4 აბზაცი). მაშინ, როდესაც სომხეთის კანონი რუსეთის (მე-3 მუხლის მე-3 აბზაცი) და უზბეკეთის (მუხლი 4) სააქციო კანონების მსგავსად მოითხოვს განზრახ მოქმედებას ან უმოქმედობას, სამოქალაქო კოდექსები საერთოდ არ აფიქსირებენ ბრალეულობის ზომას, რაც შედეგად იწვევს სამართლებრივი უსაფრთხოების ნაკლებობას იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჯერ არ მიუღია სპეციალური კანონები, რომლების ამ საკითხებს აწესრიგებენ – მაგალითად ტაჯიკეთში – ან ისეთ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო კოდექსებს იერარქიულად უფრო მაღალი ადგილი ენიჭება, ვიდრე სხვა კანონებს და გადახვევები მათი ნორმებისგან ბათილად ცხადდება – როგორც, მაგალითად, რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთში. მართალია, სამოქალაქო კოდექსებისადმი ამ რანგის მინიჭება უკვე აღიარებულია კონსტიტუციის დარღვევად, მაგრამ ამჟამად ზემოდ ხსენებული საფრთხე ჯერ-ჯერობით არსებობს.

საქართველოს მეწარმეთა კანონი ასახელებს პარტნიორთა პასუხისმგებლობის ორ დამატებით შემთხვევას, რომელთაგან ერთი იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ეს პასუხისმგებლობა იურიდიული შედეგია მეკავშირე საწარმთა ეკონომიკური მდგომარეობისა. ამ ნორმის ნაწილი წარმოადგენს არააძირითადი საწარმოს მოთხოვნას სამოცდათხუთმეტი პროცენტის მქონე მეორე საწარმოს მიმართ იმ ზიანის ანაზღაურების გამო, რომელიც დადგა განზრახი მოქმედებით გარიგებების დადების შედეგად (მეწარმეთა შეს. კანონის მუხლი 17.4). რუსეთის სააქციო კანონში მოიქმნება ამ მიდგომის გამოძახილები, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირები, რომლებიც საწარმოს წილთა ისეთ რაოდენობას შეიძენენ, რომ მათ კონტროლის საშუალება მიეცემათ, ვალდებული არიან ეს ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობონ საწარმოს. თუ ისინი დროულად განზრახ არ შეასრულებენ ამ შეტყობინების ვალდებულებას, მათ ევალებათ ამის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (რუსეთის სააქციო კანონის 93 მუხლი).

მეორე შემთხვევა საქართველოს სამართალში ცალსახად

შემოდებულ უშუალობის პრინციპს წარმოადგენს, რომელიც ასევე მოქმედებს სააქციო საზოგადოებებისათვის და შეეხება იმ პარტნიორს, რომელიც “პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად გამოიყენა” (მეწარმეთა შეს. კანონის მუხლი 3.4) და რომელიც ამიტომ უშუალოდ აგებს პასუხს კრედიტორის წინაშე.

გაუგებარი და განსამარტავია რუსეთის სააქციო კანონის ერთი ნორმა, რომელის ასევე სხვა კანონებში მეორდება, მაგ. უზბეკეთის (მუხლი 4) და სომხეთის (მუხლი 3) სააქციო კანონებში, და თუნდაც მხოლოდ ამიტომ განხილულ უნდა იქნეს. რუსეთის სააქციო კანონის მე-3 მუხლის მე-4 აბზაცში ნათქვამია, რომ “სახელმწიფო და მისი ორგანოები არ აგებენ პასუხს საზოგადოების ვალდებულებებისათვის, ასევე, როგორც საზოგადოება არ აგებს პასუხს სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ვალდებულებებისათვის”. ამით არ შეიძლება ნაგულისხმევი იყოს, რომ სახელმწიფო აქციონერთა პასუხისმგებლობის ზემოთ მოცემულ სიტუაციებში თავისუფალია პასუხისმგებლობისგან, თუ იგი მონაწილეობას იღებს სააქციო საზოგადოებაში პარტნიორის სახით. ამ ნორმის მსგავსი განმარტება ეწინააღმდეგება თავად რუსეთის სამაქალაქო-სამართლებრივი პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ექვემდებარება სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებს, თუ იგი მონაწილეობს კერძო-სამართლებრივ საქმიან ბრუნვაში (შეადარე რუსეთის სკ-ს 124 მუხლს). ამ ნორმის ახსნა ჩემის აზრით შეიძლება მხოლოდ რუსეთის კანონმდებლობისა და საზოგადოების გარდამავალი ხასიათის გათვალისწინებით. იგი ადგენს – სისტემური თვალსაზრისით სრულიად უიღბლო ფორმით – რომ სახელმწიფო ცენტრალიზებულიად მართვადი ეკონომიკის დროებისგან განსხვავებით აღარ არის პასუხისმგებელი ეკონომიკურ ცხოვრებაში მოქმედი ერთეულებისათვის, რომლებიც თუმცა კი წარმოიქმნებიან სახელმწიფო რეგისტრაციის შედეგად, მაგრამ რომლებშიც იგი თავად არ მონაწილეობს და რომელთაც იგი კონტროლს არ უწევს.

ამგვარად, თუ საქმე ეხება - კანონებში აღწერილი მცირე გამოკლისების გარდა - არა აქციონერთა, არამედ საზოგადოების პასუხისმგებლობას, მაშინ ყურადღება უნდა მიექციოს იმ

კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში

საშიშროებას, რომ არ იყოს გაწვავლებული ძირითადი პრინციპი იმის შესახებ, რომ ეს პასუხისმგებლობა “მათ მთელს ქონებას მოიცავს”, რომელიც რუსეთის სააქციო კანონში არის მოცემული, და მეტნაკლებად იდენტური ფორმულირებების სახით სხვა კანონებშიც გვხვდება. კერძოდ კი, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ახალი სააქციო კანონები შეიცავენ ძალიან მსგავს ნორმებს საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ. მაშინ, როდესაც საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი საწარმოთა გაყოფის შემთხვევაში 14.6 მუხლში სრულიად სამართლიანად განსაზღვრავს ახლად შექმნილ საწარმოთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, სომხეთის სააქციო კანონი ანდობს “უფლებათა და ვალდებულებათა განაწილებას” პარტნიორების გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის შესახებ (მუხლი 18). ასე რომ, მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ ქონება ერთ იურიდიულ პირს და ვალდებულებები კი მეორე იურიდიულ პირს მიენიჭონ. კანონით განსაზღვრული და გარდაუვალი სოლიდარული პასუხისმგებლობა, რომლის არსებობა, ჩემის აზრით, აუცილებელია, არ დგება. ეს კოდიფიკაციური უნიათობა, რომელიც ასევე რუსეთის სააქციო კანონში (მუხლი 18) და უზბეკეთის სააქციო კანონში მეორდება (მუხლი 99, ორივე კანონი მიღებულია 1996 წელს), და რომელიც ფართო გზას აძლევს კრედიტორთა მიმართ არაკეთილსინდისიერ მოპყრობას, აღარ შეიძლება ტრანსფორმაციის პროცესებით აიხსნას, განსაკუთრებით მისი სომხეთის ახალ სააქციო კანონში შენარჩუნების შემდეგ. აქ აშკარაა პარლამენტთა კონსულტირების აუცილებლობა.

ბ) ორგანოთა პასუხისმგებლობა

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონთა უმეტესობა საზოგადოებისთვის დასაქმებულ ორგანოებსა და სხვა პირებს “მათ მიერ წარმოდგენილი იურიდიული პირების ინტერესებიდან გამომდინარე კეთილსინდისიერ და გონივრულ” მოქმედებას ავალდებს (რსკ მუხლი 54) ან იგივე მზრუნველობას “როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი და მოქმედებს იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის (საქ. მეწ. კანონის მ. 9.7).

რუსეთისა და საქართველოს სამართლებში არსებული ეს ფორმულირებები მოიპოვებიან უზბეკეთის (უსკ 88), ყაზახეთის (ყსკ 74), სომხეთისა (სსკ 90) და სხვათა კანონებშიც. და თუ ამისგან განსხვავებით საქართველოს 1998 წელს მიღებულ ფასიანი ქაღალდების კანონში “საზოგადოებისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ძირითად ინტერესებზე” საუბარი, აქედან გამომდინარე მაინც არანაირი დაპირისპირების კონსტრუირება და მითუმეტეს უმრავლესობის და უმცირესობის მქონე აქციონერთა ინტერესების დაპირისპირების მტკიცება არ შეიძლება. ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა აქციონერთა თანაბრობის პრინციპთან (საქ. მეწ. შეს. კანონის მ. 3.8) და იმ აზრთან, რომ ცალკეულ პარტნიორთა ინტერესები შემაღვენელი ნაწილია საზოგადოების კეთილდღეობის, მისი ინტერესებისა და მისი რენტაბელობის.

ზოგიერთი კანონი ორგანოთა პასუხისმგებლობას და კეთილსინდისიერებას აკავშირებს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულებას (მეწ. კანონის მუხლი 13), ვალაუვალობის შესახებ განხცადების ვალდებულებას (მეწ. კანონის მუხლი 14), გარკვეული გადაწყვეტილებების სამეთვალყურეო საბჭოსადმი (მეწ. კანონის მუხლი 55,9) ან საერთო კრებისადმი (ყაზახეთის სააქციო კანონის მუხლი 79) დასამტკიცებლად გადაცემის ვალდებულებას. ამ კანონთა დებულებებიდან ადვილად შეიძლება გამოვიყვანოთ მარკუს ლუთერის გამგებობასა და დირექტორატისადმი მიმართული 10 ცნება, ისევე, როგორც Business Judgement Rule-ის მოქმედების ნამდვილობა, რომლებშიც აღწერილია კეთილსინდისიერების მოვალეობები და რომლებიც ორიენტირებულია საუკეთესო ინფორმირების შედეგად და მაღალ პროფესიონალურ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და არა საქმიან წარუმატებლობაზე.

სხვადასხვა ორგანოთა მოვალეობათა შინაარსი და მათი გამიჯვნა უმეტეს კანონში არ არის ისეთი ნათელი როგორც ქართულ სამართალში, რომელშიც გერმანული სამართლის მსგავსად ერთპიროვნულად ან კოლექციის შემაღვენლობაში მოქმედ დირექტორებს საკუთარ პასუხისმგებლობაზე აგებულ ხელმძღვანელობას და საზოგადოების შეუზღუდავად წარმომადგენლობის მოვალეობას ანიჭებს (მუხლი 56), სამეთვალყურეო

**კეთილხინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი კონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

საბჭოს კი დირექტორატის კონტროლს და გარკვეული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის მოვალეობას აკისრებს (მეწ. შეს. კანონის 55.8/55.9). მოცემული ქვეყნების სხვა კანონების უმრავლესობაში კი – თუმცა გამოიყენებენ მსგავს, ან ზოგან ცოტა განსხვავებულ ტერმინოლოგიას – გენერალური დირექტორები, ან გამგეობები, სამეთვალყურეო საბჭოები, დირექტორთა საბჭოები, აღმსრულებელი ორგანოები და ა. შ., მაგრამ მათი კომპეტენციები სხვაგვარად არის დანაწილებული. ასე, მაგალითად, რუსეთის სააქციო სამართლის მიხედვით (სააქციო კანონის 64-68) სამეთვალყურეო საბჭოს ასევე ევალება “შემსრულებელი ორგანოს” საქმიანობის კონტროლი, რომელიც შეიძლება როგორც ცალკეულ დირექტორს ან გენერალურ დირექტორს, ანდა კოლეგიის შემადგენლობაში მოქმედ დირექტორს წარმოადგენდეს (მუხლი 69-70), მაგრამ იმავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს ევალება “საზოგადოების საქმიანობის ზოგადი ხელმძღვანელობა” (მუხლი 65), შემსრულებელ ორგანოს კი “საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობა” (მუხლი 69). კომპეტენციათა მსგავსი დანაწილება გვხვდება ასევე სომხეთის, ყაზახეთის და უზბეკეთის სააქციო კანონებში. შესაძლებელია, ამ ამოცანების ჩემის აზრით სრულიად მოუხერხებელი განაწილების მიზეზი იმაშია, რომ კანონმდებელმა როგორც ამერიკელი, ასევე გერმანელი მრჩეველების გავლენა განიცადა, რამაც იგი არც თუ შესაშურ კომპრომისამდე მიიყვანა.

ასევე განსხვავდება ქართული და გერმანული სამართლისაგან ამ კანონებში მოქმედი წარმომადგენლობის წესი, რომელიც შეუზღუდავი არაა. დსთ-ს საპარლამენტაშორისო ასამბლეის მიერ 1996 წელს პეტერბურგში მიღებულ და მოდელის სახით რეკომენდირებულ სააქციო კანონში პასუხისმგებლობის შედეგი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: “საზოგადოების სახელმძღვანელო ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ იგი სცილდება მათი უფლებამოსილების ფარგლებს და/ან კანონს ეწინააღმდეგება, მაშინ სახელმძღვანელო ორგანოთა წევრები (სამეთვალყურეო საბჭო, გამგეობა) პასუხს აგებენ სოლიდარულად საზოგადოების წინაშე დამდგარი ზიანის გამო, ან სუბსიდიარულად საზოგადოების შემდეგ მესამე პირთა

მიმართ მიყენებული ზიანის გამო.

ნათქვამი წარმოდგენს ორგანოთა პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ შემთხვევას. თავისთავად იგი ლოგიკურია, თუმცა ვერ გაცემს პასუხს კითხვაზე, არის თუ არა მიზანშეწონილი სამართლისა და სამართლებრივ მიმოქცევის უსაფრთხოებისათვის საზოგადოებათა ხელმძღვანელობის უფლებამოსილებების შეზღუდვა არა მხოლოდ შიდა ურთიერთობებში – ამის განსაზღვრის უფლება შეიძლება სრულიად უსაფრთხოდ გადაეცეს თავად საზოგადოებას – არამედ ასევე საზოგადოების გარეთ მოქმედ წარმომადგენლობათა უფლებების შეზღუდვა. ორგანოთა შიდა და საგარეო კომპეტენციების შინაარსისა და განაწილების ამ საკითხებში გარდამავალი ეკონომიკის უმეტეს ქვეყანაში აშკარაა შემდგომი საკონსულტაციო სამუშაოს ჩატარების აუცილებლობა, რადგან შესაფერისი საკანონმდებლო მექანიზმი ჯერ-ჯერობით მოძებნილი არ არის. კარგ გამონაკლისს ჩემის აზრით წარმოდგენს ისევე და ისევე საქართველო, რომლის მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4 მუხლი ადგენს, რომ წარმომადგენლობის უფლება “მესამე პირთა მიმართ არ შეიძლება შეზღუდულ იქნეს”, ზუსტად ისევე, სხვათა შორის, როგორც არ შეიძლება ულტრა-ვირუს –ის თეორიის მეშვეობით შეზღუდულ იქნეს - როგორც ეს ხდება რუსეთის და სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში (იხილეთ რუსეთის სკ-ის 49 მუხლი) - იურიდიული პირის სამართალუნარიანობა და ქმედუნარიანობა. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ორგანოები არ მიდიან პასუხისმგებლობის რისკზე, თუ ისინი გადააჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებებს შიდა ურთიერთობებში. მაგრამ საქმე ეხება შიდა პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და არა საგარეო პასუხისმგებლობას, რადგან საქმიანი ბრუნვის უსაფრთხოება და მასთან ერთად მესამე პირები დაცულნი არიან წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეუზღუდველობით.

ამ შენიშვნებით მე წარმოვადგინე ორგანოთა პასუხისმგებლობის შემთხვევათა ერთი ჯგუფი. მართლაც, ყველა ახალი კანონი ცნობს პასუხისმგებლობის გამომწვევ ზოგად გარემოებებს, რომლებიც მაშინ ამოქმედდებიან, როდესაც ორგანოები კეთილსინდისიერების მოვალეობას დაარღვევენ. როგორც არ უნდა ეწოდებოდეთ ორგანოებს კანონებში, პასუხისმგებლობის

**კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

ნორმები უკლებლივ ყველა მათგანზე ვრცელდება და ზოგიერთ კანონში ისინი ე.წ. სააუდიტო საბჭოებსაც მოიცავენ. მაგრამ, ამ კანონებში არსებულ კონკრეტულ ფორმულირებებში დრმა განსხვავებებიც იჩენენ თავს. ასე, მაგალითად მხოლოდ ქართული კანონი მეწარმეთა შესახებ იცნობს მტკიცებულების ვალდებულების შებრუნებას მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში; გარდა ამისა, საზოგადოების უფლება, უარი თქვას რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე, საგრძნობლად შეზღუდულია (მუხლი 9.7). მსგავსი ნორმები სხვა ქვეყნების კანონებში არ გვხვდება. პირიქით, მათში გათვალისწინებულია, რომ ორგანოთა ყველა ის წევრი, რომელმაც ზარალის მომტანი ღონისძიების წინააღმდეგ მისცა ხმა, თავისუფლდება პასუხისმგებისგან (იხ. მაგ. რუსეთის სააქციო კანონი, მუხ. 71, უზბეკეთის სააქციო კანონის მუხ. 90, სომხეთის სააქციო კანონის მუხ. 90, ყაზახეთის სააქციო კანონის მუხ. 84). სხვა მხრივ კი ყველა მათგანში დამკვიდრებულია სოლიდარული ვალდებულების პრინციპი.

ზოგადად წარმოდგენილი შეფასება გვაჩვენებს, რომ აქ წარმოდგენილმა კანონმდებლობებმა – ზოგიერთი განსხვავებისა და ნიუანსების მიუხედავად - შემოიღეს და გადაამუშავეს ორგანოთა პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპები და ზოგიერთი გამონაკლისით პარტნიორთა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპები. საკანონმდებლო ნორმები არსებობს, თუნდაც ზოგიერთი მათგანი, როგორც ზემოთ აღნიშნულია, გადასახედი. მაგრამ, როგორც დასაწყისშივე ითქვა, გვაკლია პრაქტიკული გამოცდილება, რომლის მეშვეობით შეიძლება აბსტრაქტული სამართლებრივი დეფინიციების დაკონკრეტება. სწორედ ეს ხდის მსგავს სიმპოზიუმებს და პრაქტიკული გამოცდილების წარმოდგენას სხვა ქვეყნებში ესოდენ მიმზიდველად.

წინდახედულად მინდა შეგახსენოთ, რომ მთელ რიგ ეკონომიკურად საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფოების სააქციო კანონმდებლობა ამ დარგში ჯერ-ჯერობით სრულიად განუვითარებელია და რეფორმების წინაშე დგას. ეს ეხება უკრაინის 1991 წელს მიღებულ კანონს “სამეურნეო საზოგადოებების შესახებ”, აზერბაიჯანის 1994 წლის სააქციო კანონს, ბელორუსიის 1992 წლის კანონს შეზღუდული პასუხისმგებლობის და და-

მატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ და ტაჯიკეთის 1991 წლის სააქციო კანონს. ეს კანონები არ შეიცავენ ნორმებს ორგანოთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც არც სამოქალაქო კოდექსებში არიან საკმარისად მოწესრიგებული.

2. ვის მიმართ იგება პასუხი?

რამოდენიმე ქვემოთ მოცემული ციტატიდან ჩანს, რომ ორგანოთა პასუხისმგებლობა ძირითადად ჩამოყალიბებულია შიდა პასუხისმგებლობის სახით. საქართველოს მეწარმეთა კანონის მუხლი 9.7, რუსეთის სააქციო კანონის მუხლი 71-2 და რუსეთის სკ-ის მუხლი 56, ყაზახეთის სააქციო კანონის მუხლი 75, სომხეთის სააქციო კანონის 90 და უზბეკეთის სააქციო კანონის 88 მუხლი განსაზღვრავენ, რომ გამგეობები, დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და აუდიტორები პასუხს აგებენ “საზოგადოების” წინაშე. თავად საზოგადოების მიერ ორგანოებთან და გარკვეული წილის მქონე აქციონერებთან ინფორმირების მოვალეობის დარღვევით დადებული გარიგებებიდან დამდგარი ზიანიც უნდა ანაზღაურდეს “საზოგადოების” მიმართ (მაგ. რუს. სააქციო კანონის მუხლი 48).

სხვა წესი მოქმედებს, რა თქმა უნდა, ორგანოების საქმიანობისთვის, რომელსაც ისინი საკუთარი სახელით აწარმოებენ, მაგალითად, თავდებობების გაცემა საზოგადოების ვალდებულებებისათვის, დელიქტები, ან ფარული წარმომადგენლობების შემთხვევა. მათ მიმართ შეგვიძლია გამოვიყენოთ პროფესორ შტაინის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია გერმანული სამართლის მაგალითზე.

ყაზახეთის სამართალი, სხვათა შორის, ერთი ნაბიჯით წინ წასულა. იგი განსაზღვრავს, რომ ორგანოები, რომელთა ბრალეულობა და, როგორც ტექსტიდან გამომდინარეობს, ასევე გაუფრთხილებელმა მოქმედებებმა საზოგადოების გაკოტრება გამოიწვია, პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე, რომელთა მოთხოვნები საზოგადოების მიმართ არ ანაზღაურდა (ყაზახეთის სააქციო კანონის 75 მუხლი). თუ გავითვალისწინებთ, რომ ყაზახეთში შეუძლებელია საგარეო პასუხისმგებლობის რისკის

**კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

დაზღვევა, მაშინ ეს ნორმა აშკარად გადაჭარბებულია და გადასინჯვას საჭიროებს.

პარტნიორების პასუხისმგებლობის მცირერიცხოვან შემთხვევებზე ასევე ვრცელდება – მაგალითად ქართულ საკონცერნო სამართლის საკომპენსაციო პასუხისმგებლობის განსაზღვრისას (მეწ. კანონის მუხლი 17.4) – ეს შიდა პასუხისმგებლობის კონცეფცია, მაშინ, როდესაც 3.4 მუხლში მოცემული ე.წ. “გამჭოლი” პასუხისმგებლობა თავისი კონსტრუქციიდან გამომდინარე აღიარებს კრედიტორის უშუალო მოთხოვნას, რადგან ადგილი აქვს ცალკეული პარტნიორების საკუთარი მოქმედების შედეგებს. იგივე წესი მოქმედებს დამფუძნებელთა პასუხისმგებლობისათვის. აქციონერთა და სხვა პირთა ზემოთ მოცემული პასუხისმგებლობაც, რომლებიც გამოიყენებენ თავიანთ გავლენას და საზოგადოებას გაკოტრებამდე მიიყვანენ, მდგომარეობს – განსხვავებულად სააქციო კანონის 117 მუხლში მოცემული წესისა, რომელიც ამავდროულად თავისი ძირითადი ტენდენციით ამ პასუხისმგებლობის პრინციპს უახლოვდება – არა პასუხისმგებლობაში თავად საზოგადოების წინაშე, არამედ საზოგადოების კრედიტორთა წინაშე, რომელთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა და რომლებსაც შეუძლიათ წაუყენონ თავიანთი მოთხოვნები უშუალოდ დასახელებულ პირებს. რუსეთის, სომხეთის და უზბეკეთის კანონთა განსაზღვრებები პრაქტიკულად ერთნაირია და არცთუ მთლად ზუსტი. მე ისინი ისე მესმის, თითქოს კრედიტორებმა თავდაპირველად უნდა სცადონ – თანაც უშედეგოდ – დააკმაყოფილებინონ თავიანთი მოთხოვნები საზოგადოებას.

3. ვინ აყენებს საზოგადოების მოთხოვნებს პასუხისმგებლობის შესახებ?

აქციონერთა და კრედიტორთა საკუთარი მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებიც პროცესის რისკის შეფასების შემდეგ აყენებენ ამ მოთხოვნებს, დიდი სირთულე არსებობს საზოგადოების მიერ თავისი მოთხოვნების წაყენებისას ორგანოთა ან მოთხარე საწარმოს მიმართ, როდესაც წარმომადგენლობის ან მოთხოვნის წაყენების უფლების მქონე პირები თავად ან მათი

ახლოდლები არიან ურთიერთობის მონაწილენი, ისე რომ მოთხოვნების რეალიზაცია არ ხდება მიუხედავად მათი დასაბუთებულობისა. აქ არანაირი სარგებლობა არ მოაქვს არც იმ წესს, რომ საზოგადოებას ქართული სამართლის მიხედვით არ შეუძლია უარი თქვას ამ მოთხოვნებზე. ამგვარად, გარდამალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არ არსებობს გერმანიისგან დიდად განსხვავებული ინტერესთა შეფარდებები.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ზოგიერთი კანონი უშეგებს, რომ სხვა პირებმა შეიტანონ სარჩელი საზოგადოების მოთხოვნების გამო მის სასარგებლოდ. რუსეთის, უზბეკეთისა და სომხეთის სააქციო კანონების თანახმად, რომ ამ დროს სარჩელის შესატანად საჭიროა მთლიანი კაპიტალის 1 % მაინც, ალბათ “საშარო” და მძარცველური სარჩელების თავიდან ასაცილებლად (რუსეთის სააქციო კანონის მუხლი 71-5, სომხეთის სააქციო კანონის მ. 90-5, უზბეკეთის სააქციო კანონის მ. 88). საქართველოს მეწარმეთა კანონი იღებს ამ რისკს და აძლევს ყოველ აქციონერს უფლებას, შეიტანოს სარჩელი საკუთარი სახელით საზოგადოების სასარგებლოდ (მ. 53.5). იმისათვის, რომ “საშარო” სარჩელები უიმედო გახდნენ და იმავდროულად ხარჯების რისკის შესამცირებლად, რომელიც გერმანიაში ესოდენ ზღუდავს *actio pro socio*-ს, 53.5 მუხლი განსაზღვრავს, რომ აქციონერის მიერ პროცენტის მოგებისას საზოგადოების სასარგებლოდ, ამ უკანასკნელმა უნდა აანაზღაუროს სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებსაც იგი (აქციონერი) მეორე მხარისგან ვერ მიიღებს. ამ ნორმის კანონის ტექსტში მინიჭებული ადგილის გამო – იგი მოთავსებულია არა ორგანოთა პასუხისმგებლობის ნაწილში, არამედ “აქციონერთა უფლებამოვალეობებში” – შეიძლება დავასკვნათ, რომ 17.4 მუხლში მოცემული მცირე აქციონერთა ზარალის კომპენსაციის მოთხოვნაც მთავარი საწარმოს მიმართ შეიძლება რეალიზებულ იქნეს.

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი კრედიტორებსაც აძლევს უფლებას, წამოაყენონ თავიანთი მოთხოვნები ორგანოთა მიმართ, თუ ისინი ვერ მიიღებენ დაკმაყოფილებას თავად საზოგადოებისგან (მეწ. შეს. კანონის მ. 56.4). თუმცა ეს ცალ-

**კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

სახად ნათქვამი არ არის, უნდა ჩავთვალოთ, რომ საუბარი არ არის სარჩელის შეტანაზე საკუთარი სახელით სხვის სასარგებლოდ, არამედ რომ კრედიტორს შეუძლია სარჩელი შეიტანოს მის მიმართ განსორციელებული შესრულების გამო. თუმცა ამ ნორმის ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ ეს უფლებამოსილება შეზღუდულია ორგანოთა პასუხისმგებლობაზე, მე მაინც მიზანშეწონილად ჩავთვლიდი მის გამოყენებას ასევე მთავარი საწარმოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში მისი რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საუბარია სარჩელის შეტანაზე საკუთარი სახელით სხვის სასარგებლოდ.

სხვა სააქციო კანონები არ იცნობენ კრედიტორის უფლებას, წამოაყენოს თავისი მოთხოვნები ორგანოთა მიმართ სარჩელის შეტანის გზით. მაგრამ ამასთან უნდა გავისხენოთ, რომ ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა პროცესში მონაწილეთა წრეს საკმაოდ ფართოდ საზღვრავს. მაგალითის სახით შეგვიძლია დავასახელოთ ყაზახეთის 1999 წლის სამოქალაქო პროცესის კოდექსი, რომელიც პროკურატურას აძლევს უფლებას, არა მხოლოდ მონაწილეობა მიიღოს კერძო მხარეების სამოქალაქო პროცესში, არამედ მოსარჩელის სახით მესამე პირების ინტერებიც კი წარმოადგინოს (ყაზახეთის საპროცესო კოდექსის მ. 55-3). ასევე სხვა „სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივ მმართველობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კერძო პირებს“ შეუძლიათ დაიცვან მესამე პირთა ინტერესები სარჩელის აღძვრის გზით (ყაზახეთის საპროცესო კოდექსის მ. 56). თუმცა ნორმის ტექსტის მიხედვით ეს წესი მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქმედებს, მისი გამოყენების პრაქტიკა კი საკმაოდ ფართო ყოფილა. ასე, მაგალითად, ყაზახეთის უმაღლესი სასამართლოს სამეურნეო კოლეგიამ 2000 წელს ერთ-ერთი კრედიტორის პროტესტის საფუძველზე, რომელსაც სხვა მხარეებს შორის შემდგარ პროცესში მონაწილეობა არც მიუღია, გააუქმა პირველი ინსტანციის განაჩენი. კრედიტორმა თავისი პროტესტი იმით დაასაბუთა, რომ მისი ეკონომიკური ინტერესები შეილახებოდა, თუ მის

მოვალეს (მოპასუხეს) დაეკისრებოდა დიდი ოდენობის გადახდის ვალდებულება მესამე პირის მიმართ¹¹.

საბჭოური სულით არის გამსჭვალული უზბეკეთის პრეზიდენტის 1998 წლის 4 მარტის ბრძანებულება „თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური უზუნარობის და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისათვის“¹², რომელიც პირველ რიგში მუქარის ტონით ადგენს, რომ „კანონიერების დამრღვევთა მიმართ ლიბერალური დამოკიდებულება, ცალკეული სასამართლოების მიერ ეკონომიკური დავების ზედაპირული განხილვა, რაც ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს ქმნის“ უნდა მანკიერად გამოცხადდეს (მ. 1). ამის შემდეგ სამეურნეო სასამართლოებს, რომლებიც პრინციპში მხოლოდ სამოქალაქო დავებით არიან დაკავებულნი, ევალებათ აწარმოონ სისხლის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის და დისციპლინარული საქმეების წარმოება სამეურნეო სუბიექტების მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედი ორგანოების წინააღმდეგ, მათ ევალებათ ასევე „შესაბამის ორგანოებში მონაცემების შეტანა“ (მ. 2). ბოლოს დგინდება, რომ „სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს საწარმოს სამეურნეო უნარიანობის უზრუნველყოფისთვის (მ. 4) და რომ სამეურნეო სასამართლოებს შეუძლიათ დააკისრონ დასახელებულ პირებს მატერიალური პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ სარჩელის არარსებობის შემთხვევაშიც. საქმე შეიძლება როგორც იუსტიციის სამინისტროს (მ. 3) და პროკურატურას (მ. 5), ასევე საკუთარი ინიციატივით უმაღლეს სამეურნეო სასამართლოსაც (მ. 2). მხოლოდ ტაშკენტის ქალაქის სასამართლომ 2002 წელს განიხილა თოთხმეტი შემთხვევა, მათ შორის საქმე № 10-0210/856 დათარიღებული 26.03.2002-ით, საქმე № 10-0210/926 დათარი-

¹¹ იხ. დევე და შნიტგერი, კაზუსები და შენიშვნები – ყაზახეთის სამოქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების განხილვა, <http://www.cis-legal-reform.org>, www.lexinfosys.de, ქურნად „კრაუდანსკოიე ზაკონოდატელსტვო რესპუბლიკი კაზახსტან“-იდან ამოღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, მე-13 გამოშვება, აღმატი 2002, გვ. 148

¹² იხ. სქოლიო 4

**კეთილსინდისიერების მოვალეობის რეგულირება
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში**

დებული 16.04.2002-ით, საქმე № 10-0207/1114 დათარიღებული 08.05.2002-ით და საქმე № 10-0204/2978 დათარიღებული 12.12.2002-ით, რომლებშიც სააქციო საზოგადოებების და შპს-ების ორგანოებს დაეკისრათ გადახდის ვალდებულება თავიანთი საზოგადოების მიმართ. რაოდენ გამართლებულიც არ უნდა იყოს მონდომება, რეალიზებულ იქნეს მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპები, იგი მაინც არ ამართლებს უზბეკეთში არჩეულ სახელმწიფო კონტროლის გუას, რომელიც სამეურნეო-ეკონომიკური და საკონსტიტუციო-სამართლებრივი თვალსაზრისით ძალზე საეჭვოა და რომელიც იძულებულს ხდის სასამართლოებს მოსცილდნენ თავიანთ ფუნქციას, აწარმოონ დავების გადამწყვეტი მართლმსაჯულება.

4. რა მოცულობით და რა ხნის განმავლობაში იგება პასუხი?

ჩემს მიერ შესწავლილი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სააქციო კანონები არ განსაზღვრავენ არც კომპენსაციის ოდენობას, არც ხანდაზმულობის საკითხებს. ამიტომ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსების წესები, რომლებზეც ხდება კიდევაც მითითება. ამას აქ დაწვრილებით არ განვიხილავ, მხოლოდ ორიოდ სიტყვით შევჩერდები.

სამოქალაქო კოდექსებში რეგულარულად ხდება მცდელობა, ზუსტად განისაზღვროს ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა და ამასთან ცდილობენ ამ საკითხის კოდიფიკაციას, მაშინ, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში მას სასამართლო პრაქტიკას ანდობენ. საუბარია დაკარგულ მოგებაზე, ნდობის ინტერესებზე, ნორმის დამცავი მოქმედების სფეროზე, ზიანის შემცირების ვალდებულებაზე, უპირატესობების ჩარიცხვასა და უშუალობის პრინციპზე (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მ. 408 – 415). ზოგიერთ ქვეყანაში – მაგ. რუსეთსა და ყაზახეთში - შესამჩნევია ტენდენცია, რომელიც მე საკმაოდ მაწუხებს, კერძოდ, გონივრულ საზღვრებს გადაცილებული ანაზღაურება ე.წ. მორალური ზიანისა, არა მხოლოდ დელიქტურ სამართალში, არამედ ყველა სახელშეკრულებო და საქმიან ურთიერთობებში. კომპენსაციის ეს მოთხოვნა ემსგავსება სასჯელს, რომელსაც ისედაც

ქრონიკულად ფინანსურ გაჭირვებაში მქონე საწარმოები და ორგანოთა წევრები სრულ ფიასკოსკენ მიჰყავთ. როგორც ჩანს, ქანქარა მეორე უკიდურებისკენ გადაიხარა, იმის შემდეგ, რაც საბჭოურ დროში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სრულიად გამორიცხული იყო.

რაც შეეხება ხანდაზმულობას, აქ ვადები განისაზღვრება სამ წელსა (რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მ. 196) და ათ წელს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მ. 128) შორის, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყებისათვის გადამწყვეტია სუბიექტური ელემენტის არსებობა. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი დგინდება სარჩელის საფუძველზე (იხ. მაგ. რუსეთის სკ-ის მ. 199), მაშინ, როდესაც საბჭოთა დროში სასამართლოებს თავისი საქმიანობის ფარგლებში ეკისრებოდათ ხანდაზმულობის ვადების გაკონტროლება.

VI. დასკვნითი შენიშვნა

მოცემული მოკლე და არასრული მიმოხილვა სააქციო სამართლის კეთილსინდისიერების მოვალეობის, პასუხისმგებლობის საკითხების შესახებ მოწმობს იმის თაობაზე, რომ მრავალ ქვეყანაში ამ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები გაცნობიერებული და სამართლებრივად მოწესრიგებული არიან. ცალკეული მომენტების კრიტიკასთან ერთად, რაც ნებისმიერი კანონის მიმართ შეიძლება გაკეთდეს, არ შეიძლება არ გაგვაკვიროს ამ ქვეყნებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ მოკლე ხანში ჩამოყალიბებულმა პრობლემათა შეცნობის მაღალმა დონემ და მათი გადაწყვეტის უდრეკელმა სურვილმა. საქმე ეხლა მხოლოდ იმაშია, რამდენად განხორციელდება წინებში ჩაწერილი სამართალი, რაც ალბათ უფრო ძნელი ამოცანაა, ვიდრე თავად კოდიფიკაცია. რასაკვირველია, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ჯერ კიდევ გაუმჯობესების საჭიროება. თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაგალითად უკრაინაში, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში უკვე შემუშავებულია თანამედროვე კანონპროექტები და ისინიც უეჭველად მალე მიღებულ იქნება.

Rolf Knieper

Die Regelung von Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit in den Gesellschaftsrechten der Transformationsstaaten

- I. Fragestellung
- II. Empirie
- III. Gesetzgebungsmethode
- IV. Der Inhalt der Gesetze
 - 1. Wer haftet ?
 - a) Haftung der Gesellschaft und der Gesellschafter
 - b) Haftung der Organe
 - 2. Gegenüber wem wird gehaftet?
 - 3. Wer macht den Anspruch der Gesellschaft geltend?
 - 4. Auf was und wie lange wird gehaftet?
- V. Schlussbemerkung

I. Fragestellung

Die bisherigen Vorträge dieses zweiten deutsch-georgischen gesellschaftsrechtlichen Symposiums haben das Panorama der Sorgfaltspflichten, Verantwortlichkeiten und Haftung in den Binnen- und Außenbeziehungen der Aktiengesellschaft in seiner ganzen Breite, Komplexität und Tiefe vor uns entrollt. Sie haben die besonderen gesellschaftsrechtlichen und allgemeinen zivilrechtlichen Pflichten zur im Geschäftsverkehr erforderlichen Sorgfalt der Organe bezeichnet, zu deren Präzisierung heute gern die Business Judgment Rule herangezogen wird, wo wir früher wahrscheinlich mit einer auf den Geschäftsverkehr angepassten Auslegung des § 276 BGB ausgekommen wären, sowie die auch in der Aktiengesellschaft bestehenden Treuepflichten der Gesellschafter. Sie haben die Verantwortung der Organe gegenüber dem Wohl, den Interessen und der Wertschöpfungskapazität der Gesellschaft entwickelt, welche die Unternehmensführung in ihren Aspekten der Planung, Organisation und Kontrolle beachten muss, und

ebenso die Verantwortung der Gesellschafter. Sie haben die wichtigen im deutschen Aktiengesetz enthaltenen Konkretisierungen genannt wie etwa die Pflicht zur Buchhaltung und Rechnungslegung, zum rechtzeitigen Insolvenzantrag, zur Einberufung von Versammlungen, zu Information, zur eigenverantwortlichen Leitung und zum entsprechenden Verhalten auch gegenüber einflussreichen Gesellschaftern. Sodann haben sie die Haftungsfolgen aus pflichtwidrigem und verantwortungslosem Handeln in allen ihren Facetten ausgebreitet, wobei der Aspekt der Schadensprävention und Prophylaxe des Haftungsrechts selbstverständlich betont, gleichzeitig aber zu meiner Freude – besonders in dem praxisgesättigten Vortrag von Professor Claussen – durchaus Skepsis gegenüber der Empirie des Homo oeconomicus und der ökonomischen Analyse des Rechts laut wurde. Aus den verschiedenen Vorträgen setzt sich vollständig das Tableau zusammen, das jeder zu beachten hat, der Aussagen über die Haftungsregeln in einem Land oder – wie ich im Folgenden – in den Transformationsstaaten machen will. Es gilt darzustellen,

wer haftet und auf der Basis welcher Anspruchsgrundlagen, also die Gesellschaft und/oder ein handelndes und/oder auch alle anderen Mitglieder des Vorstandes, des Aufsichtsrats und/oder anderer Organe und/oder Gesellschafter und/oder andere Personen,

gegenüber wem gehaftet wird, also „binnen“ gegenüber der Gesellschaft und/oder nach außen gegenüber den Gesellschaftern und/oder Dritten,

wer den Anspruch geltend machen kann oder muss, also die Gesellschaft vertreten durch eines der Organe, einen oder mehrere Gesellschafter oder Dritte,

auf was gehaftet wird, also der Umfang des Anspruchs,
wie lange gehaftet wird, also die Frage der Verjährung.

II. Empirie

Natürlich wäre es auch wichtig darzustellen, *wie oft* gehaftet wird, also Fragen nach der forensischen Relevanz des Haftungsrechts zu beantworten. Bei der Beantwortung dieser Frage kann der Berichterstatter über die Transformationsstaaten nur neidisch auf die Kollegen schauen, weil diese von einer reichen Rechtsprechung berichten kön-

Die Regelung von Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit in den Gesellschaftsrechten der Transformationsstaaten

nen, während jenem nur äußerst geringes Anschauungsmaterial zur Verfügung steht. So berichtet der Präsident des obersten Gerichts Georgiens, dass „die typische Sanktion für Fehler der Geschäftsführung bis heute die Beendigung ihres Dienstvertrages ist. Schadensersatzansprüche werden, wenn überhaupt, dann nur in Ausnahmefällen geltend gemacht¹.“ Er erwähnt dann vier Fälle aus Georgien, wo Geschäftsführer von Gesellschaftern verklagt worden sind, weil sie ihre Pflichten bei der Einberufung von Gesellschafterversammlungen verletzt haben.

Für das russische Aktienrecht wird ähnliches berichtet, wobei die Probleme offensichtlich sowohl im materiellen wie im Prozessrecht liegen, nämlich in undeutlich formulierten Haftungstatbeständen und in einer abschreckenden Beweislastverteilung².

Meine Versuche, im Zuge der Vorbereitung dieses Vortrages empirisches Material aus anderen Ländern zu sammeln, waren ebenfalls nicht sehr erfolgreich. Aus Tadschikistan wird berichtet, dass Gerichte mit der Problematik noch nie befasst waren. Auch in Armenien hat es bis Herbst 2002 noch keine einzige Klage wegen der Verletzung von Sorgfaltspflichten gegeben, wie ein armenischer Forscher berichtet³; dass aber Gerichte mit Gesellschaftsrecht befasst werden, lässt sich daraus erkennen, dass im Jahre 2002 vor den Wirtschaftsgerichten Armeniens mehrere Verfahren zur Anfechtung von Beschlüssen der Gesellschafterversammlung anhängig gemacht wurden.

In Kirgistan führen Sorgfaltspflichtverletzungen der Geschäftsleitung in der Regel zu Strafverfahren; in Turkmenistan herrscht die Sitte, dass Vorstände der Staatsgesellschaften – die Privatisierung ist noch nicht weit gediehen – bei schlechten Geschäftsergebnissen ohne Nachforschung der Gründe und Kausalitäten entlassen und nicht selten ohne Verfahren verhaftet werden. Strafverfahren, disziplinarische Maßnahmen und die Konstruktion von Ordnungswidrigkeiten stehen auch in anderen Ländern im Vordergrund der Reaktion auf das Verhalten von

¹ Chanturia, Haftung der Organe der Kapitalgesellschaften, unveröffentlichtes Manuskript, März 2003

² So der Richter am Obersten Wirtschaftsgericht der Russischen Föderation I. Faizutginov, Enforcement of Minority Shareholders' Rights in: OECD/Weltbank, Fourth Meeting of the Russian Corporate Governance Round Table, Moscow 2001

³ Karapetjan, Shareholders' Rights: Theory and Practise in Armenia, IFC/OECD/Weltbank (Hrsg.), Third Meeting of the Eurasian Corporate Governance Round Table, Kiev 2002

Organen und nicht die Haftung, wie es bereits aus dem Titel eines usbekistanischen Präsidentenerlasses zum Ausdruck kommt⁴.

In Aserbaidschan hat ein Mitarbeiter eines privatisierten Staatsunternehmens bei seiner Entlassung bis zum Obersten Gericht auf die Zuteilung von Aktien und auf Ersatz des durch die Kündigung erlittenen „moralischen Schadens“ geklagt und ist mit der Klage gescheitert⁵. In Usbekistan sind acht Fälle beim Obersten Wirtschaftsgericht „registriert“, in denen es um die Nichtausschüttung von Dividenden und die Einziehung von Aktien geht⁶.

Gründe für die spärlichen Praxis-Nachweise sind möglicherweise, dass Urteile in vielen Ländern kaum veröffentlicht werden, sicherlich aber, dass die Gesetzgebung in manchen Ländern noch unzureichend ist und selbst dort, wo Anspruchsgrundlagen klar formuliert und Ansprüche offensichtlich vorhanden sind, der Klageweg gescheut wird. Es überwiegt die Praxis, zwischen Privaten auftretende Probleme außergerichtlich zu lösen sowie auf Unzulänglichkeit von Gesetzestexten nicht durch richterliche Rechtsfortbildung zu antworten, sondern durch Appelle an den Gesetzgeber und selbst für den neuen deutschen Gesetzgeber ungewöhnlich häufige Gesetzesnovellierungen. So gilt etwa in Kasachstan das Aktiengesetz von 1998, das in der kurzen Zeit seines Bestehens bereits viermal gründlich novelliert worden ist und dem seinerseits seit der Unabhängigkeit bereits zwei Gesetze mit aktienrechtlichen Anteilen vorangegangen waren. Im Moment liegt dem kasachstanischen Parlament bereits wieder der Entwurf eines völlig neuen Aktiengesetzes vor. Nur Georgien macht von dieser hektischen kodifikatorischen Aktivität eine Ausnahme.

Sicherlich kein Grund für die geringe Beschäftigung der Gerichte ist die hohe Gesetzestreue und Sorgfalt der Organe. Deren Fehlen wird allenthalben beklagt. Eine lebendige Dokumentation der Unzuläng-

⁴ Ukas des Präsidenten Usbekistans vom 04.03.1998 „über die Verstärkung der Verantwortlichkeit von Amtspersonen für die ökonomische Unfähigkeit der Wirtschaftssubjekte und die Erfüllung der vertraglichen Verpflichtungen“, <http://www.lexinfosys.de> oder www.cis-legal-reform.org.

